




# ჩვენს მხედრობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

12 დეკემბერი 2014

№ 25 (233)



ინტერვიუ ჯაპანასთან  
ჯანო ჯიქიძის მოთხრობა  
დოდო ჭუმბურიძის ლექსები  
ბელზებელი მაცხოვრის როლში  
იოსებ ჭუმბურიძე როინ ჭიკაძეზე  
ხევსურული პერანგივით აკინძული  
ოქტაი ქაზუმოვის მოგზაურობის დღიური  
ნათელა არველაძე თენგიზ ახმეტელზე  
გიორგი სააკაძე — მარადიული თემა  
ზაალ ებანოიძის პოემა-რეკვიემი  
თუნდაც ცა ფეხად ჩამოდიოდეს  
მთვარის შუქის პირმშონი  
იაჰია ჰაკკის ნოველა

# შინაარსი

რედაქტორის გვარდი	2	<b>ხევისრული პერანგით აკინძული</b> (ნოდარ ანდლულაძე, ამირან არაბული, ეთერ თათარაიძე და კიდეც სხვანი)
მხსარეს-ინტერვიუ	4	<b>დავით ხურცილავა (ჯაპანა) „აღამიანი ჰავას თაჰის სამომოგლოს“</b> (მომამზადა მაკა ჯაფარიძემ)
ენა და გედინწარა	5	<b>იოსებ ქუმბურიძე ნიგნი ცოცხალი</b> (როინ ქიკაძის მონოგრაფია „ძალმოსილება ქართული სიტყვიერებისა“)
პროზა	6	<b>ჯანო ჯიქიძე ჯანშიშინისა!</b>
პოეზია	17	<b>ზაალ ებანოძე წაღბადმიდან მოინწარა</b> (პოემა-რეკვიემი)
პირველი შთაბეჭდილება	21	<b>მაია ჯალიაშვილი პოეტური DÉJÀ VU</b>
პოეზია	22	<b>დოდო ქუმბურიძე ზამთრის ფოთოლი და სხვა ლექსები</b>
უსხოვლის თვალთ	25	<b>კონსტანტინ კოროვინი კავკასია</b>
კავკასიის გზაგზა	32	<b>ოქტაი ქაზუმოვი ჩვენ, მათარებალი, გაქო და მოლა ნასრადინი</b>
თქმა მართლისა	36	<b>როსტომ ჩხეიძე ეტყობა, ლადო ასათიანი ვეგომე!..</b>
თეატრალური სინაზინი	40	<b>ნინო საბაშვილი ამბავი ერთი კარგი სკეჩტაკლისა</b> (ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებებით სიბერემდე)
ზრინავი პორტრეტისათვის	42	<b>ემზარ კვიციანიშვილი მხატვრული თარგმანის დიდოსტატი</b> (თამაზ ჩხენკელი)
სამართვალის გზაგზა	48	<b>ნინო ვახანია თუნდაც ცა ფახად ჩამოდოდეს</b> (ქუთაისური დღიურიდან)
ასალი რომანი	51	<b>კონსტანტინე გამსახურდია მთვარის შუქის პირმომი</b> (როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი ვაჟა-ფშაველაზე)
მომონავათა სკიპრი	52	<b>ნათელა არველაძე ის უსიტყვოდაც მჭავრმატყვილაზდა</b> (თენგიზ ახმეტელი)
გამონავარება	55	<b>ელგუჯა თავებრიძე რატომ გალოზდა გვიან შემოდგომით შავში?!</b> (გურამ ქართველიშვილის ნოველა „უკულმართი“)
კრიტიკა	56	<b>ნანა კუცია ბელზაბელი მაცხოვრის როლში</b> (გივი სომხიშვილის „ამომავალი შავი მზე“)
	57	<b>მარინე ტურავა ვისნავლოთ საკუთარ შეცდომავაზე</b> (გივი სომხიშვილის „ბედის მასხარა“)
	58	<b>ნინო ვახანია ტრაგიკული ეპოქა — ზნეობრივ კალთა გამოცდა</b> (გივი სომხიშვილის „სატანის ღიმილი“)
დაუვიწყარი სხელები	60	<b>ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე თეატრისა და კინოს სინაყა</b> (ოთარ მეღვინეთუხუცესი)
რეპორტაჟი	62	<b>ნინო დეკანოძე ლექსები მთვარის შუქს</b> (კვირეული „ინტელექტი“)
ისტორიის სამსჯავრო	65	<b>სერგი ლომაძე გიორგი სააკაძე — მარადიული თემა</b>
უსხოვრი ნოველა	67	<b>იაჰია ჰაკვი სხვადასხვა მიზეზთა გამომ</b>
ასალი წიგნები	70	<b>მანანა ბრაჭული დამიბასლოვრა, მარიაში!</b> (მარიამ ნიკლაურის „100 ლექსი“)
ამ მთისა და იმ გარისა	71	<b>ხურდა — ერთი დოლარიდან</b>



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 26 დეკემბერს

დაარსებულია  
ომეგა ჯგუფის მიერ  
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი  
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში  
**ომეგა თეკი**

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,  
თბილისი საქართველო  
ტელ: 00 995 32 53 12 77  
ფაქსი: 00 995 32 53 08 33  
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge  
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

**გარეკანზე:** ვერმეერის ოთახი  
ირაკლი შუბაშიკელის კომპიუტერული გრაფიკა

# ხევისურული პირანგობით აკინძული

(ნოდარ ანდლულაძე,  
ამირან არაბული, ეთერ თათარაიძე  
და კიდევ სხვანი)

ახლობელი ურეკავს ნოდარ ანდლულაძეს:

— ხვალ დილით გავდივარ სტუმრებთან ერთად, ჯუთამდე მივალწვეთ და ამიხსენი, იქიდან არხოტში როგორ უნდა გადავიდეთ.

ნოდარი ნახევარ საათს მაინც ესაუბრებოდა ტელეფონით, ჯუთიდან გასულელებს მდინარის გასწვრივ სად როგორი ფერის მინა, ლოდი, ბილიკი, ტალახიანი გუბე, აღმართი, გზა-გასაყარი და მოსაბრუნე შეხვდებოდათ.

ორი კვირის თავზე ის ახლობელი კიდევ ერთხელ შეეხმია-ნებოდა:

— არათუ გზა-ბილიკებს, შენგან მითითებულ ქვებსაც კი ვცნობდი, არცერთი ნაბიჯი არ შემშლია.

დაუჯერებელია?

თვითონაც ვერ იჯერებდა, ტოპოგრაფიულად ასეთი მახვილი მესხიერება რომ ჰქონდა, მაგრამ მერე სადღაც ამოიკითხავდა: ასეთი მესხიერება ნიშანდობლივია ველური გონებისათვისო, — და დამშვიდდებოდა: აჰაა, არ თურმე!..

ეს ეპიზოდი ჩართულია ამირან არაბულისა და ეთერ თათარაიძის მხატვრულ-დოკუმენტურ ნიგნში „მაცესტრო და (არა მხოლოდ) ხევსურეთი“, თი-ბი-სი ბანკის შემწევობით რომ გამოშვებულა („უნივერსალი“, 2014) და წარდგინებაც მათივე შენობის დარბაზში გაიმართა; და როგორც საერთოდაც ნიშანდობლივია ამ ავტორთა ნიგნების განხილვისას, ფოტოსურათების გარემოცვაში — ამირან არაბულის მიერ გადაღებული ფოტოები გაბნეულიყო 20-იანი წლებისა თუ შემდგომი ხანის სურათთა სერიაში და ხევსურულ სამოსსა და ხელნაკეთ ნივთებთან ერთად ქმნიდა მეტად მიმზიდველ კოლორიტულ განწყობილებას, იმ სამყაროს რომ მიგაახლოებდა, ხევსურეთი რომ ჰქვია და ნოდარ ანდლულაძეს უიმისოდ არ გაეძლებოდა, რადგან იქიდანაც იწოდება სასიცოცხლო ძალასაც და იმ მელოდია-რიტმებსაც, მისი იშვიათი ვოკალი საგულისხმო და მრავალფერადი ნიუანსებით რომ უნდა გაემდიდრებინა.

დადგებოდა დრო მის ცხოვრებაში, როდესაც მუსიკის სულ რელიგიურობასთანაც დააკავშირებდა და იმ გარემოებასაც საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა, რომელი ინტონაცია საიდან შეეძინა, და მზერის მიმოვლებისას ამოჩნდებოდა თუნდ ბაბუა კალოთანელის სახეცა, პატარა, პრიმიტიულ ფანდურზე რომ მღეროდა და...

— პოეზია იყო... ხმაში რა ჩნდებოდა, როგორ ჩნდებოდა!.. არსებითად მე არ ვსწავლობდი, როგორც ობიექტს. მქონდა უნარი, შემეგრძნო, შემეთვისებინა. კატალოგიზაცია მე არ მომიხდენია. რაც უფრო ღია იყო, მით უკეთესი. აბა, გაიარე შუაფხოვადან არხოტამდე. ნახავ, რა სიმდიდრეა!..

მითუმეტეს, ეს გამვლელი... ნოდარ ანდლულაძე თუ ხარ და მინდასავით არც არაფერი გამოგრჩება, ჩიტების ნაუბარიც გესმის და ბალახის ჩურჩულიც, იმ ფოტოსურათისა არ იყოს, ბალახებში რომ ჩამუხლულა და თვალნათლივ ხედავ, რარიგ მიყურადებია და განიცდის მინის იდუმალ მუსიკას.

ვანო სარაჯიშვილს რომ უსმენდა, სულ ფიქრობდა: რა ენით ლაპარაკობს... თუ მღერისო?!

და ძალიან განიცდიდა, რომ ჩვენ უკვე დაგვიკარგოდა ეს ენა.

— ცოტა მამაჩემს ჰქონდა შემორჩენილი, გურული ელემენტით.

თვითონ ბატონ ნოდარსაც არ აკლდა — დავით ანდლულაძისაგან მემკვიდრეობით ნაანდერძევი. და მითუფრო შეუმცდარად გრძნობდა, როდის აქცევდნენ ამ ენობრივ თავისებურებას სტილისტიკად, ოღონდ — ხელოვნური იერით. არადა, აქ დიდი სიფრთხილე გჭირდებოდა, რადგანაც აუცილებლად ნამდვილი უნდა ყოფილიყო ეს მეტყველება, გულში გამოტარებული.

მაინც რა არის, მეტყველების ინტონაციითაც ისე რომ იხიბლები, სიმღერისაგან ლამის ვეღარც გამოგირჩევია!..

ამ უჩვეულო მეტყველებით გვესაუბრებოდა ყველა ჩვენგანს, მის თაყვანისმცემელთ, თავისი ბრძნული საუბრის მომხიბვლელობაში რომ გვხვებდა და სიმღერის ილუზიასაც ძალდაუტანებლად გვიჩვენდა, მაგრამ მხოლოდ ამირან არაბულმა და ეთერ თათარაიძემ მოიფიქრეს, რომ მისი ცალკეული ნაამბობი, ფრაზა თუ სიტყვა უბის ნიგნაკში ჩაენიშნათ, ზოგი იმ-თავითვე ძალზე მნიშვნელოვანი, ზოგიც თითქოს „ბანალური“, მაგრამ გამოხდებოდა ხანი და აღმოჩნდებოდა, რომ იმ „ბანალურშიც“ რაოდენ ღირებული ცნობები თუ დეტალები იმალებოდა — პროფესიულიც, ფსიქოლოგიურიც.

ისე დიდებული პიროვნებანი შენს ირგვლივ რომ ტრიალებენ, ისეთი უბრალონი, თითქოს არც არაფრით განირჩევიან სხვათაგან, თუმც არ გეშლება მათი სულიერი სიმალის აღიარება, მაინც გგონია, რომ სულ ასე გაგრძელდება და ისინი სულ იქნებიან და იქნებიან ამქვეყნად, და მაშ რაღა აუცილებელია ეკერმანობა.

არა, ნოდარ ანდლულაძე კი სულ იქნება და იქნება, მაგრამ... მის ახალ სიტყვას ვეღარასოდეს მოვისმენთ, მის ახალ ნაუბარს ვეღარასოდეს გავიგონებთ, მოსმენილი და თითქოს გულისფიცარზე საიმედოდ აღბეჭდილიც თანდათან გვაგინყვდება თუ ფრაგმენტებადღა ვაკონინებთ და... გვეხარება ისეთი ადამიანებისა, ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული რომ არიან, გამუდმებით კალამომოძრავებულნი.

გვეხარება და თან რარიგ გვახარებს ეს ნიგნი, როგორც თავისებური გზამკვლევი ნოდარ ანდლულაძის სულიერი სამყაროში შესაღწევად, მისი მრავალმხრივი პიროვნების ათასგვარ განზომილებათათვის თვალის მისადევნებლად — მწერლობასაც რომ მიეღვრებოდა, ენათმეცნიერებასაც, და დაუღალავი მოგზაურის სახელიც ეამაყებოდა.

ერთი ნაწილი ამ ნიგნისა ჟურნალ „ომეგას“ ფურცლებზე გამოქვეყნდებოდა მაცესტროს სიცოცხლეშივე, და თუმც ვიცოდით რომ ავტორებს ამას გარდა კიდევ საკმაო მასალისათვის მოეყარათ თავი, ნიგნის გამოსვლა რატომღაც ძალიან იგვიანებდა.

და ეს თურმე იმიტომ, რომ თავიდან სულაც არ აპირებდნენ მხოლოდ ბატონი ნოდარის ნაამბობებით შემოფარგვლას და გადაწყვეტილი ჰქონდათ, მათგანაც ჩაენერათ ესა თუ ის ეპიზოდი ანდა დეტალი, ნოდარ ანდლულაძის მონაყოლისას რომ ჩნდებოდნენ და საბოლოოდ უამრავი პერსონაჟი მოიყრიდა თავს უბის ნიგნაკთა გვერდებზე.

კიდევ ჩაინიშნავდნენ ამ პიროვნებისგანაც არაერთ ამბავს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ის, რაც განეზრახათ, ვიდრე ახლებურად არ შეხედავდნენ პირვანდელ გადაწყვეტილებას და არ დაიბეჯითებდნენ: ეს ხომ უკვე სხვა ციკლია, თავისთავად ძალზე საგულისხმოც, მაგრამ მაინც სხვა — თავისი აღწავლობითა და კომპოზიციითაც. და თუ ოდესმე ისიც მოთავდება ჩვენი ხელითვე, დაე ცალკე ნიგნი იყოს, „მაცესტრო და (არა მხოლოდ) ხევსურეთის“ უშუალო გაგრძელებაც და, ამასთან, დამოუკიდებელი თხზულებაცო.

და ასე იხილავდა დღის სინათლეს ეს ნიგნი, რომლის გამოცემაც აღარ ეგვიანებოდა.

ისე კი ჩასაწერია, აბა, რა არის, როდესაც აგერ თუნდ ნიგნის წარდგინებისას უსმენ ელდარ გენაძეს — ოპერის მომღერალს, ვახტანგ ქიბიშაურს — ბიოლოგიის მეცნიერებათა

დოქტორს, თუ გიგი ხორნაულს — მწერალსა და მეცნიერს, მრავალწლიანი ურთიერთობა რომ აკავშირებდათ ამ სათაყვანო პიროვნებასთან და ისეთ დეტალებს გადმოშლიან, თანაც ისე ცოცხლად, შენც ხელშესახებად განგაცდევინებენ იმ ეპიზოდებს, რაც უსათუოდ უნდა შემოვიწახოთ ნოდარ ანდლულაძის ბიოგრაფიისა თუ ფსიქოლოგიური პორტრეტის სრულყოფილად აღდგენისათვისაც და ჩვენი საზოგადოებრივ-კულტურული რეალობის ზოგადი იერის უფრო ღრმად შეცნობისთვისაც.

ამ თავყრილობისათვის საგანგებოდ ჩამოეთანათ ყურაულთ მგელას ის ხმალი („ყურაულა“), რომლითაც ვეფხვი მოეკლა და დამსწრე საზოგადოება გაიცნობდა ამ ხმლის დღევანდელ მესპატრონესაც — გიორგი ჭინჭარაულს, და იმ ორთაბრძოლისა და კიდევ სხვა პეროიკულ ეპიზოდებსაც მოისმენდა შოთა არაბულისაგან, კორმას მუზეუმის დირექტორისაგან, მხატვრისა და მწერლისაგან.

დავით ანდლულაძის სახელობის ქართული ვოკალური კულტურის ფონდის ხელმძღვანელი გური ზაქარეიშვილი (ვინც ამჯერადაც დაეხმარებოდა წიგნის ავტორებს ბატონი ნოდარის საოჯახო ფოტოალბომების გაცნობაში და ფოტომასალით წიგნის გამდიდრებაში) მოკლე სიტყვას იკმარებდა, თუმც ზუსტ და ხატოვან ფრაზებს იპოვინდა ამ გამოცემის შესაფასებლად, მათ შორის: ხევსურული პერანგივითაა აკინძული.

და თქვენი მონა-მორჩილი, ვისაც დაევალებოდა ამ თავყრილობის გახსნა და გაძლოლა, კიდევც მიაძახებდა:

— გამზადებული სათაურია რეპორტაჟისა თუ წერილისათვის.

და იმასაც შევიტყობდით, რომ წიგნის ერთი ეგზემპლარი ბატონ გურის ნოდარ ანდლულაძის საფლავზე მიეტანა და დაეტოვებინა.

თავყრილობას დაამშვენებდა ანსამბლ „მთიებისა“ და დეზი გოგოჭურების სიმღერები, რათა ყოველმხრივ სრულყოფილ შეგრძნებას ხევსურული გარემო-სინამდვილისა არც ეს მომხიბლავი შტრიხი დაკლებოდა.

სალამოს კომპოზიციურ ქარგას ავტორები შეკრავდნენ: ამირან არაბული თავიდანვე რომ გამოვიდოდა სიტყვით და ეთერ თათარაიძე ბოლოს, და კიდევ მისი სევდიანი და მხიარული მონათხრობის აკორდზე დასრულდებოდა „მაცეტრო და (არა მხოლოდ) ხევსურეთისათვის“ კარის გაღება ჩვენს სამწერლო-საზოგადოებრივ სივრცეში.

სხვათა შორის, იმასაც ვიტყვით, რომ ამირან არაბულმა სულ რამდენიმე დღის წინათ ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის მიერ დაარსებული პრემია „საგურამო“ რომ მიიღო (ქალბატონ ეთერს ორი წლის წინათ აქვს მიღებული), სწორედ ასეთი თავდადებული გარჯისათვის და სწორედ ის ჯილდო, რომელიც ნამდვილი დამსახურებისათვის ენიჭებათ ადამიანებს, თორემ ისეთი პრემიაც ვიცით, ერთ ჯგუფსა თუ „კუტოკს“ რომ ჩაუგდია ხელში და თვითონ ინანილებენ — ხან ჟიურის წევრები არიან და ხანაც — გამარჯვებულები. და ცალკე რჩება მათი დაფნები, ცრუ და ყალბი, და ცალკე მიედინება ჭეშმარიტი ლიტერატურული პროცესი.

მინიშნება ისეთი გამჭვირვალე გახლდათ, არავის გაძნელებია ნართაულში „საბას“ კონკურსის (წაიკითხეთ: ცრუკონკურსის) ამოცნობა.

არა მხოლოდ ხევსურეთით...

სათაური იმთავითვე გვიცხადებს, რომ ხევსურეთი მთავარი ფონი იქნება მოზაიკურად შეკრული თხრობისა, სადაც არამარტო სვანეთიც უნდა გამოილანდოს, არამედ დიდებული მომღერლის ის სიამაყით ნათქვამიც აღიბეჭდოს:



— პირველი კაცი ვარ, ვინც ხევსურები წაიყვანა სვანეთში და სვანები — ხევსურეთში!

ბელეტრისტის თვალში რომ ჰქონდა და ერთი ფრაზითაც შეეძლო წარმოესახა ადამიანის ხასიათიც და მთელი სურათიც?!

— ცოლ-შვილის გარდა ყველაფერი დაგვიკლა მასპინძელმა.

მეტი აღწერა აღარც გჭირდება, ისედაც თვალნათლივ ხედავ სიხარულისაგან გადარეულ მესტიელ კაცს, ვინც აღარც ფიქრობს თავისი მღელვარების დაფარვას და ეცოტავება ის პატივი, რასაც ძვირფას სტუმრებს მიაგებს. ესენიც როგორ ეხვენებიან: აღარ გინდა, მეტი აღარ გინდა, თავზე გადაგვდის შენი პატივისცემამო, — მაგრამ ვერა და ვერ დაუოკებიათ: თქვენ სულ სხვაგვარი დახვედრა გეკუთვნით, თორემ ეს რა არისო!..

და ეს ყოველივე და კიდევ მეტია ჩატყუელი იმ ერთ ფრაზაში.

რა გასაკვირია, სულ რომ ნანობდა ნოდარ ანდლულაძე მწერლობაზე ოცნებასთან გამოთხოვებას და თუნდ გიორგი ჭოლიკაურის ტრაგიკული ბედისწერა ათქმევინებდა:

— მე რომ მწერალი ვიყო, უბედურის გადაგვარებულ ფსიქიკაზე უნაკლო ნაწარმოებს შევქმნიდი.

რა გგონიათ, ამ ნიჭისა და გემოვნების კაცი მართლაც შექმნიდა უნაკლო თხზულებას — რა სრულყოფილებასაც სიმღერაში მიაღწია, ნაკლებ ამავს არც ლიტერატურას დასდებდა.

მის მზერას არ გამოეპარებოდა ლეიმეს მინდორში ქვის გარშემო კურდღლების ისეთი სირბილიც, უოლტ დისნეის უთუოდ რომ შეეხარებოდა და ვერც ვერასდროს გადაიღებდა ასეთ რამეს.

და ის სუმიტლად რას გამოიჩნებოდა, სიჭაბუკისას გიორგი ოჩიაურის ნითელ ხეში შესრულებულ ნამუშევრებს რომ იხილავდა, „ხევსურულ ქეიფსა“ და მისდაგვართ, და აღტაცებული დაბეჯითებით განუცხადებდა: შენ უნივერსიტეტში რა გინდა, ფილოლოგიის ფაკულტეტზეო, — და თავისი ხელით წაიღებდა მის საბუთებს და გადასცემდა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსს...

ასე მიიყვანდა გიორგი ოჩიაურს თავის ნამდვილ მონოდებასთან — მხატვრობასა და ქანდაკებასთან.

საერთოდ კი ამ ორი პიროვნების მეგობრობა თავისებურად ჰკრავს წიგნის სიუჟეტურ ქარგას, თავიდან ბოლომდე რომ გამოსდევს თხრობას და იმ იდუმალი შუქით ანათებს, მონათესავე სულთა თანაზიარობას რომ შეჰფერის.

\* \* \*

სულ სხვაა, როდესაც ამას ნოდარ ანდლულაძე ამბობს:

— მსოფლიო ჰანგებიდან ქართულ სიმღერას ძნელად თუ დაუდგება რომელიმე...

სულ სხვაა, როდესაც ამას ნოდარ ანდლულაძე შეგვავიწყებს:

— მუსიკა სამყაროსთან ერთად წარმოიშვა. სიმღერა და ადამიანი ერთდროულად გაჩნდნენ.

სულ სხვაა, როდესაც ამას ნოდარ ანდლულაძე გვიდასტურებს:

— გვინდა თუ არ გვინდა, სამყარო მღერის.

და სამყაროს ამ უსაზღვრო სიმფონიაში ჩანწულა ნოდარ ანდლულაძის ხმაც.

ხოლო მის სამარეზე კვლავაც და კვლავაც მიაქვთ ყვავილები.

აგერ წიგნიც მიიტანეს.

და უსათუოდ მიიტანენ სხვა წიგნებსაც, ოღონდ... ისინიც თუ ხევსურული პერანგივით იქნებიან აკინძულნი!..

დავით ხურცილავა  
(ჯაპანა)

# „აღამიანი ჰგავს თავის სამოქალაქოს“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— მონობა... არა სხეულის, არამედ სულის საჭიროებას ნიშნავს.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— საქართველოში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— მთელი ცხოვრება სიყვარულით ცხოვრება.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— უხეირო; დათა თუთაშხია; ღონ კიხოტი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ქუჯი, გორგასალი, გიორგი I, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი VII, ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი მაზნიაშვილი ...

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— იმპრესიონისტები; მანე-მონე დანყებულები და შემდეგ... არც ადრინდელ მხატვრებს ვერჩი რაიმეს.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— უამრავი: ბეთჰოვენი, მოცარტი, ბახი, ვებერი, ვერდი, როსინი, ჰაიდნი, ვივალდი, რაველი, სენ-სანსი, სტრავინსკი, ჩაიკოვსკი, ნინო როტა.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— თავისუფლებისთვის ბრძოლას, სიმამაცეს, ღვთის შიშს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— გონიერებას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— სიმდაბლე და სიმშვიდე.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— მოგზაურობა დედამიწის გარშემო.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— გურამ დოჩანაშვილი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— რადიკალურობა (სამწუხაროდ).

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— სიმართლეს.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— სიფიცხე.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ბედნიერია ადამიანი, რომელიც თავისუფალია და უყვარს.



— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— შენ შთამომავლობაზე გვიან გამგზავრება ამ ქვეყნიდან.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— გენიოსი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ლურჯი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— მაინც ვარდი.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— მიმინო, ქორი.

— თქვენი საყვარელი მწერლები?

— ოთარ ჭილაძე და ძალიან ბევრნი...

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— იგივეს ვიტყვოდი...

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ოთარანთ ქვრივი.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ილია II — ჩვენი პატრიარქი.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ღვთის წყალობით არ გვაკლია ასეთი ქალბატონები და ბატონები.

— საყვარელი სახელები?

— მამაკაცის — თარაში.

— დედაკაცის — ია.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ფარისევლობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— მიშა სააკაშვილი, თუ ის ისტორიულია და არა ისტერიული.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— დიდგორი.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული რეფორმა თბილისის გათავისუფლების შემდეგ.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— არ ჩამოვყალიბებულვარ.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— ხმლით ხელში თუ არა, ფეხზე მდგომი მაინც. არც კისერზე წურბელას ვისურვებდი.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ნორმალური — დიდად არ ვუჩივი. უკეთესი შეიძლება იქნებოდა.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ბედნიერია ყოველი თვალი, თუკი სიმართლეს უყურებს იგი.

— თქვენი დევიზი?

— ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია.

— თუკი ოდესმე შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— აი, სალო!

იოსებ ჭუმბურიძე

## ნიგნი ცოცხალი

ნიგნის სახელწოდება: „ძალმოსილება ქართული სიტყვიერებისა“;

ავტორი: როინ ჭიკაძე;

რედაქტორი: გიორგი გოგოლაშვილი.

მოგესალმებით!

უფრო ლოგიკური იქნებოდა, მომხსენებელი ნიგნის რედაქტორი ყოფილიყო.

ბატონი გიორგი გოგოლაშვილი ამ მისიას დასაბუთებლად მიზეზით ვერ ასრულებს: მუხლჩაუხრელმა შრომამ (და ბრძოლამ) პრობლემა სწორედ მუხლზე შეუქმნა. მაგრამ, დარწმუნებული ვართ, ღვთის ნებით, ასეთი დაუდგრომელი პიროვნება მუხლს ისევე მალე გაიმადგრებს. წინ ხომ კვლავაც ბევრი საქმეა საკეთებელი.

...რედაქტორის წინასიტყვაობაში განსაკუთრებით ერთ-ერთ ეპითეტმა მომხიბლა: „მართალი შრომა.“ ეს ორი სიტყვა ზუსტად გამოხატავს ბატონი როინის დამსახურებას ქართული ენათმეცნიერებისა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მაშასადამე, ეროვნული განათლების) წინაშე.

\*\*\*

დაიხ, ეს თელავში მოღვაწე მეცნიერის ნიგნია.

მაგრამ ამ ნიგნის გამოსვლა სრულიადაც არ არის ლოკალური, მით უფრო „პერიფერიული“ მოვლენა.

ვიყოთ გულახდილი: დედაქალაქის წარმომადგენლებს გვახსნათებს „ზემოდან ცქერა“, თითქოსდა „აპრიორული უპირატესობის“ ხაზგასმა.

ამ დროს, სწორედ თვითონ ეს ჟესტია ყველაზე „პერიფერიული.“

ყოველთვის, როცა თელავის უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენციას ვესწრები და ბატონი როინ ჭიკაძის (ასევე, მაყვალა მიქელაძის, ნუნუ გელდიაშვილის, ნანა რჩეულიშვილის, ნინო გოგიაშვილის...) გამოსვლებს ვუსმენ, გული სიხარულით მევესება, რადგან მათ კვლევას ოდნავადაც არ ეტყობა ზემოხსენებული „აზროვნების“ კვალი.

ეს ნიგნიც ასეთია.

\*\*\*

ნიგნი ცოცხალ არსებასავითაა.

სამწუხაროდ, მაგრამ სწორედ ამიტომ, ზოგიერთი ნიგნი მკვდრად იბადება.

ხომ არსებობს გამოთქმა: „თეზი ცოცხალი“ (ლადო გუდიაშვილის ცნობილი შედეგრიც რომ გავიხსენოთ!).

რატომ არ შეიძლება არსებობდეს „ნიგნი ცოცხალი“?

როინ ჭიკაძის ნიგნი ცოცხალი და მღელვარეა, იმ მზით გაბრწყინებული, ერთ — ერთ თავში საინტერესო გამოკვლევას რომ უძღვნის.

\*\*\*

ეს ენათმეცნიერის ნიგნია.

მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ენათმეცნიერის ნიგნი.

ეს ლიტერატორის ნიგნიცაა.

\* სიტყვა, თქმული 2014 წლის 18 ნოემბერს, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში აღექსანდრე ორბელიანის საზოგადოების, ასევე ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ეგიდით გამართულ მორიგ საღამოზე — ნიგნის წარდგინებაზე.



როინ ჭიკაძე

თუ გულახდილად ვიტყვი, ამ ნიგნში ყველაზე მეტად სწორედ ეს სიმბოლო მხიბლავს.

ეს ნიგნი ადასტურებს, რომ თვითონ ქართული ენა არ არის მხოლოდ გრამატიკული ფენომენი. შემთხვევით არ უნოდებს ლადო ასათიანი „ხმათა ხავერდებში და ღმერთების ენას“.

მუხრან მაჭავარიანი კი ასე ამბობს:

**ქართული მარტო ენაა?!**

**ქართული ქართველთ რწმენაა...**

ისიც საინტერესოა, სად გადის ზღვარი ენასა და ლიტერატურას შორის.

მაგალითად, სიტყვათქმნადობა, ენის(გრამატიკის) სფეროა თუ ლიტერატურისა?

ამ ნიგნში სიტყვათქმნადობას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა — კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, ოთარ ჩხეიძის შემოქმედების მაგალითზე.

\*\*\*

იმ კონფერენციების სულისჩამდგმელი, ზემოთ რომ ვახსენე, ბატონი როინ ჭიკაძეა.

„კლასიკოსთა გაკვეთილები“ ჰქვია ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციას, რომელსაც თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი და ზესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება ერთად მართავენ.

როცა იქ ჩავდივართ, ბატონი როინისგან ყოველთვის „პატარა — პატარა“ აღმოჩენებს ველოდებით.

აი, ჩავედით ერთხელ და სწორედ ბატონი როინის წყალობით აღმოვაჩინეთ, რომ „იგავმიუნვდომელი“/ „იგავმიუნვდენელი“ კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვათქმნადობის ნიმუშია.

ეს ნიგნი ასეთი მიგნებებითაცაა გამორჩეული.

კიდევ ერთი მაგალითი: მიგიქცევიათ ყურადღება იმ ფაქტისათვის, რომ ილიასეულ სამებას — „მამული, ენა, სარწმუნოება“ — წინ უსწრებდა გრიგოლ ორბელიანისეული „ენა, საყდარი, სარწმუნოება“?

ისევ მაგალითი: ბევრ ჩვენგანს შეუდარებია ოთარ ჩხეიძის უმთავრესი რომანის სათაურის სულხან — საბასეული განმარტება „ქართლურ დიალექტთა ლექსიკონისათვის?“

არადა, განსხვავება ფრიად საგულისხმოა: საბას მიხედვით, ბორიაცი სადარო ნისლია, ხსენებული ლექსიკონი კი ასე განმარტავს: „დიდი სიცხისაგან და მტერისაგან დამდგარი ბურუსი.“

როცა ამ ორ განმარტებას გაეცნობი, მაშინ სრულყოფილად გაიზარებ იმას, რასაც როინ ჭიკაძე ასე აყალიბებს: „ოთარ ჩხეიძის რომანის სათაურად გამოტანილი „ბორიაცი“ საბჭოთა ეპოქის სულსშემხუთველი ვითარების გამომხატველია.“

\* \* \*

დიახ, ეს არ არის მხოლოდ ენათმეცნიერის წიგნი. თვით ყველაზე „გრამატიკული“ თემაც კი აქ ლიტერატურითაა გაზავებული.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სინტაქსი ავტორს, უწინარესად, იმის საჩვენებლად აინტერესებს, თუ როგორ შეიძლება გამოხატოს კავშირმა (და, ხან, მაგრამ...) რომანტიკოსი პოეტის სულით ობლობაცა და ბედთან შეურიგებლობაც.

ეს ამ წიგნის ერთ — ერთი ძლიერი მახასიათებელია. მეტად საინტერესოა მეცნიერის ასეთი დაკვირვება: „ნიკო ლორთქიფანიძის სტილისათვის დამახასიათებელია არა მხოლოდ ენობრივი ექსპრესია, არამედ უდიდესი ნდობა მკითხველისადმი.“

იგივე ითქმის წიგნის იმ მონაკვეთზე, სადაც ავტორი დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებში „და“ მიერთებითი კავშირის ფუნქციაზე მსჯელობს.

ვიცი, რომ ამ წიგნზე თანამომხსენებლები საფუძვლიანად იმსჯელებენ, ამიტომ არ მინდა სიტყვა გამიგრძელდეს. არ მინდა მომდევნო გამომსვლელებს წავართვა სათქმელი. გაგიკვირდებათ და თვით ანა კალანდაძესაც მათ „ფუთიმო“, არადა, პირდაპირ შემეშურდა სიღრმისეული მსჯელობა მის ლირიკაში მზის თაყვანისცემაზე, ანაზე როგორც „პოეტურად წარმართზე“...

დიახ, მზად ვარ სიტყვა თანამომხსენებლებს დავუთმო, ოღონდ მანამდე ერთი რამ აუცილებლად უნდა აღვნიშნო — ისევ და ისევ იმის საბუთად, რომ ეს მხოლოდ ენათმეცნიერის წიგნი არ არის.

მხოლოდ ენათმეცნიერის წიგნი რომ იყოს, მაშინ იქ არ იქნებოდა შესანიშნავი ესეი-გამოკვლევა — „მარტოობის პრობლემა გოდერძი წიხელის ნაზრევი.“

მარტოობის პრობლემა აქ ფილოსოფიურ ჭრილშია განხილული (პოლ ვალერისა და კონსტანტინე კაპანელის მოსაზრებათა მოხდენილი დამონებებით), მე კი მინდა, ეს საკითხი ყოფით პლანში გადავიტანო: კი ბატონო, მარტოობის სევდა, ალბათ, ყველა მოფიქრალ ადამიანს ახლავს, მაგრამ ბედნიერია ის, ვისაც ამ სევდას ცხოვრების ღირსეული თანამგზავრი უქარვებს. ბედნიერია ბატონი როინი, რადგან „ამაოების ქარს“ არაჩვეულებრივი ქალბატონი ნანა კუპატაძე არიდებს.

ერთხელ, შინაურულ შეკრებაზე, ქალბატონმა ნანამ გვითხრა: „ხომ ამდენი ნელინაა, ერთად ვართ, არ მახსოვს, არ მახსოვს, როინს რაიმე შემლოდეს.“

წიგნს ჰქვია „ძალმოსილება ქართული სიტყვიერებისა.“

რაც ერთი წინადადების წინ დავიმონმე, ისიც ძალმოსილებაა — ძალმოსილება კაცობისა.

რა ბედნიერებაა, როცა ორივე ერთმანეთს ერწყმის...

ჯანო ჯიქიძე

# ჯანიშინისა!

ავტორი თავის წიგნში ისე უნდა იყოს, როგორც ღმერთი თავის სამყაროში — ყველგან უნდა იყოს და არსად ჩანდეს. გუსტავ ფლობერი

## 1. თავსართი \*

1.1. XVII საუკუნეში საქართველოში სიმინდი შემოვიდა, იხარა, უხვმოსავლიანობით აჯობა ღომს, დაიფქვა, ჭადად გამოცხვია, პურის გვერდით კუთვნილი ადგილი დაიჭირა, გემრიელად მიენო ყველს, მწვანის, ღორს... გაქართულდა და ქართველს თავი შეაყვარა, ალბათ ძალიანაც, რადგან მეტაფორულ აზროვნებაშიც დაიკავა ნიშა — შეიძლება გაგონილი გქონდეთ გამოთქმა — „სიმინდის მარცვლებივით ჩაწიკნიკებული კბილები“ — ეს ერთი. მეორე: მეურნემ ტაროზე ამოზრდილ ფოქს „ულვაში“ დაარქვა — ე.ი. რასაც თვითონ სიამაყით ატარებდა, იმის სახელი კულტურულ მცენარეს გაუზიარა. რა იცოდა, რომ ეგ ადგილი (ანუ ტარო) სიმინდისთვის სულაც მდებრობითი ორგანოა... უფრო მეტიც — სიმინდის ულვაში სამკურნალო თვისებები აღმოაჩინა და ნაღველმდენ ნაშლად ახლაც იყენებს. ეგეც არაფერი!..

მთავარი ისაა, რომ სიმინდი დასავლეთის ქართველისთვის მართლაც რომ განუყრელი და ძვირფასი გახდა; სიმინდის ჩალამაც კი ფასი დაიდო; თუმცა ეს უკვე სხვა განზომილებაა.

1.2. სტამბოლის მონათა ბაზარზე სწორედ რომ ჩალის ფასი ედო საქართველოდან გატაცებულ ხნიერ ტყვეს; ასევე — ფიზიკური ნაკლის მქონე ან ავადმყოფის გარეგნობის მქონე ახალგაზრდას... ხურდასავით მოიხმარდნენ მყიდველიც და გამყიდველიც. ეს „ჩალის ფასად“ შეფასებული ტყვეები დამატებასავით იყო, ფასების „დასამრგვალებლად“, ალებ-მიცემობის პროცესის გასაიოლებლად.

ქართველი კაცი ისედაც იაფი იყო სტამბოლის ბაზარზე. ქართველი ქალი ძვირი ღირდა — 200 ოქრო და მეტიც — სილამაზე მაშინაც ფასობდა. ძვირი ღირდა ქართველი ყმანვილიც — მისგან სანაქებო მეომარს ზრდიდნენ პატრონები. ქართველი ზრდასრული ჯანმრთელი ტყვე კი მაინც იაფი ღირდა, გაცილებით იაფი — ვიდრე მონღოლის შთამომავალი ან სლავი, არაბი, ქურთი, ბელუჯი, თურქმანი თუ თარაქამა... მაშინ, როცა მონათმორვაჭრეები მონღოლური წარმომავლობის ტყვეს 120 ოქროდ ჰყიდდნენ, ქართველში 100 ოქროსაც არ იხდიდა მყიდველი — საშუალო საბაზრო ფასი 70-80 ოქრო იყო და ვინ გადაყრიდა ზედმეტ ფულს.

სადავოც არაფერი იყო: მყიდველს და გამყიდველს — ორივეს — ერთი აზრი ჰქონდა: „ქართველი მონად არ ვარგა“.

ვეთანხმები. „ის პატრონს, ადრე თუ გვიან, უღალატებს“.

ამასაც ვეთანხმები; თუმცა სტამბოლის ბაზარში მონათმორვაჭრის უცხო ენაზე ნათქვამი ქართულად მინდა გადმოგიტარებოთ: ქართველი ტყვე მონობას ვერ ეგუებოდა. ყველა საშუალებას მოიხმარდა, თავისუფლებისთვის რომ მიეღწია. შესაფერის დროს თუ მოიხელთებდა, უკეთეს შემთხვევაში გაქცევით უშველიდა თავს; უარეს შემთხვევაში ბატონს მიახრჩობდა და მერე ლტოლვილს თუ შეიპყრობდნენ, წამებით სულის ამოხდომას არც ინანებდა...

უცხოეთში მონობა ხომ მწარე სინამდვილე იყო, სამშობლოშიც არ იყო საქმე დალხენილად. გარემესგან დაუნდობლობა რა

\* მოკლე ვერსია მათთვის, ვისთვისაც რამდენიმე გვერდის ნაკითხვა თვლების მომგვრელია.

გასაკვირია, როცა შინაური, ქრისტიანი ბატონიც, შეიძლება ითქვას, უბრალო ადამიანის მტერი იყო. უფრო მეტიც, იმერეთის გონჯი მეფე, დადიანი და გურიელი, ურთიერთქიშპს გადაყოლილები, ნებით თუ უნებლიეთ ხელს უწყობდნენ საქართველოს ავადმყოფობას. ლიხსგადაღმა ქართლის გამგებლის სამაგალითო ქცევა ამათვის მისაბაძი არ იყო. ესენი თავის ნებაზე ჭრიდნენ და კერავდნენ. ვითომ. სინამდვილეში არც თვითონ იყვნენ თავისუფლები – ოსმალისგან დანესებულ ხარკს იხდიდნენ და, თითქოს ეს არ კმაროდა, ერთმანეთს ყმებს სტაცებდნენ და მონებად ჰყიდდნენ. ტყვეებს კვირიდან კვირამდე აგროვებდნენ ფოთსა და ანაკლიაში. მერე ჩამოდგებოდა ოსმალური გემი ან ფელუკა, დაიტვირთებოდა ცოცხალი ტვირთით და ნაპირ-ნაპირ გასწევდა სტამბოლისკენ.

არავინ იყო მშველელი. თუ გატაცებულ ქართველებს მონობას რამე გადაარჩენდა, ეს ისევე ბუნების ძალა იყო – ალღევებული შავი ზღვა, რამაც არც მტერი იცოდა, არც – მოყვარე; ისე დალენავდა და დაანაფოტებდა ოსმალის ცოცხალტვირთიან ხომალდს, ძნელად თუ გადაურჩებოდა ვინმე...

ზღვაოსნობა სახიფათო კი იყო, მაგრამ ტყვეების მყიდველ-გამყიდველები: იქით – კაი-ოსმალები, აქეთ – ვაი-ქართველები, მანძი არ იშლიდნენ თავისას, რადგან მონათვაჭრობა სარფიანი საქმე გახლდათ.

1.3. გურული ყაჩაღები, ბიძა-ძმისშვილი – გიორგი და ვახტანგი – უსამართლობას თვითონვე ებრძოდნენ, რადგან კანონი სოლომონის გამეფებამდე არ არსებობდა. ტყვეთა სყიდვაში შემჩნეულს გზაზე დაუდარაჯდებოდნენ, შეიპყრობდნენ და გაიტაცებდნენ. ნასაკირალის ტყეში მოაშვიებდნენ, მოაწყურებდნენ, მონათვაჭრობაზე თავის დანებების დასტურად ფიცს დაადებინებდნენ; ამის შემდეგ გაუშვებდნენ და უთვალთვალებდნენ – თუ გაათავისუფლებული ფიცის გამტეხი აღმოჩნდებოდა, ისევ დაუდარაჯდებოდნენ, ხელახლა შეიპყრობდნენ და სასტიკად სჯიდნენ.

შურისმაძიებელი ბიძა-ძმისშვილის შიშით ზოგიერთი „ტყვეთა მსყიდველი“ დროებით გამოსწორდა და დაიწყო ლოდინი, ვიდრე გიორგის და ვახტანგს მათზე დაგეშილი ფოთის ფაშას იანიჩრები გაანადგურებდნენ.

1709 წელს ხმა გავრცელდა, თითქოს ყაჩაღებს, ნადავლის გაყოფისას, დავა მოსვლოდეთ; ამის შემდეგ, ვახტანგი, ჯერ თბილისში და მერე შორეულ ასტრახანში გადაკარგულიყოს; გიორგის კი, ტყვედ ჩავარდნილს, მონად გაყიდულს, სტამბოლისკენ მიმავალი ოსმალური ფელუკას ანძაზე თოკით მიბმულს, სინოპის კონცხთან ქარიშხალი და დელგმა დასწოვდა.

მაშინ დაჩქარებული და დაღეჭილი მეზღვაურები ზღვას ნაპირზე გამოურიყავს, ხოლო გიორგი, ნავიანად, ზვირთებს გაუტაცია და ჩაუყლაპავს...

## 2. შუაგული

2.1. 1709 წლის გრილი ზაფხული იდგა – ღრუბლიანი შუადღე.

შავი ზღვა ლურჯი იყო, წყნარი იყო; ისე ღრუბლად ელამუნებოდა ბათუმის უბადრუკ ნავმისადგომზე მიმდგარ უბადრუკ ოსმალურ ერთანძიან მომცრო ხომალდს, თითქოს, გუშინდელი ღელვის და ალღევების გამო, უნდა მოუბოდიშოს და პატიება სთხოვოს.

იქვე, ბლომად, ირეოდნენ თოლიები; ზოგი ანძის სიმაღლეზე ფრენდა, ზოგიც – კაცის სიმაღლეზე. ეს პაერში მოფარფატე თეთრი სამკუთხედები ისე ჟინიანად ეტანებოდნენ, ისე ჟინიანად დასტრიალებდნენ ოსმალურ ხომალდს, ვითომ თევზით სავსე მეზღვაურთა გემი ყოფილიყოს. თოლიების ჭყვილს, ნიაქს ყველა სხვა ბგერა სრულად გადა-

ეფარა. მნახველს შეიძლება მოსჩვენებოდა, რომ მეზღვაურებს, მტვირთავებს, ნავმისადგომზე დამხვდურებს ხმა წართმეოდათ, ერთმანეთთან საუბარს ვერ ახერხებდნენ და პირს ტყუილად ალბდნენ...

ნაპირზე ტვირთის გადატვირთვა კარგა ხნის წინ დაწყებულიყო. გემს ცხვირი ზევით აეშვირა, დაკეცილი იალქნები კი ანძაზე ისე ეკიდა, როგორც მზეზე გახუნებული, ქარით თოკზე გადაგარანილი ღარიბული სარეცხი.

ცოტა ხანში გემმა გასწორება დაიწყო: კიჩომ აწევა იწყო, აწეულმა ცხვირმა – დანევა; მანამდე გადაბრეცილმა ანძამაც ჩვეული შვეული დგომა დაიბრუნა და იალქნებიც მოიხდინა – ხომალდის შიგანი მძიმე ტვირთისგან თავისუფლდებოდა.

ის მძიმე ტვირთი განა ბევრი იყო – ერთ ორცხენიან-ჩარდახიან ფორანზე დაეცია, თუმცა მანამდე მტვირთავები ლამის წელში განყდნენ ტყვიასავით მძიმე ყუთების თრევით.

ხნიერმა, თეთრწვეროსანმა ქართველმა მუშებს შრომის საფასური გადაუხადა, ფორანზე ავიდა, კოფოზე დასკუპებულ ახალგაზრდა არაბს გვერდით მიუჯდა და მხრით მხარზე უსიტყვოდ უბიძგა, წავიდეთო.

ცხენებმა კუნთები დაძაგრეს, დაიძრნენ, ქართველის დაძახილს ყური უგდეს, მორჩილად აიტანეს ზურგზე შოლტის გადატყელაშენება, ცოტა ნაბიჯსაც აუჩქარეს და ჩარდახიანი ფორანი ნააჯაყყაყეს.

მტვირთავებმა გასამრჯელო გადათვალეს, გაიყვეს და იქვე, ქვეზე ჩამოსხდნენ არაქათგამოცლილები; დატვირთულ ფორანში შებმულ ცხენებს მიაყოლეს დაჟინებული მზერა – თითქოს საკუთარი ძალა ცხენის ძალას შეადარეს და შეშურდათო.

ციხისძირამდეც ვერ მიაღწევნენ, – თქვა ერთმა მუშამ. თუ ორ ცხენს დაიმატებენ, ციხისძირზე გადავლენ, – თქვა მეორემ.

არა! – არ დაეთანხმა პირველი, – პატრონმა მეორე ფორანი უნდა იქიროს, ტვირთი გადაანაწილოს და ქარავანს მიჰყვეს. თუ ამას ახლა ვერ მიხვდა, ჩაქვისწყალს რო მიადგება, მაშინ მანძი მიხვდება...

წუთიც არ იყო გასული, რომ ამათ ორი, არცთუ-მთლად-ახალგაზრდა კაცი ლაპარაკ-ლაპარაკით მიადგა: ერთი (ყაბაღაბიანი) აჭარელს ჰგავდა, მეორე (ფესიანი) – ოსმალს.

მტვირთავებმა უნდობლად ახედ-დახედეს – ის ორნი არც წარჩინებულებს ჰგავდნენ, არც – მდაბიოებს; ეგ კია, მუშებს ზემოდან უყურებდნენ.

ამასობაში გემბანიდან დენიზბაშის მრისხანე ძახილი გაისმა, დაახლოებით ასეთი შინაარსის: ადგილიდან აეყარეთ, აქეთ წამოეთრით, საქმეს მიხედეთ, ზარმაცო გაიურეთო.

მტვირთავებმა წელი აითრიეს, წამიერად შეჩერდნენ, იმ ორისგან დასმულ შეკითხვას პასუხი გასცეს: ჩვენც არ ვიციოთ რა გადმოვტვირთეთ; რაც იყო, ტყვიასავით მძიმე კი იყოო, ჩაიბუტბუტეს და გემისკენ გაემართნენ.

იმათი ხმამალა ნათქვამი კარგად გაისმა, ბოლო სიტყვები კი თოლიების ჭყვილ-ხვილმა გადაფარა. აჭარელმა და ვითომ ოსმალთა ერთმანეთს გადახედეს, წარბები ერთდროულად აზიდეს და თავები თანამოაზრეებივით დაიქნის.





მამ, ტყვიასავით მძიმე იყო? – დინჯად იკითხა იმან, რომელიც ქართველს არ ჰგავდა და როგორც ჩანს, ქართულის კარგად ცოდნით ვერ დაიკვირებოდა.

დასტურს ჩივი, ალი-ეფენდი! – უთხრა აჭარელმა, – ხამან მასე თქვეს იმ მუშებმა.

ორივემ მზერა გააყოლეს მტვირთავებს, ვისაც თავისკენ უხმობდა ახალი საქმე; ამჯერად, უკვე დაცარიელებული ხომალდის ხელახლა დატვირთვა: ხლით, თაფლით, ტყავივით, თხილის რტოებით დაწვრილი გიდელებით, სპილენძის თუნგებით და კიდევ – ათასეული წვრილმანი...  
ალიყული თვალბომონკურული იცქირებოდა ოსმალური გემის მიმართულებით და თითქოს თავისთვის ამბობდა: როგორ ბედავს ეს დაფაფაფებული ფელუკა დარდანილიდან აქ ამოსვლას, დაცვის გარეშე ადგილობრივებთან თანხმობას, ვაჭრობას. რატომ ფოთს არ მიადგება, ან ანაკლიას, სადაც ყველაფერი საიმედოა და ცუსული?

აჭარელს გაეცინა.  
რა გაციინებს? – ჰკითხა ალიყულიმ.  
არაფერი! – უპასუხა აჭარელმა, – მარტო ერთს გეტყვი: ამ გემის პატრონი ვაჟკაცია – ტყვეებით არ ვაჭრობს და არც მონებით მოვაჭრეებს სწყალობს. ამიტომ საცა ფოთის ფაშა უფროსობს, იქ ამას არ მიესვლება. თუმცა...  
რა თუმცა! – სათქმელის ამოთქმამი მიეხმარა თანამოსაუბრე.

მაგის მამის მამა უფრო ეული იყო – საქართველოში სიმინდი შემოიტანა, – თქვა აჭარელმა ისეთი იდუმალი ხმით, თითქოს საიდუმლო გაამხილაო.

დიდი ამბავი! – აიძინა ალიყული, – ეგ ხომ ღარიბების საქმელია. თბილისში სიმინდს ღარიბებიც არ ჭამენ... მე კი, ლისსაქეთ რაც გადმოვედი, გემრიელი ფლავი არ მიჭამია – ყველგან ჭადს და ღომს მთავაზობენ, ან კიდევ – კვახის მოხალულ მარცვლებს. გემოვნება არ გივარგათ აქაურებს.

ღვინო, ღვინოც არ გვივარგა? – ნაწყენით იკითხა აჭარელმა და ტუჩი მოიკეცა – გაახსენდა, რომ მისი უფროსი ღვინის სმას მავნე-ქრისტიანულ ჩვევად თვლიდა.

ალიყულიმ შეკითხვას ნაუყრუა და თქვა, – საქმეს მივხედოთ. მე მაგვიანდება და მალე წავალ. შენ არ გაგვიანდება და დანარჩენი თვითონ იცი. ახლა მასპინძლობის გასამრჯელო მიითვალე.

ლაპარაკ-ლაპარაკით მომცრო ქისა აჭარელს გადასცა. იმან ქისა გამოართვა და ისე სწრაფად მიმალა სადღაც, მხარ-ილღიაში, თითქოს ფერდი სხარტად მოიფხანაო.

მერე ერთად წავიდნენ, ზღვის ნაპირს გაუყვნენ, მეთევზეების უბანში მივიდნენ, იქ გაბარებული ცხენები დაიბრუნეს, ანხედრდნენ და ქობულეთისკენ გაქუსლეს – მამინ ზღვა ნაპირს არ ჭამდა და მეზავს ნაპირ-ნაპირ სვლა კოლხეთის დაბლობამდე თავისუფლად შეეძლო.

მახინჯაურთან ნამოეწინენ ბათომი-ადარბადაგანის ქარავანს, რომელსაც, ამათთვის საინტერესო, მძიმე ფორანი კუდში მიყვებოდა და მაჩანჩალასავით ზედმეტ ტვირთად აკიდებოდა.

ამის შემდეგ ალიყული დაწინაურდა, აჭარელი კი შეგნებულად ჩამორჩა.

2.2. საღამომდე ალიყულიმ მთელი ქობულეთი გაიარა: გავიდა ჩაქვისწყალში, გავიდა კინტრიში, აჭყვაში, ჩოლოქში... აქედან საქარავნე გზა ზღვის სანაპიროს შორდებოდა, უხვევდა, დაჭაობებულ ვაკეს გვერდს უქცევდა და საჯავახოს ტყიანი ფერდობების ძირში მიიკლაკნებოდა.

აქ, ჩოლოქის გაღმა, ალიყული უნდა შეხვედროდა გურულ მსტოვარს, ვისთანაც კავშირი ჰქონდა, ვინც მისთვის საქმე ამბებს კრებდა და მსტოვართა ჯაჭვის შემადგენელი რგოლი იყო აჭარელსა და იმერელს შორის.

ეს ჯაშუშური ჯაჭვები და ბადეები ირანის შაჰის სამსახურში მყოფ ალიყულის ხუთი თითის წესით ჰქონდა ასხმუ-

ლი და მოქსოვილი; უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ცერათითი დანარჩენ ოთხს თავისუფლად წვდებოდა (ანუ, ალიყული კარგად იცნობდა აჭარელს, გურულს, იმერელს, ქართლელს), მამინ, როცა მაგალითად, შუა-თითი (ანუ იმერელი) ჯაშუშური საქმიანობით უშუალოდ ეხებოდა მხოლოდ ორ მეზობელს: არა-თითს (გურულ მსტოვარს) და საჩვენებელ-თითს (ქართლელს); ეს უკანასკნელი კი საერთოდ არ იცნობდა ნეკა თითს (ანუ აჭარელს) და მისი არსებობის, მისი კარგადყოფნის თუ ავადყოფნის შესახებ არაფერი იცოდა.

ისინი (და მათნაირი სხვა „თითები“), ვისაც ერთმანეთთან ურთიერთობა ევალეობდა; ვინც ერთმანეთს გადასცემდნენ ახალ ამბებს, ჭორ-მართალს და ჯაშუშობისთვის კუთვნილ გასამრჯელოს, უმეტესწილად ვერც ხვდებოდნენ, თუ როგორ ამნიფებდნენ შეთქმულებებს ან პირიქით – ააშკარავებდნენ; როგორ აჩქარებდნენ ომის დაწყებას ან პირიქით – როგორ ახანგრძლივებდნენ მშვიდობიან დროებას...

ვერ ხვდებოდნენ და არც იყო საქმე – ყველა მათგანის ნაცვლად ალიყული ფიქრობდა, განსჯიდა, ასკენიდა და ამის შესახებ ისპაანს ატყობინებდა.

ამჯერად ცერა-თითს (ანუ ალიყულის) სხვა თითების დახმარებით, ანუ თვალთვალთ, უნდა დაედგინა, ოსმალეთის მხრიდან რა მოჰქონდა ფორანს და რაც მოჰქონდა, სად მიჰქონდა.

წინასწარი მონაცემებით, ეს უნდა ყოფილიყო ახალი, თანამედროვე თოფხანისათვის საჭირო დანადგარი და ტყვიის ექვსფუთიანი გუნდები. ტვირთი ევროპაში იყო შექმნილი და ქართლის ჯანიშინს ეკუთვნოდა; თოფხანა უნდა გამართულიყო თბილისში. თუ ეს უნდა დადასტურდებოდა, შეთქმულებაც გამოაშკარავდებოდა – ე.ი. ოსმალური მხარე ხელს უწყობს და ზეთანამედროვე იარაღით აიარაღებს შაჰის ქვეშევრდომს, ქართლის ჯანიშინს ვახტანგს, რალა თქმა უნდა, ირანის წინააღმდეგ.

ისიც ცნობილი იყო, რომ ოსმალეთის სულთანმა ქართლის ჯანიშინს ირანის წინააღმდეგ ამბობებაში სამხედრო მხარდაჭერას კი ჰპირდებოდა, მაგრამ არ ენდობოდა და ამ შემთხვევაშიც ამონებდა: თუ მძიმე ფორანი ლიხსიქით არ გადავიდოდა და სადმე მიიმალეობდა, ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ თოფხანა ოსმალეთის მოხარკე დასავლეთ საქართველოში გაიმართებოდა; ეს კი სულთნის ღალატი იქნებოდა; იმის დასტურიც იქნებოდა, რომ ქართლის ჯანიშინმა კიდევ ერთხელ მოიტყუა; რომ თოფხანა მანამდე უნდა განადგურებულიყო, ვიდრე იმის დანადგარებზე პირველი ხელ-მეხა დამზადდებოდა.

ამიტომ ოსმალოც აკვირდებოდა ბათომის ნავმისადგომზე გემის გადმოტვირთვას, ფორნის დატვირთვას... იმავე აჭარელის თვალთ, რომელიც, მეორე მხრივ, ნეკა თითი იყო ცერისთვის.

ამიტომ იყო, რომ ჩვენგან ერთხელ თვალისმოკვრით დანახულ ხნიერ მეფორნეს – დიდმელ სტეფანეს და იმის თანმხლებ ახალგაზრდა არაბს – აბდულას, ქობულეთის სანჯაყბეგი „დაეხმარა“ და ორივენი ფორნიანად ადარბადაგანში მიმავალ ქარავანს „მიამაგრა“.

მართალია, ფორანი ნელა მიდიოდა და დღის განმავლობაში კარგა გვარიანად ჩამორჩებოდა, იმდენს მაინც „ახერხებდა“, რომ ქარავანს, დასასვენებლად დაბანაკებულს, დაბინდებისას დაწყოდა.

ამგვარად, მეფორნეები ღამეს უსაფრთხოდ ათევდნენ ადარბადაგანელ მექარავნებთან; იმათგან ერთ-ერთი კი, თავის მხრივ, ოსმალის „თვალი“ იყო და ფორნის ჩამორჩენა-ნამონევა-დანევას ბეჯითად აყურადებდა.

2.3. შეხვდა ცერი არა-თითს.

ალიყულის გურული მსტოვარი არ მოსწონდა, იმის სიფიცხეს ცოტათი უფრთხოდა კიდევ. ასეთი თავისნათქვამა და, ალიყულის აზრით, თავხედი არავინ იყო მის მსტოვ-

რებს შორის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აჭარელისგან განსხვავებით, უფროსს თანასწორებით ელაპარაკებოდა, „ბატონო“-თი კი არ მიმართავდა, „ძამა“-ს ეძახდა; აჭარელთან შედარებით ჯამაგირს მეტს იღებდა, მაგრამ მისგან განსხვავებით მაინც ეცოტავებოდა; ფულს მითვლიდა და დაცინვით იტყოდა: ესე იგი იმასაც გოუჭირდა.

- ვის „იმას“? - კითხავდა ალიყული.
- „იმას“, შენსას, შენ რო იცი, იმ შენს უფროსს.
- ვის, თბილისის შიკრიკბაშს?
- უფრო ზეით!
- ჭარ-ბელაქნის ყულარაღას?
- უფრო ზეით!
- ყაზვინის ქეშიკბაშს?
- ზეით, ზეით!!

აქ უკვე ალიყული შეკითხვებს თავს ანებებდა, რადგან უკვე მიმხვდარიყო, ვისაც ეს თავხედი მსტოვარი გულისხმობდა. კი, შეეძლო დაეზუსტებინა, მაგრამ მერე რალა უნდა ექნა - შაჰის სახელის და ღირსების დაცვას აქ, ამ ჭაობიან-ტყეობიან გურიამში ვერ შეძლებდა, რადგან იცოდა, გურულს ძალით, ან მით უმეტეს, სხარტად ხმლის ქნევვაში ვერ აჯობებდა. იმის ქილიკზე იბოღმებოდა, მაგრამ არც რომ ეთმობოდა - გურული საუკეთესო მსტოვარი იყო: ყაჩაღებთანაც მიესვლებოდა და ფოთის ფაშასთანაც, იმერელი შუაითის ამბავიც იცოდა და მეგრელი ნეკა-თითისაც, ვისაც ალიყული ამ კვიმატი კაცის საშუალებით, საჭიროების შემთხვევაში, უკავშირდებოდა ხოლმე.

შეხვდა ალიყული გურულს ჩოლოქთან, ცხენიდან ჩამოქვეითდა და დარიგებაც დაუნყო: საღამოს ადარბადაგანის ქარავანი ამოივლის - გაატარე. ჩვენ ჩამორჩენილი ფორანი გვანტერესებს. ტვირთი ქართლის ჯანიშინისაა და თბილისში მიდის. ქარავანი რომ გაივლის, ჩემი აჭარელი გამოჩნდება, დაგიზუსტებს ფორნის გამოჩენის დროს და თვალთვალს გადმოგაბარებს. სულორამდე გაყვები, იქ იმერელი დაგხვდება და საქმეს შენგან გადაიბარებს. თუ ფორანი გზაში „დაგეკარგა“, დაისჯები და მე ვერაფერს გიმშველი... მოკლედ, ჩოლოქთან დადგები, ფეხს არ მოიცვლი, ვიდრე აჭარელი არ გამოჩნდება. ის თავისას გეტყვის, მოგთხოვს ფულს, ვითომდა გასამრჯელოს. არ დაუჯერო - ფარა გადახდილი მაქვს. თუ არ დაგიჯერებს, მოკალი. თუ დაგიჯერებს, გაყრისას პირველმა არ მიატოვო. აცალე - ჯერ ის წავიდეს, ზურგი გიჩვენოს. თუ გენდობა, ზურგსაც გიჩვენებს. თუ არ გენდობა, გაგცემს და მოსაკლავია.

- შეგიძლია დაიფიცო, რომ ფარა გადახდილი მაქვს? - იკითხა გურულმა მსტოვარმა.

- ალაჰს ვფიცავ, რომ ფული გადახდილი მაქვს, - თქვა ალიყულიმ. ისედაც არ უყურებდა მოწყალე თვალთ, ახლა მით უფრო ბრაზი ერეოდა თავის ჯაშუშზე, ვინც აგე, უცბად, უფროსს ტყუილზე დაფიცება აიძულა. დაპირისპირებას ისევე ჯოჯოხეთის სანათი ამჯობინა, ჯიბეს ხელი გაიკრა და შესთავაზა, - ეს ქისა საიდუმლოს შენახვისთვის გამომართვი. ერთ ამდენს სულორში მიიღებ იმერელისგან.

გურულმა მომცრო ქისა მიიღო და დადგა.

- ნაღი! - უბრძანა ალიყულიმ.

- მე არსად მეჩქარება - თავისთვის თქვა გურულმა, - დაღამებამდე აქ უნდა ვიყო. თანაც შენი მოსწავლე ვარ - ზურგს არ გიჩვენებ. მარცხი ელანძეა, ძამა!..

- მაშ, არ მენდობი? - გამომცდელად იკითხა ალიყულიმ.

- ჩემი მტერი ენდოს ჩემი მტერის მტერს! - შესძახა გურულმა და ვიდრე მისი ნათქვამის გამგონე სიტყვების შინაარსს ჩანვდებოდა, ცხენს მოახტა და მდინარისკენ გაქუსლა.

2.4. საღამოს ჩოლოქზე ადარბადაგანის ქარავანმა გადმოიარა. ვაჭრებმა, მეფორნეებმა, მცველებმა ხმამაღალი შეძახილებით მართეს სასაბაღლე ცხენების, ჯორების, აქლემების,

ოთხთვალეების, ორთვალეების ერთი ნაპირიდან მეორეზე, რიგის მიხედვით გადაჯგუფება და სვლა ტაატიტ გააგრძელეს.

ვიდრე ქარავანს ჩამორჩენილი ფორანი გამოჩნდებოდა, აჭარელმა მსტოვარმა ამოასწრო და გურული ნახა.

იცნობდნენ, ადრეც შეხვედროდნენ ერთმანეთს: კაიკაცობაშიც, ცუდკაცობაშიც, ოლონდ - მშვიდობისას; ომში კი, რადგან ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკებში ყოფნა ევალებოდათ, ერთმანეთს ემალებოდნენ, რომ ხელდახელ, თვალდათვალ აჭარელს ნაცნობი გურული არ შემოჰკვდომოდა ან პირიქით, გურულს - აჭარელი ძმა. „ხასანბეგურა“ ჯერ არ შეთხზულიყო. კიდევ ბევრ, ლამის ორი საუკუნის სისხლს, ცრემლს და წყალს უნდა ჩაეველო იმ სიმღერის დაბადებამდე.

მსტოვრების საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა. აღმოჩნდა, რომ აჭარელი უკეთ იცნობდა უფროსს, ვიდრე - გურული.

- ალიყულიმ მითხრა, რომ გასამრჯელო შენ უნდა გადამიხადო, - უთხრა აჭარელმა გურულს.

- ფული არ დაუტოვებია, - ცივად თქვა გურულმა.

- ასეც ვიცოდი! - ჩაეცინა აჭარელს, - თუ შემოგიტევს, მოკალიო, ამასაც გეტყოდა.

- კი, მითხრა.

- მერე?

- ვინცხა სპარსელის ნათქვამის გამო რეიზა უნდა მოგკლა?!

- ეგ სპარსი წარმოშობით ქართველია. არ გაუმართლა

- მონად გეიყიდა ირანში, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მე და შენ დაბადებულებიც არ ვიყავით.

- „არ გაუმართლა“ იძახე შენ, ჩვენისთანების უფროსი კია... მასეც რომ არ იყოს, შენც და მეც ჯამაგირს ქობულეთის სანჯაყბეგი გვიხდის?

აჭარელი თითქოს შეცბუნდა, მაგრამ თავს მალევე მოერია და გურულს დაეთანხმა, - კი, მასეა.

- თუ მასეა, სანჯაყბეგის საჩემო ფარა თან გექნება, - თქვა გურულმა.

- მაქვს, მაგრამ არ ვიცი, გეკუთვნის თუ არა.

- რა შემთხვევაში არ მეკუთვნის?

- თუ თოფხანა, ლისხაქეთ ეინყობა.

- მშვიდად იყოს შენი სანჯაყბეგი, ტვირთი ქართლის ჯანიშინისაა. თოფხანა თბილისში გეიმართება. მე სულორამდე უნდა ვუთვალთვლო, იმერელმა - შორაპნამდე და ლისხამდე. იმერლის უკან დაბრუნებას სულორშივე დოვუცდი და დაზუსტებულ ამბავს მოგიტან ზეგ ამდროს, აქვე, - თქვა გურულმა და ხელი აჭარელისკენ (სინამდვილეში ფულის ასაღებად) გაიწოდა.

აჭარელი ცოტათი შეყოყმანდა, მაგრამ მაინც უცბად გააძირო ქისა და გურულს მონყევით ჩაუტკიცა ხელისგულში.

ამ დროს ჩოლოქში წყალი ადგაფუნდა. ამათ ერთდროულად გაიხედეს. მდინარეზე ერთის მაგივრად ორი ფორანი გადმოდიოდა.

- მეორე ვისია? - იკითხა გურულმა.

- მეორეც ჯანიშინისაა, - უპასუხა აჭარელმა, - ტვირთი ემძიმათ და ჩაქვში ორ ფორანზე გადაანანილეს, ვუყურებდი. კინალამ სიცილით მოვკვდი. იმ ხნის ქართველს არაფრის თავი აქვს, ჯო! ის ახალგაზრდა, კიდე, ისეთი ჯიუტია, ვერაფერს გააგებინებ - შეიძლება სულაც ყრუა და მართლა არაფერი ესმის. კილამ დევიწვი მბაგათი საცოდაობით და ბოლოს ცოტა მივეხმარე კიდეც. რაც იმ ბებერმა ქართველმა მლოცა, წესით ყველაზე მეტ ხანს მე უნდა ვიცოცხლო.

- აბღლობაა მაი ყველაფერი. ჩემთან ჰო, მარა სხვასთან მაი ამბავი არ თქვა, - თქვა გურულმა ცივად, თითქოს გულსგარეთ.

- კაი! - დამნაშავესავით აინურა აჭარელი, - წავალ ახლა, მშვიდობით იყავი!

- მშვიდობით! - თქვა გურულმა, - ზეგ საღამოს აქ დაგხვდები, თუ ღმერთი ინებებს.

– ახლა კი დივიჯერე, რომ თოფხანა ლის იქით ეინყო-  
ბა, – თქვა აჭარელმა, ამხედრდა და ჩოლოქში შევიდა.

გურულმა მანამდე უცქირა, ვიდრე მხედარი ფონს გავი-  
დოდა. იმანაც, გაღმაგასულმა აჭარელმა, იგრძნო, რომ გუ-  
რული, დამშვიდობების ნიშნად, ხელის დაქნევას ელოდა;  
შედგა და დაუქნია... ახლა ის დადგა და მზერა გააყოლა გუ-  
რულ მხედარს, რომელიც ნელა მიიზღაზნებოდა, სულ არ  
ჩქარობდა; ან რატომ უნდა ეჩქარა – რაც არ უნდა ზანტად  
ეგლო, ჯანიშინის ფორნებს მაინც მიასწრებდა სულორში.

2.5. ამ დროს ქართლელივით გამონყობილი ალიყული  
სულორიდან გადიოდა; მანამდე კი იმერელი მსტოვარი და-  
რიგებული ყავდა: გურული ათას რამეს მოგიყვება იმისათ-  
ვის, რომ თავის ნამსახური დიდ რამედ მოგაჩვენოს, ფა-  
რას მოგთხოვს – არ გაბრიყვედ – გასამრჯელო ჩემგან აღე-  
ბული აქვს. ეტყვი, რომ აქ, სულორში დაგელოდოს. განშო-  
რებისას ზურგი არ უჩვენო. ჯანიშინის ტვირთს შორაპნამ-  
დე უთვალთვალე; ფორნები ლიხისკენ აღმართს რომ შეუყ-  
ვება, გაასწარი; შრომაში, მესამე მეთუნესთან ჩემს ქართ-  
ლელს ნახავ, თვალთვალს გადაბარებ და უკან მობრუნდე-  
ბი. სულორში გურულს რომ ნახავ, ეტყვი, თითქოს ის ორი  
ფორანი თვალსა და ხელს შორის გაქრა. სანჯაყბეგთან  
ტყუილი ამბავი წაილოს, მოუხდება – ირანის შაჰის გამასხ-  
რებისთვის თურქეთის სულთნის სამართლით დაისჯება და  
მერე ბლანდოს ენის გასატეხი თქმები: ჩემი მტერი ენდოს  
ჩემი მტერის მტრის მტერს და ა.შ.

2.6. გურულმა საქარავნე გზიდან ფერდობზე აუხვია,  
საჯავახოს ქედს ზემოდან მოექცა და იქიდან კოლხეთის  
დაბლობს გადახედა. მზე შავ ზღვაში ჩადიოდა. მთებში უკ-  
ვე დაღამებულიყო, ვაკეზე კი იისფრად ბინდებოდა. ტყე-  
ში ბუღბუღი უკრავდა ფლიტაზე და ამით გაოცებულ მო-  
ლალურებს ხმა ჩაეკმინდა.

გურული არც ბუღბუღის გალობას უსმენდა, არც იის-  
ფერი დაისის ცქერით ტკბებოდა. მალლობიდან დაბლობს  
ყურადღებით აკვირდებოდა. მისი ვარაუდი გამართლებუ-  
ლიყო – ადარბადაგანის ქარავანი ველზე იდგა, დაბანაკებუ-  
ლიყო, აქა-იქ საგუშაგო ჩირაღდნები აენთო, ანუ ლამის გა-  
თევისთვის სამზადისი მოეთავებინა.

დაღამებამდე ნუთები რჩებოდა. ამ დროისთვის ჯანიშინ-  
ის ფორნები ქარავანს დაბანაკების ადგილზე უნდა დაწე-  
ოდა, მაგრამ სამხრეთ-დასავლეთით, სადამდეც კაცს თვა-  
ლი მიუწვდებოდა, საქარავნე გზაზე არავინ ჩანდა: არც –  
მიმავალი, არც – მომავალი.

მალე ზღვის დასალიერზე მზის ბილიკიც აიკრიფა და  
დაბნელებული კოლხეთის დაბლობი და შავი ზღვა ერთმა-  
ნეთს შეენივთა.

გურულმა ლამის გასათევი სახელდახელოდ მოიწყო და  
ხის ქვეშ წაუძინა.

2.8. ადრიანი დილით ამხედრდა, საჯავახოდან დაბლობზე  
დაეშვა, ქარავანს დაენია და გზისპირიდან უთვალთვალა.

დატვირთულმა ცხენებმა, აქლემებმა, ჯორებმა, ოთხთ-  
ვალეებმა იმავე რიგითობით ჩაიარეს, როგორც წინადღეს,  
ჩოლოქზე გადმოსვლისას ახსოვდა. რადგან დარწმუნდა,  
რომ მისთვის საინტერესო ორი ფორანი ქარავანს ახლდა,  
გურული დანინაურდა და სულორისკენ გაეშურა...

იმავე დღეს, შუადღისას იმერელი რომ ნახა, მისთვის  
არაფერი უამბნია; არადა მოსათხრობი სწორედ ის იყო, თუ  
იყო, რაც წინა ღამეს მოხდა:

2.9. იმ საღამოს, საჯავახოს ტყესთან, ქარავანს ჩამორ-  
ჩენილ ფორნებს ყაჩაღები გადაუდგნენ: გიორგი (მეტსახე-  
ლად, ფიცხი გოგია) და ვახტანგი.

ყველაფერი ნამდვილი ყაჩაღებით მოიმოქმედეს: ყიფი-  
ნა დასცეს, თავდასხმის მსხვერპლი დააფეთეს, მეფორნე-

ბი კოფოდან ძირს გადმოყარეს, დაზაფრეს – სიკვდილს  
თვალეში ჩაახედეს, გაკოჭეს, პირი ამოუქოლეს; მერე  
ფორნები გაჩხრიკეს და ნახეს: რალაც რკინის ლერძები,  
მოქლონები, უცნაური სამსჭვალეები, დაფები, უსაშველოდ  
მძიმე ტყვიის გუნდები.

მძარცველისთვის ასეთ ტვირთს ფასი არ ჰქონდა – არც  
გასატაცებლად ღირდა, არც – სატარებლად, არც – წასა-  
ლებლად...

ყაჩაღები გაკვირვებული იყვნენ, კერძოდ კი იმით, რომ  
მეფორნეები ასე ბედის ანაბარად, უიარალოდ დასდგომოდ-  
ნენ გზას. გაკოჭილებს დაგმანული პირები გაუხსნეს, და-  
კითხვა-გამოკითხვა დაუწყეს და მაშინდა აღმოაჩინეს, რომ  
ერთი მათგანი, ახალგაზრდა არაბი, მუხჯი იყო; მეორე კი  
– ჭალარა, ნევროსანი ქართველი, დაუჯერებელ რამეს ამ-  
ბობდა: დატყვევების არ გვეშინია, რადგან ეს არავის უღირს  
– ჩემისთანა ხნიერის და ჩემი შვილობილივით ყრუ-მუხჯის  
ფასი ჩალის ფასიაო; ფორნების ტვირთი ქართლის მეფის  
არი და თბილისში თოფხანის გასამართად სჭირდებაო.

ყაჩაღებმა თოფი და ხელმეხა კი იცოდნენ, რაც იყო,  
მაგრამ ცეცხლსასროლი იარაღი მოუხერხებლად მიაჩნდათ  
და ქართლის გამგებლის ეს ჩანაფიქრი დაინუნეს. არ დაი-  
ჯერეს დიღმელი სტეფანეს ნათქვამიც, ჩემი შვილობილი  
აბდულა, ყრუ-მუხჯია და ნუ ერჩით, ვერაფერს ათქმევინებ-  
თო. ფიცხმა გოგიამ, თავისებურად, მაინც დააზუსტა დასა-  
ზუსტებელი – შეუჩნდა არაბს: ჯერ ყური აუწია, მერე სა-  
ტევარით ფერდში უჩხვლიტა – ხმა ვერ ამოაღებინა; მაინც  
არ მოეშვა – მთელი ძალით ჩაჰყვირა ყურში და წარბები რომ  
ვერ შეახრევინა, მაშინდა დაიჯერა სტეფანეს ნათქვამი.

ბოლოს მაინც ადამიანობამ გაიმარჯვა და თავდასხმა  
ურთიერთგაცნობის მცდელობაში გადაიზარდა. აღმოჩნდა,  
რომ ყაჩაღები ვახტანგ მეფის მეხოტბეები ყოფილან თუნ-  
დაც იმიტომ, რომ ჯანიშინმა „ტყვეთა სყიდვა“ აკრძალა და  
ოცნებობდნენ იმ დროზე, როცა ასეთივე კანონი დასავლეთ  
საქართველოშიც იკანონებდა; მანამდე კი თვითონვე იბრ-  
ძოდნენ ამ საშინელების წინააღმდეგ ისე, როგორც შეეძ-  
ლოთ, ანუ თვითონვე ასამართლებდნენ და სჯიდნენ მო-  
ნათმოვანე ვაიქართველებს.

ეს ყველაფერი კარგიო, სტეფანემ, ძალიან გვაგვიანდე-  
ბა, ქარავანს დაღამებამდე უნდა დავენიოთ, წავალთ ანოი.  
ყოჩალი გურულეები, მით უმეტეს ყაჩაღი გურულეები, გო-  
ნებამახვილობით გამოირჩევიან. ეს ფიცხმა გოგიამაც იცო-  
და და უგუნებოდ შეიქნა, რადგან მიხვდა, რომ რალაცას  
ვერ ხვდებოდა, რალაც მთლად ისე არ იყო, როგორც უნდა  
ყოფილიყო. ადგა და დიღმელ სტეფანეს სათქმელი პირ-  
დაპირ მიახალა: მითხარი ამ ფორნებით რა მიგაქვს და აღარ  
დაგიჭერ. თოფხანა და რამეები არ გამაგონო. შენ ის კაცი  
არ ხარ, თოფის დამზადება-არდამზადებაზე ფიქრობდეს.  
გამიმხილე შენი საიდუმლო და წადი შენს გზაზე. ნუ გეში-  
ნია, არ გაგატყვამო.

ფიცხმა გოგია-გიორგიმ გაოცებისგან პირი დაალო, პა-  
სუხად ისეთი რამ მოისმინა; კერძოდ, დიღმელმა სტეფანემ  
უთხრა, შენი ძმისშვილი შორაპნამდე გამოიყვებს და ლიხის  
აღმართს რო შევუდგები, მაშინ ვეტყვი ვახტანგს სათქ-  
მელს, აქეთობას ჩამოგიტანს და საიდუმლოც შენთან ასე  
გაზიარდებაო.

გიორგი უცბად გაფიცხდა, სტეფანეს მოკვლით დაემუქ-  
რა; ვახტანგი, ამათ შუაში ჩადგა – ბიძის დამშვიდება დააპი-  
რა და უთხრა: მე ყველაფერს მივხვდი და ამათ გავყვებიო.

ახლა უკვე ყაჩაღები შეკამათდნენ, იდავეს, სატევარის  
ვადაზეც გაივლეს ხელი...

ყრუ-მუხჯი აბდულა დაფეთებული უყურებდა კამათს  
და ძიძგილაობას, დიღმელის გამშველებლობას, მოჩხუბრე-  
ბის გაშველებას, მათი პირის მოძრაობას; ცდილობდა, ამო-  
ეკითხა კამათის შინაარსი, წარმოთქმული სიტყვები, დაყ-

რუებამდე თბილისში ნასწავლი ქართული სიტყვები – უცხო და არაჩვეულებრივს ეძებდა მოკამათების ამონათქვამში, მათი წვერ-ულვაშიანი ტუჩების მოძრაობაში.. მიაგნო... ის უცხო სიტყვა სხვადასხვა განწყობით, რიგრიგობით წარმოთქვა სამივემ: მამობილმა სტეფანემ – ნელა, მტკიცედ; ვახტანგმა – გაკვირვებით და სიამოვნებით; ბიძამისმა გიორგიმ – უკმეხად და გაოცებით...

შემდეგ სიჩუმემ დაისადგურა. აბდულასთვის სულ სიჩუმე იყო ყოველთვის, მაგრამ ამ სიჩუმეს დუმილი ერქვა...

მოკამათები დროებით დაზავდნენ, დასხდნენ მინაზე თავდახრილები, ალბათ დაღლილები... არც მთლად უმაგისობა იყო – ხნიერი სტეფანე ქოშინებდა და სულს ძლივს ითქვამდა...

მერე ისევ ფიცხი-გოგია ადულდა, აკამათდა, ხელების ქნევა დაინყო – ტოკავდა, აქეთ-იქით ადგილს ინაცვლებდა, ლამის დახტოდა, ვახტანგს რალაცას უმტკიცებდა...

ყრუ-მუნჯი აბდულა თვალს გაფაციცებით ადევნებდა ფიცხი-გოგიას სხარტ მეტყველებას... აჰა, გამოკრთა ის უცხო სიტყვა ერთხელ, მეორედ... ო, რა ძნელია ქართული. ნეტა ვინ მოიგონა ასეთი ძნელი, მეტყველი ენა... მაგრამ ის სიტყვა არაა ძნელად წარმოსათქმელი – აგე, ფიცხი-გოგია ელვასავით ისვრის ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... „ამბა“, „სამბა“, „სტამბა“... ეს რაღა სიტყვაა. დაყრუებამდე თბილისში არასდროს გაუგონია... ვინ არ უნახავს აბდულას: მდიდარი ვაჭარი, ჩაუქი მხედარი, მღვდელი, მოლა, მუქინი, რაბინი, მჭედელი, ყასაბი, სირაჯი, დალალი, ნალბანდი, ხაბაზი, მე-თუნე, მესამლე, მეჯოგე, მეჯადაგე... არავის ტუჩების მოძრაობაში არ ამოუკითხავს ეს სიტყვა. აქ კი, საჯავახოს ტყისპირას, გზისპირას მიგდებულ ფორნებთან, იმდენჯერ იქნა ნახსენები, ყრუ-მუნჯისთვისაც დასამახსოვრებელი გახდა... მაგრამ რატომ კამათობდნენ ასე ცხარედ იმ სიტყვის გამო, ასეთი რა უნდა დაეშავებინა, რა სამშროუბას ქმნიდა ის სიტყვა, რატომ არავისგან გაუგია მანამდე?..

აბდულა დაილაღა მუნჯი ფიქრით; ჩაჯდა, ფორნის თვალზე თავი მისდო, თვალი დახუჭა, ჩათვლიმა – თავის სიმყუდროვეში ჩაიძირა...

ქიმუნჯმა გააღვიძა.

ერთბაშად ვერც მიხვდა, სად იყო; ხელები აიქნია, სახეზე აიფარა და დამფრთხალი მზერით თითებს შორის გაიხედა...

ტყუილად შეშინებოდა – თავს ხნიერი მამობილი დასდგომოდა და თითების, ტუჩების მოძრაობით უხსნიდა, გზას გასდგომოდნენ...

აძვრა ფორანზე, დაჯდა კოფოზე, ცხენებს მსუბუქად გაუტყლაშუნა და წინასულ ფორანს უხალისოდ მიჰყვა.

ლამდებოდა – გვიანდებოდა. ყრუ-მუნჯი აბდულა თავისას დარდობდა. ამდენი დრო ტყუილად შემოეხარჯათ. ადარბადაგანის ქარავანს, ლამის გათევის და დაბანაკების ადგილზე კი დაენოღდნენ, მაგრამ გამოსაძინებლად დრო ცოტა დარჩებოდა; მას კი ძილი ძალიან უყვარდა. ძილში სიზნორები იყო – ფერადი და შინაარსიანი სურათები. იმ სიზნორებში ყველა მუნჯი იყო, თვითონ კი – მეტყველი, ოღონდ, რომელ ენაზე მეტყველი, ამას ვერ იმახსოვრებდა; ამიტომაც ვალვიძება არ სიამოვნებდა და ძილის შებრუნება და მეტყველ-სიზნარში დაბრუნება ყველაფერზე მეტად უყვარდა.

მიდიოდა აბდულა – ფორანს მიაჯაყჯაყებდა, გზის აქეთ-იქით იხედებოდა; დროდადრო ეჩვენებოდა, რომ ვიღაც უთვალთვალებდა, მაგრამ მანაც არ ეშინოდა – მამობილის იმედი ჰქონდა, როგორც ყოველთვის...



მხატვარი კოტე თევდორაძე

ის ერთი თუ ორი საათი უზომოდ გაინელა. დაღამდა, მაგრამ მეფორნები მიხვდნენ, რომ ეშველათ – მოშორებით ჩირალდნების მოციმციმე შუქი დაინახეს – ადარბადაგანის ქარავანი ველზე იდგა და ისვენებდა...

2.10. ამ დროს უკვე ალიყული შორაპნიდან გასული იყო, ლიხზე გადასულიყო და ქართლელი მსტოვარიც თავისებურად დაემოდღვრა: იმერელი ფულს მოგთხოვს, მაგრამ არ მისცე; გაყრისას ზურგი არ უჩვენო – მოგკლავს... ფორნებს თვალი არ მოაცილო. ტვირთი ჯანიშინისაა და გორამდე გაყევი. გვერდში არ ამოუდგე, არც თვალეში შეეჩხირო მეფორნებს, მაგრამ აგრძნობინე, რომ თვალ-ყური მიდევნებული გაქვს და ყველაფერი ხუთი თითივით იცი...

რა უნდა ვიცოდე ხუთი თითივით, ფიქრობდა ქართლელი მსტოვარი და რაც იცოდა, იმას აკეთებდა; ლამეს შრომაში, მესამე მეთუნესთან ათევდა და მერე ყვირილა-ძირულას შესართავს დილიდან უთვალთვალებდა, რადგან ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ბათომი-ადარბადაგანის ქარავანი ამ გზას არ აცდებოდა და ის ორი, ჩამორჩენილი ფორანიც იგივე გზას ამოყვებოდა...

მეორე დღეს იმერელმა მსტოვარმა ამცნო, რომ ქარავანი შუადღემდე ამოივლიდა, ნაშუადღევს ჩამორჩენილი ფორნები გამოჩნდებოდა.

2.11. ქართლელმა მსტოვარმა ქარავანი გაატარა, მერე ჩამორჩენილი ფორნებიც გაატარა; ნახა, რომ მეფორნე ორი კი იყო, მაგრამ ორივე ახალგაზრდად გამოიყურებოდა; არადა, წინასწარი ცნობის მიხედვით, ერთი მათგანი ხნიერი უნდა ყოფილიყო.

ქართლელმა ფორნებს გაუსწრო, ლიხზე გადავიდა; ლამის გასათევად დაბანაკებული ქარავანისგან მოშორებით, გზიდან ახლოს, ტყიან ფერდობზე ჩამოხდა, ლამის სათევი მოიწყო და რომ დაღამდა, ნათვლიმა კიდევ.

ბორბლებს რახრახის ხმაზე გაფხიზლდა; მიხვდა, რომ ფორნები მოახლოვდნენ. დააკვირდა. მეფორნეებს თითო ფორანზე თითო ჩირალდანი ენთო. იქით, მოშორებით, ქარავანის დაბანაკების ადგილი პარპალებდა. ეს ორი, მოძრავი ჩირალდანი ბანაკის ჩირალდნებს მიუახლოვდა, მიუახლოვდა, შეერია და შიგვე ჩაიკარგა.

ცოტა ხნის შემდეგ ჩირალდნების უმრავლესობა ჩაქრა, მარტო საგუშაგო ცეცხლილა დარჩა ანთებული ქარავანის თავსა და ბოლოში.

მოთვალთვალეც და სათვალთვალეც ძილმა მოიკვა.

2.12. ამ დროისათვის ყიზილბაშურად გამონყობილი ალიყული გორში იჯდა, უკვე ბეჭედდასმულ, ერთიდაიგივე შინაარსის მქონე ორ უსტარს ერთმანეთს ადარებდა, სან-

თლის შუქზე მეათედ კითხულობდა და, შინაარსით კმაყოფილი, სიამოვნებით იგრძნობდა უღვაშს: ხან – ერთი ხელით, ხან – მეორეთი, ხან – ორივეთი.

ამ ერთნაირი წერილებიდან ერთი თბილისში, ყულარა-ლასთან, უნდა გაგზავნილიყო, მეორე კი – ყაზვინში – ქემიკ-ბაშთან.

წერილში ეწერა:

ქართლის ჯანიშინმა ოსმალეთის სულთანთან პირი შეკრა – თანამედროვე თოფხანა უნდა გამართოს. ტყვია და დანადგარები ევროპაში შეიძინა, ზღვით ბათომამდე მოიტანა. ახლა მოაქვს თბილისში. როგორც ამბობენ, ევროპის ახალ თოფხანებში დამზადებული, შაითან გაიურების გამო-გონილი ხელ-მეხა ქვემეხივით ცეცხლმსროლელია და საშიში. ქართლის ჯანიშინი ხვალ-ზეგ თავისიანებს ახალი ხელ-მეხებით შეაიარაღებს და გვიანი იქნება. ნება მიბოძე, გირჩიო: თოფხანა დაარსებამდე უნდა განადგურდეს. მუდამ შენს სამსახურში მყოფი, ველი შენს ბრძანებას.

მონინებით და თაყვანისცემით,

ალაჰის და შაჰის მონა

ალიყული მახანდარანი.

2.13. წერილებმა ადრინაი დილით გორი დატოვა: ერთი თბილისში გაფრინდა, მეორე – ყაზვინში.

შუადღისას გორთან ჩამოიარა ადარბადაგანის ქარავანმა. ნაშუადღევს გაიარეს ჩამორჩენილმა ფორნებმა; გზა-დაგზა არაერთხელ შეაჩერეს: ზოგან ქართველმა, ზოგან – სპარსელმა მეზაყებმა. დიღმელ სტეფანეს მზად ჰქონდა რწმუნების სიგელი; ყოველ შემხვედრ-შემმოწმებელს და დაეჭვებულს ცხვირწინ უფრიალებდა ბეჭდიან ფურცელს და რიხიანად იძახდა: ჯანიშინისა, ჯანიშინისა!... მეზაყეები და მხედრები, ამის გაგონებისთანავე, ხვდებოდნენ ტვირთი ვისიც იყო, განზე დგებოდნენ და გზას ათავისუფლებდნენ.

ალიყულის მსტოვარი და მოთვალთვალე აღარ სჭირდებოდა – თვითონვე იყო ერთიც და მეორეც; მაინც იგუშანა, რომ ერთით მეტი თვალი საქმეს თუ არ წაადგებოდა, არც უშუშლიდა; გორშივე იქირავა ძველი ნაცნობი, მასზე ათი წლით უფროსი, გამოცდილი, ცალთვალა შიკრიკი ბირგიოზა, ვინც ისედაც თბილისში მიდიოდა, უფრო სწორად – ბრუნდებოდა, და დაავალა: თუ რამ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო, თბილისში ფორნების გადმოტვირთვის ადგილს ვერ დააზუსტებდა, ეს საქმე ბირგიოზას მიეყვანა ბოლომდე და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებინა ყულარაღასისთვის... ერთმანეთისგან შორი-შორს უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ თუ ახლოს ყოფნა და მხარდაჭერა აუცილებელი გახდებოდა, ეს სიტყვა-მინიშნებით გამოთქმულიყო; საკვანძო სიტყვები უნდა ყოფილიყო „მზე“ და „მთავარე“...

თვითონ საქმისთვის წერტილის დასმას აღარ ჩქარობდა – მასზე მინდობილ დავალებას შესრულებულად თვლიდა. უნაგირზე ნება-ნება მიირწეოდა და ფორნებს შორიანხლოს მიყვებოდა. ბოლომდე უნდოდა მიყოლოდა. საკუთარი თვალთ უნდოდა ენახა, სად დაბინავდებოდა ჯანიშინის ტვირთი...

2.14. მცხეთასთან დაულამდათ.

მხედარი ალიყული უჩინარი გახდა, ფორნები – პირიქით, ცოტა ხნით შედგნენ, ჩირალდნები აინთეს და ჯაყჯაყით სვლა გააგრძელეს.

ალიყული დროდადრო ცხენს შეაყენებდა, ჯანიშინის ტვირთს შორს მიუშვებდა; მერე დაიძრებოდა და ას ნაბიჯზე მიახლოვდებოდა; მიუშვებდა – მიუახლოვდებოდა, მიუშვებდა და მიუახლოვდებოდა...

ირგვლივ ბნელოდა, მაგრამ შორს, თბილისისკენ მოციმციმე შუქი ჩანდა – ბანაკის ადგილი – ადარბადაგანის ქარავანი ღამის გასათევად დიღმის ველზე იდგა.

ალიყულის დაღლა და თვლემა ერთდროულად მოერია. თვლემამორეულმა იარა, იარა და... უცებ თვალები ჭყიტა – თურმე ფორნები გაჩერებულიყვნენ, ეს კი ზედ წასდგომოდა...

ალიყული მშიშარა სულაც არ იყო და ამ დღემდე ბევრჯერ დაჭირვებია გამბედაობის გამოჩენა; ახლა ეს არ იყო აუცილებელი, მაგრამ რადგან მეფორნებმა შენიშნეს, უკან აღარ დაიხია, სიბნელეში მიმალვა ითაკილა, ფორნებს თავს დაუარა და ასე ცხენდაცხენ მიადგა.

ყოფოზე მჯდარი აბდულა ეცნო და ვითომ მრისხანედ დასძახა: ვინ ხარ, საით მიდიხარ?!

პასუხი რომ ვერ მიიღო, კიდევ უყვირა, მართლა გაბრაზდა და ხმალზე გაისვა ხელი.

ჯანიშინის ტვირთი მიგვაქვს! – გამოსძახეს უკანა ფორნიდან, – მაგ ბიჭი ყრუა, ნათქვამი არ ესმის.

ალიყული დაიძრა და ახლა უკვე უკანა ფორანს მიადგა. ჩირალდნის შუქზე დააკვირდა. კოფოზე ხნიერი კაცი იჯდა. იცნო – ის იყო, ბათომში რომ ნახა.

რატომ გაჩერდით?! – ისევ მრისხანედ იკითხა ალიყული. სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ვილაც, ელვის სისწრაფით, ზურგიდან შემოახტა, კეფაში ჩასცხო, უზანგებიდან ფეხები ამოაყრევინა და თავდაყირა გადმოაგდო ცხენიდან...

გაბრუნებულან რომ გამოერკვა, ნახა, თავს ჩირალდნით განათებული, შუქ-ჩრდილიანი მოპარპალე სახეები დაჰყურებდნენ. ნელზე ხელი გაისვა – იარალაყრილი იყო. თვალს არ უჯერებდა – სამი სახე დაჰყურებდა.

უცნობმა, იმ მესამემ, ალიყულის ხელები თოკით გაუკრა, წამოაჯინა, ალიყური უთავაზა და უთხრა: მეათედ გეკითხებინა, ვისიანი ხარ, რაიზა გვითვალთვალე?

სტეფანემ იკითხა, – ეგეც ჩემი აბდულასავით ყრუ ხომ არ არის?

არა, – უპასუხა ალიყულის დამტყვევებელმა, – ჩვეულებრივად კუთავს. ალბათ ქართული არ ეყურება.

ალიყულის სიტყვა არ უთქვამს, ერთი-ორი ნათაქება უხმოდ აიტანა; გაოგნებული ფიქრობდა: ეს მესამე საიდან გამოტყვრა; როგორ გამორჩა, რომ ფორანს თურმე ცოცხალი ტვირთიც თან მოჰყოლია. ქართლელი მსტოვრისთვის უნდა დაეჯერებინა. აკი უთხრა, ორივე ფორანს ახალგაზრდა მართავსო. თვითონ რა უთხრა? ბეცი ხარ, ჭარმაგი და ჭაბუკი ერთმანეთისგან ვერ გაგირჩევიაო. შეუმცდარი ვინ არის, მაგრამ ამ შეცდომას თავს არასდროს აპატიებს... კიდევ კარგი, ყულარაღასისთვის წერილის გაგზავნა მოასწრო, აქეთ კიდევ ბირგიოზა რომ დაიქირავა. უშველიან, დაინსინან ამით ხელიდან. თუ ვერა? ახიც იქნება!.. არა, ამ შეცდომას საკუთარ თავს სიცოცხლის ბოლომდე ვერ აპატიებს... ამათ უსმინე ერთი!.. „ძამა“-ს გურულის გარდა ვინ იტყვის?! გურულია ის მესამე – მისი დამატყვევარი...

რადგან ალიყულის ვერაფერი ათქმევინეს, ფეხებიც შეუკრეს, აიტაცეს და სტეფანეს ფორანზე, ტყვიის გუნდებს შორის ჩაანვიხნეს; ღამის გათევაზე აღარ უზრუნიათ და თბილისისკენ დაიძრნენ...

2.15. გზად შემოათენდათ.

ალიყულის თვალები აკრული ქონდა, მაგრამ გათენება ტანით იგრძნო – ჯაყჯაყით მიმავალი ჩარდახიანი ფორანი მზის სხივების ათინათით გაივსო, გათბა; ცოტა ხანში დაცხა კიდევ, თუმცა ჯერ შუადღევ არ დამდგარიყო.

ფორანი გაჩერდა. ალიყულიმ გაიგონა სტეფანეს შეძახილი: ჯანიშინისა!..

დაიძრნენ. გვერდებდაბეგვილმა, ხელ-ფეხდაბორკილმა დატყვევებულმა შეძლებისდაგვარად განწართა ტანი, რათა დაბუჟებდას მორეოდა და აღმოაჩინა, რომ თოკი ხელ-ფეხზე სულაც არ იყო მტკიცედ მოჭერილი. თითქოს დამტყვე-

ვებელს გაკოჭილისთვის გამოცდა მოეწყო: აბა, რამეს მოიფიქრებს და დროს იხელთებს თუ გაქცევას სულაც არ აპირებსო... მაგრამ არა, ალიყული უკვე მიმხვდარიყო: სტეფანეს და იმ ახალგაზრდას (ვის სახელსაც კი მოკრა ყური, მაგრამ ვერ დაიმახსოვრა), მისი მოკვდინება რომ სდომოდათ, თან კი არ ნამოიყვანდნენ, იქვე მიახრჩობდნენ, სადაც შეხლა მოხდა.

ალიყულიმ ხელები გაითავისუფლა, ფეხებზე შემოხვეული თოკი მობოშა, მაგრამ არ მოიშორა; გვერდზე ნამონვა და იძულებითი მგზავრობის მოსახვევები ნაკლები ჯაყჯაყით გაიარა... მერე ჯაყჯაყი შერბილდა. ფორნის გარედან გაისმა ადამიანების ერთმანეთთან გადაძახილი, მი-მოვალი ეტლების და ფორნების ბორბლების რახრახი. ალიყული მიხვდა, რომ ქალაქში შესულიყვნენ; თვალის სახვევი აინია, თავი ნამონია და ცალი თვალთა დანახვა, რომ ამ ფორანს მეორე უკან მოყვებოდა, კოფოზე ის ახალგაზრდა არაბი იჯდა; თითქოს თავისთვის იყო, მაგრამ პირველი ფორნის ცოცხალ ტვირთის უმნიშვნელო მოძრაობაზეც თვალი ეჭირა.

ალიყულიმ თვალსახვევი აიკეცა. არაბმა წარბიც არ შეხარა – ვითომც აქაც არაფერიო. ტყვემ თავი ნამონია და გარემოს იმ ნაწილის შეთვალერება დააპირა, რაც ჩარდახის რკალის შიგნიდან ჩანდა, მაგრამ მალევე მისდო თავი თავის ადგილზე, რადგან შენიშნა, რომ არაბმა უსიტყვოდ, დინჯად აღმართა ხელი და მუქარის ნიშნად მუშტი მოუღერა...

ალიყულიმ თვალდათვალ ვერ დააზუსტა, სად იმყოფებოდა. აქედან მოყოლებული, უფრო ყურთასმენას მიენდო და მიაყურადა. ფორნის ბორბლები მოკირწყლულ გზაზე მიხრამუნობდა; მერე, ალბათ, ქვაფენილი დაინყო, რადგან ბორბლების რახრახს ნალღებანი ფლოქვების ხმამ გადააჭარბა – თითქოს სალეს ქვაზე დანისპირს ჩქარ-ჩქარა ლესავენო; მერე ფლოქვების ხმაური თითქოს მიწყდა, რადგან ისევ ბორბლების ხმამ გადაფარა – ახლა უკვე დაგადუგა ბგერებს გამოსცემდნენ, რადგან ფიცარნაგზე მიგორავდნენ; მერე მდინარის ტალღების ჩქოლოვის ხმა მოესმა და ალიყული მიხვდა, ხიდზე გადადიოდნენ... სიონის ზარებმა დარეკეს – მაშინდელ დროში, ირანის ვასალ საქართველოში, ქრისტიანულ თბილისში ეს დიდ მიღწევად ითვლებოდა; ალიყულისთვისაც მნიშვნელოვანი იყო ზარის რეკვის ხმა – სიონი-საათი მისთვის დროის მაცნე იყო – შუადღე დამდგარიყო... ზარის გუგუნნი რომ მიწყდა, ნაცნობი ხმით შეძახილი გაიგონა: მზე ყველასია, მთვარე – არავისი!.. ცოტა გულზე მოეშვა – ცალთვალა ბირგიოზა სადღაც ახლოს იყო და თავისებურად ამხნევებდა...

ფორანი თანდათან აყირავდა, რადგან აღმართს შეუდგა. ცხენებს გაუჭირდათ, სვლა შენელდა. ალბათ უკანა ფორანს ნაკლებად მძიმე ტვირთი მოქონდა, რადგან პირველს ნამოენია, ზედმეტად მიუახლოვდა; ისე მიუშქიდროვდა, რომ ცხენები ჩარდახის შიგნით ცალი თვალთა იხედებოდნენ და, თითქოს ალიყულის დანახვა ეწყინათო, თავს განზე სწევდნენ, უკმაყოფილოდ ხვიზვინებდნენ...

ცოტათი გაივაკეს, სვლას აუჩქარეს, მაგრამ მალევე სულაც ადგილზე გაჩერდნენ.

ჯანიშინისა! – გაისმა სტეფანეს შეძახილი.

ფორანი დაიძრა. ალიყულის ფიქრიც დაიძრა: შაჰის საიდუმლო სამსახურში ყოფნა დიდ გამჭირაბობას და ცოდნას მოითხოვდა. ალიყულიმ შვიდი ენა იცოდა, ნაკითხი იყო, მაგრამ მაინც მეტის ცოდნა ევალებოდა. მუდამდღე ცნობებს აგროვებდა სამხედრო საქმეზე, სავაჭრო და სახელოსნო საქმეზე, ბუნდოვანებაზე, დასაზუსტებელზე, შაჰის ერთგულ ქვეშევრდომებზე, შაჰის მოლაღატე ტახტის მაძიებლებზე... ადრე, თავისი საქმიანობით, მოხიბლულიც იყო და თავი მნიშვნელოვან ვინმედ წარმოედგინა... მაგრამ, აჰა: გადააბიჯა 30 წელს და აქ, ჯაყჯაყით მიმავალ ფორანის ძარის იატაკზე, ტყვიის გუნდებს შორის პირაღმა მწო-

ლარემ, ჩარდახის მოცახცახე ჭერზე მზერამიშტერებულმა აღმოაჩინა, რომ საკუთარი არაფერი გააჩნდა. კი ჰქონდა კარგი ჯამაგირი, სხვასაც უხდიდა ცნობების მოპოვება-გავრცელებისთვის და ამ ხარჯთაღრიცხვის წარმოებით მუდამ მოგებულ რჩებოდა, მაგრამ ახლა ვითომდატყვევებული, საკუთარი თავის დანიშნულებაზე ჩაფიქრებული, ასკვნიდა, რომ მუდამდღე სულ სხვის საქმეს აკეთებდა, თავისას კი – არა. „თავისი“ არც იცოდა, რა იყო, თუმცა კი უნდოდა სცოდნოდა...

ამ დროს მხედარმა ჩამოიარა, შეძახილით ყველას ყურადღება მიიქცია, მით უფრო – უიმედო ფიქრისგან სასომიხილი ალიყულისა; დაღმართზე მითხარიკობდა და თავისთვის სპარსულად გაიძახოდა: ვისაც სცივა მზეს მიეფიცხოს, ვისაც სცხელა – მთვარემ გააგრილოს!..

ფორანი დაიძრა, მოუხვია. ჩარდახიდან ალიყულიმ დანახა, რომ ქვის თალის ქვეშ გაიარეს; მალევე გაჩერდნენ ქვაფენილზე, ალბათ – შიდა ეზოში, ალბათ – კარგად დაცულ ადგილზე, ალბათ – საბოლოოდ, რადგან ტვირთის გადმოსატვირთად ვერევე მოადგნენ: სტეფანე, ახალგაზრდა არაბი, ის უცხო ქართველი და რამდენიმე დამხვედური...

ხენეშა-ხენეშით დაითრიეს მძიმე ყუთები, ალიყული ხან მარცხნიდან „შეანუხეს“, ხან – მარჯვნიდან და აიძულეს გვერდი ეცვალა, ნამომჯდარიყო, გაჩოჩებულიყო, თავისუფალ კუთხეში მიკუჭულიყო... არავინ შეხებია. თითქოს პირი შეკრესო, ხმაც არ გაუციათ არც მაშინ, როცა დაცარიელებული ფორნის ძარაზე მარტო ცოცხალი ტვირთი დარჩა...

ისე გამოვიდა, რომ ფორანი დაიცალა, მართლა ცარიელი იყო და ალიყულის, თითქოს უჩინმაჩინი ყოფილიყოს, ვერავინ ამჩნევდა.

დამამცირეს, დამამცირეს! – კბილებს სიმწრისგან აღრქიალებდა ალიყული და აღარც ის ახარებდა, რამაც ცოტა ხნის წინ იმედი და შეება მოჰგვარა – კერძოდ კი, იმ უცნაური მხედრის დაღმართზე ჩამოთხარიკება; უფრო სწორად, მისგან გაგონილი სიტყვა- ნიშნების ნამოძახებამ. ის უკვე შურისძიებაზე ფიქრობდა, სამაგიეროს გადახდაზე ფიქრობდა: ახლა გადარჩება – აკი, ბირგიოზამ თავისი შეძახილით აუწყა, რომ მისი დატყვევების ამბავი ყულარაღასის ყურს უკვე მიაწვდინეს. საშველად მალევე მოადგებიან... თოფხანის დარბევის დრო რომ დადგება, თვითონ ნამოუძღვება სადამსჯელო რაზმს, აქაურობას გადაბუგავს და ხანძრის ალზე რომ დასცხება, ოდნავ მოშორებით დადგება, ამ სანახაობით დატკებება და სიამოვნებისგან თვალმოჭუტული უყურებს მანამდე, ვიდრე ქართლის ჯანიშინის ნაოცნებარი ნაცარტუტად არ იქცევა...

2.16. დამხვედურები უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ ფორნებს, ჯანიშინის ტვირთის გარდა, ცოცხალი ტვირთიც თან მოჰყოლია – ორი კაცი: ქართლის შიკრიკებაში – ალიყული და გურული ყაჩაღი – ვახტანგი.

ერთი მათგანი მალევე მოიშორეს, მეორეს კი დიღმელი სტეფანე დაუდგა თავდებად და დროებით დაიტოვეს.

2.17. ალიყული დაღამებამდე აყურყუტეს სარდაფში. მერე ვიღაცამ მოაკითხა; რაღა ვიღაცამ – ყულარაღასის მდივანმა ნება იბოძა, მოზრძანებულიყო, გარკვეულიყო ამ, როგორც თვითონ ბრძანა „გაუგებრობაში“; მანვე პირადად მოიხახულა და დაიხსნა მესტამბეების ტყვე; წასვლის წინ ითხოვა, ალიყულისთვის შელახული ღირსება აღედგინათ. ტყუილად ითხოვა. ალიყულის ისედაც დაუბრუნეს ხმალი და ქამარ-ხანჯალი; აგრეთვე – ტანსაცმლით სავსე ფუთა, რაშიც ოსმალური ფესი, გურული ყაბალახი, იმერული ფაფანაკი და ქართლურ-გლეხური ჩოხა იყო გამოკრული. დაუბრუნეს ცხენი, ცხადია, თავის აღკაზმულობით და უთხრეს, ნამგზავრს და დალლილს, გოგირდის აბანო მოგიხდებოდა, მაგრამ ამდენს პატივს ჩვენ ვეღარ გცემთ; ამ კაცს, შესნ მშველელს მიჰყევი, მაგან დაგზილოს ტანიო...

ბინდებოდა, როცა ალიყულიმ და ყულარალასის მდივანმა მეტეხის ხიდი გადაიარეს. ალიყული ფიქრობდა: საქმის ჩაფლავებისთვის სასჯელი არ ამცდებდა, სამსახურს დავკარგავ, ჩავიძირები და ვედარასოდეს ამოვყვინთავ; ამაზეც თანახმა ვიქნები, ოღონდ, დღესვე თავი არ წამაგდებინონ!..

სად მივდივართ? – ჰკითხა ვითომთანამგზავრს.

რა თქმა უნდა, აბანოში! – უპასუხა ყულარალასის მდივანმა და ისე გაუღიმა, მისი კრიჭის კრეჭამ იმ საღამოს ბინდშიც კი ავად გამოანათა.

2.18. მანამდე, დიღმელი სტეფანე სტამბის მოთავსეს, საბა-სულხანს, მორიდებით, მაგრამ მაინც ეკამათებოდა.

სად ყაჩალი და სად წიგნის ბეჭდვაო, საბა-სულხანმა.

კაცმა, წიგნის სიყვარულის გამო, ნასაკირალის და საჯავახოს ტყეები მიატოვა; ბიძამაც იმ პირობით გამოუშვა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაში წვლილი შეიტანოს. თუ არადა ის ხომ ცოდვა მართო და ესეც ცოდვა იქნება, თუ გაეანბნებოდა, სტეფანემ.

სად შოთა და სად ყაჩალი, – არ სჯეროდა საბა-სულხანს, – მე აქ, თბილისში, ზღვისგაღმელ მიხილს საგანგებოდ შერჩეული, სანდო და პატიოსანი ყმანვილები დავახვედრე სამონაფოდ. უცხო და გზადმემოყრილი არ მჭირდება.

მამ, გამოსცადეო, – თქვა სტეფანემ, დაითანხმა თანამოსაუბრე და დანარჩენზე უკვე ხმადაბლა, შეთქმულებით მოილაპარაკეს...

2.19. ვახტანგს ერთი ციციქნა ოთახი გამოუყვეს; ყველი, პური და წყალი მისცეს დასანაყრებლად და მერე ამოცანის პირობაც თანდათან გააცნეს.

საბა-სულხანი ვახტანგს ტაბლასთან დაუჯდა და გაესაუბრა, რუსთველი მართლა გიყვარს?.. „ვეფხისტყაოსანი“ თუ ნაგიკითხავს?.. რაც გაგიგონია, ზეპირად იცი?.. გველსა ხვრელით ამოიყვანს... განაგრძე... სწორია!.. ვა, სოფელო რამიგან ხარ, რას გვაბრუნებ... განაგრძე... ყოჩაღ!.. კიდევ გააგრძელე... ყოჩაღ!.. ახლა მთავარი – მიპასუხე, რას ნიშნავს შენთვის ორმოცდაერთი?

ვახტანგმა, უცოდინარობის გამო, დაიმორცხვა, მწარედ ამოიხვნეშა და პასუხიც ამოსუნთქვას ამოაყოლა: აფერს!

რაო, რა სთქვა? – გაიკვირვა საბა-სულხანმა და დიღმელ სტეფანეს გადახედა.

არაფერსო, – „გადაუთარგმნა“ სტეფანემ გურულის მოსხლეტით ნათქვამი.

სულ არაფერს? – ალბათ თავის დაჟინებაზე გაელიმა საბა-სულხანს.

არაფერს! – აღიარა ვახტანგმა.

საბა-სულხანმა სტეფანეს თავით ანიშნა. ისიც გავიდა და, თითქოს რალაცის თქმა დაავიწყდაო, მალევე მობრუნდა, ტაბლაზე დადო ბატის ფრთა, წითელი სამელნე, ქალაღდის ერთი ფურცელი; პეშვისოდენი ლითონის წვრილწვრილი ნაკეთობები კი საბა-სულხანს ხელებში ჩაუჩხრიალა.

აქ მხედრულის ორმოცდაერთი ასო-ნიშანია, – თქვა სულხანმა, ხელი ტაბლაზე დადო, მომუშტული მტევანი გახსნა, ისევ პეშვად აქცია, გადააპირქვავა და ქვიშა-კამათლებით გადმოაბნია ტყვიის სხმულები, – თუ ამ ნიშნებით შოთას აფორიზმს აანყობ, სტამბაში დარჩები; თუ არა და, ჩვენი უარი ნუ გეწყინება.

მერე სტეფანეს უთხრა, – უფლებას გაძლევ, ამ ყმანვილს, ნაბეჭდის წაღობა და ანაბეჭდის უკულმაობა აუხსნა. მეტი არ უკარნახო. არც ქალაღდი დაუმატო და არც – საღებავი. ის იკმაროს, რაც ახლა ტაბლაზე უძევს. ყმანვილს საღამომდე დრო მიეცით. გამოცდა ჩემმა ძმამ ჩაიბაროს; თუ ნამუშევარი დასაწუნებელია, ჩემზე ადვილად ის დაიწუნებს. ახლა გამაცილე, ჩემი წასვლის დროა.

საბა-სულხანი სტეფანემ გააცილა.

ვახტანგი იქვე დარჩა, ტაბლასთან; წაღმა-უკულმა ატრიალა მხედრულის ტყვიის სხმულები – ვერაფერი გაუგო; დავალება ურთულესად მიიჩნია, ამოცანის ამოხსნა – შეუძლებლად. მერე თვლა დაიწყო. ცხადია, საბა-სულხანი არ ტყუოდა – ტაბლაზე ზუსტად 41 ასო-ნიშანი ეწყო. ვახტანგმა ერთნაირების დაჯგუფება და განსხვავებულების განცალკევება იწყო. ამით ცოტათი გახალისდა და იმედიც მიეცა. ტყვიის სხმულებიდან ყველაზე მეტი „ს“, „ა“ და „ი“ აღმოჩნდა; დანარჩენები: ბ-1, დ-1, ე-2, ვ-2; 1კ, 3ლ, 2ნ, 3ო, 1რ, 2ც, 1ზ, 3ხ და ერთი ცალი „ჯ“...

შემდეგ უკვე, როგორც დიღმელმა სტეფანემ ურჩია, ისე მოიქცა – თითოეული ასო-ნიშნის ნაბეჭდი, საღებავით, ქალაღდის ფურცელზე გადაიტანა. უცქირა, უყურა, უცქირა, უყურა... მერე თვალეები დახუჭა და „ვეფხისტყაოსანში“ წავიდა... იქ თავისი მეხსიერების ჭას მიაგნო, შიგ თავით გადაეკიდა და შოთას აფორიზმების თითო-თითოდ, ერთმანეთის მიყოლებით ამოზიდვა იწყო...

2.20. იმ ნავსიან დღეს ალიყულის მეორედ აპყარეს იარაღი. დაკითხეს, საქმიანობა დაუწუნეს, ბოლოს კი ყულარალასის ნაბრძანებაც მოახსენეს: სანაგვეზე არ მოისროლოთ, ბაღში განანესეთო...

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც სავარაუდო იყო – ალიყული სამსახურის გარეშე დარჩა; გამოსწორებისთვის ვადა შემოდგომამდე მისცეს. ეს „გამოსწორება“ რალას ნიშნავდა და, იმას, რომ თბილისში, ყულარალასის მებაღის თანაშემწისთვის – ყვავილით სწეული სულთმობრძავი ავადმყოფისთვის – გარდაცვალებამდე მოეგლო; თუ თვითონ ამის შემდეგ არ დასწეულდებოდა (ანუ გადარჩებოდა), უფლება ექნებოდა, გარდაცვლილის თოხს, ბარსა და ფოცხს, მაკრატელს და ცოცხს დაპატრონებოდა; შემდგომ ამისა, ომიანობის ან ლეკიანობის დროს, ვალდებული იყო, ჭარში ხლებოდა თავის პატრონს; მშვიდობიან დროს კი, შეეძლებოდა თავისუფლად ემარგლა, ეკრიჭა ვარდების და ბრონეულის რიგები... ევლო საშაჰმათოში ან მოწყენილობისას, სულაც, ნარგილეთი შეექცია თავი...

2.21. ამ დროისათვის გურულ ვახტანგს საბა-სულხანის დასმული ამოცანა ამოეხსნა, ტაბლის ირგვლივ დავლურს ცეკვავდა და ისეთი ბედნიერი იყო, ერთის მეტს არაფერს ნატრობდა: ღმერთო, ნეტა ჩემი ბიძა, ჩემი გოგია-გორგი ახლა მხედავდეს, რა იქნებოდაო...

### 3. ბოლოსართი

3.1. ზემოთ მონათხრობი ამბის პერსონაჟებიდან ყრუმუნჯი აბდულას როლი მომეწონა. ის ბედნიერი არც რამეს ამბობდა, არც რამეს ისმენდა, არც რაიმეზე გავლენა ჰქონდა – ყველაფერი მისი ნებისგან დამოუკიდებლად ხდებოდა.

მისი როლი მოვირგე და აბდულას ყრუმუნჯობას დავესესხე, საკუთარ თავს ასაკი გამოვთხოვე, ამ ცხოვრებას კი – ცოდვები, მათხოვრობა და ხეიბრობა:

3.2. ვიდრე ჯანი მქონდა, მტკვრის გაღმაც, გამოღმაც ყველა მიცნობდა; როცა დავებრდი, დავმუნჯდი, დავყრუვდი, გავღარბდი და ხეიბარი გავხდი, ყველას დავავინწყდი და ვერც ვეღარავინ მცნობდა.

ვიტყუებოდი.

სინამდვილეში ყველაფერი მესმოდა, მეტყველიც ვიყავი; სიარული კი არადა, ჯომარდობა შემეძლო ცხენზეც, წყალზეც; სიყვარულიც შემეძლო, ღალატიც; ფულის შოვნაც შემეძლო და დახარჯვაც, მაგრამ ყველაფერი მობეზრებული მქონდა...

ერთი სურვილია მეებადა – მინდოდა: ამოეებას განვრიდებოდი, მერე უცბად შემოვბრუნებულიყავი და უცხო თვა-

ლით დამენახა ეს ცხოვრება; რასაც ვნახავდი და მოვისმენდი, არაფერში ჩავრეულიყავი, არაფერში გავრეულიყავი; დავლოდებოდი, უჩემოდ მოსახდენი როდის მოხდებოდა, როგორ მოხდებოდა, რომ იმ უკვე მომხდარიდან საჩემო ამბავი ამომერჩია და აჰა!

3.3. 1709 წლის 9 ოქტომბერს, ნაშუადღევს, კალაუზნის ბაზარში ერთმანეთს შემთხვევით შეხვდნენ ორნი: ყოფილი ყაჩაღი – თბილისის პირველი სტამბის ასოთამნყოფი – ვახტანგი და ქართლში შაჰის ყოფილი შიკრიკებაში – ჭარბელაქანის ყულარალასის თბილისელი მეზაღის თანამემნე – ალიყული.

ვახტანგი სეპიას საღებავს ყიდულობდა სტამბისთვის, ალიყული კი, ნარგილეს და ნარგილეს საკაზმს – თავისთვის. ერთმანეთს გამოელაპარაკენ ძველი ნაცნობევივით. ერთი ბედნიერს ჰგავდა, მეორე – უბედურს.

ბედნიერი სტამბის ამბებს ჰყვებოდა, უბედური – უსმენდა.

ბედნიერი ქართული ანბანის სილამაზეს აქებდა: „დ“ და-ლონებული ვარდიაო; „ა“ ამოთქმას ჰგავსო; „ბ“ ყელმოღერებული დოქიაო; „გ“-ს რაზეც გინდა, იმაზე დაჰკიდებო; „ლ“ და „ღ“ უფროს-უმცროსი მოსიყვარულე დები არიანო; „უ“ ხარიაო და უხარიაო; „ძ“ და „ხ“ გაბუტული ყმანვილები არიანო; „პ“ და „ჰ“ ორივე კვამლია, ოლონდ „პ“ ბოლავს და ცეცხლის ნაშობია, „ჰ“ კიდეც, უცეცხლოდ დაბადებული ჰაერივით კვამლია – ცისკენ მისწრაფებულიო; „კ“ „თ“ და „შ“ სახნისებია; „ჭ“ ონინარიანი ჭაა, „ზ“ – ასაფრენად გამზადებული ბარტყი; „ფ“ ფქვილით სავსე ტომარაა, „ქ“ – მეთევზის ანკესი; „ც“ და „ც“ ორივენი ქვევრებია: ერთი – მოხდილი, მეორე – მოსახდილი; „შ“ და „ჩ“ შენჩემობის გამო ნაჩხუბარი მეზობლები არიან – უკვე გაშველებულები, „მ“ და „ნ“ – მარჯობა და ნახვამდის; „ს“ სანყაოა ზურგზე მოსაკიდებელი; „ე“ და „ვ“ თავმდაბალი დები არიან; „რ“ და „ო“ ნათლია და ნათლულია – თუ დაუკვირდები, შენიშნავ, რომ ერთი მეორეს ხელს უქნევსო; „წ“ და „ყ“ თითქოს შარინანი ძმაკაცები არიან: ერთი – მალალი, მეორე – დაბალი; ერთი ნითური და ნარბებგადაბმული, მეორე – ნასვამი და ბოლმიანი; სინამდვილეში მხოვნებს მონატრებული, ჩვეულებრივი ქართველი თანხმონენები არიან; „ი“ ყველაზე საყვარელი, ყველასათვის საჭირო რამეა: თავლიასთვის – სარკველი, საკინძეგაღელილისთვის – ღილი, ამპარტავნისთვის – კოპი, ავადმყოფისთვის – კოტომი, წრეზე დაუსრულებლად მზორგავისთვის – გამოსავალი...

ალიყულის არ ესმოდა ქართული მხედრული ანბანის სილამაზე, ვახტანგისგან თავსმოხვეული ეს ანბანური პოეზია. ის იმით იყო გაკვირვებული, რომ ქართლის ჯანშინიმა, ბათომიდან დანყებული თბილისამდე, ყველა მისი მსტოვარი, ბოლოს თვითონ ჯაშუშების მეთაურიც მოატყუა და თოფხანა კი არადა, სტამბა დააარსა თბილის-ქალაქში – სახარების ბეჭდვა უკვე დაენყო; შემდეგ „ჟამნი“ უნდა აენყო; ამის შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას აპირებდა; მერე „სიტყვის კონა“ იდგა რიგში, მერე – „დასტურლამალი“, „სიბრძნე სიცრუისა“...

მართლაც რომ, სიბრძნე სიცრუისა...  
ფეხმორთხმით ვიჯექი და ვუსმენდი. კალაუზნის ბაზარში, როგორც ყრუ-მუნჯ მათხოვარს, ისე მიცნობდენ. არაკინ მერიდებოდა. ამიტომაც ბევრი რამ მაქვს გაგონილი, მონასმენი. ჩემს სიახლოვეს კარგიც თქმულა, ცუდიც თქმულა; ბევრი საიდუმლო თქმულა, ბევრიც – გათქმულა.

ვახტანგი მოუთხრობდა ალიყულის, თუ როგორ მიიღეს სტამბაში სამუშაოდ. თავს იქებდა, თუ რა იყო, არ ვიცო: 41 ასო-ნიშნიდან, ერთი ამოურჩევია – მხედრული „ჯ“ (ანუ, „ბედნიერების ცხრაკლიტულის გასაღები“) და მის ირგვლივ უტრიალია გონების თვალთ და მახსოვრობით. საბასულხანისგან მიცემული ამოცანა მალევე ამოუხსნია,

რადგან იშვიათი „ჯ“ მართლაც გასაღებივით გამოსდგომია სავარაუდო ფრაზების შერჩევისას. დაულაგებია:

„სჯობს სახელისა მოხვეჭა...“

„სჯობს საყვარელსა უჩვენო...“

„ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა...“

...და მიუგნია კიდეც ორმოცდაერთასოიანი აფორიზმისთვის. მიუგნია და აუნყვია: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

რა თქმა უნდა, ვახტანგი ბედნიერი იყო – ამა წლის ზამთარში ლუკას სახარების ტექსტს ააწყობდა, სამომავლოდ „ვეფხისტყაოსანზე“ ოცნებობდა...

ალიყული არეულიყო: ნარგილე ერთი ხელიდან მეორეში გადაჰქონდა, ფეხს მალიმალ ინაცვლებდა... ვახტანგს თითქოს უგულისყუროდ უსმენდა, თითქოს კალაუზნის ბაზრობაზე აღარ დაედგომებოდა და სადღაც წასვლას აპირებდა...

პირიქით კი მოხდა – ვახტანგმა, როგორც სხარტად გაუბა საუბარი, ისევე სხარტად მოუმთავრა: ნავედი ახლა, საქმე მაქვს ბევრი – საბა-სულხანი და სტეფანე კი მწყალობენ, მაგრამ ზღვისგაღმელ მიხილს – დიდი ანთიმოზის შვილობილს – სამშობლოში დაბრუნება ეჩქარება და დღეებს კი არადა, საათებს ითვლისო. შენც კიდე, რას იბღვირები?! ჯობია, სალამოხანს ჩვენკენ, აღმართზე ამოიარო – მაგ დროს მეცლება – თითო ხელადა კახურს დავლევდით. ახლა არ მითხრა, ჩემთვის დალევა არ შეიძლებაო. ჩვენი სტამბის მეზობელი საიდ-ბეი ბევრსაც სვამს და ბევრსაც ლოცულობს...

სხარტად დაემშვიდობა, ზურგი აქცია და წავიდა, როგორც ბედნიერი.

ალიყული იდგა და უყურებდა. მეც ვუყურებდი.

ბედნიერ ადამიანს ზურგიდანაც ეტყობა, რომ ბედნიერია; „ც“ კი არადა, მგონია, სახეზე მეტად ზურგზე ეტყობა, რომ ბედნიერებისგან ფრთაშესხმულია...

შენ ეი, მათხოვარო! – დამიძახა ალიყულიმ. კინალამ დამავიწყდა, რომ ყრუ ვიყავი, კინალამ დაძახებზე მივიხედე. მოვიდა და ფეხი ნამკრა.

ავხედე.

კიდეც ნამკრა ჭვინტი.

მეთქი, ახლა ავტირდები და თავს დამანებებს. თვალეზი დავხუჭე, გახეულ ჯიბეში ხელი ჩავყე-გავყე – ბარძაყთან თმა ვიპოვე და მოვინიხე, რომ ავცრემლებულიყავი... კიდეც მოვიგლიჯე ერთი-ორი – მეტკინა, გაგმწარდი, „ავტირდი“...

თვალი გავახილე – ალიყულის სახე შემომეფეთა.

ჩემს წინ ჩაცუცქულიყო, ახალნაყიდი ნარგილე გვერდით მოედო, ყიზილბაშურ ჩაღმაზე მოეყუდებინა და თვალეზში დაჟინებით ჩამცქეროდა.

გამაკვირვა.

იმის თვალეზში თბილისის ანარეკლი ჩანდა: ნარინ-ყალა – მთლიანად და ოქროყანა – ცოტათი. ალბათ ჩემს თვალეზშიც ჩანდა მეტეხი და მტკვარზე ხიდი.

დაბალი ხმით მეუბნება...

კი არ მეუბნება, კბილებს შორის ცრის: ყრუ-მუნჯო, სათქმელი მინდა ამოვთქვა და ვერავის ვეუბნები. სჯობს, ისევე შენ გითხრა, რადგან ვიცი, რომ ვერაფერს გაიგებ და არც შემეკამათები. იმან რა იცის, სტამბის მუშამ, რომ წიგნის კითხვა ცხოვრებაზე მეტად მიყვარს. 9 წლის ასაკში გამიტაცეს და მონად გამყიდეს შენისთანებმა. ქართული ენა და ქართული წიგნი სულ დამავიწყეს. გამიმართლა მაინც. ჩემმა პატრონმა სპარსულად წერა-კითხვა მასწავლა და რომ ნამოვიზარდე, საქმე დამავალა – წიგნის გადაწერა. ოსმალური კარაბადინი ჩემი გადწერილია. დაყიყ-ნამე ჩემი გადწერილია და ბოლოსართიც ჩემი დახატულია... პატრონი რომ გველის ნაკბენისგან მოკვდა, იმის შემდეგ საქმეც წახ-



და. რადგან სანაქებო გადამწერად ვითვლებოდი, ახალმა პატრონმა ჩემით გამდიდრება გადაწყვიტა. დღე და ღამე მამუშავებდა – ლამის ნიგინც შემეძალა. რომ შევგატყე, ამდენი თავდაუზოგავი შრომით, შეიძლებოდა, თვალის ჩინი დამეკარგა, შეცდომების დაშვება ვინყე. ისევ ლამაზად გამოწყავდა ნახატი, მაგრამ ყოველ ოცდამეათე გვერდზე ერთ ასოს უკუღმა (თქვენებურად წალმა) ვწერდი. სახელი სანახევრად გამიტყდა – ძალიან-სახელიან ნიგინებს გადასაწერად აღარ მანდობდნენ... მაინც კმაყოფილი ვიყავი – ბევრს აღარ მამუშავებდნენ, თვალის ჩინიც შევიწარჩუნე და დაუმაღლებელი ლუკმაპურიც მქონდა. მერე შაჰის საიდუმლო სამსახურში რომ დამაყენეს, ნაკითხობით თავი გამოვიჩინე, დავწინაურდი... ბევრი ჩემი თანატოლისთვის შეუძლებელი შევქელი – ყანდარის ბეგლარბეგის პირად მდივნად დამინიშნეს. ჩემს უფროსს რომ ავლანებმა ყელი გამოჭრეს, მაგ დროს ქრთამით ბაღდადში ვიყავი მივლინებული. დამაქვითეს და ამის მერე სულ დავიკარგე: ხან დამასკოში მგზავნიდნენ, ხან – თაეროზში მიმქონდა საჭირო ამბები, ხან – ადარბადაგანში, ხანაც – ოსმალეთში და ქურთისტანში... ჩემი ბადალი ნაკითხი მსტოვარი არავინ იყო სტამბოლიდან სამარყანდამდე – ისევ დამანინაურეს... აღმოვჩნდი თბილისში, მოვექსოვე მსტოვართა ბაღე, ვისწავლე ქართული – ჩემთვის მეშვიდე უცხო ენა, შეიძვერ წავიკითხე „ვეფხისტყაოსანი“ და ვიგრძენი, რომ ეს უცხო ენა, მეშვიდე კი არა, პირველი ყოფილა სინამდვილეში – პირველი და მშობლიური... მაგრამ შენ ამას რას გაიგებ, მათხოვარო! მე ნამდვილი სამშობლო არა მაქვს და „ვეფხისტყაოსანში“ ვცხოვრობ. ჩემთვის ეს ნიგინი მეტია, ვიდრე ლიხის იქით-აქეთ გურჯისტანი. მე ქართველობას ვერ დავიბრუნებ, რადგან ქართველის გაყიდული ვარ, შენისთანების გაყიდული ვარ. დიდი სიამოვნებით მიგახრჩობდი, მაგრამ მეზარება. აჰა, ეს ჩემი ნარგილე შენთვის მიჩუქნია – აღარ მჭირდება. ახლა წავალ, ხიდზე შევალ და იქიდან გადავხტები – იმ სტამბის მუშის ბედნიერებამ ხელი მომიტავა – ნაძრახია ჩემი სიცოცხლე, შენიც... მაგრამ რადგან ამდენი არ გესმის, ვერც იმ 41-ასო-ბგერთან აფორიზმს იმეცნებ და ამიტომაც ჭია-ღუასავით დაიკლაკნები სამათხოვროდ... ნარგილე მომაჩქა, წამოდგა, მიბრუნდა და წავიდა. ბაზრის დახლებს შორის მთვრალივით, ბარბაცით მიდიოდა. მინდოდა დამეძახა, მეყვირა: რას სჩადი, თავის მოკვლა არ გაბედო, ცოდვას ცოდვა არ მიუმატო-მეთქი, მაგრამ გამახსენდა, რომ მუნჯი ვიყავი და ხმა ველარ ამოვიღე...

ასე უსუსურად არასდროს მიგრძენია თავი... არც მერე – ორიოდე წუთის შემდეგ, როცა ალიყულის ნაჩუქარი ის ნარგილე, ვისიც ადრე იყო, იმავე ვაჭარმა წამოთვა, საფასურად აბაზი მომიგდო და მაშინვე, ჩემს თვალწინ, მეორედ გაყიდა – გოგირდის აბანოს მექისე-მუსტაფას ორ აბაზად მისცა.

3.4. სამი წლის შემდეგ, ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებულ სტამბასთან, ქვაფენილიან დაღმართზე ჩოჩვა-ხოხვით ჩამოვიარე. ათასი ბიჯით დაბლა, სამათხოვროდ კარგი ადგილი ვიცოდი, საცა ქვემო ქართლიდან ამოსული გლეხობა, დილაობით, ხილს, მწვანე ხორცს ჰყიდდა და ამონაგებით იქვე იძენდა: ქსოვილს, ფეხსამოსს, ცელს, ნამგალს, სამსჭვალს, ცხენის ნაღებს... ცოტ-ცოტა ფული ყველას ჰქონდა და ჩემთვის თითო-ორლა შაურის გამომეტებაც შეეძლო.

დავინახე და რა ვნახე: სტამბის ქვისთალიანი შესასვლელიდან, ქართულ სამოსში გამოწყობილი, ალიყული გამოვიდა და ქუჩის დაღმართზე დაეშვა.

ქვაფენილის გაღმა-გამოღმიდან გავხედ-გამოვხედეთ ერთმანეთს.

მიცნო. ქუჩა გადმოჭრა, თავდამსხმელივით მომაშურა, მხრებში ხელები ჩამავლო და ისე მაგრად შემაჯანჯლარა, რომ სასულეში ნერწყვი გადამცდა, ხველა ამიტყდა – კინალამ დავიხრჩე; იქვე, სამღებროს აგურის კედელს მივეყუდე, ჩავიკეცე და ველარ წამოვიმართე... ალი-ყულიმ ვითომ ხელი შემამშველა, მერე სულაც – გამიშვა; განზე გადავა, მაცალა, ვიდრე ხველა გამივილიდა, ჩემსკენ დაიხარა და მხიარულად დამძახა: შენ კიდევ ცოცხალი ხარ, მათხოვარო?! ცხადია, ყრუ-მუნჯისგან პასუხს არ ელოდებოდა, სათქმელის ამოთქმა კი ძალიან უნდოდა და თქვა კიდევ: ტყვიის ადუღება და სხმულების სხმაც ვისწავლე, ლათინურის და მხედრულის შრიფტის ყალიბის ჩამოყალიბებაც ვისწავლე; ნიგინის აწყობა და კინძვა ჩემზე და ვახტანგზე უკეთ არავინ იცის კავკასიაში. მართალი ყოფილა, რომ თურმე მხედრულს, სილამაზით, სხვა ანბანი ვერ შეედრება... შენ ამას რას გაიგებ, მათხოვარო, მაგრამ მაინც გეტყვი, რომ ახლა მე ბედნიერი ვარ – „ვეფხისტყაოსნის“ ჩად-შაირს ვაწყობ – საჩემოა, სწორედ:

„კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წამოდინდების“... როცა გადამწერი ვიყავი, როცა ნაწერიდან პოეტური აღმაფრენა ჩემზე გადმოდიდა, დაყიყს ვბაძავდი და როსტომის ხოტბაში ბოლოსწინა სტროფი ჩემი ჩამატებულია, ჩემი დანერილია; თუმცა ეს არავინ იცის და შენც იმიტომ გეუბნები, რომ ყრუ ხარ და ვერაფერს გაიგებ, მუნჯი ხარ და ვერავისთან გამთქვამ. ბუჭდვა სულ სხვა რამე ყოფილა – გადამწერის პოეტური აღმაფრენისგან შორსაა, მაგრამ მე ჩემსას ჩემებურად ვცდილობ. „ვეფხისტყაოსანი“ ჩემი სამშობლოა და მგონია, რომ ამ სამშობლოში საკუთარ ადგილს მივაგენი. შრიფტის აწყობასა ჩლბ-შაირის მეოთხე რიგი გამომრჩა, ანუ შეცდომა დაეშვი და... შეგნებულად არ გავასწორე – იყოს. თუ საბა-სულხანმა ან თბილელმა შეცდომა იპოვეს და მიმიტითეს, გავასწორებ... თუ არადა, ჩემს ლამაზ და შინაარსიან პოეტურ სამშობლოში მეც მარადიულად ვიარსებებ, როგორც შეცდომა. ამით რუსთაველს არაფერი მოაკლდება, მე-შეცდომის გამო კი პირველი გამოცემის „ვეფხისტყაოსანს“ საუკუნეების შემდეგაც გადათვალთვლებენ მეცნიერი და ცნობისმოყვარი ქართველები; მაგრამ შენ ამას რას გაიგებ, მათხოვარო!... მაშინ კი მოგატყუე, თავის მოკვლა იმ წამსვე გადავიფიქრე, როგორც კი მეტეხის ხიდზე ფეხი შევდგი. აჰა, შენ აბაზი!.. ცუდ წარსულს მახსენებ. აქეთ გამოვლილი აღარ დაგინახო, თორემ ვაი შენი ტყავის ბრალი!..

კინდამ ვუთხარი, ალი-ყული, მეც მოგატყუე: არც ყრუ ვარ, არც – მუნჯი, არც მით უმეტეს – მათხოვარი-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე – მის ბედნიერებას ბზარი შეეპარებოდა, მე კი იმ აბაზსაც დავეკარგავდი, ხელში რომ მქონდა მოჩეჩებული.

რადგან მისთვის საშიში არ ვიყავი, ზურგი მაქცია და დაღმართზე დაეშვა. ისიც სამი წლის წინანდელ, ბედნიერ ვახტანგს მივამსგავსე, რადგან ბედნიერს, სახეზე მეტად, ზურგზე ეტყობა, რომ ფრთაშესხმულია...

ვიჩოჩე და ვიხანხალე დაღმართზე. მივალნიე ჩემს სამათხოვრო ადგილს. მაინცდამაინც მჭედლის სახელოსნოსთან მოვირთხი ფეხი, რადგან ვინც არ იცოდა, იმისთვისაც უნდა დამემტკიცებინა, რომ გრდემლზე უროს დარტყმის ხმა სულაც არ მანუხებდა, რადგან ყრუ ვიყავი; ნარწერიანი ხის დაფა კი იმიტომ მქონდა მუხლზე მოდებული, რომ მუნჯი მათხოვარი ვიყავი; ბედს მაინც არ ვემდურდი, რადგან ბევრ საიდუმლოს ვფლობდი; რაც მთავარია თვალის ჩინი მქონდა და ჩემს ხის დაფაზე შანთით ამომწვარი ფრაზის ნაკითხვა, სხვასთან ერთად მეც შემეძლო, შინაარსიც გულისყურით მესმოდა და ვიცოდი, რომ მართლაც „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წამოდინდების“ რომ მართლაც „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“...



ზაალ ებანოიძე

# წყალგაღვიდან მოინერა...

(პოეზია-რეკვიამი)

*ჩვენ რას ნავიღებთ ქვეყნიდან,  
სხვას არა წაუღია რა.*

გრიგოლ აბაშიძე

ჟამი მოდის გაცილების — მარადიულ ჩვეულების —  
 კვირტში გადანაწილების, რტოში გადასხეულების.  
 ეთხოვები ზვრებს და ყანებს, რაც რო ხანი, რაც რო თესე —  
 რასაც დღემდე ეთაყვანე, ეფერე და ეალერსე.  
 დილის ცვარი მოყოფმატე — ღვთის ნებით რო მოსავს ქედებს,  
 გულისწყვეტას მოგიმატებს, უკან ბევრჯერ მოგახედებს.  
 ია გამოგეტირება — მერხის სითბოს გაგახსენებს,  
 წარსული რომ გეტკინება — ღანვს კურცხალი დაასველებს.  
 ხრამმა მკერდი აიბნია გვირილების ფოლაქებით,  
 კვლავ ჩურჩულე: — „აი, ია“ — თუ ბავშვობის მონა ხდები.  
 გინდა ნახო „დიმნას“ ციხე — ნატვრა გულში აღიარე,  
 თეთრი ნისლით გადაიხვევს ბებერ ტანზე ნაიარევს.  
 ძუძუმტეა შორაპანის, მისი ხორცი, მისი სისხლი,  
 ბევრი ცრემლით მონაბანი — მატთანე ასე გვიხსნის.  
 ქვები... ქვები ბებერები... მალდა ცა და ძირს მოლია,  
 ხელით ნახად ეფერები ლანდადქვეულ ისტორიას.  
 და... „თვინიერ ქართულისა, არლა!“... გემოდღვრავს მეფე ჩვენი,  
 თუმცა მძიმე წარსულისა — სიამაყე დღემდე გვშვენის.  
 ხავსი ათბობს მთვლემარ წამებს, ტანზე იცვამს ქარს მოცხარი,  
 „შენც განამეს, მეც მანამეს, დღემდე მაინც ვართ ცოცხალი“.  
 შორს გეზელი მიფარფატებს, ხელისგულზე სძინავთ ზვინებს,  
 თუ თვალზე მიგახატეს ეს საზღაპრო სინამდვილე:  
 ფერდი! — სარკიათის ფერდი, თავზე ამილახვარია,  
 შენ რომ წერდი — „აქ ყოველთვის სხვა დღეა და სხვა ღამეა“.  
 ამოცნობას უპირებენ — ათი სარკის ძალა ჰპოეს,  
 ამ მინდორთან უპირობო სიყვარული გაახლოებს.  
 გინდა, ჩირგვებს ჩაეკონო, ცრემლი ითხოვს მოღვარღვარე,  
 რომ მიდინარ, არ ეგონოთ — დღეს ნახვალ და მოხვალ ხვალე.  
 გული წამოინატრულე ქარში გამლილ თხმელიანებს,  
 სათითაოდ ინახულებ, როგორც ძმებს და შენაინებს.  
 გილიმიან გორებიდან ჩინარები — შორი დები,  
 ჩუმად ეამბორები და ხელს გაიშვერ მორიდებით.  
 ვარდის ტოტზე დაცურდება ცვარი — შუქის მასპინძელი,

ეს წუთები თვალს უხდება — ამხელს თვალი, რაც იგრძენი.  
 ხარობს ახლა მზის ამოსვლით, ახო-ახო ხმელი ჩალაც,  
 ნისლის მჩატე პირსახოცით სერმა სახე შეიმშრალა.  
 შორს ლივლივებს ხანისწყალი თუ „ლეკური“ მიმოხრილი,  
 ნაპირ-ნაპირ ნასიცხარი ბორცვებია მიმოყრილი.  
 თვალწინ — შენი ნაბლილე, ნაკარები ოქროპირის,  
 ნანვიმარზე ნაიმღერებს შქერით სხეულმოლობილი.  
 მზერას ხიბლავს ნაისლარის თავზე ბიქინეთის ჩრდილი,  
 ცხრა თოფის და ცხრა ისარის გასროლაზე მხარგაშლილი.  
 გადაყურებ ქარაფიდან შეთვალეზულ ზვარს და ყანას,  
 კოდისწყაროს ჩააფრინდა ქორი ცაში ნასაყვანად.  
 „მიაქროლებს გოგო ულას“ — ნისლი გაძღვეს ამის ნებას,  
 თვლემს მთებს შორის გოგოულა, ქარი ცდილობს გაღვიძებას.  
 ეს ამხელა მწვანე ველი, ზედ რო ხათრად აბიჯებენ,  
 „ციდან ჩამოგზავნილ წერილს“, რო ჩამოჰგავს — დაგიჯერე.  
 გოგოულას მალდაც ტყეა, ხევით ორად გაყოფილი,  
 პირ-სახეზე გახატია, რო ხარ მზერით კმაყოფილი.  
 გაგონდება მომცრო ბიჭი, ხელში ნაბლის ხოპიათი —  
 ჩაიყენა თვალში იჭვი გოგომ — მარწყვი რო მიართვი.  
 იყო მართლა თვალხატულა — ლექსშიც დღემდე ისმის ქება,  
 დაიტოვა ნაკადულმა იმის გადაკისკისება.  
 შენს საყვარელ სერზე დგახარ — სივრცე მართლა ამას ჰქვია,  
 დიშმა თავად დაგინახა, როხმა თავბრუ დაგახვია.  
 ლიფნარი და სარეცხელა თავად გამოება ჭალას,  
 ახლა შინ და გარეთ ცხელა — ქარმა დროზე ფრთა გაშალა.  
 თვლემს წარსულში დედულეთი, შემკობილი მზე და მთვარით,  
 გახსენებაც, მე თუ მეტყვი, მადლობაა ერთდაგვარი.  
 ფიქრშიც უნდა მოიმწყემსო — როხის ვალი ახლაც გაძევს —  
 შენში ებანოიძეს ხომ, უდგას მხარში ვაშაყმაძე.  
 გახსენდება საბალახო — მინდვრის ელმად დაცურება —  
 „წლები უნდა გადავლახოთ ბავშვობაში ნასულეზმა“.  
 მზერა ნამით მომბალია — ღანდიც გვაფრთხობს მეველესი,  
 თვალწინ ბერნაობალია, ჩვენი ყრმობის ევერესტი.  
 ჩიფჩიფს ძლივს რო გაგაგონებს, მზემ რო ზონარს მიამგვანა  
 (რა თქმა უნდა, ახლა თორემ, მაშინ იყო ნიაგარა):  
 ორი დროით დანახული, ზოგჯერ თავზე მეტი ხდება  
 და ფლატეზე ნაკადული თმებით გადაეკიდება.  
 ჰგავდა ჩრდილი გოგოს მანდილს, მზემ რო მზერა გამობინდა,  
 რო გვწყუროდა — ნოყოს ვსვამდით ხრამში ჩამდგარ ჭაობიდან.  
 გახსენდება, რო ვმღეროდით — „ჰიტლერი და შოშიაო“,  
 ჩამოუტყდათ მუხის ტოტი — „შექმენ ფულუროშიაო“.  
 იდგა დიდი ომის წლები, სისხლის საშინელი ლელო,  
 თვალზე ახლაც მოიმცვრევი, გულის ცრემლო მაშინდელი.  
 მთელი ხუთი წელიწადი — ჭინჭარი და ნათხის წვენი,  
 ტყემლი და ხმელი მჭადი — სარჩო იყო მაშინ ჩვენი.  
 აჰა, შენი ურქო ძროხა, უშობელი — ნინნასული,  
 „წვიმამ გული მოიოხა, აუვარდა მინას სუნი“.  
 ხეებს შეფარებულები ხრამის ხმაურს ვაყურადებთ —  
 „ახლაც გვერდში მეგულები, მამხნევე და მაგულადებ“.  
 მთებზე ნისლმა მოიმატა, გვიან შუქიც გამოიცრა —  
 „ცისარტყელა მომიხატავს დობილოს და ნაფოიცარს“.  
 თოხოურზე — კვალი თოხის, ნაისლარზე — ისლის კვალი,  
 „წუთისოფლის ვალის მოხდით — რას ვისტუმრებთ,  
 ის მითხარით?“ —  
 რეფრენივით ტოვებ კითხვას, გზას აგრძელებ შენი ნებით,  
 ველიმები ჩემს თავს დიდხანს, შენ რო შენს თავს ელიმები.  
 მზერით გულზე გადაწერე ფშანები და ჭორომები,  
 აფხანაურს გაგახსენებს ძელქვის მწვანე კორომები.  
 რა შხვართალა ტანებია, რტოებია რა შრიალა —  
 თვალში დაგივანებია, თავის მწვანე თავშლიანა.  
 როკითამდე დიდველიდან მზერას ნამი დაგისველებს,  
 ცოტას მაინც გიშველიდა, იმდენ რამეს გაიხსენებ:  
 რა სცოდნია მოლისფერად ღინღლს სახეზე ამოწვერილს —  
 ველარც სკამზე მოისვენებ, ველარც ტახტზე წამოწვები.

რამ ჩააცხროს ჟრუანტელი, ვინ ჩურჩულებს — „მო, აქ ვარო“ —  
 თუ ეს საქმე დროა ხელის აჩქარებამ მოაგვაროს.  
 ჩქამზე თვალი გააშტერე — გმართებს მალვით ხეტიალი,  
 რაც რომ სახლში არ გაჩერებს, თავბრუა და რეტი არის.  
 ძაღლების ხმას ერიდები, მიხვალ, ყელში გჩრია გული —  
 გირჩენია შორი გზებით და შემოვლით სიარული.  
 წყლის ნისქელი... იქვე — შუკა... ძილგამტყდარი მასპინძელი...  
 დიდი ლეღვი სახლის უკან — თავი კაცად აქ იგრძენი.  
 ჭიშკარს ისე ეტანები — ოდნავადაც არ ჭრიალებს,  
 მაშინდელი ნეტარება, ტანში ახლაც გაჟრიალებს.  
 ბანგავს სუნთქვას ვარდის სუნით მოშრიალე კაბის კალთა,  
 ამხელს თვალი ჩანისლული — „შენი მოსვლა გამიხარდა“.  
 ხელს ცახცახით შეაპარებ — აღარ ვამბობ სად და რატომ? —  
 ის უფსკრული შია თვალსა, ის მინდორი საბალახო.  
 სუნთქვა სუნთქვას ეთავსება, ეჭარბება მაჯას გული —  
 ხდები მერე ერთარება — ენების თასით გათასმული.  
 ავალა რიტმულ ქოშინს, კვნესაც მჩატედ ანანილოს,  
 ხარ შესული სა(მ)შობლოში და გამოსვლას აღარ ცდილობ,  
 ამ დროს მკერდი... ამ დროს სახე... ამ დროს თეძო და განცდები...  
 „თავს წარსულში ჩავისახლებ და ხელახლა დაეკაცები“.  
 თვალთ ტყე-ტყე დაცურდება, სხივი კურცხალს ააგორებს,  
 ახლოდანაც დასტურდება, შორიდან რო გამავგონე:  
 „აჯამეთი ზღაპარია, ოცნებას რო გვიადვილებს“;  
 უღრუბლო ცა აფარია ამ საქვეყნო სინამდვილეს.  
 კვირტი, კვირტი, მარტის კვირტი, ხიდან ხეზე მიაქვს ნიავს,  
 ეს თვე ბებერ დედამინის სიყმაწვილედ მიგაჩნია.  
 ყვავილები ხალიჩებად ნაპირ-ნაპირ აფენია —  
 შორიდანვე გაირჩევა — მწუხრია თუ გამთენია.  
 მიუყვები ტყე-ტყე ბილიკს — დაგანია გულმა ნება —  
 გინდა გაუსინჯო კბილი მარადილ მდუმარებას.  
 რა უეცრად წამოფრინდა, ქორია თუ ძერა არის:  
 „ეს ცხოვრება“ — ბევრჯერ ითქვა — „ცრემლიანი მღერა არის“.  
 ცრემლიანი თვალის იქით — ატმის ყვავილების ზნედა —  
 „მაინც ვხედავ ვარდის გვირგვინს, ვარდის ქალას მაინც ვხედავ“.  
 მზერა გემზეც შეყოვნდება — ერთი... ორი... სულ რამდენი?!  
 დღევანდელი გეგონება მაშინდელი სურათები.  
 საუაჭრო და სამდინარო — ანტიკური გზა და ხიდი,  
 რამდი მიდის, ხედავ, თვალო?! — მიდის... თანაც, რამდი მიდის?!  
 მზე თანდათან წამოიწევს და წითელხევეს მოადგება,  
 შაშვი კვნესას წამოიწყებს — გული ითხოვს ყურადღებას.  
 შაშვი არის ბარიტონი — ბულბული რო ტენორია,  
 ამხელს მგლოვიარე ტონი სოფლის ტკივილს — მემორიალს.  
 წითელხევი სახელია ძველი სადემეტრასი,  
 ისევე ნისლი აფენია, ახლა ტენ რო ფერდს ამოცდი.  
 დაეწევა „ლალე“ სმენას, ცხადში — არა! — ოცნებაში!  
 გადამდები ჰანგის ენა გაგახსენებს ფოცხვერაშვილს.  
 ფეხით ამოიშელმართე, მინდორ-მინდორ თბება თვალი,  
 თავს უტყდები: — „ისევე გმართებს, მიდიხარ და გრჩება ვალი“.  
 ატმები და ალუჩები ისე ხათრად მიგაცილებს,  
 რო საეჭვოდ გაყურდება ქარის ცელქი სიყმაწვილეს.  
 გული ჩუმიად ეფერება — რავი... რას და რატო, რავი?!.  
 ფანტაზიით შენფერებმა უნდა გაიბრიყვონ თავი.  
 უნებურად წამოგცდება — „შესხენება რალად მიწა“  
 და ჩემს მჩატე დამონებებს გამოიხმობ ქარაგმიდან.  
 სანიას ნიავს უქებ — ჟრუოლა ბანგავს ბებერ წნორებს,  
 ეჭვი, სიჭაბუკე, რამდენ რამეს მოგაგონებს.  
 მზე თოხისტარს გადაშორდა, ტანი ჩრდილებს მიაწება,  
 არ იფიქრონ, არ გახსოვდეს შუბნის გამოხმინება:  
 სერზე, როგორც ჩველი ბავშვი, თვლემს სალხინოს ეკლესია,  
 არცრო შეგემლება სხვაში — ძირს ბიბინა ბელესია;  
 და ბელესზე კოპიტების მობნეული არის ჩეროც —  
 ხელს აღმართავ მორიდებით — გსურს, პირჯვარი გადინერო.  
 გაორნდება ოჩნილელე — რიგითა და წესით ვყვები, —  
 ფერსათს უკვე მოვრჩით, მერე — რომელს გამოეცხვები.  
 რამდენ რამეს აღმოაჩენს მზერა, როა შემაჭრული —  
 საიმედოს გამოაჩენს სოკოები ჭრელაჭრულა.

ვერ უხერხებ ამორჩევას — ნაირ-ნაირ ხალიანებს —  
 რამე მაინც გამოგრჩება და თვალს დაივალანებს.  
 აირჩევ და ვერ ყიდულობ — ხელი მორცხვად დამოკდება —  
 ვის, ვის უნდა ედიდგულო, ეს ხომ ფასის გამო ხდება.  
 სხვაა ბაზრის ასპარეზი, თანაც შობა-ახალი წლის,  
 რო გესმოდა — აღარ გესმის, რო იცოდი — აღარ იცი.  
 ტყიდან ტურა დაიკვივებს — ესეც არის მისი ნება,  
 ოლონდ იმას გაიკვირვებ — ჰანგით რო ისმინება.  
 მოტრფივალე გაუხდები ზვარს და ყანას ამისთანას,  
 ქარმა სუნთქვა ნაგუთნების ენერამდე აიტანა.  
 ამხელს ენერს მარნის სუნი, წამლერებას გული ცდილობს —  
 ბევრი, ბევრი დანიშნული ეზადება საქორწინოდ.  
 გადამორდა დიმი მიჯნებს, აღის ზეგნის სერებამდე;  
 „ჯერ სტრიქონი გამისინჯეს — სოფლის ქება მერე მანდეს“.  
 ემჩატება ნისლი ნიავს, დღეა დიდი, ღამე — ჩია,  
 შენ და ჯანსულ ღვინჯილიას, ვიცი, დიმი თავს გერჩიათ.  
 გზა მაყვლებით აიბარდა, ჩაიბურა ანწლისლელეც,  
 თენებოურს აიარ და ობჩას გაიმასპინძლებ.  
 ლალიძეთა, კახიძეთა — დააქვს მზერას ის აქამდე —  
 სიმღერა რომ გვადვილებდა — პირჯვარს გადავისახავდით.  
 ერთ-ორ სტრიქონს, შენი ნებით, ცოტა შეცვლილს ვახმაურებ  
 და ხელახლა გავაგონებ ჩვენი დროის აქაურებს:  
 „ობჩაშია ბურჯანაძე, სვირში არის ჯუღელიო,  
 გოგოები მეხვეწება — „ხარს დაადგი უღელიო“.  
 ქარაგმას რო მოთარგმნიან — ქვეტექსტები არ ეშლებათ —  
 გაზაფხულის მომთბარ ნიავს საღერლელი აეშლება.  
 თუმცა მაინც წარსულს მღერის, ანმყოს ნირი შეუცვლია:  
 „რალად უნდა ხარს უღელი — ხენა თუ აღარ შეუძლია“.  
 ფანტაზიის ნაყოფია, ცხოვრებას რო გვიადვილებს,  
 და... საჭირო გაყო კია — ზღაპარი და სინამდვილე.  
 „სხივმა სხივი გაიარა“ — ღამაზ ქალზე წამოსცდებათ,  
 ლექსმა „სახე“ აღიარა და თვალბემა — გაოცება.  
 კუპროული ლოკონია, მართლა ღელე არ ეგონოთ,  
 „გოგო, გოგო, გოგონია, გულში უნდა ჩაგეკონო“.  
 სილამაზე ჩაძინებულ გულუხვობას შეაღვიძებს  
 და ფერდობზე დაკიდებულ გზაზე შეღმა შეაბიჯებ.  
 ნაბდისხელა ყანა მოჩანს, იქ რა ბოლავა?! — ბუხარია!  
 მწვანე ყანა მარტო ობჩას?! — მთელ სამყაროს უხარია!  
 „თესე!“ — საგამოზაფხულო ჰანგი გუგულს ევალება,  
 „მარტში სიზმარს რო ვნახულობ, ჩემი თავი მენანება —  
 მეჩვენება, ველარ ვასწრებ, ველარ მივდე კვალში ალოს,  
 თითო ყანა ქვეყანაზე ყველამ უნდა ვაშრიალოთ“.  
 საბუკია ქედმაღალობს, სოფელს მთიდან გადმოჰყურებს,  
 გული ამბობს: „შე მალალო, სასხვენე და საქონგურევე,  
 გვირგვინით ვის მიათმევე, ამ სოფელს რო ფერი შეენის“,  
 მინდორ-მინდორ ნისლია თუ გოგო მოდის ფეხშიშველი.  
 „შემოგოვდიც“ გაიგონე — სმენა მზერას დაადვილებს,  
 გზა-გორგალი გაიგორე, თავი გადაიადგილე:  
 ჩალხეეთი! — სახლი სამი! შუშის სამი ფანჩატური!  
 თუ სიზმარი ზამთრის ღამის, უფლის ნებით დახატული.  
 წყალგამყოფი ქედის იქით, რო თვლემს წყალაფორეთია,  
 „გადაშლილი მთების წიგნი, მსურდა ჩოქვით მომერთმია“  
 მეც ვინსენებ იმის ღიმილს, აწეული წარბის ჩეროს,  
 ჩვენს წინ ახლა ტყეა ხშირი — უნდა მთვარემ გზა გვიჩვენოს.  
 მივალთ, მკრთალი ათინათი ეფინება დამფრთხალ სერებს,  
 შიშნეული ხასიათის გამო ხშირად თავს გახსენებ.  
 თოვლის მჩატე უფერობას ალაგ-ალაგ ისევე სძინავს,  
 მოლს სისხამზე უპეს მოჰბანს ნაკადული ჰანანინა.  
 დააქვს ტანი დამფრთხალ შველის, კურცხალ-კურცხალ  
 მარაგდება,  
 საკრალულას მართლა შვენის ყელის ნაზად გადაგდება.  
 უხარია თვალს გირჩები — ნაძვის მწვანე მეჭყეჭები,  
 დღე ღამისგან გამოირჩა — აღარ იშვერ ხელს ცეცებით.  
 გვარიანად აჯაგრული ტვერი მზერით გამოხშირე

და თანდათან ჩადგა გული — ახლა აქეთ გამოშვინებს. მინდორს მარტი მარტო ფერავს, იწყებს მღერას ფერში მთები, „ყვავილების სახრჩობელას ყელით ჩამოვკვიდები“.

აჰა, ჩრდილი მზიანი და, ავდრიანი — აჰა, დარი, სუროს შაშვი შეაფრინდა, გაახილა დილამ თვალი, გაღმა არის ხუზიარი — ვრცელი ჭალის მქონებელი, საკუთარი თუ ზიარი თვალის მომაფრთხელებელი.

აილანდა ზეგნის სერიც, ცოტა ჯანლი მორევია, რო ბუტბუტებს ჩანგის ენით, დოგრაშვილის მორევია. ბოდოკიას თხილებს არხებს ქარმოშინი უსხეულო „ჩემი ლექსი იმას ამხელს, რასაც თვალი უმზერს, გულო.“

რასაც გული უმზერს თვალო — შეიძლება ასეც ითქვას („სიტყვა იგი იყო ღმერთი...“) — რა არ შეუძლია სიტყვას. ლექსიჭალა! — მოლი ჩია, ძველი გზა და ნასოფლარი, სერს გადაღმა კორიშია, გურთაც იქვე ახლოს არი.

გოგობოსელს გამოარჩევ, უფლის სანთელს?! — რა თქმა უნდა! გულისტკივილს ცა მოარჩენს თუ საეჭვოდ ახმაურდა. მთები! — უცხო ფერებით და სახელებით რჩეულები, ხეობების ხველებიდან თვლემას გადაჩვეულები.

ნიაქობენ ლელები — დაფანტული წინილები, „და ფიქრებში ნაწილ-ნაწილ უნებურად ვიძირები“.

ეპარება ნებიერეთს, მთვარეც ხათრად ეპარება, წიფას გაანებიერებს მარტის გამოტყემალება. და გორგოძე კობოძესთან დანწყვილებას ვიადვილებს, „ჭურში დევი ხორხოცებს და“... — სიზმარი ცვლის სინამდვილეს.

ამინებდა ამ გვარებით „მოყოლილებს“ დედაჩემი — ბევრი რამე ამგვარები ზიარია მე და შენი: ცხრა ხრეში და ცხრა ტომარი, ცხრა კოდი და ცხრა ნაცარი, იქვე — კაკლოურობა და ნახშირი და დანაც არის.

დულდა წყალი ცხრა წყაროსი, წყალი დულდა ქვაბსა შინა — ბევრი, ბევრი ტარტაროზი ამ მდულარემ დააშინა. როცა ქვაბში ჩაიხედეს, შეეფეთა წავი თვალეებს, „წადით მალე თქვენ დედასთან, თქვენ მამასთან წადით მალე“.

სიცხესა და ბურანს გბრძვი, გარეთ ამ დროს წივის ქარი, გადადნობილ ტყვიას ვერძის ფორმას აძლევს ცივი წყალი. სმენას ჩქამი მოეკიდა, მზერას — ფოთლის ჩუქურთმები და სიზმრების მოედინდა სინამდვილეს უბრუნდები:

ჩირგვში ჭრელი ჩიტი კენესის, სევდის გამოხატვას ცდილობს, შეინახავს შენი ლექსი იმის ხმას და იმის კილოს. ფოთოლ-ფოთოლ შეგახსენებს თავს ნიავი — რომ არსებობს და ცერებზე შემდგარ სერებს გინდა ისევ მოახსენო: „მივიღვარ და თქვენი ტრფობა ნაბიჯ-ნაბიჯ მიმაცლავს, თქვენთან რჩება ჩემი ყრმობა, ბავშვობაც და სიყმაწვილც“... სიბერეში შეიჯამა ამ სამივემ თავი ნებით, ქედებს ნისლის შვენის კაბა, ველებს — მინდვრის ყვავილები, ეჭარბებათ ხარისთვალეებს უპე-უპე ლილა ფერი, „მწვანე ბევრი დავითვალე, თეთრს — აქა-იქ მივაგენი“, გადამდები მორიდებით გზა-გზა ლანდად დაეშვები, მიგაცლივს კობიტები, ჯუჯა ხელისფარეშებით.

საჭილის ხიდის ახლოს (გადავარცხნის ქარი ტინებს), ერთი მეგობარი სახლობს — შეველას გაითვალისწინებ. ქარი კიკნაველეთური, ორი ზეგნის გაზრდილია, ელეთურით, მელეთურით ჩამოაღწევს „ბრაზილიას“.

ბალაგანით ნაიგრძელებს ტანს და ხრამებს ახმაურებს, ააკვნებს ჩალიდურებს, ამ არქაულ სალამურებს. ჩიჩხოურას მორევს ყრუოლას, გადაადებს მჩატე ხელით და თოდაძის ბეკზე ბჟოლას ეჩვენება ქარტეხილად.

ნიავების მეკავშირე, იგრძნობს ბოლოს შებერებას, სალამს მისცემს ჭრელაშვილებს და ზედა დიშს ეფერება. ხვნემა-ხვნეშით გამოიქცა, შუკა-შუკა წალიკდება, რო მოიარს ნაფოიცარს, მერე მართლა ღარიბდება.

ასავსავებს აჰა, ხელებს, რალა დარჩა — ზომე თვალით, დობილომდეც ჩავა, მერე — აღარ გინდა კომენტარი. არც უქაროდ არ ეგების — არემარეს ქარით იგრძნობ,



მხატვარი ცირა პაპინაშვილი

ნიავეს ფეხქვეშ გაეგები, რომ ხელახლა გაიღვიძოს. პეპელას ფრთა გამოისხა ფოთოლმა და ცახცახს იწყებს, თავზე ხელებს ჩამოისვამ და თმებს შუბლზე ჩამოინევ. მონატრებულ მზერით მწყემსავ ცაში წასულ მალალ სერებს და იხსენებ — რა გითხრეს და — თავად შენ რა გადანერე. ციდან ნისლი ჩამოცურდა საირმის მთის დანახვაზე — დამხვდურთა და ჩამოსულთა ხორხოცი რომ ალამაზებს. ტყეში მცირე ქალაქია, თუ სამოთხის თავფურცელი — ხელის გულზე ალაგია — ბიჭი ხარ და გაუძელი. ცოდვაც კარზე მომდგარია, აღმა-დაღმა ხეტიალით, თვალი თვალით მომთბარია, ცრემლი ცრემლზე მეტი არის. საირმეში სიარული იმედია ათასების, ახსენებენ სიყვარულით, ღირსებით და დაფასებით. ერთი თვალით — ავანსცენა, ანდა — ერდო თალიანი, უნებურად გაგახსენა — ბინაც ერთოთახიანი. ტოკავს კლდეზე ნაძვი ცალი, თუ ანძა ძველისძველი — ნათავისარ-ნასხვისარი ხმები მართლა შეიგრძენი. გზა-გზა მინდვრებს — ტყის სარჩულებს, გასდევს ფუტკრის ქალაქები, ბაგე დუმილს ინარჩუნებს — ფიქრში ელაპარაკები, მეთერთმეტე, მეთერთმეტე... მზე — ცაში და ტყეში — გრილო, გაჩენიდან ჩაგიკეტეს კარი თავთან სამარტვილოდ. „წნორს ფერდობზე დგომა შვენის“ — სურათს მზერით ეწირები — „წაღებიდან ამოშვერილ თითებს უგავს ხეს ძირები“.

„ფსევლრმაჰყო“ — გვმოძღვრავს დიდი კაცი — „რტონი უჩინაო“ ბილიკ-ბილიკ ლანდი მიდის და საკუთარ გულში დაობს. ჩალრმავებრი როცა შენში — ლექსშიც ჩალრმავების დროა: „რტო — ჰაერში არის ფესვი და მინაში ფესვი — რტოა“.

ასე, წაღმა-უკუღმიდან ფხას ვერსინჯავთ სინამდვილეს და არ ვიცით, წუთისოფელს ვირთულებთ თუ ვიადვილებთ. ფერმა ფერი გაიმეტა, ბგერა ბგერის სტუმარია, აქეთ რჩება საირმე და იქით — აბასთუმანია. და მათ შორის აღმართული ქედებია საბალახო, გვედრება ახლა გული — „ერთხელ კიდევ გადავლახოთ, რკინის ჯვარი, ბრტყელი ქვები, ურემა და დიდმაღალი“, სხვა — არავინ! — შენ იქნები! — კოცონთან რო ზიხარ ღამით; გაფრთხობს ჩქამი უნდობარი, ხმა ჩამცხრალი ნაკადულის, ველურობა ბუნდოვანი, თავისთავში ჩაკარგული,

თავისთავში ჩაძირული უღრანები ზამთარს ელის,  
 შიმშილისგან განწირული აყმუვლებს სადღაც მგელი.  
 ხუთზე მეტი ათეული წლების მერე მახსენდება —  
 დახვალ მართლა მთვარეული — თან შრები და თან სველები.  
 სივრცე არის ბაიყუმი, თუ სიცოცხლემ ხმა გაკმინდა,  
 ჩაიკეტა კარი გულში — არაფერი აღარ გინდა.  
 ჩირგვი, წითლად მობარბარე, მზერას ტკივილს მიაყენებს —  
 გაგონდება, მოკანკალემ — ქარს ლეკვეტი მიახველე.  
 დაცხინი ღამეც გახსოვს, განა ერთი ანდა ოცი,  
 და ძლივს მობრუნებულ სასო-ლანდს მორჩილად გადაკოცნი.  
 უამი, უამი კლინიკური — თვლემა ფეხზე პალატების,  
 დამფრთხალი და ირიბული მზერა ქარბად ანანთები.  
 კარმელს შუშა გაუტყავს, ასათიანს — თერმომეტრი,  
 „ვინ დამძრახოს, ჰაი დედა — ჩავიდინო მე რომ მეტი“.  
 დილის ათი საათია. შუქი ცვრიან მინდორს მოჰყვავს.  
 უძილარი გაათია ღამე პავლე ინგოროყვამ.  
 კედელ-კედელ ღამის თოში, სარკმელ-სარკმელ ჭირხლი დილის,  
 ამ გაყურსულ გარემოში თვლემს რამდენი ქარტყელი.  
 ლექსს უკითხავ ლებანიძეს, ლექსს უკითხავ აბულაშვილს —  
 ძველ ტკივილებს შეადიძებ, სამყაროში საკუთარში.  
 ქავთარაძე თამუნას, ანდა ციცო ზვიადაძეს,  
 თვალწინ ბევრჯერ ჩაუვლიათ, ცრემლით გამბალ ნიდაგზე.  
 სხვებიც, სხვებიც გიდგას თვალში, გახსოვს ბევრის

გვარ-სახელიც —

მოყოლილი იმ წარღვნაში, დღეს ლოცვაში გასამხელი.  
 ხუდადოვის „დაჭრილ დათვებს“, ზაფხულობით აქ ეძინათ,  
 სიზმარში რო გითხრეს — „გაძლებ“ — ცხადში მწარედ გაგეცინა.  
 ილამბება ამ სიცილის ირონიულ ათინათით,  
 ოცხესა და ყანობილის საზიარო განთიადი.  
 სენი, სენი გადამდები, პირის მორიდებას ითხოვს,  
 და ქმნის თეთრი ხალათები ცოტა შიშს და ცოტა სითბოს.  
 მკერდის ხიხინს აყურადებ, პერანგს სიმწრის ნამავს ხვითქი,  
 თავს შიგნიდან აგულადებ, გარედან რო მაჯას ითვლი.  
 რწმენამ ძალა შეიძინა — შუქმა გადანონა ჩრდილი —  
 რწმენამ არჩილ მხეიძის და თომა იაკოფაშვილის.  
 მაინც გესმის შინაურთა: — „მძიმე ტვირთი არა ზიდო!“,  
 ხელში მოგიშინაურდა „ზეკარი“ და „არაზინდო“  
 ცრემლი! — ცრემლის ღალა თვალებს! —

სადაც ცრემლი აგეთია —

ბავშვობიდან დაატარებ „ჰიპოკრატეს ტრაგედიას“ ...  
 ხეობიდან ხეობაში მთები გადაგიყოლიებს,  
 „აგერ ჩიტიც, მე რო მაშინ თვალში დიდხანს ვიყოლიე“.  
 თითქოს მანაც გაგიხსენა, ქსოვს ჭიკჭიკით მისტერიას —  
 ეს ცხოვრება არის სცენა და მაღლიდან გვიცქერიან.  
 მაღლა, ძერას — ამბორები! — ჩრდილი ქუდად გახურია  
 და თვალები ამ გორების და ჭაღების მსახურია.  
 ხმა ფლეიტას ესესება, ანდა — პირიქითაც მესმის —  
 არწივს, არწივს — ესეც ხდება — დააყურებს შენი ლექსი,  
 „ლანდი, ლანდი სხივზე მიდის, ჩრდილებს მალე მზე მოწვდება“ —  
 გადამდებად მიამიტი, ორეულიც გემონდება.  
 ბავშვობა და სიყმანვილე, კაცობა და ბერკაცობა,  
 ცოტა-ცოტა გენაცნობა და ცოტა-ცოტა ვერ გენაცნობა,  
 პირჯვარს მაინც მოისახავ, იმნაირი შნო აქვს სერებს,  
 აგერ წყაროც, რომლის სახელს თავთან ჩუმად თუ ახსენებ:  
 გარეშემო — ხავსი ბნელი და შუაში — პირი ღია,  
 „ეჰ, რამდენი, ეჰ, რამდენი მისგან სიტკობო მიმიღია“.  
 კაკასხილში წამოგცდება და ზეკარში დაასრულებ:  
 „როა ხანი საოცრება — ელაობაც ადასტურებს“.  
 გასართობად სად ეცალა — დგება, როცა მთვარე ჩადის,  
 ხანელს დღესაც მატებს ძალას ლანდი ვანო ტაბეშაძის.  
 თავს იწონებს, რა თქმა უნდა — გულგოროზიც მიტო არის —  
 ღირსებაა აქაურთა მითიური რიტუალი.  
 „სოფლის ჩარჩოს“ დაამძიმებს — „მცირე სახელმწიფო?!“

— მესმის!

ბიჭი ხარ და დაამცირე მისი კანონი და წესი.  
 საარტახე სერი — წარბი, შუბლი — ვაკე ტყელოვანის,  
 თავზე — ნისლი — დირიჟაბლი, დახატული ხელოვანის.  
 თიბათვეში სტუმრებს ელის, მოსალოცად ამოსულებს,  
 შეეხები კაცი ხელით გამომხმობილ ამო-სულებს.  
 გიმასპინძლებს ვარდუკეთის ღვინით, ცოტა მომჟავოთი  
 (ვარდის მაინც აქვს ბუკეტი) — ხარს დაკლავს და

ლორს ჩამოთლის.

ხარი, ხარი, ხარ-ირემი, შეწირული მისი ნებით —  
 ფანტაზიავ, არ ილევინ — ახლაც ტყისკენ იმზირები.  
 მოდიოდა... აღარ მოდის... გზა ავად მონისლული,  
 თვლემს მინდორში ახლაც ლოდი — ნიში, ციდან მონიშნული.  
 ღარიბდება მთვარიანი — რიდი ჩაგრავს ალიონის,  
 ახლო ხანისწყალი არის, შორს — ყვირილა და რიონი.  
 ლაშურა და ნაბლისწყალი, ხმამაღალი ზღაპარია,  
 ცა ლივლივა, ცა ცინცხალი თავზე მჩატედ აფარიათ.  
 ლუხუტა და კორისწყალი, ლიპის მერე — ჩია ფლატე,  
 ღანვი ცრემლით მოირწყავი და ორივეს მიამატე.  
 ბანურა და ჯამისწყალი, უსახელოც ჰპოვე დღე,  
 ნათვლემილი წაისწარი და სამივეს მოეფერე.  
 აიმგზავრებს ყანჩა თვალებს, ან რო რამე მოლანდება —  
 დღეს თუ არა, ალბათ ხვალე, საგზლად რო გამოგვადგება.  
 ვინ რა იცის, რა მიგვყვება, ამოცნობას მაინც ღამობ,  
 გვეპატიოს გაბრიყვებაც ორჭოფული ფიქრის გამო.  
 ფოთოლს ქარი აიტაცებს და ნიავსაც გული უცემს  
 და წუხს წიგნი მაგიდაზე, ბოლო დღეს რომ გადაფურცლე.  
 თავს იწონებს სველი თავშლით ცა და აფრთხობს ღია ტბორებს  
 და წუხს თოხი სვრელის თავში, ბოლო დღეს რომ მიატოვე.  
 ამოვარდნას გული ცდილობს, როცა ელად ნერვს აჩერებს  
 და წუხს ლექსი, გუშინწინ რომ დაიწყე და ვერ დაწერე.  
 ეს დღე თავად მიგიმსგავსებს, მზერაში რო მზე ბანცალებს,  
 და წუხს თასი ღვინით საფეც — ბოლო დღეს რომ ვერ დაცალე.  
 შეიწყვიტა დილამ ღილი — ცვრიან ვარდებს მწყემსავს თვალში,  
 და წუხს ვაზი რქა-ნაყარი — გუშინწინ რო ვერ გასხალი.  
 დღეს პირ-სახე შეებურა, მზერა მაინც ათბობს ჭალებს,  
 და წუხს ბადე, ძველებურად მორევში რომ ვერ გამალე.  
 სინანულით ეტანები ნაადრევად შემქნარ ულოს  
 და წუხს ცხადი, ნეტარებას სიზმარშიც რო ვერ ნახულობ.  
 თვალი, თვალი არ ნადირობს, აღარც ხეტიალი — ხელად  
 და წუხს მუხლი, მარნამდი რო ბილიკს ფეხი ველარ თელავს.  
 ემჩატები ქარს სხეულით, ძარღვს სისხლი რო ვერ ახელებს  
 და წუხს ხელში ნაქცეული ბოძი, მაგრამ ვერ აყენებ.  
 მზერა ეძებს რიბი-რაბოს, დარდს შიგნიდან შეაშრები,  
 და წუხს გული იმის გამო, რო გინდა და ველარ შვები.  
 ტრაგედიაც „ვერა“-შია, ეს ამდენი „ვერა“, „ვერა“ ...  
 შევლა — გედის მღერაშია, ბოლო დღეს რო გვმართებს ყველას.  
 ცრემლიანი გულით მღერის გაფოფრილი ხანისწყალი —  
 საზიარო სადარდელით ერთმანეთი წაისწარით.  
 „ვერას“ მერე, ამიხსენი, — ვის და რაზე ვეხვეწებით,  
 ჩემგან თავი დაიხსენი — მიდიხარ და ვერ გენევი.  
 წყალთაშუა-კორიშიდან, გურთა-ალისმერეთიდან,  
 სიტყვამ გული მოიმშვიდა — ორთავს რო შეგვეხიდა.  
 მაღლა, სამოლოქიდან, კაპან-ძიროთ-ლიანთხიდან,  
 ნიშანი რომ მოგივიდა, უფალს ლოცვა მიართვი და  
 ახლად ალვის კელაპტრებით დაფენილი მოიარე,  
 ახლა ბაღდათს ენატრები — ლექსში გაიმსხმოიარებს.  
 ნერგეთიც მიაქვს თვალებს, ფერდობებით დანახული,  
 მთას რომ ბარი მიეთვალა, გახდა ტექსტი დანალმული.  
 ხელზე გიზის წამიერი, გასაფრენად იხსნის ღილებს,  
 გრძელი მრავალჯამიერი მიდიხარ და მიგაცილებს.

**P.S.**

თითქოს გული მოიჯერე — რო გინდოდა, გამოთქვი და...  
 წყალგალმიდან მოინერე, რა წაილე გამოლმიდან.

მაია ჯალიაშვილი

# პოეტური DÉJÀ VU

„და ყოველივე როგორ ნაზდება, როცა ახლოა მზე შემოდგომის“ (გალაკტიონი). ამ სინაზითა და სევდითაა სავსე ზაალ ებანოიძის ეს ლირიკული პოემა-რეკვიემი „წყალგალმიდან მოინერე“, რომელიც ამხელს ავტორის ყოვლისგამსჭვალავ სურვილს, თავის ლექსებში დარჩეს და ასე გადალახოს მისჯილი მოკვდავობა, წარმავალი მატერიალური დრო-სივრცით შემოსაზღვრული. როგორც ხალხურ ლექსშია: „**ლექსო, ამოგ-თქომ, ოხერო, თორო იქნება ვკვდებოდე და შენ კი ჩემად სახსოვრად სააქაოსა რჩებოდე**“.

რატომ აირჩია პოეტმა ეს გრძლად თქმა? თანაც, შაირით? თანაც, მაღალი შაირით? ეს ხომ თავიდანვე ქმნიდა მონოტონურობის მომაკვდინებელ საფრთხეს? მისი პოეტური გამოცდილება ხომ დასტურია, როგორი დახვეწილი მუსიკალური სმენა აქვს, როგორი მრავალფეროვანია მისი პოეზია სწორედ-დაც რიტმულობის თვალსაზრისით? ალბათ, ამ შემთხვევაში პოეტმა საგანგებოდ მაღალი შაირით, ერთგვარი მასურული ტონალობით გაანონასწორა ლექსის მელანქოლიური ინტონაციები (რეკვიემისთვის დამახასიათებელი), სიცოცხლის გარდაუვალი დასასრულის მწარე შეგრძნებით გამოწვეული.

„თითქოს გული მოიჯერე — რო გინდოდა, გამოთქვი და...“ ლექსი პოემად გადაიქცა, ვერ დაიტია მისმა პირობითმა საზღვრებმა სიცოცხლის მოზეიმე ფერადოვნება, წუთებსა და წამებში ტკბილ მოგონებებად ჩახატული. თუმცა სტრუქტურა მაინც ლექსისა დარჩა:

**მიუყვები ტყე-ტყე ბილიკს — დაგანია გულმა ნება —  
გინდა გაუსინჯო კბილი მარადიულ მდუმარებას.  
რა უეცრად წამოფრინდა, ქორია თუ ძერა არის:  
„ეს ცხოვრება“ — ბევრჯერ ითქვა —  
„ცრემლიანი მღერა არის“.**

პოემის კითხვისას ხელშესახებია ავტორის შეგრძნებანი, ისეთი ფერწერულია ვიზუალური ხატები. მისი პოეტური ტალანტი გარდასულს ცოცხალ მთროლოვარე მფეთქავ სახეებ-ბად აქცევს. ბავშვური გულწრფელობით არის აღქმული ვერცხლისფერი დილები და ჭაობისფერი საღამოები. წვიმაგადავლილი სიხასხასე აქვთ მოშობილი პეიზაჟებს, რომლებსაც ასე გალობრჩეს, ემშვიდობება ეთხოვება, თითქოს არ სურს ვინმე ან რა-ინმე ეამორჩეს, ემშვიდობება ზვრებსა და ყანებს, იებსა და გვირილებს, ხავსმოკიდებულ ციხე-კოშკებს, „ჩაძინებულ ზვინებს“, ერთი სიტყვით, „საზღაპრო სინამდვილეს“, სურს უკანასკნელად ჩაეკონოს „ქარში გაშლილ თხმელიანებს“ და ცრემლები „ვარდის ტოტზე დაცურებულ ცვარს“ შეუერთოს. მართლაც, შეუძლებელია დაივიწყო ბუნების ყოველი ჩქამი თუ გაეღვება, შთაბეჭდილებაში ამგვარი ექსპრესიით აღბეჭდილი: „ნისლის მჩატე პირსახოცით სერმა სახე შეიმშრალა“.

პოემის კითხვისას წარმოსახვაში შემოიჭრება სოფლის პასტორალური სიმყუდროვე, სულს რომ უშფოთველი სიმშვიდით გამსჭვალავს და მკითხველსაც განტვირთავს ქალაქური ყოფის თანმდევნი ამო ხმაურისაგან, მერე გარეთ გაფაციცებულ მზერას სულის სიღრმეებისკენ მიმართავს, სადაც შენახულია ყოველი წამი, სიყვარულითა და სიკეთით აღბეჭდილი:

**გზა-გორგალი გაიგორე, თავი გადაიადგილე:  
ჩალხეთი! — სახლი სამი! შუშის სამი ფანჩატური!  
თუ სიზმარი ზამთრის ღამის, უფლის ნებით დახატული.  
წყალგამყოფი ქედის იქით, რო თვლემს წყალაფორეთია,  
„გადაშლილი მთების წიგნი, მსურდა ჩოქვით მომერთოია“.**

ემოციურია სიტყვებში შეხვედრა ძველ მეგობრებთან: „ხელით ნაზად ეფერები ლანდალქცეულ ისტორიას“. თითქოს მეორდება სამყაროს პირველხილვის მისტერია — პოეტი ხედავს, როგორც ერთ ფსალმუნშია, როგორ ძერნავს ღმერთი თავისი თითებით ვარსკვლავებს.

კინოკადრებით ჩაივლიან სურათები სიყმაწვილისა, სიჭაბუკისა. ყველაფერი იყო: სიყვარული, სიკეთე, მეგობრობა. ცრემლებიცა და მწუხარებაც იყო და ყოველივემ დატოვა თავისი განუმეორებელი კვალი. ხანდახან ფიქრში მეტეორივით შემოიჭრება მწვალბედი პასუხგაუცემელი რიტორიკული კითხვაც:

**ნუთისოფლის ვალის მოხდით — რას ვისტუმრებთ,  
ის მითხარით?  
რეფრენივით ტოვებ კითხვას, გზას აგრძელებ შენი ნებით.**

ასე ნება-ნება, სტრიქონ-სტრიქონ იქსოვება პოეტური წარმოსახვა, ფანტაზიით, სიზმრისეული ხილვებით გაჯერებული, რომელიც მკითხველს ბუნების მფეთქავ რიტმს შეაგრძნობინებს, შაშვის მკენესარე „ბარიტონითა“ და ბულბულის „ტენორით“ სულ სხვა მუსიკას აზიარებს და პოეტივით გაუჩნეს სურვილს: „ხელს აღმართავ მორიდებით — გასურს, პირჯვარი გადინერო“. მართლაც, „არის რალაც უსაზომოდ დამაფიქრველი“ (ანა კალანდაძე) სამყაროს ამ იდუმალ ჩურჩულში, რომელიც ჩაესმის სმენაგაფაქიზებულ პოეტს და ამას სხვა ლექსში ასე გამოხატავს: „ლურჯდება მინდვრები, ფსალმუნობს ქარი“.

წარმოსახვაში დავით კაკაბაძის იმერული პეიზაჟები ცოცხლდება, შთაბეჭდავი ლანდშაფტები, სინათლით გაჟღერებული ფერებით, ტონალური გრადაციებით სავსე. გორაკებზე გაშლილი სათიბები და ყანები ამ პოემამიც სიტყვის ჯადოსნური ძალით წარმოჩნდება:

**ექარბებათ ხარისთვალებს უპე-უპე ლილა ფერი,  
„მწვანე ბევრი დავითვალე, თეთრს — აქა-იქ მივაგენი“,  
გადამდები მორიდებით გზა-გზა ლანდად დაეშვები,  
მიგაცილებს კოპიტები, ჯუჯა ხელისფარეშებით.**

ამ სტრიქონების კითხვისას სულ გაქვს განცდა დეჟავიუსი (déjà vu). თითქოს ეს ყოველივე უკვე ნაგეკითხავს, რადგან როგორც ეკლესიასტეშია: „უძლურია ყოველი სიტყვა, არ ძალუძს კაცს ყოველივეს თქმა; თვალი ხედვით ვერ გაძლება, ყური სმენით ვერ აღივსება. რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება; არაფერია მზის ქვეშ ახალი“. ამ პოემამიც წარმოჩნდება განცდილ-გადატანის გამოთქმის ტრადიციული ქართული პოეზიისთვის დამახასიათებელი გზები, რა თქმა უნდა, ავტორისეული დახვეწილი პოეტური გემოვნებითა და ოსტატობით. პოეტს სურს და ახერხებს კიდევაც მკითხველი აზიაროს დასაკარგავად განწირულ მოგონებებს, რომლებაც მისი ცხოვრება გაალამაზეს და აზრი მიანიჭეს:

**შორს ლივლივებს ხანისწყალი თუ „ლექური“ მიმობრილი,  
ნაპირ-ნაპირ ნასიცხარი ბორცვებია მიმოყრილი.  
თვალნი — შენი ნაბლილე, ნაკარვები ოქროპირის,  
ნანვიმარზე ნაიმღერებს შქერით სხეულმოლობილი.**

კითხვისას ჩნდება შეგრძნება, რომ ეს სტრიქონები არასოდეს დასრულდება, თითქოს დრო იქცევა სიტყვებად, ყოველივე ეს არჩენს საოცარ ნოსტალგიას. იმ ძველი ალბომის თვალთერებას რომ ახლავს, რომელშიც მოჩანან გაფერმკრთალებული, მაგრამ დაუვიწყარი არამინიერი შუქით გასხივოსნებული მშობლიური სახეები, ადამიანები, რომლებიც პოეტთან ერთად მიუყვებოდნენ ნუთისოფლის გზა-ბილიკებს და როგორც მარკ შაგალის ნახატებზე, ამ პოეტურ ნახატშიც ჰაერში იწყებს ლივლივს ყოველივე და სადღაც „სერზე, როგორც ჩვილი ბავშვი, თვლემს სალხინოს ეკლესია“, როგორც ნუგეშისმომგვრელი სახე მარადისობისა.



ნიქოზთას

გულია მძიმე და ვჩერდები... არავინ არ იცის, სადაა იესოს კარავი. კელია ცივი, დეკემბრის ამინდი, უსმინე, ქარი სტვენს, ჭრიალებს ბზა მინდვრის, ცვილი თაფლისა და სანთლების ლაცლაცი, გაცრეცილ ნისლებზე მინა წვეს, ნაცვლად ცის, კლდოვან ზღუდეებზე ისვენებს მზე მკრთალი, მტრისგან წართმეული ასობით ჭექტარი — მინაა ქართული იმ მავთულხლართების გადაღმა, ელავენ ნიქოზის სანთლები. მონმეა სული მონამე რაჟდენის რა ჯდება მოთმენა, რა არის სასჯელი... საღამო, გალობა ჩიტისა ეულის, ბუნება ინიშნავს ყველაფერს გრძნეული...

იმალი

მიუწვდომელი კრთის ივლისის ცაში ცთომილი და დასავლეთის ქარის ფრთებში ტყე გახვეული, ჩუმი ოცნებით მთელ სამყაროს გადაწვდომილი — მზეს ელოდება, უმზურვალესს, კედრის სხეული. ბაღში ვაშლები ჭრიალებენ, კალია დახტის, მთელი ზაფხული ჭრიჭინები გაბმით კენესიან, უზენაესი სულ უბრალოს საოცარს გახდის, სულში აგვიგებს ყველა ჩვენგანს მშვიდ ეკლესიას.

\* \* \* გზები წარსულისა ჭრელი გორგალია, ყოფის სიმშვიდეს რომ მიქსოვს რუდუნებით, ფალიაშვილების სახლში ორლანია, ისევ განცდით უკრავს, ხტიან გუგულები. ძველი საათის ხმა მშვიდი მინორია, თვლემენ აქლემები მწვანე ბაზრის თავში და, ყველაფრის მცოდნე, მალავს ირონიას ტალღა რიონისა, ჩუმად მოთამაშე...

\* \* \* კაცი კვდება და სიტყვა არ კვდება, ქვეყანას რამე როდი აკლდება, აკლდამებიდან ვილაც ამოდის, ცაში ადის და ცამდე მალდება,

დოდო ჭუმბურიძე — ცნობილი პოეტი, რომელსაც არ სურს იყოს ცნობილი იმაზე მეტად, ვიდრე თვითონ წარმოუდგენია.

იშვიათად ჩნდება ლიტერატურულ პრესაში, თუმცა როდესაც ჩნდება, ყოველთვის გვთავაზობს რაღაც განსხვავებულს, ახალს, არაორდინარულს. ინდივიდუალიზმის სულისკვეთება აიძულებს არ იხმაუროს და ჰქონდეს ეთიკური დისტანცია მკითხველთან. მისთვის პოეზიის სიმაღლე გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე პირადი ინტერესები. მას შეუძლია იყოს თავისი თავის კრიტიკოსი და დაიცვას რეალურობის კანონი, რაც ალბათ ძალიან კარგია, მაგრამ ზოგჯერ რეალობის შეგრძნებაშიც ხდება გადაჭარბება.

მისი ხასიათია უცნაურობა და ჩვეულებრივობა, დაფარულობა და სინათლე. სადაც ვხედავთ, იქ უბრალოა, სადაც ვერ ვხედავთ, — რთული.

ახასიათებს მნიშვნელობათა სიფართოვე და ჩანაფიქრის სიღრმე. ეფექტებს არ ეძებს. რაც უნდა რეალისტურ თემას ეხებოდეს, ის მაინც ამჯობინებს იმ მხარეს, სადაც არის ფანტაზია და მეტაფიზიკა.

დოდო ჭუმბურიძე — პოეტი, რომელმაც ლექსის ბევრი საიდუმლო იცის, მაგრამ არ იცის, რომ უფრო დიდია, ვიდრე თვითონ წარმოუდგენია.

დოდო ჭუმბურიძე

ყველაფერი რომ გაჰქრეს, წავიდეს, ქვესკნელს ჩავიდეს, ასე არ ხდება... სიტყვები კი არ დაგვაბრკოლებენ, ციურ ბილიკებს გაგვაყოლებენ, ცოდვებს საფლავში ჩაგვაყოლებენ, ოცნებები კი ცაში ახდება.

\* \* \*

ეს ერთი დღეც დაღამდა, სევდამ გული დამწყვიტა, ღამე დადგა უკუნი, თუმცა მთვარეც ცაზეა, ჩემი ბედის ვარსკვლავმაც თვალი ისე დაჭყიტა, თითქოს რამეს მიჩვენებდეს, საჭიროს და აზრიანს. ჭოვლის კვილის ცაცხვიდან ისევ უნდა ვამოძლო, ძილსაც ვემშვიდობები, ბებრებმა რომ იციან, განწირულ ხმით რომ მოთქვამს, ამ ჭოტს გულმა რა უგრძნო, ჩემი ეზო და სახლი რატომ ამოირჩია? ..

შემოდგომის რეკვიამი

დაღვრემილა მთის კბოდეზე წამოცმული ნისლი, ჭირხლი დილის ბაღში ხეებს მოდებია ფითრად, მონყენილი ალუბალი აპრილამდე იცდის, ალვა ისე გადმოხრილა, რაღაც უნდა მითხრას. გული წუხს და იდუმალი მოლოდინით ფეთქავს, შავი ვარდი თუმცა ჰყვავის, დამჭუნარივით ავობს, ალვა ისევ ცას მიანყდა, ვერაფერიც ვერ თქვა, მხოლოდ ხელი ჩაიქნია: შემოდგომააო. ახლა მალე დაზამთრდება, ტყე იქცევა მგლებად, ჭაობებად ეს მინდვრები იქცევიან მწვანე, მეც ზამთარში შევაბიჯებ, ალბათ უკვე დგება ვილაცისთვის წუთისოფლის ბოლო ჟამი, მწარე...

დეკაბი

დეკემბი გულუბრყვილონი, კეთილნი, ავნიც ზოგჯერ, ცოტათი სასაცილონიც, ჩამორჩენილნი დროზე, — არც დაბერდნენ და არც მოკვდნენ, არც ჩამოშორდნენ ზღაპრებს, ფრთები მოისხეს ოღონდაც აქვე რომ იყვნენ, გაქრნენ. ახლა ისინიც აკლიან ჩვენი ოცნების რემებს, სხვა, სიცოცხლეში რა ყრია, — თუ ველარ ვნახავთ დეკებს.

ნიქოზთას იმალის მთვარე

### კოლხური მირაჟები

მსხალი იმ წელიწადს არ ისხამდა,  
 მენლე იყო ბალის პირას უნაბიცი,  
 ტანზე მდინარეებს აისხამდა  
 კოლხეთი, ლამაზი და გულადი.  
 ჭალებში ცხენების ჯოგი ძოვდა,  
 ცა პალიასტომის ტბით ელავდა,  
 თეთრი ნისლის ფარა მოგიძლოდა  
 და შენ მოყვებოდი ბელადად.  
 ზღვის მხარეს უეცრად გაიელვა,  
 მოზვრები დაფრთხნენ სახარებო,  
 — მითრიდატ პონტოელმა ჩაიარა  
 და იმის ვაჟმა მახარემო.  
 კოლხეთს პირჯვარი გადავსახე,  
 კაჟის ქვა მიწას დავანარცხე,  
 — ღმერთო, მტერს ნურასდროს ატრაბახებ:  
 „მივედი, ვნახე და დავამარცხე!“

\* \* \*

სასიყვარულო ანბანს  
 იზეპირებენ ჭკები,  
 ბალბა ჭკნება და ალბათ,  
 მეც შეუმჩნევლად ვჭკნები.  
 ადგილზე კი არ დარჩა —  
 წყლებს გაეკიდნენ კვლებიც,  
 არც კარგს ამბობენ, არც ავს,  
 დუმილს ირჩევენ წლები.  
 ცაზე ვუყურებ ცთომილს,  
 ყოფის ორბიტას ვწყდები,  
 სასიყვარულო ანბანს  
 იზეპირებენ ჭკები...

\* \* \*

— გული დამელიაო ნამცვეცთა წადილით, —  
 ნისკარტს აკაკუნებდა ოფოფი ამ დილით.  
 ჩვენი ნადიმი კი იმდენად გრძელია,  
 დაუსრულებელია ოფოფის დარდივით.  
 ცხოვრება მთელს მალავს და ნამცვეცს აძვირებს,  
 ბოლოს ოფოფივით ბალახში გვაძინებს...

\* \* \*

მე ნისლებში გეძებდი, მე ფოთლებში გეძებდი,  
 ყვავილებში გეძებდი, ლურჯი იის ძირში,  
 თოვლში მეჩვენებოდი, ქარში მეჩვენებოდი,  
 ცხადში სიზმრად გხედავდი, ცხადს ვეძებდი ძილში.  
 ქარში იყავ ნამდვილად, შუბლზე პირჯვარს მსახავდი,  
 მწვანე ტბების თვლემასში, თაფლის მოტკობო ცვილში,  
 ხან ტყის გულში გხედავდი, ვლონდებოდი მაღალ მთის  
 მიუნვდომელ სიმაღლით, ხან გხედავდი ჩვილში,  
 ჩუმად გეფერებოდი, ჩემო ტკბილო იესო,  
 შობა ღამის სინათლით, კვიპაროსთა ჩრდილში...

\* \* \*

მაინც ტკბილია ყოფა მღელვარე,  
 იაფს რომ იძენ ძვირად,  
 ჩვენ ერთ ბუდეში ვსხედვართ ყველანი  
 და ერთ ღამეში გვძინავს.  
 წუთისოფელი, — ძუნწი მოლარე,  
 წუთებს გადათვლის წვრილად,

მონანიეს და ბედის მოვალეს  
 ზოგჯერ სიოთი ძირავს,  
 ზოგი არის და ზოგი ვერ არის,  
 შუქი არ ყოფნის მზირალს,  
 ჩვენ ერთ ბუდეში ვსხედვართ ყველანი  
 და ერთ ღამეში გვძინავს...

### ღაფნები

ღაფნები ელინურ ხანაში დარგული კოლხეთს,  
 ჩუმად ამუქებენ შორეულ არეებს ტყეთა,  
 გაუკვდავებისთვის ხალხი ანიჭებდა როლს ხეს,  
 აქცევდა მოკვდავებს უბრალო ფოთლების ტყვედა.  
 ასწავლის მის წვერებს ღრუბლის თბილ მირაჟში ცურვას  
 და მარად სიმწვანეს ანიჭებს განჩინება უფლის,  
 დაფნავ, მომეახლე ქარიან დღეებში ჩუმად  
 და გრილი გვირგვინით შემიმკე დაღლილი შუბლი...

### ყაყაჩოს, წითელ კაბიანს

ყაყაჩოს, —  
 წითელ კაბიანს,  
 სული რომ გაუნაბია  
 ამ მიყრუებულ ველზე,  
 ნეტავ რას ფიქრობს ამგვარად,  
 სანოლიდან რომ ამდგარა,  
 მზერით ნეტავ ვის ეძებს...  
 ბრწყინავენ მწვანე მოლიდან  
 ამონვერილი ბრძოლითა  
 ნემსინვერები მზეზე,  
 დაგინახე და გიცანი,  
 მივხვდი, ვის ეძებ, ვინც არი  
 ამ მიყრუებულ ველზე...

### გასხანება მირაჟული

მეუბნება: — ჩვენი სულებიც ხომ ერთდებიან...  
 ხეივანში მხრებით ათმეტრიან ვერხვევს წვდება,  
 — ესენიც კი მიფრენენ!.. — მერცხლებიან  
 აივნისკენ გახედვას მეხვეწება.  
 — ჰო, მიფრენენ, ზოგი სად და ზოგი სად ეხეტება...  
 წინ წასულმა წყვილებმაც ჩვენკენ მოიხედეს...  
 ქალის გული მოიგოს, ნამდვილად ეხერხება,  
 ქალის გული წააგოს, — ალბათ, მოიხერხებს...

\* \* \*

წყევლა-კრულვიან ამ ქვეყანაში,  
 გამტყუნებული ფიცისა და იმედის ზღვაში,  
 ერთი ხომალდიც რომ გამოჩნდეს —  
 იმას გავეყვები...

### ზამთრის ფოთოლი

ერთი ფოთოლი ქართან გაურჩდა,  
 მას უკვდავების განცდა გაურჩდა,  
 არ გაჰყვა ქარებს ზამთრისპირისას,  
 სულში იპოვა რაღაც თილისმა  
 და ახლა, აგერ, ხეზე ფრიალებს,  
 რომ დაინახოს მთელმა თბილისმა.



**ბახსენება**

როგორი მწარეც არ უნდა იყოს,  
კრუნჩხვაატანილ, მწუხარე დღეებს  
მაინც მახსენებს ვილაცის სიტყვა,  
ან გაფითრებულ ნისლის დანახვა.  
იმაზე მეტი მახსოვს, რაც იყო,  
იმაზე მეტი რამე მანუხებს,  
რაც მანუხებდა ოდესღაც ჩუმად,  
მარტო ქარებმა გადაიარეს,  
მარტო წვიმებმა გადარეცხეს ბილიკი ჩემი,  
სიყვარულსა და მწუხარებას ვერ მოერივნენ...

**ზამთრისპირის ელავია**

დარდი დაუმალავთ ხეებს მიმოზისას,  
ამ ბალს შემოდგომის სიტყვო აბარია,  
ჩრდილები არ ცეკვავენ ცეკვებს სამეფლისოს,  
მინა მალლა იწევს, ზეცა დაბალია,  
რალაც საზღვრებია: მე აქეთ, შენ — იქით ხარ,  
სარკმლები ელავენ, ყველა ნიღაბს ირგებს,  
ჩანერილს გულისგულში ვინ ამოიკითხავს,  
ვინ გვესიზმრებოდა ოდესღაც, ვინ გაიგებს...

\* \* \*

რესტორანი მტკვრისპირ, მხიარულებაში ჩაძირული,  
მინდა გავიქცე,  
— ჩემი ხასიათი, —  
სასონარკვეთილი და განწირული —  
ამ ხალხს როდი შეეფერება!...

\* \* \*

არც ჩამოვრჩენილვარ ვინმეს  
და არც ვინმესთვის გამისწრია,  
რადგან ამ ბილიკზე, მე რომ მივაბიჯებ —  
არც წინ მოჩანს ვინმე  
და უკანაც არავინაა...

**წინაპრები**

მებრალეებიან წინაპრები,  
თავიანთი მოლოდინებით და იმედებით,  
ჯერ არცერთიც რომ არ ასრულდა...  
და ჩვენც, მათსავით მეოცნებენი,  
ისევ-ისევ გაურკვეველ გზებით მავალნი,  
გადანეული ჰორიზონტებით,  
წინ ვერაფერსაც ვერ ვუყურებთ,  
და ვერც ვეჩვენებთ  
ნაოცნებარ დროის დამხოვას...

**იველის ზღვაში**

მზერა სივრცეს ელტვის — სარკმლიდან გაჭვრეტილი  
და დასალიერის კიდეებს ეშენება,  
რადგან მწერი არ ვარ, ქარვაში ჩაჭედილი,  
ან ვილაც ბოროტი კაცისგან გაჭყლეტილი...  
აუცილებლად მეშველება!..

\* \* \*

მონმენდილ ცაზე უცებ იელვა,  
თუ მოინდომა, მეხსაც თან გვესვრის,  
რისი თქმა უნდა, იცის ნიავემა,  
ჩვენ ვიკითხოთ, რომ მისი არ გვესმის.  
უნდა გაუგო, რაა მთავარი,  
გამტყდარი გული რითი მთელდება,  
რა უდროო დროს ყივის მამალი,  
იყივლოს, მისით თუ გათენდება...

**დედა-ფუტკარი**

ფუტკარი რომ ვყოფილიყავ, დედა-ფუტკარი,  
უფრო ბედნიერი ვიქნებოდი — თქო, — ვუთხარი.  
— მექნებოდა: ყველასგან პატივი და მეტი წონა,  
უფრო წესრიგში ყველაფერი, უფრო სწორად,  
პატივს მიიღებდა ჩემგანაც უთვალავს უფალი,  
ჩემი ხალხი და ოჯახიც, — ვუთხარი:  
ნეტავი ვყოფილიყავ-თქო დედა-ფუტკარი...

**დედამთილი**

ის ისტერიკაში ჩავარდა, მე რომ დამინახა,  
და ისიც გაიგო, მის ვაჟს რომ ვუყვარდი  
და სხვას აღარავის შეიყვარებდა,  
ხან იცინოდა, ხან ტიროდა,  
ხან რალაცას მიხსნიდა, ოღონდ რას, არ მახსოვს,  
მაშინ სულელი მეგონა და ბებრუხანა,  
ღმერთო, მაპატიე!..  
ღმერთო მაპატიე!..  
ახლა ვიცი, რაც დაემართა!...

\* \* \*

ჩემი პალმები ქოთნის  
ზღვის მოსაგონრად მყოფნის,  
ჩემი იები ციურს  
მდელოს მაგონებს სოფლის.  
ყინვის ლოლუა გრძნობას,  
ცრემლს შენთვის დაღვრილს წინათ,  
ვარსკვლავი კიდეც — შობას,  
იესოს მადლით მბრწყინავს.  
ნისლი ანგელოზს ჩემსას,  
ციდან ჩუმად რომ მოფრენს,  
ბაღში ქარის ხმა — მესას,  
რომ ვერ ნაუვალ ვერსად.  
ჩემი პალმები ქოთნის  
ზღვის მოსაგონრად მყოფნის,  
ყოფას დაფუძებ წესად  
მშვენიერებას სოფლის..

\* \* \*

სინაზის სევდა განიცადეს მოლზე დამკვდარმა  
ორნამენტებმა,  
ჭრელი პეპლის წყნარმა წყვილებმა,  
მე დავინახე სევდიანი ქალის აკლამა,  
იქიდან ჩემი ტკივილების გამობრწყინება...

კონსტანტინ კოროვინი

# კავკასია

ვლადიკავკაზი

1901 წელს შემომთავაზეს რუბინშტეინის ოპერა „დეკორაციებისა და კოსტიუმების დამზადება მოსკოვის დიდი თეატრისა და პეტერბურგის მარიასეული თეატრისათვის.

ადრე გაზაფხული იდგა. ამ შემომთავაზებას დაეთანხმდი და გადავწყვიტე, რომ აუცილებელი იქნებოდა გამგზავრება კავკასიაში, რათა ნატურიდან დამეხატა ეტიუდები მთებისა, ჩავენდომოდი კავკასიის ბუნებასა და გუნებას. საიმპერატორო თეატრების დირექტორმა ტელიაკოვსკიმ ჩემი მოსაზრებანი გაიზიარა, მაგრამ განმიცხადა, საკუთარ ხარჯზე უნდა გამგზავრო, რადგანაც სამგზავრო თანხას არ გამოგვიყოფენო.

მაისის დამდეგს ვლადიკავკაზში ჩავედი და სასტუმროში გავჩერდი. პატარა ქალაქის მიღმა ერთმანეთის მხარდამხარ დიდ ჩრდილებად აღმართულიყვნენ კავკასიონის ვეებერთელა მთები. ქალაქში გაშლილიყო აკაცია და მისი სურნელი ერწყმოდა მთის კამკამა ჰაერს. საღამოს ექვს საათზე ქალაქის პოლიცმაისტერი კოტლიარევსკი მეწვია — ტანმაღალი და წარმოსადეგი კაცი, გადაგრეხილი უღვაშები რომ ჰქონდა.

— გამარჯობათ. აი თურმე რა: თქვენ მხატვარი კოროვინი ბრძანდებით, ოლონდ ის არა! მე სხვა კოროვინს ვიცნობდი. სუმელი ვარ, კავალერისტი. მოსკოვთან მანევრები რომ გვქონდა, ის კოროვინი იქ ჩვენთან იყო. ძალიან კარგად ხატავდა ცხენებსა და იერიშს. სერგეი ალექსევიჩი ერქვა.

— ეგ ჩემი ძმაა, — ვეუბნები.

— ახ, თქვენი ძმა? ერთმანეთს კიდევ ჰგავხართ. ოლონდ ის ლამაზი ბიჭია, ასეთები სანთლით საქებარი არიან.

— ჰო, — ვეუბნები, — ჩემი ძმა მართლაც ლამაზი იყო.

— როგორ თუ იყო?

— ეგრეა და... აღარ არის.

— აი, რა: გთხოვთ, ჩემთან წამობრძანდეთ სადილად.

დავყაბულდი.

მიუვახლოვდით ხუთსართულიან ქვის სახლს, სადაც მოთავსებული იყო პოლიცმაისტერის ბინაც და საპოლიციო უბანიც. შესასვლელთან პოლიციელები იდგნენ.

საპოლიციო უბნის ჭუჭყიან ოთახში, სადაც კანცელარიის გადამწერლები ისხდნენ და მთხოვნელები თავიანთ რიგს ელოდნენ, თვალი მოვკარი ბერიკაცს, დაფხრეწილი ახალუხის ქვეშ ჯაჭვის პერანგი რომ მოუჩანდა. ბერიკაცი არწივს წააგავდა და მის თვალეში უსაშველო მწუხარების ცრემლი გახევებულიყო.

როდესაც გვერდით ჩავუარეთ, მუხლებზე დაეცა. „რა უცნაური კაცია...“ — გავიფიქრე.

პოლიცმაისტერის ბინაში თერთმეტი წლის გოგონა მოგვიახლოვდა.

— ჩემი ასულია, — თქვა კოტლიარევსკიმ.

შიკრიკი იხმო და რალაც უბრძანა სადილის თაობაზე.

— მითხარით ერთი, ის ბერიკაცი ვინაა? — ვკითხე, — და რისთვის აცვია ჯაჭვის პერანგი?


— დახეთ, შეგიმჩნევიათ, — თქვა კოტლიარევსკიმ. — მაგას ახლა ციხეში უკრავენ თავს: ყალბ ფულს ასალებდა. ახ, ასეთი რამეები აქ არ გვაკლია. უბედურებაა ჩვენი ცხოვრება.

— შემებრალა, — ვეუბნები, — რა კარგი პირისახე აქვს.

— მართლა? კარგი პირისახე აქვს? აბა, წავიდე, ახლოს გაჩვენებთ. ეგ ხევესურია, — მითხრა პოლიცმაისტერმა. ერთად გავედით ბინიდან უბანში. მაგიდას მიუჯდა და მანიშნა, დაბრძანდითო. ბერიკაცი ჩვენს წინაშე იდგა.

კოტლიარევსკიმ მორიგე ჩინოვნიკს რალაც უთხრა. იმან კი ჭუჭყიანი ქაღალდის შეკვრა მოიტანა და მაგიდაზე დაუდო. კოტლიარევსკიმ შეკვრა გაშალა, იქიდან სამმანეთიანის ზომაზე დაჭრილი მწვანე ფერის ქაღალდეები გამოაძვრინა. ერთი მათგანი ავიღე და გამეცინა. ისე უბრალოდ და ტლანქად გაეკეთებინათ, რომ მყისვე ვთქვი:

\* ფრაგმენტი წიგნიდან „მოგონებანი“.



— და ამგვარი ჯღანი ვის ეგონება, ფული არისო?

— გეცინებათ? — მკითხა პოლიცმაისტერმა. — აი, ეს კი, — მანიშნა ბერიკაცი, — ბაზარში ასალებდა და ახლა სასამართლოში წავა, მერე — ციხეში.

პირისახე ბერიკაცისა, მისი თვალეები, სადაც უუჟღივით გახევებულიყო მწუხარებისა და ვედრების ცრემლი, უსაშველო სიბრაულულს იწვევდა.

— ნუთუ სადმე მოიძებნება ისეთი ყვეყჩი, რომელსაც ეს ჯღანი ეგონება, ფული არისო?

— საქმეც ისაა, რომ მოიძებნებან.

— ჰკითხეთ ერთი, სად იშოვავ ეგა.

ჩინოვნიკმა ჩემთვის უცნობ ენაზე ჰკითხა. ბერიკაცმა მიუგო:

— აი იქა, მთაში... ჩამოვიდა ჩვენთან ჭაბუკი, კოკარდიანი ქუდი ეხურა, მეფისგან იყო გამოგზავნილი. „მოიტა კარაქი, — გვეუბნება, — მოიტა ბრინჯა, რქები, ტილო“, — და ეს ფული გადაგვიხადა.

— ნუთუ ვერა ხედავს, რომ ეს არ არის ფული?

ბერიკაცმა ხელი მოისვა თვალეებზე და მისი მოუხეშავი ხელის თითებზე რკინის ლურსმნეები შევნიშნე. ხელი კი არა, რალაც კასტეტი ეთქმოდა. რკინის პანია პალოები ხელს ისე შეზრდოდნენ, რომ ძვლებს შერწყმული გეგონებოდათ. ჩემი შეცბუნება რომ შენიშნა, კოტლიარევსკიმ მითხრა:

— ეგენი ყველასა აქვთ, ხევესურებს. ღაჯიას ეძახიან. ერთმანეთთან უყვართ ჩხუბი.

— წადი, თავისუფალი ხარ, — უთხრა კოტლიარევსკიმ ბერიკაცს. — ამ კავკასიაში რამდენი თაღლითი დაიარება, ვინ დათვლის, ამ უბრალო, უბირ და პატიოსან ხალხს ატყუებენ.

მაგრამ ბერიკაცმა ითხოვა, ფული დამიბრუნეთო.

— ხომ ხედავთ, — ვთქვი მე, — მაგას არაფერი არ ესმის.

— ახლავე ნაბრძანდი აქედან, — უთხრა კოტლიარევსკიმ. — თორემ ცუდად ნაგვიკა საქმე.  
ჩინოვნება პოლიცმაისტერის ნათქვამი უთარგმნა ბერიკაცს. მან დაჟინებით შემოგვხედა თავისი არწივის თვალებით, თავი დაგვიკრა და წავიდა.

**ღარილის ხეობა**

ვლადიკავკაზიდან საქართველოს სამხედრო გზით სადგურ ყაზბეგისკენ გავემგზავრე. გზა ვაკეზე გადიოდა, წინ კი ვეებერთელა მთები მოჩანდა. ისინი მაღლა ცაში აღმართულიყვნენ და ხეობას გადმოჰყურებდნენ. მერე გარს შემოგვერტყენ უზარმაზარი ლოდები და გზის ორივე მხარეს მოგვეყვებოდნენ. პირველი გაჩერება, სადგური. მომცრო ერთსართულიანი სახლი კართანით, შესასვლელის აბრაზე წერია: „**Не ужай, голубчик мой!**“, და დახატულია ჩაიდან, პურის კვერი და ღვინის ბოთლი.

სანამ ცხენებს ცვლიდნენ, სადგურში შევედი. დიდი ოთახი იყო, იდგა მაგიდა, მერხები. მაგიდას მისხდომოდნენ ჩოხოსანი კაზაკები, აგრეთვე — ქართველი მღვდელი, რომელსაც ბუხრის ქუდი ეხურა და შავი ანაფორა ეცვა. ჩაისა სვამდნენ.

მებუფეტეს ჩიხირის ღვინო მოვთხოვე, მაგრამ გამოირკვა, რომ მან არ იცოდა, რა იყო ჩიხირი. „დახეთ, — გავიფიქრე, — მე კი გამიგონია, რომ კავკასიაში ასეთი ღვინო არსებობს“. ბავშვობისდროინდელი სურათი დღემდე მახსოვს: ვილაც მხიარული კაცი მიაბიჯებს მთებშია გაჭრილ გზაზე, ხელში ბოთლი უჭირავს და ბოთლის ყელიდან ღვინოს ყლურნავს. ნახატს წარწერაც ჰქონდა: „ჩიხირსა ვსვამ და არემარეს ვაყრუებ ლერმონტოვის ლექსებით“.

მომართვეს კახური ღვინო და საუცხოო მწვადი. ამ დროს სადგურის ოთახში კაზაკი შემოვარდა და იყვირა: „გარეთ გამოდით!“ მღვდელი და მაგიდასთან მსხდომი ჯარისკაცები წამოხტნენ, თოფებს ხელი სტაცეს და სწრაფად გავარდნენ გარეთ. მეც კართანაზე გავედი.

კაზაკები სადგურიდან მიმავალ გზაზე გარბოდნენ, დროდადრო ჩერდებოდნენ და მთების მიმართულებით ისროდნენ.

— აგე, აგე, — ყვიროდა მღვდელი და ხელს მაღლა, მთებისკენ იშვერდა.

თვალი მოვკარი, რომ შორს მთებში, ქვების გროვასა და კლდეებს შორის, ადამიანები გადარბოდნენ: ერთი, მეორე... კაზაკები ისევ ისროდნენ.

— ვის ესვრიან? — ვკითხე მღვდელს.  
იგი მთებს გაჰყურებდა და უგულისყუროდ მიპასუხა:  
— ქურდებია, ინგუშები. სტანიციდან კაზაკების ძროხა გაიტაცეს. მაგრამ განა მოახვედრებ ამსიმორეზე, რას მოახვედრებ?!

„რა მარტივადაა ყველაფერი“, — გავიფიქრე.  
ისევ საზიდარში ჩავჯექი. ვეება კლდეების გასწვრივ ავდიოდით და მთები უფრო და უფრო გვაგინრობდნენ. ნაცრისფერი ღრუბლები ფარავდნენ მწვერვლებს. თითქოსდა ღრუბლებში მივცურავდი.

გზა უფსკრულის პირას მიდიოდა. შორს ქვემოთ, ღრუბლებს შორის, მდინარე თეთრად აქაფებულებოდა. ეს იყო თერგი.

— რაო, — ვკითხე მზიდავს, — სადგურზე კაზაკები ინგუშებს ესროდნენ? მართლა ყაჩაღები არიან?

— ინგუშები? დიახაც, — მიპასუხა მზიდავმა. — მაგათ მუდამ ეგრე იციან: ერთიმეორეს ძაან ერჩიან. ინგუშები — კაზაკებს, კაზაკები — ინგუშებს.

გზა ქვემოთ ეშვებოდა. გადავიარეთ ქვის ხიდი თერგზე. მისი ღია ფერის ტალღები ქვებს გარს ევლებოდნენ, ხტუნავდნენ, დუღდნენ, ღრიალებდნენ. ბნელ ხეობაში, სწორ ველზე ჩამწკრივებულიყვნენ თეთრი ფერის ერთსართულიანი სახლები, წითელი კრამიტით დახურულთ უხალისო შესახედაობა ჰქონდათ. ეს იყო ყაზარმები და სადგური.

ხეობა უფრო და უფრო ვინროვდებოდა. მაღალ კლდეზე შევნიშნე ოთხკუთხა კოშკი, კენწეროში დავინრობული. ამ კოშკში იყო გრძელი სარკმელი. სწორედაც ეს გახლავთ თამარ დედოფლის კოშკი:

**В той башне высокой и тесной Царица Тамара жила.**

მაგრამ თამარ დედოფალს იქ არ უცხოვრია. ეს ძველისძველი ნაგებობაა. კოშკები ოდესღაც სამხედრო პოსტებს წარმოადგენდა ამ ძველ გზაზე.

„აი, სწორედ აქ უნდა დავხატო ხეობა, სადაც ზვავი სინოდალს გზას გადაუჭრის, — გავიფიქრე. — მართლაც ძალზე კარგი და პირქუშია ფერი ამ ხეობისა. რაღაც გამორჩეული ტონი აქვს, იდუმალი და ყრუ მხარე გეგონება“.

ხეობა გაფართოვდა და მოლურჯო ფერის ღრუბლებს მიღმა ცაში მობრწყვიალე თოვლიანი მწვერვალი ყაზბეგი გამოჩნდა. გზა ქვევით გადიოდა და ყაზბეგის ქვეშ, ნაცრისფერ და სწორ ვაკეზე, მიიკლაკნებოდა და მწვანდებოდა თერგი. ქვევით მარცხნივ კი, მთების დიდრონ და ბნელ ფლატეებთან, თოვლით რომ იყო მოხატული, მდებარეობდა აული — ბრტყელი ბანებითა და პანია სამლოცველოთი. ეს იყო ყაზბეგის სადგური.

სადგურის მეორე სართულზე ოთახი მიმიჩინეს. ოთახის ფანჯრიდან ახლოს მოჩანდა კლდოვანი მთები. ოთახის კედლები ცარცით იყო შეფეთილი. იდგა უბადრუკი რკინის სანოლი, ჭუჭყიანი მაგიდა და ერთი სკამი.

სადგურის უფროსს, იგივე ტელეგრაფისტს, ვუთხარი: აქ რამდენიმე დღით სამუშაოდ ჩვერჩები-მეთქი.

— კეთილი და პატიოსანი, — თქვა ახალგაზრდა სადგურის უფროსმა. — ოღონდ ახლა ცხვარი არა გვყავს, სულმთლად გადარეკეს უღელტეხილს იქით. მაგრამ საქმელად ეგებ ქათამი გიშოვოთ.

უკვე სალამოვდებოდა. მაგიდაზე დასადგმელად მომიტანეს უბადრუკი თუნუქის ლამპა. ფანჯარა გამოვალე, სიგრილე ვიგრძენი. მღვრიე და მოსაწყენ გზაზე ბინდბუნდში ცხენის თანხლებით კაცი მოაბიჯებდა და ჩემთვის უცნობ ენაზე მღეროდა. ქართველი იყო.

სალამოს სადგურის უფროსი ჩაის დასალევად მენვია. მოიტანა კახური ღვინო, ყველი და რაღაც ხმიადი. როდესაც ჩიხირის ღვინო ვუხსენე, მხრები აიჩეჩა, არ ვიცო. იმ ხვესურის შესახებ ვუამბე, ვლადიკავკაზში ყალბ ფულს რომ ასაღებდა.

— საკვირველი ხალხია, — თქვა სადგურის უფროსმა. — აი, აქ ხომ ცხოვრობენ, — ფანჯარაში ხელი გაჰყო და მთები მანიშნა, — მაღლა. ისეთი ბუდეები აქეთ, არწივისა გეგონება. ვერც ცხენით მიუდგები და ვერც ფეხით. მაგრამ ქურდები საიდანღაც ჩნდებიან, მოდიან ჩვევთან კავკასიაში. და ამ უბრალო ხალხს ყვლევენ. აი, ჩაის ქალაღს აძლევენ, ეუბნებიან, ფული არისო. ისინი იღებენ. ესენი კი ართმევენ საქონელს — ტყავს, ყველს, კარაქს. იმათი უბირობით სარგებლობენ... უბედურებაა!..

**სადგური ყაზბეგი**

დილაუთენია გამეღვიძა. თერგის მთელი ხეობა გახვეულიყო ნისლისა და მუქი ღრუბლების სილაჟვარდენი, მაღლა კი ფირუზისფერ ცაში გამოირჩეოდა ყაზბეგის მწვერვალი, დილაბინდში თოვლი რომ უვარდისფერდებოდა. სანამ საზიდარს ვკერაობდი, ფერწერისათვის საღებავებსა და ინსტრუმენტებს ვალაგებდი, რათა ღარილის ხეობის დასახატავად გამენია, ირგვლივ ყველაფერმა ფერი იცვალა. ღრუბლები ქვევით დაეშვენენ, მთებს გადაეფარნენ და ყაზბეგი ნისლმა ჩაიხუტა.

დარიალის ხეობას რომ მივალნი, იქ ჯერ ისევ ღამე იყო. მზიდავი გზაზე დავტოვე და ქვა-ქვა გავეშურე კლდის ძირი-საკენ, რომელსაც ძველებური კოშკი დაჰყურებდა. იდუმალი და პირქუში მზერით დაჰყურებდა. ქვევით, თერგის მჩქეფარე ტალღებთან ახლოს მოვკალათდი, დასაკეცი მოღბერტი და ტილო გავანყე, ვჩქარობდი დამებატა ხეობის მძიმე ლოდინები. ეს ტონი პირქუში და მკვდრისებრი კლდეებისა საოცრად შეეფერებოდა სურათს, სადაც სინოდალი ზვავთან შეჩერდა და სადაც იგი — მტერი დემონი დაინახა.

თერგის ტალღები ღრიალებდნენ, ქვევს ეხეთქებოდნენ და თითქოს წყლის ხმაურში ვიღაც შეუწყვეტილ ლაპარაკობდა. როდესაც თეთრას ფლაკონის ასაღებად ყუთისკენ დავიღუნე, თვალში მომხვდა შორიანხლოს მდგომი ტანმალალი ჩოხოსანი, სარტყელზე დიდი ხანჯალი რომ ერტყა. ტანადი ქაბუკი გახლდათ, ჩაცვიებით მიმზერდა, ფრინველივით მახვილი თვალები ჰქონდა და გაოცებით მიმზერდა.

ვხატავდი და მიკვირდა, ასე უჩუმრად როგორ მომადგა, ასე რამ დამაყრუა-მეთქი. პირდაპირ კატასავით მომეპარა.

მზიდავი გზაზე, აქედან შორს დავტოვე. ცოტა არ იყოს, შიშმა შემიპყრო. „ლაჩარო“, — თავი დავტუქსე.

ჭაბუკს ვკითხე, ვინა ხარ და სადაური ხარ-მეთქი — ქართველი, ინგუში თუ ჩერქეზი? ხმას არ იღებდა.

პაპიროსი ამოვიღე და გავაბოლე. იმასაც გავუნოდე, მაგრამ ხელი არ მოჰკიდა. დგას და მომშტერებია... მაშინ გვერდითა ჯიბიდან რევოლვერ-მაუზერი დავაძრე. კრიალა პისტოლეტის დანახვაზე თვალები აენთო. მზერას ვერა სწყვეტდა. ვხედავ — მოენონა ჩემი მაუზერი.

ყუთიდან მერე, მომცრო ტილო ამოვიღე, ფუნჯით რგოლი დავხატე, შუაში შავი წერტილი დავუსვი, ჭაბუკს მივანოდე და ვუთხარი:

— ნადი, ოცდაათ ნაბიჯზე დადე, მე მოვახვედრებ.

ტილო აიღო და გაოცებით შემომხედა.

— ნაილე-მეთქი, — ვუთხარი.

რაღაც მიბასუხა, ვერ გავიგე. გავიყოლიე, ოცდაათი ნაბიჯი გადავთვალე, ტილო ქვას მივაყუდე, უკან გამოვბრუნდი, დავუმიზნე და ვსროლე. ტილო ძირს დაეცა. ჭაბუკი სანახავად გაიქცა. თურმე ქვეჩარჩოს კიდეს მოვახვედრე. მაშინ ტილო ქვას ისევ მივაყუდე და ჩემთან გამოიქცა. ჩემი მაუზერი მივანოდე და ვუთხარი:

— ახლა შენ ესროლე!

გაცივნა — მისი გაკრიალებული, ნუშივით ქათქათა კბილები დავინახე. დიდხანს უმიზნებდა, ისროლა და მყისვე სანახავად გაიქცა. ტილოს ხელი სტაცა და მომირბენინა: ტყვია ზედ შავ წერტილს მოხვედროდა. უხაროდა, სიცილი აუტყდა და ტილო ისევ ნაილო — ორჯერ შორ მანძილზე. მაგრამ ვუთხარი, მე უნდა ვხატო, სროლით კი მერე ვისროლოთ, როდესაც სურათს მოვრჩები-მეთქი.

ეტყუდის ხატვას განვაგრძობდი. ჩემს მახლობლად მიწაზე დაჯდა და ერთთავად ტკებოდა მაუზერით, ხელიხელ აგოგმანებდა, მიზანში იღებდა; რატომღაც გამიელვა თავში, ახლა მე არ დამახალოს-მეთქი. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ არი, ირგვლივ მარტო კლდეებია. თერგი კი ისევ რაღაცას დუღუნებს, დუღუნებს და არ ჩუმდება.

როდესაც მუშაობას მოვრჩი, იგი ისევ ისროდა და ტილოს ზედ შუაგულში ახვედრებდა.

— ყოჩაღ, — ვუთხარი, — იახში.

ჩემი ხელსაწყოები მოვხიკე, ნამაღებინა გზამდე, სადაც მზიდავი მელოდა. ნივთები საზიდარში ჩავალაგე და მაუზერის გამორთმევას ვაპირებდი, მაგრამ მკერდზე მიიკრა და სხაპასუხებით ამბობდა:

— შენა-მენა ყონალი. შენი მეგობარა — ჩემი მეგობარა...

— მარჯვენა ხელისგულს შუბლზე და ტუჩებზე იკრავდა და ჩემთვის გაუგებარ სიტყვებს სეტყვასავით მაყრდა.

შეცბუნებული შევყურებდი მზიდავს. იმან კი სიცილით მითხრა:

— ეგა ჩეჩენია. ამბობს, რომ თქვენს სამსახურში ჩადგა. უხარია და მადლობას გიხდით. მოგემსახურებათ, კუბოს ფიცრამდე დაგიცავთ, თავს არ დაზოგავს — ოღონდ კი ამ პისტოლეტს ნუ წაართმევთ.

— ეს როგორ იქნება, — ვამბობ, — მაგას ხომ, ალბათ, ოჯახი ჰყავს, მამა, დედა, სამსახურში როგორ უნდა ავიყვანო? ანკი როგორ უნდა მემსახუროს? რუსული სულ არ იცის...

— იცის, იცის, შენა-ჩემა მეგობარა... — ლელავდა ჩეჩენი.

— რაღას უცდით, ბატონო, — მომმართა მზიდავმა, — თუკი გნებავთ, აიყვანეთ. ეგა სახლში აღარც წავა. ეგენი ხომ ერთგულნი არიან. ეგა თქვენი გულისათვის კაცს მოკლავს — ვინც არ უნდა იყოს. ჩეჩენებს ვიცნობ — კარგი ხალხია. ეგენი თათრებივით არიან, ერთი რჯული აქვთ.

ჩეჩენი, მზიდავთან ერთად, უკვე კოფოზე მოთავსდა. ჩემკენ მობრუნდა და თეთრ კბილებს კრეჭდა. გულიანად იცინოდა და ჩემთან ერთად მოემგზავრებოდა თითქოსდა ცხოვრების რაღაც ლხინში, ვიღაც რომ უნდა დაგვეჭირა, დავნეოდით, ამ ვეება ხანჯლით ვიღაც დაგვეჭრა, ამ მაუზერით ვიღაც მიგვეხვრიტა.

უცებ ჩვენს გვერდით ჩავლილ ეკიპაჟს თვალები დაუბრიალა და დაუყვირა: „სდექ!“ მოულოდნელმა შეძახილმა ეკიპაჟი შეაჩერა. მივხვდი, რომ „სამსახური“ უკვე დანყებულყო...

ყაზბეგის სადგურს მივუახლოვდით. დუქანში შევებიჯე. ჩეჩენიც და მზიდავიც, ორივე ვინმე, ღვინო რომ დაგვევლია და მწვადი გვეჭამა. მწვადი არ ჰქონდათ, მაგრამ რაღაც ჩახობილი გაგვიმზადეს. როდესაც ჩემს ახალ მსახურ ჩეჩენს ღვინო დავუსხი, დალევა მყისვე იუარა, ხელი მიიკრა შუბლზე, მალე აღაპყრო მზერა და წარმოთქვა:

— მუჰამედი აკრძალა...

ხმიადი ითხოვა და კარში ჩადგა, როგორც საგუმგაგოზე.

— აქ, კავკასიაში, ოცდათერთმეტი წელია რაცა ვარ, — ამბობდა მზიდავი, — რაც თავი მახსოვს, იამშჩიკი ვარ. ყოველთვის რუსებთან. თავად კი თათარი გახლავართ — მაგისი რჯულისა. ღვინოსაც რუსივითა ვსვამ. ეგ კი, ძალივით მოგემსახურებათ... ისეთი ერთგულები არიან. ოღონდ, ბატონო გე გალანძღავ. ფიცხი ხალხია. ჩემს მტერს! თუკი ვინმე განყენინებთ, იმწამსვე მოკლავს. ნაღდად მოკლავს. უჰ... ისე მოგემსახურებათ, რომ... უკეთესს ვერ ინატრებთ! მამაცი ხალხია, ვერაფერს იტყვი.

მზიდავი ლაპარაკობს, მე კი ჩახობილს შევექცევი და ვფიქრობ: „ამ ჩეჩენს ახლა რა უნდა ვუყო... არაფრად არა მჭირდება. და საერთოდ, არავითარი მსახური არა მჭირდება“.

შევყურებ, შემოსასვლელში აყუდებულა, ხმიადსა ჭამს და ისეთი ბავშვური, კეთილი სახე აქვს, რომ... „აი, — ვფიქრობ ისევ ჩემსად, — ესეც შენი არამკითხე მსახური. რა უნდა ვიღონო?“ სარტყელზე — ხანჯალი და მხიარულად მიყურებს, თვალებს აქეთ-იქით ატრიალებს არაბული ცხენივით. „დამაცა, — მამცნობს მისი სახის გამომეტყველება, — ისეთ სამსახურს გაგინე, რომ... შენი გულისათვის ვინმეს უსათუოდ ჩავაძალე“. — „ყოველივე ეს კარგია, — ვაგრძელებ ფიქრს, — მაგრამ მაინც რა ვქნა, ამ კაცს რა ვუყო?“ უცრად ვხედავ: რაღაცნაირად გაიჭიმა, დუქნიდან გარეთ გაიხედა, შემინებულ მომვარდა და მეუბნება:

— შეხედე. ომი მოდის. კაზაკი მოდის...

დუქნის კარიდან დავინახე, რომ მოშორებით, ყაზბეგის სადგურს იქით, სწორ ხეობაში თერგის ახლოს კავალერია მოემართებოდა. შავ ნაბდებში გამოწყობილნი, თოფებით... მოგვიახლოვდნენ, თერგისპირა მდელიზე ჩამოქვეითდნენ. რამდენიმე მათგანი ჯგუფს გამოეყო. სადგურისკენ გაემართნენ. ორნი კი — ჩვენი დუქნისაკენ.

— კაზაკები არიან, — თქვა მზიდავმა-თათარმა, — ყუბანელები...

ჩემი ჩეჩენი ფერნასული იდგა და კაზაკებს თვალს არ აშორებდა. ორი ზორბა, ჯანდონიანი კაზაკი დუქნის შესასვლელ-

თან ცხენიდან ჩამოხტა და დუქანში შევიდა. პატრონს მკვახედ შესძახეს:

— მოიტა პური, მოიტა ცხვარი...

დუქნის პატრონმა მიუგო, პური გვაქვს, მაგრამ ცხვარი არაო.

— სად არი ცხვარი, ემსაათში გვაჩვენე! — უყვირეს კაზაკებმა ჩემს ჩეჩენს.

— ჩემი არ იცის, აი-აი არ იცის, — პასუხობდა წელში მოხრილი და შეშინებული ჩემი მსახური.

— გაგვიძღვ აულში ახლავე, გესმის შე გაიძვერავ, შენა?! — დაუყვირეს კაზაკებმა.

ჩეჩენი გაჰყვა კაზაკებს. თვალეები დამფრთხალი ჩიტისას მიუგავდა.

სადგურისაკენ გავეშურე და გზაში თვალი მოვკარი, რომ ორ კაზაკს მხრებზე მოეგდოთ დაკლული ცხვრები, ჩეჩენი კი სირბილით მისდევდა მათ — ხელში პურის ტომრით.

სადგურის სასტუმროში მომავნო. ისე უჩუმრად შემოვიდა, რომ ვერაფერი გავიგე. ის-ის იყო, ჩექმები უნდა გამეძრო. ჩემს ფეხთან დაიღუნა მოსახმარებლად.

— რატომ ჭუჭყიანი წულები? სუფთა ვიქნები... შენა რჯული, მენა რჯული... ღმერთი ერთი, არა ორი ღმერთი... შენა-მენა მეგობარა... კაზაკი აქ არი, ცხვარი ნვავს... უჰ, კაზაკი... შენი გემინია კაზაკი?

— არა, — ვეუბნები, — რატომ უნდა მეშინოდეს?

— ჩემი მეშინია.

და ჩეჩენის თვალეები ისევ შეშინებული ჩიტის თვალეებს დაემსგავსა. ჩემს ჩექმებს ხელი სტაცა და კიბზე დაეშვა.

დავიძინე და კარგა ხანს მეძინა. საღამოს ჩემმა ჩეჩენმა გაკრიბებულ-განკრიბებულ ჩექმები მომიტანა, ჩავიცვი და სადგურიდან გარეთ გავვიდი. მოსაღამოვებული ცა ყაზბეგს მწვანედ დაჰყურებდა. ხეობაში კი უკვე ბინდ-ბუნდი ჩამონოლილიყო და კაზაკთა ბანაკში მდელობზე უნაგირმობდილი ცხენები დალაჯუნებდნენ.

კაზაკები ცხვრის ხორცს წვავდნენ და კვამლი კოცონთაგან ზევით მიიწევდა. გაზაფხულის წყნარი საღამო იდგა.

გავიფიქრე: „აი, ჩემთვის საჭირო ფერთა შეხამება: კოცონთა ცეცხლი, მსხდომარე კაზაკთა ფერადი ლაქები, და კვამლი, და მთები, და ღრუბლები, და თოვლიანი მწვერვალები, — კავკასია...“

ჩემი ჩეჩენი გაუჩინარდა.

— ნავიდა, — მითხრა სადგურის უფროსმა, — ეშინია კაზაკებისა. ეგენი ვლადიკავკაზში მიდიან. სპარსეთის საზღვრიდან ტომრით მოაქვთ მოკლულ ყაჩაღთა თავები.

საღებავთა პატარა ყუთი ავიღე და კოცონებისკენ გავემართე. კაზაკები ვახშობდნენ, ქვაბიდან კოვზით იღებდნენ საჭმელს და ღვინოს სვამდნენ. ერთმა, მსხვილულვაშამ, მკითხა — ვინა ხარ და რასა ხატავ? როცა შეიტყო, რომ კავკასიის სურათების დასახატავად ვიყავი ჩამოსული, მითხრა:

— ჩვენც დაგვხატე. გინდა, ყაჩაღების მოჭრილი თავები გაჩვენო? აგერ, ესაულსა აქვს ტომრებში. გინდა?

„სადგურის უფროსს მართალი უთქვამს“, — გავიფიქრე, მაგრამ მოჭრილი თავების ნახვა ვიუარე. მთებისა და კოსტიუმების საღებავთა ფერები მოვხაზე, სასტუმროში დაგბრუნდი და მთელი ღამე ესკიზებს ვაკეთებდი ოპერისათვის.

დილით რომ გავიღვიძე, დავინახე: კაზაკები ცხენებს აურვებდნენ. ჩემი ჩეჩენი კი ალარსად ჩანდა. არა და არ მოდის. „მაუზერი მომპარა“, — უსიამო ფიქრმა გამიიღვა თავში. მაგრამ როდესაც ყაზბეგის სადგურიდან უღელტეხილისკენ მიმავალ გზას დავადექი, რათა არავის ხეობაში დავშვებულყავი, ქვების გროვიდან უეცრად ჩემი ჩეჩენი გამომეცხადა და ეკიპაჟის საფეხურს მკვირცხლად შემოახტა.

— შენა-მენა მეგობარა... ნავიდა კაზაკი... ოჰ, კაზაკი! მენა აქ იჯდა, შენი გელოდებო... შიშია — მოიპარეს... — და ხელით მანიშნა მკერდზე, საგულესთან ჩემი მაუზერი რომ ჩაემალა. ეს რა უცნაური სიყვარულია იარაღისა!

სადგურიდან გავყევით ხეობას, სადაც თერგი მიიკლაკენბოდა. მოჩანდა ვეებერთელა მთები, რომელთა მწვერვალები თოვლის ნახტებით იყო დაფარული. მოულოდნელად ჩემმა ჩეჩენმა დაიძახა: „სდექ!“ და ეკიპაჟიდან ჩამოხტა.

— იქით ნავიდეთ, — მითხრა, — ნარზანის წყალი.

ხელით მიმანიშნა გზის ქვევით. მეც გადმოვედი და ციცაბო ბილიკით გავყევი.

— აი წყალი...

კამკამა წყალი ჩქარი ჭავლით მოედინებოდა ქვის ნაპრალიდან. იქვე ეყარა გატეხილი თიხის დოქი და მისი ნამსხვრევები. ჩეჩენი დაიხარა და წყალს პირი შეუშვირა.

— დალიე წყალი, — მითხრა, — მთა აძლევს...

მეც დავიხარე წყლის დასაღვევად, ჭავლს პირით ვიჭერდი. რაღაცნაირად შუშუნებდა და ენას მჩხვლეტდა. საკვირველი წყალი იყო. შიდავიც მოვიდა, წყლით აავსო ბოთლი და სვამდა.

ჩვენს ირგვლივ კი მაღლა ლურჯობდნენ მთები და მზე მხიარულად ანათებდა ზღაპრულ ხეობებს. ოდესღაც, ეტყობა, დედამინა შეზანზარდა და ეს უსასრულო გროვა მთებისა აღმართა. მაღლა, ლაჟვარდისფერ ცაში არნივები ბოინობდნენ. თოვლის ნახტებს ელვარება გაჰქონდათ.

გზა განვაგრძეთ. კავკასის სილალთა და სილამაზით ვერა ვძღვობოდი. ჩემი ჩეჩენი კი თავისი ჩოხის სახელოთი წმენდა მაუზერს, რომელიც მის ხელებში მზეზე ლაპლაპებდა.

### გუდაურისა და მლეთის სადგურები

გზა უფრო და უფრო ზევით ადიოდა. მთაგრეხილზე შეფენილი თოვლი თითქოსდა გვიახლოვებოდა. ჰაერი ცივდებოდა და ვიგრძენი, როგორც რუსეთში, სურნელი პირველი თოვლისა.

მზიდავი შეჩერდა და მსხვილი ჯოხი ჩამოუშვა ბორბლებს შორის. გზისპირა კლდეების მოსახვევს იქით გზა თოვლით იყო გადაპენტილი. დიდ სიმაღლეზე ვიყავით ასული. მივყვებოდით თოვლიან გზას და ჩვენს გარშემოც თოვლი იდო.

გზა ვინროვდებოდა. თითქოს უზარმაზარ ნამქერებს შუა მოვქეცით. მზე კამკამებდა და ისე ძალუმადა ანათებდა თოვლს, რომ თვალსა გეჭრიდა.

მარჯვნივ გადაიშალა მთის მწვერვალთა უსასრულო თოვლის უდაბნო, მზის ქვეშ რომ ელვარებდა. მარცხნივ მთების ერთიანი თოვლის კედლიდან, უფრო და უფრო ხშირად, თოვლის პანია გუნდები გვცვივოდა თავზე. მზიდავი ცხენებს შოლტს უტყლაშუნებდა და ისინი თავექუდმოგლეჯით მიქროდნენ გზაზე. თოვლის გუნდები თავზე გვცვივოდა და უკნიდან მომესმა ხმაური, რომელიც გრუხუნად გადაიქცა. მზიდავი მიერეკებოდა ცხენებს და უყვიროდა: „გასნი, გასნი! ჰეი, ჰეი, გავიყვო, ალა“. ჩეჩენი ჩამოხტა გზაზე, გვერდით მოგვდევიდა და შოლტს უტყლაშუნებდა ცხენებს.

ნინ კი ბარ-ნიჩებით აღჭურვილი ბრბო შემოგვეჩხა. სწრაფად მოაბიჯებდნენ. ჩვენ რომ გავვისწორდნენ, მზიდავს ქართულად გამოელაპარაკნენ.

— ეტყობა, ზვაგი ჩამოწვა.

— ხო, — სიცილით გვიპასუხა მზიდავმა, — ასეთი ადგილია, რომ ზვაგი ხშირად იცის. კარგია, რომ გავასწარით. მომცრო ზვაგია, თორემ დავიდუპებოდით: სუშთლად ჩავგწუმქრავდა, ამოსათხრელი გავხდებოდით. ასეთი დროა, მთებში თოვლი დნება.

სწორ გზაზე შორით გამოჩნდა გუდაურის სადგური — ჯვრის უღელტეხილი. სადგურის ტერასიდან ჩანდა გზა, გველივით რომ ჩასრიალებულიყო უზარმაზარ ხეობაში, და უფრო შორს, ქვევით — მლეთის სადგური, სადაც ყველაფერი სიმწვანეში იყო ჩაფლული. ჰყვავდა გაზაფხული — ვარდისფერი, თეთრი ხეები, სამოთხის გაბრწყინებული სილამაზე ცისფერ, ჰაეროვან ფოთფოთში, ნამდვილი გაზაფხული. და რამხელა

კონტრასტია ამ სანახაობასა და თოვლის ნამქერებს შორის, რომლებიც აქ, ჩემს მახლობლად, გუდაურის სადგურზე ელაგა.

რამხელა ხიბლია თვალისათვის — შორს, მთების ძირში, მოჩანს მონასტერი მაღალი გალავნითა და კოშკურებით. ამადლებულ ადგილას დგას ეულად — ალვის ხეებით გარშემორტყმული.

— აი კავკასია, — თქვა ჩემმა მსახურმა. — რაც გინდა: აქ ზამთარი, იქ ზაფხული. შენა-მენა. აქ ცხვარი არი, ლულა-ქაბაბი არი, მწვადი, ჩიხირი არი.

ტერასის ერთ მაგიდას უსხდნენ მგზავრები. ჩანს, სასამართლოს ხალხი იყო — კოკარდიანი ქუდეები ეხურათ. ჩანს სვამდნენ, საუზმობდნენ, მაგარ სასმელსაც ყლურწავდნენ.

მე და ჩემი ჩეჩენი მსახურიც მივუჯექით მაგიდას. საჭმელი მოვითხოვე და ჩიხირი. მოგვართვეს არაყი. მწვადს შევქეცვივით და სადგურის მსახურს შევასხენე, ჩიხირი მოგვიტანე-მეთქი.

— ავე ჩიხირი, — მიპასუხა მან და არაყი გვანიშნა.

„ეს რა არი, — გავიფიქრე. — მე კი მეგონა, ჩიხირი — ეს რომელიღაც კავკასიური ღვინოა და თურმე უბრალოდ ჩვენებური არაყი ყოფილა“.

მიზიდავს ჩემი ნივთები გადაჰქონდა ახალ ეკიპაჟში, რომელსაც ზემოდან თეთრი თავსახური ეფინა, როგორც მეეტლევებს აქვთ ყირიმში, მერე ეკიპაჟის ბორბალზე რაღაც ჯაჭვი დაუშვა მუხრუჭის გასამაგრებლად. თავადაც ახალი არმიაკი გადაიცვა. ჩანდა, რომ მივემგზავრებოდით იქით, სადაც უკვე თბილოდა.

ქვევით მიმავალ გზაზე განსაკუთრებით სურნელოვანი ჰაერი იყო. ყვავილების სურნელი ტრიალებდა. მღეთის სადგურზე თბილი საღამო იდგა.

ვხატავდი ეტიუდს — საუცხოო ფორმის მაღალ ხეებს, ვარდისფრად რომ ყვავოდნენ — ამ ხეებს რატომღაც იუდას ხეებს ეძახიან. ფუშფუშა ხეთა ტოტების მოხაზულობა ცისფერი მთების ფონზე თვალწარმტაცია იყო. ქვევით კი წვრილ ქვებზე ელვარე მდინარე გარბოდა. გაღმა ნაპირზე ბილიკი, განწყობილი დიდრონი ქვის საფეხურებით, ზევით მიემართებოდა.

ამ საფეხურებმა უეცრად გამახსენა:

**...по ним мелькая,  
Покрыта белою чадрой,  
Княжна Тамара молодая  
К Арагве ходит за водой.**

და ანაზღად თვალი მოვკარი — მდინარის გაღმა ნაპირზე ქართველი ქალები მოგოგმანდნენ, ვინრო ახალუხები და განიერი შარვლები ეცვათ, დოქები ზედ წყლის პირას დაანყვენ. მაღალი და თხელი ტანით გამოირჩეოდნენ. საფეთქლებთან შავად უჩანდათ კულულები და თავსაფარს უკან ფერადი პირბადეები ეშვებოდა.

შემინიშნეს და დამფრთხალი შვლებივით მიმზერდნენ. ვჩქარობდი, რომ ჩემს ტილოზე აღმებეჭდა მათი მშვენიება. ჩეჩენს ვუთხარი:

— გატოპე მდინარე და მიდი მაგ ქალებთან. აქ თავთხელია. სთხოვე, რომ კიდევ ცოტახანს იდგნენ, მე ფულს გადაუხდდი.

— შენა-მენა, ღმერთმა არ ქნა, — მსახურმა ხელები გაფარჩხა. — არ უნდა, არ გამოვა. მამა მოვა, ძმა მოვა, ხანჯალი აიღო. არ გინდა, რათ გინდა?!

ჩამობინდდა. ხეობას ჩრდილი გადაეკრა. გაზაფხულის საღამო იდგა წყნარი და საამო. სადგურთან მერხზე იჯდა წვერ-მოშვებული და შუბლშეკრული სადგურის უფროსი — ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი. მივუახლოვდი და იქვე ჩამოვჯექი. ცოტა გადაკრულში იყო.

— ნაღველი მომანვა... — თქვა მან. — აქ გადმოსახლებულივითა ვარ. ცოლი გამექცა. აი, თბილისში ვიყავი წასული,

რემონტის ფულის ასაღებად. აი, ამას ვათვთრებდი, — სადგურის შენობა მანიშნა. — ჩამოვედი თბილისიდან, მაშასადამე, და ცოლი აღარ დამხვდა... წერილი დამიტოვა. მწერს, დედასთან წავედი, აქ ცხოვრება აღარ შემიძლიაო. აი თურმე რა. აი, ესეც მღეთი, აი როგორია მღეთი. ირგვლივ მთებია და მთები. აი როგორ მომბეზრდა, ერთი სწორი ადგილი დამასიზმრა მაინც, როგორიც ჩვენშია, ნოვოჩერკასკში. ეჰ, რა უნდა თქვა! აი, ამიტომაც გამექცა ცოლი. აქ, ყველა სადგურზე, სიმაღლე რომ გითხრა, ცოლები ყველანი გაექცნენ ქმრებს, უკლებლივ, იმიტომ რომა მთებია... ნაღველი დაგახრჩობს...

იგი გაჩუმდა და პაპიროსის ბოლი მოქაჩა. ტყით დაფარული გორაკების მდუმარებაში, მთის ღარტაფებში გაბმულად აყმუვლდნენ მგლები.

ვარსკვლავიანი ცა. ხეობაში, ხეებშუა ბადრმა მთვარემ ამოყო თავი.

საღებავები, ტილოები სახელდახელოდ მოკერიფე და სადგურის უფროსს ვაჩქარებდი, რომ ჩემთვის ცხენელი მოეცა — შორიახლოს მდებარე მონასტერში წასვლას ვეშურებოდი, რათა დამეხატა ღამე და მონასტრის გალავანი.

როდესაც მონასტერს მივადექი, მთვარის ციალში ალვის ხეებიდან გალავანს ვეება ჩრდილები ეცემოდა. ზემოთ კი მოჩანდა გრძელი და ვიწრო სარკმელი, რომელსაც კანდელი ანათებდა.

**Он поднял взор, её окно  
Озарено лампадой блещет.**

გალავნის შესასვლელში ვიღაც გამოჩნდა. ჩემკენ გამოიხედა. უკვე ვხატავდი ეტიუდს, ჩემს მსახურ-ჩეჩენს კი ხელში ფარანი ეჭირა. კარი ისევ მიიხურეს, — ეტყობა, იმან გაიფიქრა: „ეს კაცი რამ გააგიჟა! ამ შუალამით ხატავს, რაც ძალი და ღონე აქვს, თითქოს სადღაც ეჩქარებო“.

ცოტა ხნის შემდეგ საშინი გამოჩნდნენ. ჩემკენ დაიძრნენ, მაგრამ ჩემმა ერთგულმა მსახურმა უყვირა:

— გაჩერდი!

ისინი უკან გაბრუნდნენ. ვფიქრობ: „აი, ჩეჩენიც ამას ჰქვია!“

— მობრძანდით, — დაუყვირე, — გეთაყვა, მობრძანდით! შენ რაო, — ვეუბნები ჩეჩენს, — შეიძლება ნახონ.

— არ უნდა, — ამბობს იგი.

„აი, — ვფიქრობ, — ესეც შენი მსახური!“ ავდექი და შესასვლელისკენ გავწიე. მივესალმე ბერებს და ვეუბნები:

— აი, ვხატავ ღამეს, ეს თეატრისთვის მჭირდება... ოპერა „დემონი“, — ვჩქარობ, ყველაფერი ავუსხნა. მერე ვთხოვ, — არ შეიძლება, რომ მონასტერი ვნახო? სენაკი ხომ გაქვთ მონასტერში.

მათგან უფროსმა, უკვე გაჭალარავებულმა კაცმა, თავაზიანად მითხრა:

— კეთილი, ყველაფერს გაჩვენებთ. ოღონდ დღისით.

— ახლა კი არ შეიძლება? — ვკითხე. — მე ხომ ღამე მჭირდება.

— მესმის, მესმის, — თქვა მოხუცმა. — რა გაწყობა, მობრძანდით.

ჩემი მოწყობილობანი საჩქაროდ მოვხიკე, მაგრამ ჩემმა მსახურმა მათი ნაღება იუარა.

— არაფერი არ შეიძლება... როგორ წახვალ? სხვა რჯუღია... მუჰამედი არ უნდა...

გზას ვინრო ქვის კიბეზე ფარნით ვინათებდით, და შევედით რკინის მოჭედილ კარში, ღვლარჭილი ორნამენტები რომ ჰქონდა. დაბალჭერიანი და თალიანი ქვის საკანი იყო. კედელთან ხატი ესვენა და კანდელი ენთო. ვინრო სარკმლიდან მოჩანდა მთვარიანი ღამე. კედელთან იდგა ხის საწოლი, ლურსმნებით შემოჭედილი და ორნამენტებით შემოსილი. იქვე — დიდი ტაშტი და მაღალი დოქი... საწოლს ზემოთ — ქვის კედელში გამოჭედილი განსაკუთრებული აღმოსავლური ორნამენტის ჯვრები.

სახელდახელოდ დავხატე სენაკი, ბერებს მადლობა მოვასხენე და მონასტერი დავტოვე. ჩემი მსახური მომიახლოვდა, ხელები გაშალა და თქვა:

— მენა ლოცვა ჩემი ალაჰი, შენა ლოცვა შენი ალაჰი...

სადგურის უფროსს არ ეძინა.

— აქ მჭედელს, განაპირას რომ ცხოვრობს, შორი არაა, — მითხრა მან, — კარგი ლორი აქვს — ბარკალი. სამჭედლოში აშაშხებს. ისეთი გემრიელია, რომ ენას ჩაყლაპავ.

ამ შუალამისას ერთად მივადექით მჭედელს. გავაღვიძეთ. მჭედელმა მომცრო ბარკალი გადმოიღო, სახლის გარეთ, ჩარდახქვეშ რომ ეკიდა. ბარკალი ქვასავით მშრალი იყო.

— კარგია... — თქვა მასპინძელმა, ხანჯლით თხელი ნაჭერი ჩამოჭრა და გასასინჯად გამოგვინოდა.

ბარკალს განსაკუთრებული გემო ჰქონდა. არსად, არასოდეს მიჭამია ასეთი ლორი. ქარვასავით გამჭვირვალე იყო. სადგურის უფროსმა სუფრა გაშალა: ჩიხირი, ღვინო, შამაია, ხახვი, მერე მწვადიც გაამზადა, ჩემს მსახურს კი უთხრა:

— სამოვარი დაადგი.

გვერდით მომესმა — სადგურის უფროსი ჩემს ჩეჩენს უშვერად ლანძღავდა.

— ჩემი არ იცის სამოვარი, — პასუხობდა იგი.

— ცხვარი ხარ, შე ეშმაკის კერძო, — უყვიროდა სადგურის უფროსი. — წყალი რატომ არ ჩაასხი, რეგვენო? შე უტვინო ბატო, შე ძალღიშვილო! ეს რა მსახური გყოლიათ, — მითხრა. — ყეყეჩმა წყალი არ ჩაასხა სამოვარში. თქვენთან საიდან გაჩნდა? ასეთი ბრიყვი არსად შემხვედრია!

— კარგი კაცია, — ვუბნები, — ჩემი ერთგული მცველია. ყაჩაღებისგან მიცავს.

— აქ ჩვენთან არანაირი ყაჩაღები და ქურდები არ ბოგინობენ. კავკასიაში პატიოსანი ხალხი ცხოვრობს. სხვადასხვა ჯურის თაღლითები კი ჩამოდიან და ხალხსა ყვლეფენ, მაგრამ ყაჩაღებს ვერსად წაანყდები, გულითაც რომ გინდოდეს.

როდესაც სუფრას მიუჯექით, სადგურის უფროსმა ლორი დაჭრა, მწვადი მოიტანა.

ვთხოვე, რომ ჩეჩენიც მოეპატიჟა.

ჩეჩენი მოგვიჯდა და მორცხვად ჭამდა ხმიადს, ლორის თაობაზე კი თქვა: „ალაჰი არ უნდა“. სადგურის უფროსმა სირჩაში დაუსხა ჩიხირი ანუ არაყი. ჩეჩენი ახლოსაც არ გაეკარა.

— აი, ხედავთ, — წყენით თქვა სადგურის უფროსმა, — არაყს არა სვამს! სწორია, მუჰამედმა ყურძნის ღვინო აკრძალა, არაყს კი ხორბლისგან ხდიან. გაიგე? — ჰკითხა ჩეჩენს. — ხორბლისგან-მეთქი! ასე რომ, არყის სმა ცოდვა არ არის, შე ეშმაკის მოდგმავ!

ჩეჩენმა გაუგონა, გადაკრა არაყი და ხველა აუტყდა. თვალები დაუბზრიალდა.

— იახში? — ჰკითხა სადგურის უფროსმა და სახელოზე მოჰკიდა ხელი.

— იახში, — მორჩილად მიუგო მსახურმა-ჩეჩენმა. თვალეში — დამფრთხალი ჩიტის თვალეში — ცრემლი ჩასდგომოდა.

— მაგათგან რუსი ვერასოდეს ვერ გამოვა, — თქვა სადგურის უფროსმა და თავი ნაღვლიანად გააქნია. — არაყსა არა სვამენ! ეშმაკმა დალახვროს, ამქვეყნისა არაფერი გაეგებათ!

„დემონი“

ღამეა. სახელოსნო პოდიამის ქუჩაზე — დიდი, განათებული ლამპებით. დეკორატიული სახელოსნოს იატაკზე დეკორაციათა ვეება ტილოები აწყვია. შორიხლოს ტაშტებია — კოლერებით. არაგვის ხეობასა და ველს ვხატავ. ჩემი ეტიუდები, ნატურიდან რომ დავხატე კავკასიაში, ჩემს წინაშე დგანან.

სახელოსნოს კუთხეში, მოშორებით, ღუმელთან, სადაც წებოს ვაცხელებ, იატაკზე მოკალათებულა ჩემი მსახური აპ-

მედი — ჩეჩენი. მუხლებზე უდევს გადაყირავებული ვედრო, რომელზეც ხელისგულებით უკრავს. თვალები მოუხუჭავს, თავს აქეთ-იქით აქნევს და ჩუმად ლღინებს რალაც სიმღერას, მუეძინის ლოცვას რომ წააგავს. ყოველივე ეს როგორ მაგონებს კავკასიას! უცხო ნაპირებს, შორეულ ნაპირებს...

უფროსი ოსტატი ვასილი ხარიტონოვიჩ ბელოვი, მღებარი, მანვდის ტაშტებში შეზავებულ კოლერებს, რითაც კამკამა არაგვის დეკორაციას ვხატავ ტილოზე.

— რა საკვირველი ხალხია ეს ჩერქეზები... მღერის და რას მღერის, კაცმა არ იცის. მღერის... ანდა ჯიბიდან ცხვირსახოცს ამოიღებს, იატაკზე გაფენს, მუხლებს მოიყრის, ხელებს ყურებზე მიინყობს და ლოცვას შეუდგება. რასა ლოცულობს?! ალა-მალა, ალ-ალა, სალა-მალა... და მერე რაო? თავისას ლოცულობს. დიახაც გასაკვირია!

— მაჰმადიანია, — ვუბნები ბელოვს, — სხვა რჯულისაა.

— ჰო, — დამეთანხმა ვასილი ხარიტონოვიჩი. — ჰო, ეგა ჩანს კიდევ. ცეკვაც რომ ემარჯვება. უჰ, შენი! ხანჯალს დააძრობს, ჩაარჭობს, მამასადამე, იატაკზე და გარშემო უფლის... უჰ, რა მარჯვედ! ფეხისწვერებზე დგება. თვალებს დახუჭავს და ამღერდება, ვინ იცის, რასა მღერის; ცხადია, ჩერქეზი არის მოუნათლავი. ოღონდ იცით, რას ლაპარაკობს? — განაგრძობდა ვასილი ბელოვი. — „რაო, მეუბნება, რას მიქვია პეტერბურგიო! ჩვენაო, მეუბნება, უკეთესი ქალაქი გვაქვს — ტიფლისიო. ჩვენთან იქ მეიდანზე აბანოებია, პირდაპირ მთიდან მდულარე გადმოდის, წყალი... აქ კი თქვენაო, მეუბნება, მთეიცი კი არა გაქეთო“. დახეთ ერთი, რა მაგრად ტყუის...

— არა, — ვამბობ, — არა ტყუის. მართალია. წყალი პირდაპირ მთიდან მოჩქეფს, მდულარე წყალი, მართალია.

— აბა რას ბრძანებთ კინსტინტინ ლიქსეიჩ? ეჰ, აბა ეგ რა სათქმელია!.. და იქ ვილა აცხელებს წყალს? თქვენ კი გჯერათ!.. ეგა რას არ დაახეთქებს... — ვასილი ბელოვი მაგიდას მიუახლოვდა, ჭიქაში ბურახი დაისხა და, თითქოს წყენით, ერთბაშად გადაკრა. — როგორი ავი ხალხია! მაგათ რომ ეომო, ეგენი თუკი ტყვედ ჩაგიგდებენ, იცი, რას გიზამენ? ხანჯლით თავს ნაგაცლიან, ნაღდად...

— რატომაც არა, — ვამბობ და ხატვას განვაგრძობ. — ეგ მართალია. შენთვის, ვასილი, თავის ნაცლა იოლიცაა, როგორი გატყეცილი ხარ...

— აბა რას ბრძანებთ... როგორ გეკადრებათ...

ვასილის არ უყვარდა ჩემი ოხუნჯობა. კარტუზი მკვირცხლად მოიგდო თავზე და სახელოსნოდან გავიდა.

\*\*\*

როდესაც დეკორაციები მზად იყო, ჩამოკიდეს მარიასეული თეატრის სცენაზე. დანიშნულ იქნა დასამონტაჟებელი რეპეტიცია, სადაც ვანათებდი დეკორაციებს და აგრეთვე ვათვალთვრებდი მოქმედ პირთა და გუნდის მომღერალთა კოსტიუმებს, ჩემი ნახატების მიხედვით რომ იყო შეკერილი.

დემონს მღეროდა ტარტაკოვი, ხოლო სინოდალს — ნიკალაი ნიკალაევიჩ ფიგენერი. ერთსაც და მეორესაც საკუთარი კოსტიუმები ჰქონდათ. ჩემი ნახატების მიხედვით შეკერილი კოსტიუმების ჩაცმა არ ინებებს, რადგან შიშობდნენ, რომ კოსტიუმები დეკადენტური იქნებოდა. იმხანად ჩემს დადგმებს საიმპერატორო თეატრებში ყველა გაზეთი რატომღაც „დეკადენტურს“ ეძახდა. ეს სიტყვა, შემოსული საზღვარგარეთიდან, ძაან მოდამი იყო, უდროოდ და უადგილოდაც ხმარობდნენ ხოლმე.

„დემონის“ გენერალური რეპეტიცია დანიშნულ იქნა სექტემბრის შუა რიცხვებში. მონვეული საზოგადოება არა ყოფილა, ადგილები გაუნანილეს მარტოოდენ მონანილე არტისტთა და გუნდის მომღერალთა ნაცნობ-ნათესავებს. მაგრამ იმდენმა „ნათესავმა“ მოიყარა თავი, რომ მარიასეული თეატრის მაყურებელთა დარბაზი პირთამდე გაივსო.

სცენაზე — მთის ხეობა. ღამეა. ტენორ ფიგენერის კოსტიუმი ჩემეული კოსტიუმებისგან ფრიად განსხვავდება. ფიგ-

ნერს თავზე ახურავს ვეება თეთრი მელიის ფაფახი, დიდრონ მუფტას რომ წააგავს. მოკლე თეთრ ჩოხაზე დაკერებულია ოქროსა და ვერცხლის ზიზილ-პიპილები უკან ჩამოკიდებული ფორებით, შავ ნაბადს რომ ამაგრებენ. ჩოხის ქვეშ — ცისფერი ატლასის ხალათი ძალზე მაღალი საყელოთი და ბრჭყვიალა დიღები: კაშკაშა ცისფერი შარვალი და ნითელი ფერის ნაღები.

— აი, კოსტიუმიც ამას ჰქვია! — მითხრა საიმპერატორო თეატრების დირექტორმა ვლადიმირ არკადიევიჩ ტელიაკოვსკიმ.

სცენაზე გუნდი მღერის:

**Ноченька тёмная  
Скоро пройдёт  
Она**

ორკესტრი შეჩერდა. მომიახლოვდა ბარონი კუსოვი, დადგმის გამგე, და მედიდურად, მკაცრად მეუბნება:

— გეთაყვა, თქვენ გთხოვთ სცენაზე მისი უმაღლესობა...

მაყურებელთა დარბაზიდან გავყევი სცენაზე ბარონ კუსოვს. კულისებს მიღმა დავინახე ფიგნერი, ვის წინაშეც დიდი მთავარი სერგეი მიხაილოვიჩი იდგა.

როდესაც მივუახლოვდი, დიდმა მთავარმა მომმართა:

— მითხარით ერთი, ეს ვინ არის? — მკითხა და ფიგნერი მანიშნა.

ამგვარ შეკითხვას რატომღაც არ ველოდი, უფრო სწორად, ვერ გავიგე, რაში იყო საქმე და მივუგე:

— ნიკალაი ნიკალაევიჩ ფიგნერი...

— მშვენივრად ვიცი, რომ ეს არის ნიკალაი ნიკალაევიჩ ფიგნერი, — თქვა დიდმა მთავარმა. — მე თქვენ გეკითხებით: ვინ არის-მეთქი? ესე იგი, ეს სადაური თავადი სინოდალია?!

— ეს ნიკალაი ნიკალაევიჩის კოსტიუმი. მე მგონია კავკასიური მაღაზიიდან უნდა იყოს, ნევის პროსპექტზე რომ არის...

— ხომ ხედავთ, თქვენო უმაღლესობა, როგორ პასუხს კადრულობენ დეკადენტები, — გაცხარებით თქვა ფიგნერმა.

— მოიცათ, — თქვა დიდმა მთავარმა და მომმართა. — ეს, მამასადამე, თქვენი კოსტიუმი როდია. და რატომ არ დაამზადეთ კოსტიუმი სინოდალისა?

— როგორ არა, — ვუპასუხე, — მე მივეცი ნახატი.

— და მზადაა? მაჩვენეთ ერთი, — უთხრა დიდმა მთავარმა ბარონ კუსოვს. — იცით, — ამბობდა დიდი მთავარი, — მთელი ახალგაზრდობა კავკასიაში გავატარე და კარგად ვხედავ, რომ მასალა და ფერები ყველა სხვა კოსტიუმზე კავკასიურია... ისინი მეტყველებენ რამდენადმე ადრინდელ, თუმცა არცთუ ძალიან დამორეზულ დროს, მე უკვე იშვიათად შემხვედრია ასეთი კოსტიუმები.

— დიახ, ადრინდელ ხანებში სხვა ფორმა იყო, სპარსეთიდან ნასესხები, — ვთქვი მე. — მაგრამ ვშიშობდი ძალზე დაშორებული დროის არჩევას, რადგანაც მერმინდელი უფრო მოხდენილია.

ბარონმა კუსოვმა მოიტანა და აჩვენა დიდ მთავარს ჩემი ნახელავი კოსტიუმი, სინოდალს რომ უნდა ჩაეცვა.

— ვინმეს უნდა ჩავაცვათ, — ვთქვი მე.

თვალში მომხვდა ჩემი მსახური-ჩეჩენი. უთხრეს, კოსტიუმი ჩაიცვიო. ჩაიცვა და ისე მოერგო, უკეთესს ვერ ინატრებდი. თხელი ფიგურა ჩეჩენისა კობტად გამოიყურებოდა.

— და ყურთმაჯები რატომ გაუკეთეთ? — მკითხა დიდმა მთავარმა. — ეს ხომ სომხური ფასონია, ქართველებს არა ჰქონიათ.

— მენადა, რომ ლერმონტოვის მიხედვით გამეკეთებინა... — ვუპასუხე. — „Играет ветер рукавами его чухи“... ამასთან, ასეთი ყურთმაჯები აქვთ გურულებს და ისინიც ხომ ქარ-

თველები არიან. ეს იყო შერეული მოდა, რომელიც სომხებიდან მოდიოდა.

— მე დეკადენტობის თავყანისმცემელი არა ვარ, — ღიმილით უთხრა დიდმა მთავარმა ფიგნერს, — მაგრამ უნდა მოგახსენოთ, ნიკალაი ნიკალაევიჩ, რომ თქვენი კოსტიუმი მართალია მშვენიერია, მაგრამ, ცოტა არ იყოს, თანამედროვეა... სინამდვილეში ასეთებს კავკასიაში არ ატარებენ... ძალიან ბევრი ზიზილ-პიპილებიანი ფორმია... მსგავსად მდიდრული კუბოებისა...

ფიგნერი მაინც არ ღალატობდა თავის კოსტიუმს.

ოპერა „დემონის“ ახალი დადგმის შემდეგ პრესა წერდა, რომ „სინოდალის კოსტიუმი, დამზადებული კოროვინის ნახატის მიხედვით, — დეკადენტურია“.

— უცნაურია... — თქვა დირექტორმა ვ.ა. ტელიაკოვსკიმ. — რამდენს ლაპარაკობენ „დემონის“ დადგმაზე. და როცა „დემონის“ წინანდელ დადგმაში ქართველებს რატომღაც თურქული ფესკები ეხურათ თავზე, მთები კი ლამის შვეიცარიული იყო — ყველა ღუმდა. ახლა კი ყველა ლაპარაკობს და თქვენს დადგმას ყველა ლანძღავს. ბარონი ფრედერიქსი რატომღაც შემფოთებულა... მეკითხება: „ნუთუ ქართველ ქალებს შარვლები ეცვათ? განა უცნაური არ არის?“ — ტელიაკოვსკიმ გაიციხა. — და ამასთან: ყველანი ლანძღავენ, თეატრი კი გაჭედლია...

ჩემი მსახური, ჩეჩენი აჰმედი გაცდა, როდესაც გახადეს კოსტიუმი, რომელსაც იზომავდა. ეგონა, მაჩუქესო.

ძალზე ნაწყენი დარჩა, ნაღვლიანად მითხრა:

— კარგი ქალაქი პეტერბურგი, გენერალ ბევრები, ნაჩალნიკ ბევრები, ყველაფერი ბევრები... მაგრამ მთა არა... ბრტყელია, მონყენა... მთები არა, როგორ ცხოვრება?!

და დასძინა:

— რისთვის დემონი? ასეთი კაცი არა კავკასიაში...

ვასილი ხარიტონოვიჩმა გაგულსებით უთხრა:

— რასა ტრაბახობ შენი კავკასიით? მოსკოვში მეფე-ზარბაზანი რომ აიღო და მთაზე დააყენო, და ბახ! მაშინ თქვენ, თქვენ ყველანი, ჩერქეზები, რამდენიც არ უნდა იყოთ, ნეტავი რას იტყვიოთ, ჰა?

ჩემს ჩეჩენს კრინტი არ დაუძრავს. მაგრამ ერთხელაც იყო, ბელოვს უთხრა:

— შენა ფიქრობ მარტო ჩემი სულელი. შენიც სულელი არი...

\* \* \*

ჩემმა ჩეჩენმა მოიწყინა. ერთ მშვენიერ დღეს, დილაადრიან, მომადგა და მეუბნება:

— შენა-მეგობარა-ჩემა. პოლიციის უბანში იყავი, ნაჩალნიკ ბევრი ლანძღვა. პაშპორტი არა, ხანჯალი ტარება არა... სულ არა და არა... პისტოლეტი არა, არ შეიძლება. პისტოლეტი — ციხე ჩაჯდა... მშვიდობით! — თქვა და თავი დახარა. — მე უკან ნავა...

და მის თვალეში ცრემლი აკიფდა.

— გაუშვი კავკასია ჩემი. შენა-მენა ერთი ალაპი. მშვიდობით, შენა-მეგობარა. შენა — აი კარგი. ჩემი სიმართლე ლაპარაკი. გაუშვი კავკასია ჩემი... მოწყენილი ჩემი... ყველაფერი ბევრები, პეტერბურგი კარგი, მთა არ არი... მოწყენილი... აბა აქ რა არი, როგორ ცხოვრება, მთა არ არი, მოწყენილი არი...

გაემზადა გასამგზავრებლად. სალამოს გავაცილე ვაგზალზე. ბილეთი ვუყიდე. ფული ზონრიან ჩანთაში ყელზე ჩამოიკიდე-მეთქი, ახალუხის ქვეშ. „თორემ იცოდე, — ვეუბნები, — მოგპარავენ...“

გამომშვიდობებისას მაგრად გადამეხვია და მითხრა:

— მშვიდობით. ჩეჩენი აქ ვერ იცხოვრებს... ასეთი კაცი არი — ბრალი არ არი... მშვიდობით!

შუბლზე მაკოცა და ატირდა.

რუსულიდან თარგმნა  
ლამა გიორგაძე



ოქტაი ქაზუმოვი

# ჩვენ, მატარებელი, გაქო და მოლა ნასრედინი

ორი წლის წინათ დასაწერს ახლა ვწერ და მისთვის ორი წლის თავზე ხელის მოკიდება თუ რამ გადამანწყვტინა, გადამანწყვტინა შემდეგმა სამმა საბაბმა — 1) როცა ჟურნალ „ჩვენ მწერლობაში“ 2010 წელს ბაქოში წასვლისა და იქ მწერალ ელჩინ ეფენდიევთან შეხვედრის თაობაზე — იმედებზე, სიხარულზე, შთაბეჭდილებებზე — ჩემი წერილი გამოქვეყნდა, ბატონმა როსტომ ჩხეიძემ მითხრა ეს საქმე გამეგრძელებინა და სამომავლოდ კრებულის სახე მიმეცა; 2) ხსენებული წერილის („შეხვედრა მწერალთან“) დაბეჭდვის შემდეგ უნივერსიტეტის V კორპუსის კიბეზე ქალბატონი რუსუდანი ნიშნიანიძე შემომხვდა და ასეთი, ჩემთვის სიხარულისა და ენერჯის შემომმატებელი, რამ მითხრა: დარწმუნებული ვარ, შემოკლებული ვარიანტი გამოქვეყნდა, ვრცელად რომ დაბეჭდო, კარგი იქნებო. ვერ შევკადრე, რომ წერილი თავიდან ბოლომდე იმ სახით დაიბეჭდა, როგორადაც გაგზავნილი მქონდა რედაქციისთვის (მადლობა მათ ამისთვისაც), რადგან ეს უკმარისობის განცდა ქალბატონმა რუსუდანმა ჩემს წერილს ნაკლად კი არა, ღირსებად ჩაუთვალა და, 3) ეს წერილები (ამ ტიპის აქამდე ორი მაქვს დაბეჭდილი — პირველი „მზე საიდან ამოდის“ კავკასიური სახლის ჟურნალ „ჩვენ სოფელში“ დაიბეჭდა) საშუალებას მაძლევს თანმხლებ პირთა ქცევებს, აზრებს გავადევნო თვალი, დავიჭირო საინტერესო შტრიხები, რომლებიც შემდგომში ისევდაისევ ცოცხალი პასაჟებით შეავსებს, სულს შთაბერავს წერილებსაც და, ვფიქრობ, ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობებისთვის რაღაცნაირი ეტიუდების მნიშვნელობას შეიძენს.

შესავლად წამძვარებული ამხელა „ახსნა-განმარტებით ბარათი“ ორწლიანი პაუზის სიმძიმეზე, ხელახლად მიბრუნების სირთულესა და უხერხულობაზეც მეტყველებს; უხერხულობაზეც იმიტომ, რომ ორწლიანი პაუზის (წერილი 2011 წლის მაისის ბოლოსთვის მქონდა ჩაფიქრებული) მიზეზები... თუმცა ახლა სათხრობი გვაინტერესებს და არა მისი გამაჯანჯალელებელი ფაქტორი თუ მისგანვე მოგვიანებით თავჩენილი, ერთმანეთის გამომწვევ ხდომილებათა ასხმულა.

მაშასადამე...

\*\*\*

...2011 წლის აპრილში გიორგი კეკელიძე შემხვდა და: მაისში ბაქოში სემინარი იმართება, მე, ანა კორძაია-სამადაშვილი და პაატა შამუგია მივდივართ, ხომ არ წამოხვალ, — მითხრა. ჩვენი ბაქოში ერთად წასვლის საჭიროებაზე ადრეც ჰქონდა ნათქვამი და ჩემგან თანხმობაც მიელო, ოღონდ ეს ჩვენსავე ხარჯებით თუ იქნებოდა შესაძლებელი; და ახლა: გვიწვევენო. კი მაგრამ, მე არ დავუპატიუებოვარ და... — გავიკვირე. არაუშავს, ვეტყვიო.

გავდა რამდენიმე დღე და სალამოხანს დიდუბისკენ მიმავალ სამარშრუტო ტაქსში შეჭედელს ტელეფონი ამითრთოლ-ამისიმღერდა ჯიბეში. ზოგადად სატრანსპორტო საშუალებაში (ისიც გამოქვდილში) ტელეფონზე საუბარი არ მომწონს, მაგრამ ზარი ბაქოდანაა (+994...). ვცდილობ რაც შეიძლება ხმადაბლა ვილაპარაკო, უფრო სწორად, გუნებაში ასე ვწყვეტ და სალაპარაკო დილაკს ვაჭერ თითს. ჩემდა მოულოდნელად რასიმ გარაჯა აღმოჩნდა, რომლის ლექსიც ჯერ კიდევ უფროსკლასელობისას ჟურნალ „ხაზარში“ მქონდა ნაკითხული, ხოლო შემდეგ შოთა იათამ-ვილისა და სალიმ ბაბულაოღლისგან მსმენოდა. ვიცოდი, რომ

„თავისუფალ მწერალთა კერა“ () ჩამოცალბებინა და მწერალთა ნომენკლატურულ სტრუქტურას — „აზერბაიჯანის მწერალთა ერთობა“ — უტევდა. გარდა ამისა, ამ „კერას“ თავისი ინტერნეტ-ჟურნალიც ჰქონდა — „Alatoran“ (ბინდუნდი, რიბირაბო), სადაც საინტერესო პოეტებისა და პროზაიკოსების შემოქმედების გაცნობა შეიძლებოდა, თუმცა მათი ზოგი შეხედულება, ზოგ მწერალზე მაინც, უმართებულო მგონია, თუნდაც იმიტომ, რომ მათგან ნაძაგები ეს რამდენიმე მწერალი ნიჭიერებით ათი თუ არა, ხუთი თავით მაინც მაღლა დგანან ამ უკანასკნელებზე. თანაც ცხადზე ცხადია, რომ კრიტიკა შედარებით ადვილი რამაა და მხოლოდ ოპოზიციონერობის სახის მორგებით ხშირად აშკარად ამომზეურებულ უნიჭობასაც ვერ გაამართლებ (როგორც ჩემმა მეგობარმა თავისუფლების რადიოს ჟურნალისტმა, მთარგმნელმა და მწერალმა ნამიგ ჰუსეინოვმა მითხრა, აზერბაიჯანში არავინ უყურებს ნიჭიერებს, იქ მწერალი იმდენადაა პოპულარული, რამდენადაც აქტიურად ექიშება ხელისუფლებას — არაფერს წერს მათთვის სასურველს, არ იღებს პრემიებს და ა.შ.).

მე სანამ თავს ვიმტვრევდი თუ რატომ დამირეკა რასიმ გარაჯამ, მითხრა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში გამოცემულ სალიტერატურო ჟურნალთა მდგომარეობის შესახებ პროზაიკოსებს, პოეტებს, მთარგმნელებს ბაქოში სემინარზე ეპატიუება და მეც გიორგის რეკომენდაციით მიწვევს. მადლობა მოვასხენე და მაშინვე გიორგის დავურეკე ამის საცნობლად და ახლა განზრახაც, რადგან მინდოდა სამარშრუტო ტაქსის სხვა მგზავრებისთვის გამეგებინებინა, ქართულადაც რომ შემეძლო ლაპარაკი და, რომ არა საქმის სერიოზულობა და სიჩქარე, არ შევანუხებდი მათთვის გაუგებარ ენაზე ბაასით.

დიღმის მასივის ნანვიმარ-ნაგუბარზე ლამპიონები ირეკლებოდნენ და ენაცვლებოდნენ ერთიმეორეს.

\*\*\*

*ერთ მთვარიან ღამეს მოლა ნასრედინი ჭიდან წყლის ამოსაღებად გაემართა. ჭაში რომ ჩაიხედა, მთვარის ანარეკლს მოჰკერა თვალი. ვაი — ამოვივინა მოლამ — არიქა, მთვარე ჭაში ჩავარდნილა. აქეთ ეცა, იქით ეცა, კავი მოარბენინა, ეგება როგორმე გამოვდო და ამოვიყვანო. ბევრი იჯახირა, ბოლოს კავის წვერი ქვას გამოედო. მოლას გაუხარდა — მთვარე ვიხელთეო. მთელი ძალით ამოქაჩა, კავის წვერი ქვას აუხსლტა, მოლა გულადმა დაეცა და მთვარე ამჯერად ცაზე იხილა. დიდი ჯაფა კი დამადგა, მაგრამ სანყალი მთვარე დახრჩობას მაინც გადავარჩინეო — ამოიძახა მთვარესავით პირგაბადრულმა მოლამ.*

\*\*\*

საქართველოში საყოველთაო გულარხეინობა სუფევს. დრო არ გვანტერესებს და სერიოზულ დამოკიდებულებას არ ვიჩენთ მისადმი. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ძალიან სწრაფი მოქმედებაც გვჩვევია. ასე რომ, ხან დროს ძალიან ჩამოვრჩებით, ხანაც ძალიან ვუსწრებთ და მერე მის (დროის) ლოდინშივე ისევ ვმცონარდებით.

გიორგი ამბობს, რომ სამ მაისს უნდა შეხვედეთ ვაგზლის მოედანზე, რათა 4 მაისის ბილეთები შევიძინოთ. ამ ლოგიკით, ჩვენ ბაქოში 5 მაისს უნდა ვიყოთ. ზუსტად ამ დროს რასიმი ურეკავს და გიორგი მე მანვდის ტელეფონს. მე ხალისიანად ვეუბნები, რომ გულმშვიდად ბრძანდებოდეს, ჩვენ წუთინუთზე ბილეთებს ვიყიდით და ზეგ დილით ბაქოში ვიქნებით.

რა? — ისეთი ხმით იძახის რასიმი, ვხვდები, რაღაც გამოუსწორებლის წინაშე ვართ — სემინარი სვალ იწყება და ხუთში როგორ იქნება? მე ხომ ვუთხარი გიორგის? — რასიმის გულის ბრაგუნი ტელეფონში ისმის. მე ანასა და პაატასთან ლაპარაკში გართულ გიორგის ვეუბნები, რომ თურმე ხვალ უნდა ვიყოთ ბაქოში. ის შეცბუნებულია, როგორ, ხუთში არ იწყება? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ახლა რომელი საათია? — სამი. მატარებელი ხუთზე გადის, მოვასწრებთ? უნდა მოვასწროთ. ბილეთებს ვყიდულობთ და საათნახევარში შეხვედრას ხელახლა ვნიშნავთ.

რასიმს ვატყობინებ, რომ დღესვე გამოვემგზავრებით. მერე შინ ვრეკავ და იმ ჩასაცმელების გამოგზავნას ვთხოვ სოფლის სამარშრუტო ტაქსით, ბაქოში რომ უნდა ვითანიო. ტანისამოსს კი მოვევლება, მაგრამ ამ მოხშირებულ წვერს რა ვუყო?

\*\*\*

წვერი ძალიან საინტერესო რამაა. ის ადამიანს იერს სძენს, სიდარბაისლეს ანიჭებს, გარეგნობას სიბრძნისეულ შტრიხებს მატებს. თეთრი წვერი სულაც სინმინდის სიბრძნის გამოხატულებაა და თავისთავისადმი მონივნების მბაღია. თუმცა გიხდება-არგიხდებას საკითხიც ძალიან მნიშვნელოვანია. ისევე როგორც არაფერი ვარგა ქაოტური, წვერსაც სჭირდება მოვლა, რაც მისთვის ფორმის მიცემაში, სიხშირისა და სიგრძის გაკონტროლებაში გამოიხატება. სხვადასხვა კულტურაში წვერის ფორმაც სხვადასხვაგვარია. მაგალითად, მუსლიმური ტრადიციით, სამართებლით წვერის პირნმინდად პარსვა ცოდვაა. ორთოდოქსული ისლამის მიხედვით, წვერი მხოლოდ სახის კანს უნდა ფარავდეს და უუკიდურეს შემთხვევაში მისი სიგრძე მუჭში მოქცეულს არ უნდა აღემატებოდეს. აი ვაჰაბიტებში ეს მოთხოვნა გვარიანად დარღვეულია, რადგან ამ მიმდინარეობის მიხედვით, რაც უფრო დიდი წვერი გაქვს, მით უფრო მორწმუნედ და მრწმენად მიიჩნევი.

საქართველოში წვერის სიგრძე XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსკენ „დისიდენტობისა“ და „ეროვნულობის“ ატრიბუტთაგანი იყო. სადღეისოდ ის უფრო რელიგიური სულისკვეთების მატარებელია. აზერბაიჯანელ მორწმუნე მუსლიმებშიც წვერი ასევე რელიგიურობის უმთავრეს ნიშანთაგანია.

\*\*\*

მოლა ნასრედინს წვერზე ხელის ჩამოსმა და მისით ლოლიავი ძალიან ჰყვარებია. თემურ ლენგმა ეს შეამჩნია და გახუმრების მიზნით ვააფრთხილა: აი კიდევ ერთხელ თუ შევამჩნიე, რომ წვერზე ხელი ჩამოგისვამს, ძირში მოვაპარსვინებ იცოდეთ. საწყალი მოლა, რაკი თემურის ხასიათი ხუთი თითივით იცოდა, წვერზე ხელის ჩამოსმას შეეშვა. გამოხდა ხანი, თემურმა მოლა თავისთან იხმო და ჰკითხა — მითხარი როგორ მოვიქცე, რომ მალხამ სამართლიან მეფედ მალაიროს?


— პირველ რიგში, დიდი ხელმწიფეც, ყველა კაცს საკუთარ წვერზე უფლება ალუდგინეთ, — სასწრაფოდ მოახსენა მოლამ.

დიდებული ორაზროვნებაა!!!

\*\*\*

დიდებუში ტანსაცმლის ჩანთას ვიღებ და გასამგზავრებულად სახელდახლოდ რაღაცებს ვყიდულობ (წვერსაპარსს არ ვივინყებ). ხუთის ნახევრისთვის ადგილზე ვარ დარჭობილი. იგვიანებენ. ჯერ გიორგი მოდის, მერე ანა, შემდეგ პაატა, ოღონდ თითოეული დანიშნულ ვადას კაა გვარიანად გახიდული ინტერვალებით. ასე რომ, მატარებელში არ აგვიშვებს. გარდაბანში შეგვიძლია დავუხვდეთ. ტაქსის მძღოლი ტუჩებს პრუნავს, 40 ლარად მე ვერ ნავალო, — და სხვასთან გვშუამდგომლობს. შავი „ბე ემ ვე“-ა თავისი მძღოლივით. ჩანთებს საბარგულში ვუჩინებ ადგილს, წინა სავარძელს ანას ვუთმობთ, ჩვენ უკანაზე ვსხდებით და ჰაიდა.

„უცნობ ადამიანს ხარტო არასოდეს დაემგზავრო“, შეგვაგონებს ერთი ძველი აზერბაიჯანული სიბრძნე და ამ მოსაზრების ცხოვრებისეული სინამდვილიდან ამოზიდულობის გათვალსაზრებულად ამბავსაც მოაყოლებს. ჩემთვის უცნობად მხოლოდ ანა მიიჩნევა, რადგან მასთან მოაქამომდე არც პირადი ურთიერთობა მქონია და არც ვირტუალური. ჯერ რომან-მოთხრობებიც არ ნამიკითხავს. ერთადერთი, რაც ვიცი ერთ ავტორსა და ნაწარმოების შინაარს-ლირსებაზე, ამ ავტორისვე წიგნის უკანა ყდაზე მისი მცირე, მკითხველთათვის იმ წიგნის კითხვის მომანდომებელი ნაწერია, რომელიც უცნაურად მთავრდებოდა.



ოქტაი ქაზუმოვი

გიორგი კეკელიძეს უნივერსიტეტში მისაღები გამოცდებიდანვე ვიცნობ და მთელი ბაკალავრიატ-მაგისტრატურა ერთად გვაქვს გამოვლილი. პაატასაც უნივერსიტეტიდან ვიცნობ. ჩვენზე ერთი კურსით უფროსი იყო და იმდროინდელ უნივერსიტეტული პოეზიის სალამოებზე (და მის გარეთაც) ხშირად გამოდიოდა. სალმინი კაცია და უმალ შესამეგობრებელი.

— ქალბატონო ანა, როგორ ფიქრობთ, მამაკაცები მართლა აუტანლები არიან? — გიორგი და პაატა ისუსებთან, უკვე რუსთავის გზაზე ვართ. ჩემი ჯიქურ შეკითხვით დაბნეული ანა მიყურებს, მერე ილიმის და: არა, რატომ? — ისე მეკითხება, რომ უკვე მე მეპარება ეჭვი, არასწორად ხომ არ დამამახსოვრდა ანდა ადრესატი ხომ არ შემეშალა-მეთქი, და ცოტა არ იყოს ნირნამხდარმა ვუთხარი — აბა რატომ წერთ ბორის ვიანის „წითელი ბალახის“ უკანა ყდაზე, რომ „მოდით შევთანხმდეთ, მამაკაცები აუტანლები არიან?“ ანას უეცრად დაძაბულობა ესხნება და სიცილით ეუბნება გიორგის: ხედავ სად გამომიჭირო? — მერე ამატებს, რომ ქალებიც გვარიანად უბერავენ. ასე და ამგვარად, ერთმანეთს აბლანსებენო, თუ რაღაც მაგდაგვარი მიპასუხა, მაგრამ ეს უკვე აღარ არის საინტერესო, რადგანაც უეცარი შეკითხვით მისი რეაქცია შევამომნე და იგი მედიდურ ადამიანად კი არა, გულლია, სამეგობროდ მომართულ პიროვნებად შევიცანი და გუშამნა მიგრძნო, ამ მიმოსვლაზე წერილს დავწერდი.

\*\*\*

გარდაბნის სადგურში შევედით თუ არა, მატარებელიც ჩამოგდა. შეიძლება ითქვას მთელ ვაგონში მხოლოდ ჩვენ ვართ. მე ჩემი წვერსაპარსი, ქაფი ავიღე და ვაგონის ბოლოში გავვიდი. სარკეში თმასა და წვერში ჩემს კბილებს საარაკო ბზინვა გაჰქონდათ. რელსებზე მატარებლის მიმორწევაში პარსვა რომ გამენელებოდა და თან სახის დასერვასაც რომ ვერ გადავურჩებოდი ცხადი იყო, ამიტომ გადავწყვიტე, მხოლოდ ფორმა მიმეცა. ფორმის მიცემა ყელის არეში და ღანვებზე წვერის ისეთ აღებას გულისხმობს, რომელიც ნიკაპსა და საულვაშზე ბლანჟეს გამოკვეთს. თავის მხრივ ეს ბლანჟეტ ქილვაშებს საკმაოდ დანვრილებული სახებით უერთდება. მგონი ჩემ შესახელობაზე მიახლოებითი წარმოდგენა მაინც შევქმენი და აქვე იმასაც დავურთავ, რომ ასეთი წვერი მხოლოდ ძალიან მოხშირებულ თმაზე თუ მიხდება.

უკან მიბრუნებულს „სუფრა“ გაშლილი დამხვდა. ჩვენი გზა დაილოცა და ა.შ. მერე კი პაატა, გიორგი და მე ჩემი მხრიდან ცოტა არ იყოს გაცხარებით შეპასუხებულ დისკუსიაში ჩავერთეთ. დისკუსიის საგანს ლიბერალიზმი წარმოადგენდა. მე გულისწყრომას გამოვთქვამდი ჩვენში ამ მიმდევრობის დამჩემებელთა მისამართით, რომლებიც მოდურობას აყოლი-

ლებს უფრო ჩამოჰგვანან, ვინემ გულწრფელ, კეთილგონიერ და საქმის მცოდნე თეორეტიკოს-პრაქტიკოსებს.

— ასე გაგიჭირდება ცხოვრება, — სინანულით მითხრა გიორგიმ, რამაც ნოდარ დუმბაძის „ძალი“ გამახსენა — ასე გაგიჭირდება ცხოვრება ბაბუო — აფრთხილებს სპირიდონი შვილიშვილ გოგიტას.

\*\*\*

მატარებლით მგზავრობა პირველ დღესაა საინტერესო და სასიამოვნო, თორემ მეორე დღეს უკვე მოსაბეზრებელია, რადგან ჩასვლის მოლოდინში წრიალებ, და აღარ იცი, რა ქნა. თანაც ბაქოში სანამ ჩააღწევდეს მატარებელი, რუხ უდაბნოში მიიწევს. არსად ხე, არსად სიმწვანე, არაფერი თვალსასიერო. ბაქოს გარეუბნებში ქოხმანები ისე ახლოარელსებთან, რომ მატარებელმა სვლას ცოტათი რომ უკლოს, თამამად შეიძლება ჩაიხე დააპატიუებინო თავი. ბოლოსდაბოლოს მატარებელი ჩერდება და ბაქანზე ჩავდივართ. ვინმე უნდა დაგვხვდეს. მართლაც ერთი უღვაშა, დაბალი კაცია, ხელში A4-ის ფურცელი უკავია წარწერით „Alatorn“. სემინარი დაწყებულია თურმე და საჩქაროდ მანქანისკენ მივყავართ. ჩვენ ტაქსისტთა და ფულის გადაცვლის მოსურნეთა ყაყანა გუნდში გავდივართ. სემინარი ოფისად გადაკეთებული მშენიერი კერძო სახლის მესამე სართულზე იმართება. კარს ვაღებთ თუ არა, პირველი რასიმი გვეგებება. მე საღიშ ბაბულოდღეს ვხედავ და მისკენ სიხარულით მივიწევ. გვერდით ვუჯდები, რაც ფოტოგრაფის მიერ ხელადაა გაუკვდავებული. საღიმის ამ სემინარზე ყოფნა ჩემთვის საინტერესოა, რადგან იგი „მწერალთა ერთობაში“ მუშაობს, თუმცა თავისი პოზიცია გააჩნია. სემინარს რამდენიმე დღეგაცია სტუმრობს — თურქეთიდან, ჩვენ — საქართველოდან — და შვეიცარიიდან. დარბაზში რომ შევედით, ვილაც გამწარებული თარგმნიდა გერმანულად. ხშირად ამბობდა „Aba“-ს. მნიშვნელობა ანას რომ ვკითხე, „მაგრამს“ ნიშნავსო, მიპასუხა. საინტერესო ტიპი იყო. ასეთ კულტუროლოგიურ შეხვედრაზე პირველად თარჯიმნობდა, რადგან, როგორც გაირკვა, რომელიც ფირმაში მუშაობდა თარჯიმნად და აქ რასიმის თხოვნით იყო. ჩვენების მისასალმებელი სიტყვის თარგმნა მე მომიწია და ისიც ჩემი თარგმანის გერმანულად გადათარგმნას შეუდგა.

\*\*\*

მასპინძელ მხარეს ნელნელა ვათვალისწინებ და მზერას ერთ გამხდარ, თმათხელ, სათვალთან, დაახლოებით 65 წლის კაცზე ვაჩერებ, რადგან ტელევიზორში ხშირად მყავს ნანახი და სახელს კი ვერ ვიხსენებ. ეს რაფიკ თავია — პროფესიით ექიმი და ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი, ისეთი მრწამსისა და ნაწერების, ციხეშიც რომ ჩაუსვამთ. მეორეც სათვალთანაა, ოღონდ მელიტი და აზერბაიჯანულ ლიტერატურას მიმოიხილავს. მისი სახელისა და გვარის ხსენებამ უმაღლეს პატივისცემით განმანყო ამ ადამიანის მიმართ — თეირან ალიშანოღლუ, ცნობილი კრიტიკოსი. 2006 წელს „კავკასიურმა სახლმა“ „თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზიის ანთოლოგია“ გამოსცა და წიგნისთვის მისი წინასიტყვაობის თარგმნა მომიწია. პოეტი ზაჰირ აზამათი კი მაშინვე ვიცანი.

**ზაჰირ აზამათი**

**იპოიზმი**

დაეყრდნო თავს შენსას რათა არ დაეცე.

შეიყვარო თავი შენი ნუგეშისცემისთვის.

**და ყოველ დღით  
სალამ-ქალამი უთხრა შენს თავს  
საკუთარი სიტყვა-პასუხი რომ გაიგონო**

**ბედნიერებაა რომ ვარსებობ  
თორემ ნაღველს მივეცემოდი.**  
(თარგმანი შოთა იათაშვილისა)

\*\*\*

იმ დღეს დაგეგმილი სემინარი მორჩა თუ არა, ჯერ სასაღიშოდ წავიდი. რესტორანში სუფრა გაიშალა და რასიმმა ითამადა. არ განელილა დიდხანს, მაგრამ რასიმი ცოტა რომ შეფუცხუნდა, უცებ „სულიკო“ წამოიწყო ქართულად. ნამგზავრზე რამდენადაც შემძლო მხარი ავუბი და იმ ერთი კუპლეტის დასრულების შემდეგ აბლოდისმენტებით დავეჯილდოვდი. რასიმი აბა ვის ჰგავსო, — ჩამწურწულა ანამ. ვერავის მივამსგავსე. ზვიად გამსახურდიას არ ჰგავსო? ისე შეეხედე და გამეღიმა — მიუხედავად რასიმის შავგვრემანობისა, ჰქონდათ რაღაც შტრიხები საერთო (იმავე წლის სექტემბერში თბილისში ჩამოსულ რასიმს რომ ვუთხარით, ძალიან დაინტერესდა და ინტერნეტში ნახა ზვიად გამსახურდიას ფოტო და: არა, ერთმანეთს არ ვგავართო, — თქვა ცოტა არ იყოს დანანებით). ნარესტორნალებს ჩვენი ვაგზილიდან წამომყვანმა მანქანამ მოგვაკითხა და რასიმმა დასაბინავებლად წავიყვანა. კერძო სახლი აქვს დაქირავებული სამი დღით მეტრო „საჰილთან“ (სანაპირო). შესანიშნავი ალაგია -ცენტრი. ერთ ნაბიჯზეა ბულვარი, ქალწულის კოშკი, ძველი ბაქო, კაფე „არაზი“, „შირზადის კაფე“ და ა.შ. მეტი რა გვინდა. სახლი XIX საუკუნის ბოლოს ან XX დასაწყისშია აგებული მაღალი კედლებით და დუბლექსადაა გადაკეთებული. ნამეტანი მოგვწონს, მე ვგრევე მოაჯირიან დუბლექსზე ავასნარი ბიჭებს. ნივთების ამოლაგების მერე სამზარეულოში შევიკრიბეთ და ჩაი დავლიეთ.

\*\*\*

მეორე დღეს ისევ სემინარზე მივდივართ, პაატა წრიალებს, თბილისი ენატრება. ცოტა უცნაურია, მაგრამ მესმის მისი, რადგან სტამბოლში ჩასვლის დღიდანვე მინდოდა უკან გამოვბრუნებულიყავი. რასიმს ვუთხარი. არ მოეწონა, თუმცა მაინც გაუმეა და პაატას ავტოვავზალზე მიყვანა დამავალა. პაატას ვუთხარი, რომ საღამომდე მოითმინოს და მატარებლით იმგზავროს. მაგრამ ერთი სული აქვს, როდის წავა, და თან მეკითხება: ავტობუსით რამდენ ხანში ჩავალო. ბილეთს ვყიდულობთ, მის თავს მძღოლს ვაბარებ და უკან, სემინარზე ვბრუნდები.

\*\*\*

სადილზე ქალბატონი ნელი მამედოვაც გვიერთდება. იგი განსაკუთრებული პიროვნებაა. წარმოშობით საქართველოდანაა, მუშაობს აზერბაიჯანის ქართულ რადიოში. არის მთარგმნელი და ლიტერატურით ძლიერ დაინტერესებული ადამიანი. გარდა ყველაფერ ამ სიკეთისა, ქალბატონი ნელი დაა იმირ მამედლისა და დედა — პოეტ ალი ალიოღლუსი.

**ალი ალიოღლუ**

**ღმერთს**

დღეები მეტად  
განუსხვავებელი,  
ადამიანები უწინდელზე  
უინტერესონი,  
მცხოვრებნი სულუფრო  
შესაბრალისნი არიან.  
კლიმატი კიდევ უფრო  
სხვადასხვაგვარია  
ხრიკები დამაჯერებელია უფრო.

**დაძაბულობა უფრო ძლიერი... მზის სხივი უფრო უთბო, საპასუხო სიტყვები უფრო ფუჭი. ადამიანები კი უფრო უშენო, მეტად, მეტად უშენო.**  
(თარგმანი ჩემივე)

\*\*\*

ისე მოხდა რომ მოლას აბანოში მარტოს მოუწია ბანაობა. ცხელიწყალი, მარტობადამოლამჯერდლიდინინამოინყო. მერე-გაუტკბადატონსთანდათან უმაღლა და ბოლოს ერთი გემრიელად შემოსდახა კიდევაც და საკუთარი ხმით მოიხიბლა. შვილოსან, ასეთი ხმა თუ მაქვს, რატომ ვმაღავ და ხალხს არ ვასმენინებო. ამ აზრით ატაცებულმა სასწრაფოდ გაუმშრალ ტანზევე ჩაიცვა და პირდაპირ ქალაქის თავს მიადგა, აქაოდა, თქვენო აღმატებულეზავ, შესანიშნავი ხმა მაქვს, მსურს მოგასმენინოთო. ქალაქის თავიც ხელოვნებისადმი მიდრეკილი ყოფილიყო და ნება დართო ემღერა. მოლამ აბანო მოითხოვა. აბანო საიდან მოეტანათ, ამიტომ წყლით სანახევროდ ავსებულ ქვევრზე შეთანხმდნენ. ჩაყო მოლამ თავი ქვევრში და სიმღერას მოჰყვა. თურმე სინამდვილეში ძალიანაც ყრანტალა ხმა ჰქონია — ქალაქის თავმა და მხლებლებმა ყურები თითებით დაიცეს. განრისხებულმა ქალაქის თავმა მოსამსახურეებს უბრძანა, ხელები წყალში ამოეფლოთ და მოლასათვის მანამ ერტყათ, სანამ ქვევრში წყალი მთლიანად არ ამოთავდებოდა. ბრძანების შესრულებას შეუდგნენ. მოლა კი ყოველ დარტყმაზე ღმერთს მადლობდა.

— ღმერთს რატომ მადლობ, მოლა? — დაინტერესდა ქალაქის თავი.

— კიდევ კარგი, რომ აქ აბანოს მოტანა არ მოხერხდა, თორემ მაგის წყალს რა გამოლევდაო.

\*\*\*

გობუსთანთან და გამობრუნებულებს შვეიცარიის საელჩოში წვეულება გველოდა. ქალწულის კოშკთან ვდგავართ და დანარჩენებსაც ველოდებით. თეირან ალიშანოლლუ მოდის და: ოქტაი ქაზუმოვი თქვენ ხართო? — მეკითხება. ვუდასტურებ. ჩემი წერილი გითარგმნიათ და სალიმისთვის უთქვამთ, ძალიან კარგი წერილიაო, ცუდად შესრულებული თარგმანით წერილი არ მოეწონებოდათ, დიდი მადლობაო. გახარებულმა იქით გადავუხადე მადლობა.

შვეიცარიის ელჩი ქერა და ცისფერთვალემა ქალბატონი გამოდგა, რომელსაც, როგორც შევატყე, ბაქოელ ხელოვანებთან შინაურული დამოკიდებულება ჰქონდა. იქვე იყო მაროკოს ელჩიც, ხოლო ოფიციატებად ვიეტნამელები მიმოქროდნენ.

წვეულება რომ დასრულდა, ანამ, გიორგიმ და მე ღამით ქალაქში გასეირნება გადაწყვიტეთ. ასე სეირნობა-სეირნობით მივედით სახლში და ნივთები ჩავალავეთ. დილით გამოსამშვიდობებელი შეხვედრა და დასკვნითი სემინარი გველოდა.

\*\*\*

გამომგზავრების დღინდელი სემინარი იმით იყო საინტერესო და დამსამახსოვრებელი, რომ მწერალი რაფიკ თაგი გავიცანი ახლოს. თვითონ მომიახლოვდა და: 2008 წლის რუსეთსაქართველოს ომზე მოთხრობა მაქვს დანერვილი და თუ თარგმნო. მე ჩემი იმეილი ჩავანერინე და მართლაც ჩამოსვლიდან ერთ კვირაში მოთხრობა თავის ავტობიოგრაფიანად და ფოტოსურათით გამომიგზავნა. მოთხრობა ნავიკითხე, მაგრამ თარგმნა და ჟურნალ „აფრაში“ მცირე ბიოგრაფიული შესავლით დაბეჭდვა მხოლოდ მეორე წელს, მისი სასიკვდილოდ დაჭრიდან და გარდაცვალებიდან 9 თვის თავზე მომიხერხდა. ბაქოში ჩვენს ამ ვიზიტს თუნდაც ამისთვისაც უნდა ვუმაღლოდე და ვმადლობ კიდევ.

ერთხელ მოლამ... მაგრამ რაღა ერთხელ, მთელი ჩვენი ცხოვრება ამ დიდი გენიოსის საკბილო არ არის განა?



\*\*\*

ქალაქის თავი ავად გახდა. მოლამ ეს რომ გაიგო, ცოტადენი ხილი იყიდა და მოსანახულებლად ეწვია. ნახა, რომ კაცი ლოგინში ჩანოლილა. მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ ქალაქის თავმა ავადობაზე დაიჩვილა:

— გუშინ კბილიც ამტკივდა და ყურიც. მოკლედ, ისეთი ჯოჯოხეთი გამომატარეს, რომ ნულარ იტყვი, მოლა. დღეს დილით ერთი კარგი კბილის ექიმი მოვიდა და კბილი ამომადრო. ახლა დამრჩა ყური...

— ჰო, ჰო, ვინმე კაი დედმამიშვილი რომ გამოჩენილიყო და შენთვის ეგ ყურიც ამოეძრო, შენც მოისვენებდი და მთელი ქალაქიც, — სასწრაფოდ გაანწყვეტინა მოლამ.

\*\*\*

ნამოსვლის წინა დილას ქალწულის კოშკთან ვიკრიბებით. რასიმს გობუსთანში მიყვავართ. გობუსთანი ქვოვან-კლდოვანი ადგილია, სადაც პირველყოფილ ადამიანთა ნამოსახლარია შემორჩენილი. კლდეზე თხები, ხარები, თევზები, ადამიანები და მათი ნადირობის სცენებია ამოკანწული. ერთგან ნადირობიდან დაბრუნებისას წვიმაში რომ მოყოლილან, ისიცაა ასახული. გობუსთანი ბაქოდან 60 კილომეტრზე მდებარეობს და ახალდაგებული გზა მიუყვება. ჩვენ დიდი ინტერესით ვათვალიერებთ იქაურობას და გიდს ყურადღებით ვუსმენთ. ძირითადი ადგილების მოვლის შემდეგ რომაულ (პომპეუსის ლეგიონების მიერ დატოვებულ) და არაბულ წარწერებსაც შევხვდით. შემდეგ უკან მიბრუნებისას რამდენიმე უშველებელ ლოდზე მიგვითითეს, რომლებიც უშუალოდ მინას არ ეხებოდნენ -ძველითგანვე ქვებზე შეეყენებინათ. საქმე ის გახლავთ, რომ გობუსთანის ლოდები ქვით დარტყმისას დოლივით ხმებს გამოსცემენ. ერთმა აზერბაიჯანელმა პოეტმა (სახელი აღარ მახსოვს) ამის სადემონსტრაციოდ ორი ქვა აიღო და ლოდზე ბრაგუნს მოჰყვა. ხმა მართლაც ექოსავით გაისმოდა. მერე რაღაც რიტმი შესძინა და იმ რიტმზე რაშიდ ბეიბუთოვის სიმღერა „დღეს თვის სამი რიცხვია“ მომაგონდა და ხმადალა სიმღერა წამოვიწყე. წინ მიმავალი შეჩერდნენ. სუფთა ჰაერი, კლდეების ექო რაღაც ყურმისავალ ჟღერადობას აძლევდა ჩემს საკამოდ უხეშ ხმას. რასიმი მანამდე ტყლეფონით რაღაცებს იღებდა ეპიზოდურად, მაგრამ ჩემი სიმღერა არ გადაუღია, რაზეც უკვე თბილისში ანა ჯავრობდა — როგორ ვერ მოტყინაო.

# როსტომ ჩხეიძე

## ეტყობა, ლადო ასათიანი ვეგონე!..

ვერასოდეს ვიფიქრებდი, ამ ყაიდის თხზულების შექმნა-  
საც თუ მოვკიდებდი ხელს: ქართული ლიტერატურის ისტო-  
რია უძველესი ჟამიდან დღევანდლობამდე.

თანაც უკიდურესად შემოფარგლულ სარბიელზე.  
არასოდეს ვყოფილვარ გატაცებული მიმოხილვითი სტა-  
ტიებითა თუ ნარკვევებით. არა, კითხვით ინტერესითაც  
ვეცნობი, მაგრამ დაწერა ჩემით არც მიცდია, თუნდ წლიური  
ლიტერატურული მოსავალიც რომ შემეფასებინა, არამცთუ  
გარკვეული პერიოდი, თუნდ ხანმოკლე.

მაგრამ მომიწევდა კი...  
და ხანმოკლე პერიოდი რა სათქმელია, როდესაც თურმე  
უძველესი ჟამიდანაც კი უნდა მომედევნებინა მზერა ჩვენი  
მხატვრული აზროვნებისათვის, ყველა ჟანრში გამჟღავნე-  
ბულ-გადმოღვრილის.

მეცადა ამეხსნა მისი შინაგანი კანონზომიერებანი და ის  
თავისებურებანი, თვითმყოფად მოვლენად რომ წარმოგ-  
ვიდგენდა ამ უწყვეტ პროცესს, და განუყოფელ და სრუ-  
ლუფლებიან ნაწილად იმ დასავლური და მსოფლიო მხატვ-  
რული აზროვნებისა, რომლის შუაგულშიც მოვექცევით ად-  
რე თუ გვიან.

ერთგვარ სავიზიტო ბარათსაც კი უნდა დამგვანებოდა ეს  
თხზულება, ცნობისნადილის გამომწვევს ევროპა-ამერიკი-  
სათვის, რათა თვალნათლივ დარწმუნებულიყვნენ, რომ ამ  
მწერლური მონაპოვრის გარეშე არ გაეძღებათ და რაც დრო-  
ულად ჩავგრთავდნენ თავიანთ წრეში, მით უკეთესი დასავ-  
ლური ლიტერატურული აზროვნებისა და ცხოვრებისათვის.

ვერასოდეს ვიფიქრებდი, მაგრამ...  
„ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში მესტუმრებოდნენ ვახ-  
ტანგ სართანია და პაატა ნაცვლიშვილი და პირდაპირ ასევე  
დაიწყებდნენ:

- იცოდე, უარი არ უნდა თქვა.
- კი მაგრამ, რაზე არ უნდა ვთქვა უარი?
- ჯერ შევთანხმდეთ, რომ უარით არ გავგისტუმრებ.
- „რა ხდება ნეტა?“
- ხომ უნდა ვიცოდე...
- ჯერ შევთანხმდეთ.

ეს მათი მტკიცე მოთხოვნაა.  
პაატას ვიდრე პირადად გავიცნობდი, მანამდე უკვე პა-  
ტივისმცემელი ვიყავი მისი არამართო ჟურნალისტური სტა-  
ტიებისათვის, არამედ მრავალმხრივი მოღვაწეობისათვის,  
იმ დაუმცხრალი სიყვარულისათვის, ლიტერატურისადმი  
რომ იჩენდა და სასიკეთო კვალსაც დააჩნევდა ჩვენს სამ-  
წერლო და საზოგადოებრივ ყოფას. პირადი ურთიერთობა  
კი კიდევ უფრო განმიმტკიცებდა ამ შეხედულებასა და გან-  
წყობილებას.

ვახტანგ სართანისა შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ  
შევხვედროდი, ღირსეულ პიროვნებად რომ აღიქმებოდა  
ყველას თვალში, და ნიშანდობლივია, რომ არამართო მეცნი-  
ერული ეკონომიკის სფეროში მიეღწია თვალსაჩინო წარმა-  
ტებებისათვის, არამედ თავისი მრავალმხრივი მისწრაფებე-  
ბითაც იწვევდა საყოველთაო პატივისცემას. პირადი ტრაგე-

— ვინმე უკეთესი რომ გენახათ, არ სჯობდა?  
 — ასე მოვიფიქრეთ, ასე გადავწყვიტეთ, უკვე შევეჩვიეთ ამ აზრს და ნუ გაგვანბილებ.  
 — რომ არ გაამართლოს?  
 — გაამართლებს, შენ დათანხმდი და აუცილებლად გაამართლებს.  
 — მაშინ...  
 — ჰო, ჰო, — ორივე გადაბადრული შემომცქერის, რაკილა თანხმობის ნოტას მსგავსს მიაკვლევენ ამ სიტყვაში, დაპირებისმაგვარს, ეგაა, რალაც პირობას მოვიტხოვ.  
 — მაშინ არავითარი ჯგუფი და გუნდი არ არის საჭირო. საერთოდ, მე ვიქნები თუ სხვა, ერთმა კაცმა უნდა დანეროს ქართული ლიტერატურის ისტორია თავიდან ბოლომდე, ორი ადამიანიც კი ნაახდენს საქმეს.  
 — მამ ძველი ქართული მწერლობაც...  
 — ძველი და ახალი რამ გაყო, ყოველ შემთხვევაში ლიტერატურის მკვლევარის თვალთახედვაში, ერთმა, ერთადერთმა კაცმა უნდა მოჰკიდოს ხელი და თავისი გააზრება წარმოადგინოს.  
 — ასე რომ, არა ხელმძღვანელობა, არამედ...  
 — დიახ, ხელმძღვანელობა ამ შემთხვევაში სრულიად ზედმეტია, თუ მაინცდამაინც — საკუთარ თავს უხელმძღვანელებ და ეგაა.  
 — ასეა თუ ისე, შევთანხმდით.  
 — არა, მე უფრო ჩემი მოსაზრება გაგიზიარეთ, რომ ვისაც შეარჩევთ, ბარემ თვითონვე, სხვის ჩაურევლად გამოჰყვეს ჩვენს მწერლობას უძველესი ჟამიდან დღევანდლობამდე.  
 — შეგარჩიეთ და ეგაა!..  
 — მაინც კიდევ ვიფიქრებ... ორ-სამ დღეში შეგეხმებინებთ. გამომშვიდობებისას ერთიცა და მეორეც მეტყვის: ეს შეხმებინება ფორმალური დასტური იყოს, თორემ იმ იმედით მივდივართ, რომ შეთანხმებას მივალნიეთო.  
 აღარას მივუგებდი.  
 და თუ რალაც ფიქრი გამიელვებდა: ვითომ რატომ არ უნდა ვცადო-მეთქი, — ეს იმიტომ, რომ წამომავიდებოდა, როგორ შესთავაზეს ამგვარი პროექტი პავლე ინგოროყვას საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანაში, და თუმც ეს წამონყება მაშინ ჩაიშლებოდა, საგულისხმო ის გახლდათ, რომ პავლე ინგოროყვა სცნეს ყველაზე შესაფერისად ამ დავალების შესრულებისას.  
 მოგვიანებით, საბჭოური რეჟიმის ხანაში, კიდევ მოუწევდა ამგვარივე დავალების წინაშე დგომა, და კიდევ შეასხამდა ხორცს — მზერას გამოაყოლებდა ქართულ მწერლობას უძველესი, ხეთური ეპოქიდან, XX საუკუნემდე, რაც უკვე სხვათა დასაწერი იქნებოდა.  
 „სხვათა დასაწერი“ უფრო ზუსტი შეფასება იქნება.  
 მთავარი ძარღვი ამ მოხსენებისა პავლე ინგოროყვას მონაკვეთი იქნებოდა, რასაც უნდა მოჰყოლოდა მკვეთრი ცვლილება საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებაში, უშუალოდ კი შოთა რუსთველის ვეება პორტრეტის გამოკიდება კრემლის სვეტებიან დარბაზში და სამი წლის შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედის იუბილის გადახდა.  
 დაყაბულებით კი დაყაბულებოდი, მაგრამ ერთი თვის მერე ძალიან ვინანებდი ამ გადაწყვეტილებას და ბატონ ვახტანგს შევეხმებინებოდი: რალაც თავს ვერ ვაბამ და იქნებ ვინმე სხვას გადააბაროთ-მეთქი.  
 თუმც კვლავ ყოველგვარი ჯგუფის წინააღმდეგ ვიყავი და თუნდ ორი მკვლევარის შეთანხმებული მუშაობისაც.  
 შორს დაიჭრდა ვახტანგ სართანია: რალა დროს უარია, ამ ვადაში ვილა გინდა ჩაეტიოსო.  
 სექტემბრის დასაწყისში რამდენჯერმე ავკრეფდი მისი ტელეფონის ნომერს, რათა მელიარებინა ჩემი განზილება.

რალაც ფრამენტები კი მიტრიალებდა გონებაში, ცალკეულ ლიტერატურულ ფორმულებსაც მივაგნებდი, მაგრამ ეს ყოველივე მეტად უკმარი გახლდათ იმასთან შედარებით, რასაც უნდა დარქმეოდა „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“ და... რაც უჩემოდ თულა დაინერებოდა.  
 თან ძალიან მომერიდებოდა, იმედი რომ გავუცრუე, მაგრამ მეც რა მეღონა!..  
 და ამ ყოყმანსა და ფორიაქში უეცრად მენვეოდა ის იდეა, რომ ეს თხზულება შეიძლება გაშლილიყო პავლე ინგოროყვას იმ ღრმა, შთამბეჭდავ და მახვილგონივრულ მიგნებაზე, რაც თავის დროზე არ გამოეყენებინა, შემდგომ კი ამ ყაიდის სამეცნიერო ნაშრომი აღარ შეექმნა, ამ სულისკვეთებით რომ განემსჭვალა... და იდეა დარჩებოდა ჰაერში გამოკიდებული.  
 რას გულისხმობდა ეს განზრახვა?  
 ლიტერატურის ისტორია დალაგდებოდა არა ისტორიული ქრონოლოგიის თანახმად, არამედ იმ შინაგანი კანონზომიერების კვალობაზე, გარეგნულ ნაკადებს სულ სხვა წიაღში რომ მოაქცევდა და შესაძლებელი ხდებოდა ვაჟა-ფშაველას საგმირო ეპოსი (ხუთი პოემისაგან შემდგარი) გადაგვეტანა გაცილებით ადრეულ ხანაში, მისთვის მოგვედევნებინა დავით გურამიშვილის „დავითიანი“ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაგვენაცვლა შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანზე“.  
 ამოყირავდებოდა ისტორიული ქრონოლოგია?  
 დაე.  
 სამაგიეროდ... ლიტერატურის შინაგანი კანონზომიერება წარმოჩნდებოდა კანთიელად და ხელშესახებად.  
 დანერას დიდხანს აღარ მოვუნდებოდი, რაკილა კომპოზიციური ქარგა და ჩარჩო უკვე ხელთ მეყარა.  
 და შევბით ამოვისუნთქებდი, რაკილა სიტყვა შესრულებოდა.  
 როგორ გაიხარებდა ბატონი ვახტანგი, საარაკო სისწრაფით რომ გაეცნობოდა:  
 — მე სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ ის უნდა იყოს, რაც მიემიღებოდა... და მთელს პროექტს რომ დაამშვენებს.  
 გაეცნობოდა რეცენზენტიც — საამისოდ ნანა კუციას რომ შეარჩევდნენ, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორსა და ერთ თვალსაჩინო მკვლევარსა და კრიტიკოსს, ვინც მოინონებდა ამ ნაშრომს და ოფიციალურად გაუხსნიდა გზას გამოსაქვეყნებლად.  
 მაგრამ...  
 გავიდოდა ერთი წელი.  
 მიჰყვებოდა მეორე.  
 მესამეც ჩათავდებოდა.  
 ციკლიდან რამდენიმე ტომი გამოიცემოდა, ლიტერატურისადმი მიძღვნილი ნიგნი კი, მე უკვე შესაფერის ილუსტრაციებსაც რომ ვაგროვებდი, იგვიანებდა, თუმც უპრიანი გახლდათ, სწორედ ის დაენინაურებინათ და მაჩანჩალად არ მიედევნებინათ სხვა ტომებისათვის. მწერლობა მწერლობაა და ჰაიპარად არავინ უნდა მოექცეს.  
 ბატონი ვახტანგი ერთი-ორჯერ შემეხმებინებოდა და... ჭირის ოფლში ინურებოდა, ამ თხზულების გამომზეურება ასე რომ აგვიანებდა, თუმც ჩემი მხრივ ვუიოლებდი და ვუარაფრებდი; როგორც მოხერხდება, ისე იყოს-მეთქი, — მაგრამ მაინც უხერხულად გრძნობდა თავს.  
 რალაცას ბოლომდე არ მეუბნებოდა, ეგონა, ჩემს ჩაურევლადაც მოავგარებდა ყველაფერს, მაგრამ ბოლოსდაბოლოს გამომიტყდებოდა, რომ... ქართული ენციკლოპედიის რედაქციაში დაენუნებინათ.  
 მტკიცედ განეცხადებინათ მისთვის: სერიოზული შენიშვნები გვაქვს და ამ სახით არაფრისდიდებით არ შეიძლებაო.  
 ამას ეს „სერიოზული შენიშვნები“ არ ექაშნიკებოდა, მაგრამ ძალიანაც არ განიცდიდა: ავტორს შეგახვედრებთ,

თქვენი მოსაზრებანი მოახსენეთ და, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გაითვალისწინებს, თუკი ანგარიშგასანევი მოეჩვენებაო.

მაგრამ ხელებს გაასავსავებდნენ: არა, ისეთი შენიშვნები გვაქვს, გათვალისწინება-გადამუშავება არაფერს უშველის, თავიდანაა დასაწერიო.

ეს მაინც თავისას.

ისინიც თავისას.

და მაშინაა, რომ გამომიტყდებოდა: ასეა და ასე საქმე და ეგებ ერთად მივსულიყავით და დავლაპარაკებოდითო.

— „ქართული ენციკლოპედია“ რა შუაშია, — გავიოცებდი, — საპატრიარქო არ ხელმძღვანელობს ამ პროექტს?

— „ქართულ ენციკლოპედიასთან“ ერთად, საპატრიარქომ იმათ მიანდო უშუალო განხორციელება.

— ამ დანესებულებას, რამდენადაც მე ვიცი, ზურაბ აბაშიძე თავმჯდომარეობს, მემკვიდრეობით რომ გადმოეცა მამისაგან.

— დიას, ასეა.

— აბა, გასაგებია, — გავიცინებდი.

— როდის მივიდეთ იქ ერთად?

— იქ რა მიმიყვანს.

— რას ამბობ?!.

— ჩემს ნაშრომს მე თვითონვე მივხედავ.

გაცინება იმისი გახლდათ, ირაკლი აბაშიძის შვილი აუცილებლად შეეცდებოდა სამაგიეროს გადახდას მამამისის ნამდვილი, დაურეტუშებელი პორტრეტის წარმოსახვისათვის, ჩემს ბიოგრაფიულ რომანებში — „ბედი პავლე ინგოროყვასი“, „კომიკოსი ტრაგედიაში (გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა)“ და „საგა ვახტანგური (ვახტანგ ჭელიძის ცხოვრების ქრონიკა)“, აგრეთვე მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის თხზულებაში — „ისევ ოთხშაბათობით“ — ასეთი სიცხადით რომ ჩნდებოდა და სამზეოზე ამოდიოდა ის ცოდვა-დანაშაულებანი, რასაც საგულდაგულოდ მალავდა და ეგონა სამუდამოდაც შემრჩებაო, მაგრამ... განა ყოფილა, რომ ბოროტი საქმე დღის სინათლეს სადმე წასვლოდა, თუნდ დასამალად დედამინაც გადაფარებოდა?!

და ასე წარმოისახებოდა კაცი, ვინც:

დააჭრევიებდა ლადო ასათიანის პირველ პოეტურ კრებულს 1942 წლის დამდეგს და ისედაც სწულს პოეტს მალე ჩაიყვანდა სამარეში, ჯერ მანამდეც სიცოცხლეს რომ უმწარებდა.

ისევე, როგორც შემდგომ გიორგი ლეონიძესაც.

სიმონ ჩიქოვანსაც.

გალაკტიონ ტაბიძესაც.

პავლე ინგოროყვას აუტოდაფეს მოუწყობდა და ჩამოაშორებდა რუსთველის იუბილეს, რომელიც ბატონი პავლეს მიერ დადგენილი თარიღითა და ორგანიზებით მომზადდებოდა 1966 წელს და... თვითონ კი ზეიმის მიღმა აღმოჩნდებოდა, რათა ბურთი და მოედანი ირაკლი აბაშიძეს დარჩენოდა და ამჯერადაც ისე მიეთვისებინა სხვისი ნაღვანი და მონაპოვარი, როგორც სჩვეოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

მიუკერძოებელი განსჯა-გააზრება იმ მოვლენებისა სხვაგვარი შეფასების უფლებას არ დამიტოვებდა.

ცალკე დარჩებოდა ირაკლი აბაშიძის გამოგონილი სახე-ბა.

და ცალკე წარმოჩნდებოდა მისი ეს ჭეშმარიტი პორტრეტი, შეუვალე თავისი უტყუარობით — ჩემი ხელით აღსრულდებოდა ის, რაც ადრე თუ გვიან სხვათა გამოსარკვევ-დასადგენი შეიქნებოდა, და საბოლოოდ მაინც სიმართლე გადანიშნავდა სიცრუეს, გააშიშვლებდა ნიღაბს ამოფარებულ სიყალბეს.

დღის სინათლე თავისას გაიტანდა.

თუ რაიმე არ აკლდა ირაკლი აბაშიძეს — ხერხიანობა, მოქნილობა, ქამელეონობა... ამ მხრივ ბევრს მასწავლებლად დაუდგებოდა.

მის არსებაში კლასიკური სახით გამოხატულიყო მედროვის ტიპი.

კიდეც ამიტომ მოჭამდა ცხოვრებას თავის გემოზე, თუმც მთლად ისეთი სიბერეც ვერ ელირსებოდა, როგორსაც თვითონ ვარაუდობდა, თორემ სხვებისათვის სანატრელიც იქნებოდა.

ვითარების შესაფერისად მოქცევა არ უჭირდა, დრო და ჟამის შესაფერი მოძახილი.

მთავარია, სად როგორ გაუვიდოდა.

აგერ 1987 წელს, როდესაც ლადო ასათიანის დაბადებიდან 70 წლის იუბილის გამართვა გადწყდებოდა, ყველაზე მეტად ირაკლი აბაშიძე გამოიძებდა თავს: რაც შეიძლება ჩინებულად უნდა ჩავატაროთ, ლადოს სახელს რომ შეშვენი-სო. იუბილეზე კი სიტყვითაც გამოვიდოდა და ლადოს მეგობრად და ერთ უპირველეს ჭირისუფლად გაასაღებდა თავს.

ასევე მოჰქონდა თავი გალაკტიონ ტაბიძესთან, გიორგი ლეონიძესთან, სიმონ ჩიქოვანთან მეგობრობითაც. თუმც ისინი გარდაცვლილნიც აშფოთებდნენ — განსაკუთრებით მაინც გალაკტიონი — მაგრამ სიტყვიერად ფიცულობდა მათ ჭირისუფლობასაც და გალაკტიონს სულაც პოეტურ ციკლს რომ მიუძღვნიდა, მისი სახელობის პრემიასაც პირველი იგი მიიკუთვნებდა.

სად როგორ გაუვიდოდაო...

რაკილა ლადო ასათიანის საიუბილეო ზეიმს ვერ ჩაშლიდა, არც შეეცდებოდა, მაგრამ კლანჭი თუ მიუწვდებოდა, აგერ გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების პუბლიკაციას გადაელოებოდა: ვახტანგ ჯავახიძის „უცნობის“, ორ ნაწილად რომ გამიზნულიყო ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე და ერთი ნაწილი უკვე აწყობილ-დაკაბადონებულიც გახლდათ და სასტამბო გამოზადებულიც.

რას ერჩოდა?

ლიტერატურული ქვემძრომნი ამცნობდნენ, ამ თხზულებაში უხვადაა შემოტანილი გალაკტიონის უბის წიგნაკის ჩანაწერები და, თუმც ამ ნაწილში თქვენზე არაფერი წერია, მაგრამ მოგეხსენებათ, რაოდენ სახიფათო იქნება ამ ჩანაწერთა სრულად გამომზეურება, ვაითუ მეორე ნაწილში აღმოჩნდეს თქვენთვის უსიამოვნო პასაჟებიო.

ჯერ ისედაც გული უკანკალდება ირაკლი აბაშიძეს გალაკტიონის არქივის არსებობით, ჩინებულად იცოდა, როგორ წარმოდგებოდა ამ უბის წიგნაკების მიხედვით, და ჯერ-ჯერობით მაინც უნდა ალექვეთა ამ დღიურების გამოტანა მზის სინათლეზე. მერე და მერე ხომ შეიძლება სხვებიც ძალიან დაინტერესებულიყვნენ და... ვაითუ ყველაფერი ამოეკრიფათ, რაც თუნდ მას შეეხებოდა.

— რა უნიჭო კაცია ეს ირაკლი აბაშიძეო, — ამ ფრაზას კიდეც რა უშავდა, თიკუნად სულაც ასე რომ შეურჩევდა პოეტთა მეფე:

— ბერიასკუდიაშვილი.

და საგულდაგულოდაც აღინუსხებოდა მისი ცოდვებისა და პირადად გალაკტიონისადმი გამოჩენილი უდიერი დამოკიდებულების ერთი ნაწილი, გულს ამ ხალხური ლექსით რომ მოიოხებდა „ლურჯა ცხენების“ შემოქმედი, ირაკლი აბაშიძის ზოგადი იერიც კანთიელად რომ წარმოსახებოდა, და ამიტომაცაა ლექსის პერსონაჟ მამასახლისის უმეტესკლებოდ რომ ჩაენაცვლებოდა მწერალთა კავშირის ყველაზე სტაჟიანი თავმჯდომარე-მამასახლისი, ახლა ქართული საბ-

ჭოთა ენციკლოპედია რომ რგებოდა და იმავე სტილით ინარჩუნებდა ამ თანამდებობასაც და ხელისუფლებასთან სიახლოვესაც, რაც იმთავითვე ენამა და არც არასოდეს გადაუხვევდა:

**ეს ჩვენი მამასახლისი  
მაღალია ხესავითა,  
პრისტავი რომ დაიბარებს,  
მაშინ წავა თხლესავითა.**

გზა აუცილებლად უნდა მოჭროდა ვახტანგ ჯავახიძის „უცნობს“.

და თუმცა არჩილ სულაკაურს, „მნათობის“ იმჟამინდელ რედაქტორს, გავლენა არ აკლდა მთავრობაში, და ბევრსაც ეცდებოდა ამ თხზულებისა და ჟურნალის ნომრის გადასარჩენად, ირაკლი აბაშიძე ისეთ მფარველს გამოძებნიდა, რედაქტორი ვერას გააწყობდა.

და შემდგომ უკვე რეზო ჭეიშვილი რომ მოინდომებდა ამ თხზულების გამოქვეყნებას ჟურნალ „განთიადის“ ფურცლებზე, ძალიან იფრთხილებდა — არამარტო მკაცრად გაასაიდუმლოებდა, არამედ... პეტიტიითაც აანყობდა, რათა ერთ ნომერში ჩაეტია, რაკილა შიშობდა, რომ მეორე ნაწილს უკვე აუცილებლად ამოუგდებდნენ და „უცნობი“ ჰაერში გამოკიდული დარჩებოდა.

რომ სცოდნოდა ირაკლი აბაშიძეს, ამჯერადაც არაფერი გამომივაო, „მნათობის“ პუბლიკაციის ჩაშლა ეცადა კი არა, გატვინდებოდა, გაყურდებოდა, თუკი ისეთი შემაშფოთებელი პასაჟებიც არ გამომზეურდებოდა გალაკტიონის არქივიდან, და თუ ასეთი მონაკვეთები იჩენდა თავს, საპასუხოდ... სულაც ახალ პოეტურ ციკლს გააშანშალებდა პოეტთა მეფეზე, ახალ დითირამბიადას და ეგებ სტატიაც მოედევნებინა: დიდი მეგობრები ვიყავით და ამიტომაც სურდათ მტრებს ჩვენი წაკიდება და ტყუილებით ამარაგებდნენო.

მაგრამ ჩემი მხრივ?

რა სათქმელია, ისეთივე მოთაყვანე დავრჩი მისი ტალანტისა, როგორც ყოველთვისაც ვიყავიო.

ვის რა თვალს აუბამდა, მაგრამ თავისას კი შეეცდებოდა და მხოლოდ ასე, რაკილა პირდაპირი მიჭრა აღარ გაუვიდოდა.

ვაჟს, ჩვენს ბატონ ზურაბს, მამისაგან ეს თვისებანი კი გადმოჰყოლია, მედროვის ტიპს რომ გაგახსენებს ძალდაუტანებლად, და ცხოვრების ეს წესიც: პრისტავი რომ დაიბარებს, მაშინ წავა თხლესავითაო, — მაგრამ ხერხიანობა და მოქნილობა ველარ შეითვისა მამისებური, თორემ მოერიდებოდა ჩემი თხზულებისათვის გზის გადაკეტვას, რაკილა არც 1942 წელია და არც მე გახლავართ სნეულებისაგან გათანგული ლადო ასათიანი, ამ „ერცახე“ წიგნის გამოცემის ჩაშლამ რომ მიმსხვერპლოს.

რა, ჟურნალის ფურცლებზე ვერსად გამოვაქვეყნებ — ემანდ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან არ დარეკონ ანაწყობის ჩასაშლელად — თუ ცალკე ველარ გამოვცემ... ემანდ ან ტირაჟი არ დაჭრან!..

ამიტომაც თვითონ ირაკლი აბაშიძე რომ მოსწრებოდა ჩემს ამ

თხზულებას „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“, არამცთუ ხელის შეშლას არ მოინდომებდა, დაუბრკოლებლივ და პირველ რიგში გაუხსნიდა გზას, მისი მიუკერძოებელი პორტრეტის გამოჩენას კი, ჩემი წიგნიდან წიგნში რომ გადადის ახალ-ახალ ეპიზოდებსა თუ რეალიებზე დაყრდნობით, საჯაროდ გაუტვინდებოდა, პირადი შეხვედრისას კი თავსაც შემაცოდებდა: რალაცები გამიზვიადეს, რალაცები კი მართლა მომივიდა, მაგრამ ხომ იცი, დრო იყო ისეთიო!..

თითქოს იმ „დროს“ იგი და მისნაირნი არა ქმნიდნენ.

ყოველ შემთხვევაში გამწვავებას მოერიდებოდა.

ხოლო რაკილა ზურაბ ბატონმა სხვაგვარად ამჯობინა, იძულებული გამხდა კიდევ ერთხელ გამომეყვანა ავანსცენაზე ირაკლი აბაშიძე ისეთი, როგორიც სინამდვილეში გახლდათ. და დაე მასვე მოჰკითხონ პასუხი იმ ადამიანებმა, ვისაც არ ესია მოვინებთ და ძალიანაც არ ესია მოვინებთ ამ დაურეტუშებელი პორტრეტის ხილვა.

ჩემი ეს თხზულება კი უკვე გამოქვეყნებულია ჟურნალის — „ლიტერატურული პალიტრა“ (2014, №9-10) — ფურცლებზე.

უკვე მოჰყვა ვრცელი გამოხმაურებაც, არსებითად კი დამოუკიდებელი ესთეტიკური თხზულება, ისე მარჯვედ შედგენილი და გააზრებული მოკლე ვერსიას: ნანა კუციას „ზედროულობის კონტექსტი“ („ჩვენი მწერლობა“, 2014, 28 ნომებერი).

და რიგში უკვე წიგნადაც დგას — ჯერ პირველი გამოცემა.

თუ ეს მართლა იმ ღირსების თხზულებაა, ვახტანგ სართანისა და ნანა კუციას როგორც ესახებათ, ვინ რა შეიძლება დააკლოს, ხოლო თუკი ისეთ სერიოზულ შენიშვნებს იმსახურებს, გათვალისწინება და საფუძვლიანი გადამუშავებაც რომ ვერაფერს უშველის, მე ველარაფერს წავეხმარები.

გულდასაწყვეტი სხვაა.

როგორ შეიძლება საქართველოს საპატრიარქო ასეთ უმნიშვნელოვანეს საქმეში, ასეთ გრანდიოზულ პროექტში მონაწილეობას ანდობდეს ამ გონებისა და მორალის ადამიანსაც, ზურაბ აბაშიძე რომ წარმოგვიდგება.

და... საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მოგვარებაც და დიპლომატიური გზების გამოძებნაც მისთვის რომ ჩაუბარებიათ?!

ვაი და ვაგლახ!..

მერე რატომღა გვიკვირს, მისი და გრიგორი კარასინის შეხვედრები სამასხაროდ და საპამპულოდ რომ გადაქცეულა?

ზურაბ აბაშიძის დიპლომატიურ უნარზე სიცილი ჩვენს ქვეყანას რას შველის, თორემ...


\*\*\*

არა, ნეტა მე რატომ უნდა ვგონებოდი ლადო ასათიანი?!

თუმცა... თავისი შეხედულებებისათვის იცოდეს.

რა კარგია, რომ არა დგას 1942 წელი.

და არც წიგნის გამოცემის ჩაშლა აღარ იწვევს ისეთ მძიმე, გაუსაძლის განცდებს, სამარის კარამდე რომ მიგიყვანს, მის ახალგაჭრილ ნაპირზე კი... შავად მოქუფრული ლანდი აღიმართება, სიხარულისა და ნეტარებისაგან გაბრუებული.





ნინო საბაშვილი

# ამბავი ერთი კარგი სპექტაკლისა

(გავშვობისდროინდელი  
შთაბეჭდილებებით სიხარულით)

სმირად ადამიანი მიზნის მისაღწევად ნიღაბს ირგებს. ეს ის თემაა, რომლებიც ყველა დროში აქტუალური და მარადიულია. მაგრამ თემა არ განსაზღვრავს ხელოვნების ნაწარმოების თანამედროვეობა-არათანამედროვეობას, სტილი, ხედვის წერტილი, თეატრალური ენა განსაზღვრავს...

საუბარი რეჟისორ გოგა თავაძესთან, როგორც მისი სპექტაკლის „ტოიბელე და მისი დემონი“ განწყობილება, მისტიკურ ელფერს იძენს. სპექტაკლში სხვა კუთხიდან ნაჩვენებები ებრაული ყოფიერება, ადათ-წესები, სიყვარული, ცოცხლად შესრულებული თავბრუდამხვევი კლემენტის მისტიკურ ბურუსში გაგხვევთ.

**გოგა თავაძე:** ისააკ ბაშევის-ზინგერის ებრაულენოვანი ლიტერატურის კლასიკოსია, ნობელის პრემიის ლაურეატი. პოლონელი ებრაელია, რომელიც დაიბადა ვარშავის პატარა სოფელ ლეონსინში. 30-იან წლებში საცხოვრებლად გადადის ამერიკის შეერთებულ შტატებში.

პიესებს არ წერდა. „ტოიბელე და მისი დემონი“ მოთხრობაა. ზინგერის პერსონაჟები ძირითადად არიან პოლონეთში მცხოვრები ებრაელები. აქვს ამერიკული მოთხრობების ციკლიც, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპის ებრაელობის კერძოდ, ხასილური იუდაიზმის მიმდევარი ებრაული თემის ცხოვრება აქვს აღწერილი ყველა თავის ნაწარმოებში. წერდა მხოლოდ ებრაელებზე, **გავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებებით სიხარულით**. წერდა საოცარი ნიჭიერებით, ყველა იმ ესენციის დაცვით, რაც ებრაულ კულტურასა და იდიშურენოვან განშტოებას ახასიათებს.

მისი შემოქმედება სურნელისა და ჩუქურთმის მომცველია. იგი საინტერესოა, ძვირფასი და ცოტა უცნაურიც კი. დევნილობის საკითხს, რომელიც ასე ყბადღებულად თემაა ებრაულ ლიტერატურაში, ეხება ძალიან ფაქიზად, მათი ლიტერატურისა და კულტურისთვის დამახასიათებელი ფაქიზი, დახვეწილი იუმორით. ახდენს ყველაფრის ირონიზირებას, რაზეც ხშირად ვულგარული სპეკულაციის მატარებელ ცდუნებებს ქმნიან და ქმნიდნენ.

მისი ნაწარმოებები გაუღწეველია მაგიის მისტიკური თემატიკით, ეროტიკის ელემენტებით. აღწერს იმ ებრაულ თემს, რომლის ცხოვრების წესიც დაფუძნებულია უძველეს რაბინისტულ, თალმუდისტურ ტრადიციაზე.

მათ აქვთ რელიგიური წესები ხალხურ წარმოდგენებსა და გარკვეულად მაგიასთან ნიღნაყარ ერთობლობაში არსებული. მისი შემოქმედება გაუღწეველია ამ თემატიკით. მათ შორის მოთხრობა „ტოიბელე და მისი დემონი“ ძალიან უცნაური და თითქმის დაუჯერებელი ამბავია.

ეს არის სპექტაკლი, სადაც სიუჟეტი გარკვეულწილად არ თამაშობს მეორეხარისხოვან როლს. ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც „ჰამლეტს“ ვდგამთ, ვიცით მისი შინაარსი და ათასჯერ გაქედილ პიესას მხოლოდ ინტერპრეტაციას ვუსადაგებთ.

ახალგაზრდა, ვნებითა და სიცოცხლით სავსე ქვრივი ქალი ტოიბელე თავის მეგობარ ქალთან ერთად საუბრობს ათასგვარ თემაზე, მეგობარიც ქვრივი და მარტოხელაა. ტოიბელე არის აგუნა, რაც ნიშნავს მიტოვებულ ქალს. მისი ქმარი იყო ხასიდი, ღრმად რელიგიური, რომელმაც მიატოვა ცოლი

და გაქრა. იუდაურ კანონთა თანახმად, ტოიბელეს გათხოვება არ შეუძლია, რადგან მისი ქმრის სიკვდილის მოწმობა არ არსებობს. მეგობარი ჰენდელი ქვრივია, მაგრამ მოხოვნილები მისკენაც არ ილტვიან. ეს ორი მარტოხელა ქალი საუბრობს ათას რამეზე, ძირითადად დემონებზე, რომელთა არსებობაც სწამთ. ყველა ისტორიას ერთი დემონისას, რომელიც ვიღაც ქალს შეუჩნდა, დაიმორჩილა და მასთან ქმარივით ცხოვრობდა წლების განმავლობაში. ერთად თანაცხოვრებისას შეიძლება ურჩხული გაუჩნდათ. მეგობრები ამ ისტორიის მოყოლით თავიანთი შეუხსებელი სექსუალური ცხოვრების შევსებას ცდილობენ. გრძნობ, რომ წინააღმდეგნი არ იქნებიან, რომ თვითონაც გახდნენ დემონის მსხვერპლნი.

მეგობრების საუბარს იქვე დამალული ალჰონონი ისმენს. ახალგაზრდა, 40 წელს მიახლოებული, მარგინალი კაცი, მასწავლებლის თანაშემწე. ეს ძალიან დაბალი საფეხურია, მასწავლებელიც კი ვერ არის.

ალჰონონი კაბალისტი, თითქოს ინტელექტუალი, მაგრამ თავის გარეგნობის კომპლექსების გამო ღვთის გლახასავით არის გარიყული ყველასგან, არავინ უყურებს სერიოზულად. იგი ტოიბელე უზომოდ შეყვარებულია და ამიტომ მალულად უთვალთვალავს. საუბრის მოსმენის შემდეგ დემონის ფორმაში გადაცემული ღამით მივა ტოიბელესთან და დაარწმუნებს, რომ ის დემონია, რომელზეც ჰყვებოდნენ. დაარწმუნებს, თვითონ ვნახე შენი ქმარი თუ როგორ დამარხეს ლაიპციგში და სხვა დემონებთან ერთად მივაცილებდი მის კუბოსო. გამოუტყდება, რომ სანამ გათხოვდებოდა, მანამდე უყვარდა.

რეალურ ცხოვრებაში დაკომპლექსებული ადამიანია, საზოგადოებაში ძლივს იღებს ხმას, მაგრამ დემონის ნიღბის ქვეშ სრულიად თავისუფალი ხდება, აღმოჩნდება გენიალური ავანტიურისტი. ტოიბელეს გონების დაკარგვამდე შეაყვარებს თავს. ყოველ ოთხშაბათსა და შაბათს აკითხავს, როგორც დემონი. ტოიბელეს სადღაც აქვს ნაკითხული, რომ დემონები კვირის ამ დღეებში დაძრწიან ადამიანთა სიახლოვეს.

ერთი შეხედვით, კომიკური სიტუაცია ნელ-ნელა დრამატულდება, ისტორია ტრაგიკულად მთავრდება — ქალის სიკვდილით.

— **ზოგჯერ ნიღაბი ადამიანის არსების ნაწილი ხდება, უკვდავი თემა, ადათწესების ჩარჩოში მოქცეული ერი და გარღვევის მცდელობა, დღევანდლობასთან აიგივებთ?**

— სპექტაკლი ფილოსოფიურ-მისტიკური თემების შემცველია, მაგრამ რეალურად თუ შევხედავთ, ეს არ არის მისტიკური ამბავი, უფრო ავანტიურაა. ადამიანი იგონებს, მაგრამ მისი დემონიზმი ექცევა იმ აზრის ჩარჩოებში, რაზეც რეგე ამბობს: როდესაც თავს იკატუნებ, რომ დემონი ხარ, ხარ კიდევცო.

ეს თემები აქტუალური არის, იყო და იქნება ყოველთვის. ადამიანის ყოფა ტრაგიკულია, მას სურვილები აქვს, ზოგჯერ დიდი, მაგრამ რეალობა არ აძლევს ხორცშესხმის საშუალებას, თუმც ვიღაცას ზოგჯერ ბედი არგუნებს წარმატებას, ყველა იმ სიკეთეს, რომელზეც მეორე ადამიანი ოცნებობს და ფიქრობს.

ხელოვნებაზე არსებობს წარმოდგენა, რომ თეატრი უნდა იყოს მასწავლებელი, სარკე და ა.შ. არ ვიცი. ილია ჭავჭავაძე ამბობდა, თეატრი ტრიბუნა უნდა იყოსო, მაგრამ მას შემდეგ არც ისე დიდი დრო გავიდა. ხელოვნებამ თვითრეფლექსი ათასგვარად ჩაატარა, ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა აზრი გამოითქვა, გადაფასდა. მე ვიტყვოდი, ხელოვნება უფრო ავტონომიური გახდა.

ერთი ხანობა რუსული ლიტერატურის წარმომადგენლებს ახასიათებდნენ როგორც წინასწარმეტყველებს. ისინიც თავს ერის წინამძღოლებად მოიაზრებდნენ. მაგალითისთვის, ლევ ტოლსტოი თავის მოძღვრებას ქმნის — რელიგიურს, მაგრამ შემდეგ მოდის მოდერნული ეპოქა, სადაც ხელოვნება თავისთავში იკეტება და ხელოვნება ხელოვნებისთ-

ვის ხდება და არა ხალხისთვის. ჩვენ ვცხოვრობთ პოსტმოდერნულ ეპოქაში, სადაც ყველა ეს კონცეფცია, ღირებულება ათასნაირად გაუფასურდა, ბანალური გახდა. ვერ გეტყვით, ვილაცამ თავისი თავი უნდა დაინახოს-მეთქი. თვითონ აღარ მჯერა ასე.

მაშინ მკითხავთ, რა საჭიროა სპექტაკლის დადგმა? საჭიროა, შენ უნდა შესთავაზო ხედვის წერტილი, დახატო სამყარო. შემდეგ ამ სამყაროს ხედვის ლოგიკაში მაცურებელი თვითონვე დასვამს შეკითხვებს. მთავარია შევთავაზოთ ადამიანებს ხედვის სტილი, რომელსაც თავისი ველი აქვს, რაღაცა მაგიური, მან უნდა მოაჯადოვოს მკითხველი თუ მაცურებელი.

**— როგორ ირჩევთ ნაწარმოებს?**

— არჩევა სხვადასხვაგვარად ხდება. ძირითადად შეკვეთებს ვდგამ, მაგრამ სამიოთხი სპექტაკლის შემდეგ თავისუფალი არჩევანის საშუალებაც მომეცა. თუმცა შეკვეთა იქნება ეს თუ შენი არჩევანი, თუ არ გააღელვებს და არ ჩნდება რომანი შენსა და ნაწარმოებს შორის, ვერაფერს გააკეთებ, არ გამოვა. შეიძლება გენიალური ნაწარმოების დადგმა შემოგთავაზონ, მაგრამ თუ არ გეხება...

ეს ქალივითაა, შეიძლება ულამაზესი იყოს, მაგრამ ვერ ხედავდე. ნაწარმოების არჩევის დროს რაღაცა გამოუთქმელი ინტუიტიური ინსტანცია გკარნახობს, რომ ეს შენია.

ზოგჯერ ირჩევ ნაწარმოებს, გინდა, რომ დადგა სიყვარულზე, იმაზე, თუ როგორი აბსურდულია სამყარო, შემდეგ კი ნაწარმოების ძიებაში ხარ. ზოგჯერ ძალიან სასაცილოა მიზეზი და ძალიან არაფილოსოფიური პოზიცია პიესის არჩევისას.

**— ზინგერიც?**

— რამდენიმე წლის წინათ ჩემმა მეგობარმა იგორ თავა-მაიშვილმა, რომელიც პროფესიით ფილოსოფოსია ცხოვრობდა შევციაში, გამომიგზავნა კლემენტის დისკი ე.წ. აღმოსავლეთ ევროპის ებრაელობის მუსიკის. ეს არის თავბრუ-დამხვევი, წამლევანი, ერთი მხრივ ლოთური, თავდავიწყების მუსიკა, როგორც ბალკანური და აღმოსავლეთ ევროპის კიდევ სხვა ფოლკლორის ნაზავით შექმნილი, ოღონდ ებრაული, წმინდა აზიური ხასიათის მუსიკა. ეს არის აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის უნიკალური ნაერთი, ისევე, როგორც ენა იდიში არის გერმანულის დიალექტი, ძალიან ჰგავს გერმანულს. ამ ენაზე საუბრობდნენ აშკენაზი ებრაელები, რუსებიც მათ შორის და ევროპელი ებრაელებიც აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ეს მუსიკა საოცარი სევდის მატარებელია და თავდავიწყების და წამლევანი ემოციურობის გვერდით დიდ სევდასაც ატარებს, როგორც ებრაელი ხალხი.

მოსმენისას ძალიან მომეწონა და ვთქვი, რომ სიამოვნებით დავდგამდი სპექტაკლს, სადაც ასეთ მელოდიას გამოვიყენებდი, და სად გამოვიყენებდი, თუ არა ებრაულ თემატიკაში. ეს ძალიან კონკრეტული მუსიკაა, კონკრეტული ერის კულტურის ნიაღში წარმოშობილი.

გადავიკითხე იდიშურენოვანი ებრაული ლიტერატურის კლასიკოსები, მოვიძიე სხვა მწერლებიც, მაგრამ ვერ ვიპოვე, რაც მინდოდა. მოგვიანებით ინტერნეტში წავაწყდი ამ პიესას. აშკენაზი ებრაელების თემა ბელორუსიასა და უკრაინაში ძალიან აქტუალურია, რადგან ისინი იქ ცხოვრობდნენ. „ტოიბელე და მისი დემონი“ რუსეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში დადგმულია. საქართველოში ამ პიესის შესახებ არავინ იცოდა. ერთადერთი აღმოჩნდა გიორგი მარგველაშვილი, რეჟისორი, ჩემი პედაგოგი, რომელიც თეატრალურ ინსტიტუტში მასწავლიდა. მან იცოდა ამ პიესის შესახებ და დადგმაც ნდომები, მაგრამ რაღაც მიზეზთა გამო აღარ დაუდგამს.



ალჰონონი (მალხაზ აბულაძე), რეზე (მარლენ ვეუტია), ტოიბელე (ანა ვასაძე)

ებრაული სამყარო ასე წარმოჩენილი მე არ მინახავს ქართულ სცენაზე. „ურიელ აკოსტა“ ბევრჯერ დადგმულა, მაგრამ ეს სხვა სამყაროა, ეს არ არის კლემენტის, რა მუსიკითაც მივედი ამ პიესამდე.

— სპექტაკლში „გიულიჰჰ“, რამდენიმე წლის წინათ რომ დადგით მარჯანიშვილის თეატრში, იქაც ერთმანეთს ეჯახება ძველი აღმოსავლური ტრადიციები და თანამედროვე ევროპული ხედვა, რომელსაც ნიჰილიზმი შეჰპარვია. ტრადიციათა რღვევას ეწირება სრულიად უმანკო ახალგაზრდა ქალი.

— ძალიან მიყვარს, როდესაც ეთნიკურ ელემენტი არის ხელოვნების ნაწარმოებში. დიახ, იქაც არის, მაჰმადიან მწყემსთა ამბავია, მაჰმადიანური გარემო.

ეთნორელიგიური უნიკალური კონტექსტი სერიოზულ პიკანტურობას ანიჭებს პიესას და, იმედი მაქვს, სპექტაკლსაც. ჩვენ ცოცხალი ორკესტი გვყავს, მუსიკოსები უკრავენ კლემენტს. ებრაული მუსიკაა ვიოლინო, კლარნეტი, ძალიან სპეციფიკური მუსიკაა. ამითაც შევეცადეთ გარემოს შექმნა.

პიესა ცოტა რთული დასადგმელი აღმოჩნდა დაახლოებით ოთხი თვე ვიმუშავეთ. ერთი თვე ვისხედით მაგიდასთან და ვარკვევდით, რა როგორ გაგვეკეთებინა. თეატრს თავისი კაბალური პირობებიც აქვს.

მთავარი როლის შემსრულებელი მალხაზ აბულაძე, მიმაჩნია, რომ დღევანდელი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულ მსახიობად არა მხოლოდ ნიჭიერებით, არამედ თავისი ჰაბიტუსითა და ფსიქო-ფიზიკური მონაცემებით. სპექტაკლის დადგმისას იგი არ გვყავდა, გადაღებებზე იმყოფებოდა. შემდეგ დაბრუნდა, მაგრამ თეატრს თავისი განრიგი აქვს, შენ უნდა მოერგო რიტმს, თეატრი ვერ მოგერგება. გარკვეული ცაიტნოტური სიტუაციებიც შეგვექმნა, მაგრამ ზოგჯერ ასეთი გარემოება დადებითადც მოქმედებს. დრო ცოტა რჩებოდა და სპექტაკლი არ იყო მზად.

მალხაზ აბულაძეს ყველაზე რთული ამოცანა ჰქონდა — ფაქტობრივად ორი ადამიანი უნდა ეთამაშა: ალჰონონი და თავისივე გამოგონილი დემონი, სადაც უფრო ფრთებგაშლილია და უფრო უკომპლექსო და ძალიან ნიჭიერად ჰყვება ამბებს.

მალხაზ აბულაძე (ალჰონონი): მიმაჩნია, რომ ეს სამუშაო ბოლომდე ჯერ არ დამისრულებია, მართლაც რთულია. სპექტაკლის მსვლელობისას თუ შევძლებ და კიდევ გავალამაზებ ამ ორ პერსონაჟს, მათ შორის სხვაობას უფრო კონკრეტულს გავხედი, კარგი იქნება.

სპექტაკლი ცოტა მისტიკურია, მაგრამ საკმაოდ დიდი სიყვარულია გადმოცემული, სიყვარულთან თამაში, რაც ბო-

ემზარ კვიტაიშვილი

# მხატვრული თარგმანის დიდოსტატი

ლოს ტრაგედიით მთავრდება. ძალიან საინტერესო იყო ამ თემასთან დაკავშირებით ფიქრიც, მუშაობაც, ლიტერატურის კითხვაც.

ძალიან ხშირად ხდება, რომ დრამატურგი, მწერალი თვითონვეა თავისივე პერსონაჟი. შეიძლება ჩემი გმირი არ არის გაიგივებული ავტორთან, მაგრამ მგონია, რომ ზინგერს ცხოვრებაში ჰქონია ასეთი შემთხვევა.

შეიძლება რაღაც ჩემი ინტერპრეტაცია გავაკეთე ამა თუ იმ მომენტში, მაგრამ რაღაც ეტაპამდე თვითონ რეჟისორიც გამოიყვანა, წინააღმდეგობა არ შეგვექმნია, საკმაოდ ჰარმონიული და შემოქმედებითი პროცესი გვექონდა. ეს იყო ჩემთვის წარმატებული სამუშაო ხანა. შეიძლება ისეთი წარმატებული სპექტაკლი ვერ გამოდგა, მაგრამ სამუშაო პროცესი, დამეთანხმება შემოქმედებითი ჯგუფი, კარგი იყო, სასიამოვნო და მრავალფეროვნებით სავსე.

ეს როლი ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო. პიესა სრულიად განსხვავებულია ყველაფრისგან. აქ არის სიყვარული და მისტიკა, რაც საკმაოდ დავინწყებული თემებია დღევანდელ თეატრში. არავითარი ალეგორია არ არის ჩვენს ყოფასთან. თუმცა სპექტაკლში წამოჭრილი პრობლემა შეიძლება დღესაც აქტუალურია, ცხოვრებისეული.

სპექტაკლზე მუშაობისას ძალიან ვისიამოვნე. ჩემთვის ეს იყო საკმაოდ საინტერესო როლი, ერთ-ერთი დასამახსოვრებელი და წინა პლანზე მყოფი ჩემს კარიერაში.

### — მსახიობსა და მაცურებელს შორის რა დამოკიდებულება გაჩნდა?

— ძალიან კარგად ისმენდა იმ სპექტაკლებს, რაც ვითამაშეთ. მაცურებელი შემოდიოდა კონტაქტში, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ ყოფილა ხალხმრავალი სცენები, საკმაოდ მწირი გახლდათ არტისტთა დგომა სცენაზე. უმეტესად დუეტებია, დიალოგები ორ ადამიანს შორის. ამის მოსმენა ცოტა რთულია, ბევრ მაცურებელს საკმაოდ უჭირს.

მაცურებელიდან საკმაოდ დიდი ენერჯია მოდიოდა. ასე რომ არ ყოფილიყო, სპექტაკლს უზრალოდ ვერ ვითამაშებდით

**ანა ვასაძე (ტობივე):** როდესაც შემოთავაზება მივიღე ბატონი გოგასგან, მისი დადგმული სპექტაკლები ნანახი არ მქონდა. მითხრეს, ძალიან საფუძვლიანად მუშაობს მსახიობებთან და საინტერესო რეჟისორიაო, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მისი შემოთავაზება ძალიან გამიხარდა. შეხვედრის შემდეგ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც პიროვნებამ და რეჟისორმა. ჩემი შესაფასებელი არ არის, თუ როგორ გავართვი თავი როლს, მაგრამ ყველაფერი ეს რეჟისორ გოგა თავადის დამსახურებაა.

მე არაფერი არ მაკავშირებს ებრაელებთან, მაგრამ რეჟისორმა მითხრა, შენი გარეგნობა რაღაცით ჰგავდა ებრაულსო. მათი კულტურის, ხასიათის გაგებაშიც ძალიან დამეხმარა. სპექტაკლზე ოთხი თვე ვმუშაობდით. სამაგიდო რეპეტიციების დროს თემებზე საუბარი უფრო იყო, ვიდრე როლის წაკითხვა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ. ბატონ გოგას აქვს იმის უნარი, რომ ადამიანის შინაგანი ბუნება სხვანაირად დაგანახოს, სხვა განზომილებაში გადაგიყვანოს. მიხარია, ერთად, რომ ვიმუშავეთ.

რაბინდრანათ თაგორის შემოქმედებაში განკერძოებული ადგილი უკავია ახალგაზრდობისდროინდელ, მცირე ზომის ლიტერატურული ნერილების კრებულს „ბენგალიას“. ასეთი სიამოვნებით წამიკითხავს მხოლოდ ორტეგა ი-გასეტის „ესეები ესპანეთზე“, სადაც დიდი ფილოსოფოსი და ხელოვნებათმცოდნე თავისი სამშობლოს მთელ მშვენიერებას უჩვეულო პოეტურობით, დაუფინყარ ფერწერულ სურათებად წარმოაჩენს.

ინდოელები ყოველი ცოცხალი არსების, თვით მწერების სიკვდილსაც ტრაგედიად აღიქვამენ. ეს განცდა მძაფრად, სინანულის დიდი გრძობით აქვს გადმოცემული თაგორს „ბენგალიის“ ერთ, დღიურისმაგვარ ჩანაწერში. რამდენიმე სტრიქონში ხატოვნად არის განსხვავებული მწერლის წარმოსახვის ძალა, ფრთხილმუხებზე ფანტაზია:

„მე დღეს ვნახე მკვდარი ჩიტი, რომელიც დინებას მოჰქონდა. ამ ჩიტის სიკვდილის ამბავი ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ. სოფლის ბოლოს, მანგოს ხეზე მას ჰქონდა ბუდე. იგი საღამოთი დაბრუნდა შინ და თავის რბილბუმულიანი ამხანაგების გვერდით მოკალათებულმა მშვიდად დაიძინა, რომ მოესვენებინა თავისი დაღლილი სხეული. მაგრამ უეცრად, ღამეში, ძლიერი პალმა ოდნავ შეირხა თავის სარეცელზე და მანგოს ფესვებს მინა მოურღვია. ბუდიდან გადმოვარდნილმა პატარა ქმნილებამ მხოლოდ წამით გაიღვიძა, რათა იმწამსვე საუკუნოდ დაეძინა.

როცა მე პირისპირ ვდგავარ ყოვლისდამქცველი ბუნების საშინელი საიდუმლოს წინაშე, ჩემსა და სხვა ცოცხალ არსებათა შორის არსებული განსხვავება უმნიშვნელო და ფუჭი მეჩვენება.“

ქვეყანაში, სადაც „გველის მჭამელი“ დაინერა, დაღუპული ფრთოსანი-სადმი ასეთი თანაგრძნობა არ უნდა გავიკვირდეს. არც ის არის მოულოდნელი, რომ დიდი პოეტი გაოგნებული და სასონარკვეთილი უყურებს სტრიქონსგან თავს დატყობილ უბედურებას, რომელსაც ძალუძს, მოულოდნელად და ელვისებურად მოაშთოს სიცოცხლე.

მიუხედავად ნაირგვარი თავზარდამცემი, შემადრწუნებელი მოვლენებისა, თაგორს არასოდეს ტოვებს ბუნებასთან ერთიანობის გრძნობა და ეს ყველაზე სახიერად ჩანს ერთ, სხვათა მსგავსად, დაუსათაურებულ ესეიში. აქ ფანტაზიას გადალახული აქვს ყოველგვარი სამანი — ისეთი შთაბეჭდილება გვეუფლება, რომ უმაღლეს პოეზიასთან შერწყმული კოსმოგონიური ტრაქტატის ფურცელს ვკითხულობდეთ. „ბენგალიის“ ავტორი თითქოს შესაქმეს სათავეებთან დგას და სამყაროს წარმოშობის საიდუმლოებას გვისურათხატებს. რა დაუოკებელი ჟინით, ალტკინებით უნდა იყო სულით ხორცამდე შეძრული რომ ქალაქზე ალბექლო ასეთი საოცრება: „თითქოს ჩემზე იმ დროთა შორეული ბუნდოვანი მოგონებები გადმოიღვარა, როცა მე და დედამინა ერთ მთლიანობას წარმოვადგენდით; როცა ჩემს სხეულზე მწვანე ბალახი ამოდიოდა და შემოდგომის ნათელი მეცემოდა; როცა მზის მცხუნვარე ალერსისაგან ჩემი უზარმაზარი, ნაზი და მწვანითმოსილი სხეულის ყველა უჯრედიდან თბილი სუნთქვა იფრქვეოდა და ტკბილი სიყვარულით გაჟღენთილი მოზარდი სიცოცხლე არაცნობიერად იბადებოდა ჩემი სხეულის უკიდევანო სივრცეზე და უსაზღვრო ცისქვეშეთში მდუმარედ იფინებოდა ველმინდვრებად, მთებად და ზღვებად.“

მე იმასვე ვგრძნობ, რასაც მე მგონი, ჩვენი ძველთუძველესი დედამინა განიცდის, მზის ცხელი კოცნისაგან ყოველდღე ექსტაზით რომ ცახცახებს. ჩემი ცნობიერება თითქოს ბალახის თითოეული ღეროთი, თითოეული ხარბადმწოველი ფესვით მოედინება და მინამი შესრუტულ წვეწოთთან ერთად ადის ხეებში, სხარულის ჟრუანტელი თრთის პურის ჯეჯილში და პალმების მოშრიალე ფოთლებში.“

ეს არ ჰგავს ჩვეულებრივი მოკვდავის დაწერილს და პოეტად დაბადებული ინდოელი ბრძენის, ნათელმხილველის გარდა, ვერც ვერავინ დაწერდა.

\* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №24

ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს სათანადოდ გაცნობიერებული და შეფასებული თედო რაზიკაშვილის მიერ ჩანერილი გენიალური, ადამიანური ყოფიერების ტრაგიზმით აღსავსე ულამაზესი ქართული ზღაპარი „მინა თავისას მოითხოვს“, რომელშიც დროის მოჩვენებითობა და ამქვეყნიური არსებობის მარადისობასთან შეუსაბამობა უღრმესი, ხატოვანი სიმბოლოებით არის მინიშნებული.

თავორი „ბენგალიაში“ ასეთივე აზრის გამომხატველ ფანტასტიკურ შემთხვევას იხსენებს თავისი შორეული წარსულის, სიყრმის შთაბეჭდილებებიდან და იგავად ნათქვამს მისებურად ანზოგადებს, ფილოსოფიური განსჯის საგნად აქცევს. თავად ისე მომჭირნედ აქვს მოთხრობილი ხსენებული ეპიზოდი, რომ უმჯობესია, ორი აზრით, რომელსაც ერთი პარალელი აქვე უნდა მოვაცოლო. მთლიანად ამოვწერო:

„არის ერთი სპარსული ზღაპარი, რომელმაც ძალუმაღ დაიპყრო ჩემი გონება, როცა ბავშვობაში წავიკითხე იგი, — მე ვფიქრობ, რომ უკვე მაშინ ნაწილობრივ გავარკვიე მასში ჩადებული იდეის აზრი, თუმცა პატარა ვიყავი. დროის ილუზორულობა რომ დაემტკიცებინა, ფაქირმა მაგიური წყლით აავსო ჭურჭელი და ხელმწიფეს შესთავაზა თავი ჩაეყო შიგ. ხელმწიფემ თავის ჩაყოფა ვერ მოასწრო, რომ უცხო ზღვისპირა საიფეო დაინახა, სადაც მას თითქოს დიდხანს ეცხოვროს და ბედის ბევრი უკუღმართობა გადაეტანოს. იგი დაცოლში იღებულა, მეუღლე და შვილები მოჰკვდომია, დაუკარგავს მთელი თავისი ქონება და იმ დროს, როცა მწუხარებით დათრგუნვილი მწარედ იტანჯებოდა, უცებ თავისი კარისკაცების გარემოცვაში, ისე იმავე ოთახში აღმოჩნდა. ხელმწიფემ ვაზირებისგან მოითხოვა გაეკიცხათ ფაქირი იმ ტანჯვისათვის, თავს რომ გადახდა. მაგრამ მათ უპასუხეს: „ყოველად ძლიერო, შენ ხომ მხოლოდ ერთი წამით ჩაჰყავი თავი წყალში“.

მთლიანობაში მთელი ჩვენი ცხოვრება ყველა სიხარულითა და მწუხარებით, ზუსტად ასევე, დროის მხოლოდ ერთ წამშია მოქცეული. რა გრძლად და დაძაბულადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს იგი დინებისას, ამსოფილური ცხოვრების ჭურჭლიდან თავს როცა ამოვყოფთ, გვეგონია, თითქოს ყველაფერი მხოლოდ მსუბუქი და წარმავალი სიზმარი იყო“.

მსგავსი შემთხვევა, რეალურ ამბავს მიახლოებული, ესეიმი „მაია და თავისუფლება“, მოთხრობილი აქვს სვამი ვივეკანანდას, როცა თვით უზენაესი ღვთაება კრიშნა გააგებინებს ნარადას, ერთ-ერთ ღვთაებრივ რიშას, თუ რა არის მაია. ისინი უდაბნოში არიან და კრიშნა მას სოფელში გაგზავნის, მწყურია და წყალი მომიტანეო. იქ წარადა მშვენიერ ქალს გადაეყრება, დაივიწყებს კრიშნას თხოვნას, იმ ქალს ცოლად შეირთავს და შვილებსაც გააჩენს. ამასობაში გაივლის თორმეტი წელი. ერთხელ ღამით მდინარე ადიდდება, დატბორავს მთელ სოფელს. ნარადას ცოლ-შვილი დაეხრჩობა, ხოლო მას, ნაპირზე გამოირიყულს, კრიშნა ხელს შეახებს და საყვედურობს — რატომ არ მომიტანე წყალი, ნახევარი საათია გელოდებო. კრიშნას ნახევარ საათში ნარადასათვის თორმეტი წელიწადი გასულა. მონათხრობის დასასრულს ვივეკანანდა დასძენს: „ესეც მაიაა!“ ეს შეძახილი ხშირად მეორდება ხოლმე ვივეკანანდას ნაპირევიში, მატერიალური სამყაროს, ხილული სინამდვილის მოჩვენებითობა რომ ცხადდეს.

უდავო ჭეშმარიტებათა შემცველი და ანგარიშგასანეგია თავორის ლიტერატურული შეხედულებები, მისი აზრი პოეზიაზე, ფორმის წარმომავლობასა და თავისებურებებზე, რაც რამდენიმე ჩანაწერში არის ჩამოყალიბებული. თვალსაჩინოებისთვის თავორი მიმართავს შედარებას, რასაც ასეთ დროს მხატვრული სიტყვის ოსტატები, ლიტერატურის თეორეტიკოსები ხშირად აკეთებენ. აქ რამდენიმე ციტატის მოხმობა დამჭირდება:

„წყლის მთელი სილამაზე განქარებულა, როდესაც ის კარგავს მისთვის დამახასიათებელ ნაპირებს და ერთსახოვან, უფორმო სივრცეში იფინება. იგივე ემართება ლიტერატურულ ენას. ზომა მისთვის ნაპირების მაგივრობას ეწევა და ფორმას, სილამაზესა და ხასიათს ანიჭებს მას. როგორც ნაპირები აძლევს ყოველ მდინარეს მისთვის დამახასიათებელ თავისებურებას, ეგრევე რიტმი გადააქცევს ყოველ პოემას ინდივიდუალურ ნაწარმოებად“.

აქვე ერთმანეთთან არის დაპირისპირებული პოეზია და პროზა. პროზა, მდორე, შენელებული მდინარების, ამორფულობის გამო (მისთვის უცხოა „ზომის ვინრო კალაპოტი“), თავორს, პოეზიის გვერდით, ძალზე ნაკლებფექტურად მიაჩნია და ამას თვლის მიზეზად მათი ზე-



თამაზ ჩხენკელი

მოქმედების ძალის სხვადასხვაობისა: „ზომაც ისევე იზადება, როგორც ყოველგვარი სილამაზე სამყაროსა. მოძრაობა შეზღუდული გარკვეული საზღვრებით, ზომისმიერ ლექსს ისეთ სიძლიერეს ანიჭებს ადამიანთა სულის გასამსჭვალავად, რაიც მიუღწეველია მონოტონური და განთხეული პროზისათვის“.

ეს კონტრასტი კიდევ უფრო უტრირებული, ხაზგასმულია მომდევნო ესეიში, სადაც პოეზიის სინატიფე რელიეფურად იკვეთება პროზის მოუხეშაობის ფონზე:

„მე ვფიქრობ იმაზე, თუ რატომ არ გვანიჭებს მთელი ფურცლები პროზისა იმ სიხარულის ნატამალსაც კი, რასაც ჩვენ მცირე ზომის დასრულებული პოემა განგვაცდევინებს ხოლმე. ეს იმიტომ, რომ პოემაში განცდანი იმოსებიან ფრიად სრულყოფილი ფორმით. თითქმის ყოველი მათგანი თითუბით შეგვიძლია ავილოთ, მაშინ, როცა პროზა ჰგავს ნედლს, ურჩსა და მძიმე მასალას, რომელსაც ვერ მოიხმარ სურვილისამებრ“.

ერთი კი შეიძლება ითქვას — პოეზიასა და პროზას ერთმანეთისგან განსხვავებული სპეციფიკა აქვთ, სხვადასხვა ჟანრს განეკუთვნებიან და მათი დაპირისპირება ყოველთვის არ არის გამართლებული.

მრავალი, ფრიად მნიშვნელოვანი აზრის ამონერა შეგვეძლო, მაგრამ ეს მცირეოდენივე საკმარისია, რათა „ბენგალიის“ ყველასაგან განსხვავებული სიღრმე და მომხიბლაობა შევიგრძნოთ და ვირწმუნოთ.

„ინდურ ლოტოსში“ შეგვიძლია წავიკითხოთ მეოცე საუკუნის ორი გიგანტის — რაბინდრანათ თაგორისა და ალბერტ აინშტაინის — საუბარი სამყაროს რაობაზე, ღმერთის ფენომენზე და ადამიანის ადგილზე უკიდევანო კოსმოსში, როცა „ფარდობითობის თეორიის“ შემოქმედი მეცნიერულ ჭეშმარიტებაზე ჩამოაგდებს სიტყვას, თავორი, სხვათა შორის, პასუხობს:

„ინდური ფილოსოფიის თანახმად, არსებობს ბრაჰმა — აბსოლუტური ჭეშმარიტება, რასაც ცალკეული ინდივიდუუმის გონება ვერ შეწვდება და არც სიტყვით არ გამოიხატება. იგი მხოლოდ პიროვნების უსასრულობაში სრული დანთქმის გზით შეიმეცნება. ასეთი ჭეშმარიტება არ შეიძლება მეცნიერებას განეკუთვნებოდეს“.

ნიგში ცალკე განყოფილება ეთმობა გამოჩენილ ინდოელ მოაზროვნეებს, რომელთაგან, უპირველეს ყოვლისა, ალსანიშნავია ერის სულიერი მოძღვარი ვივეკანანდა (1862-1902), რომლის მინიერმა ცხოვრებამ მხოლოდ ორმოცი წელიწადი გასტანა, მაგრამ მისმა მოღვაწეობამ დიდად განსაზღვრა ინდოეთის მომავალი.

თუ რაოდენ ღრმა და შორსმჭვრეტელურია მისი ნააზრევი, ამის ნათელსაყოფად ერთი გამონათქვამის მოხმობაც იკმარება, გაფრთხილებასავით რომ ჟღერს:

„ყოველ ერს, ისევე როგორც ყოველ ცალკეულ ადამიანს, სიცოცხლის საფუძვლად უდევს ერთადერთი თემა, ცენტრალური ბგერა, რომლის გარშემო ჰარმონიის ყველა დანარჩენი ბგერა იკრებიება... თუკი ერთი მას უკუაგდება, თუკი იგი უკუაგდება საკუთარი ცხოველმყოფელობის პრინციპს, საუკუნეთა მიერ გამოცემულ გეზს, ეს ერთი კვდება“.

ეს შეგონება ქართველებმაც უნდა ვილოთ ყურად და კარგად გავისიგრძეგანოთ, რომელია ჩვენი „ცენტრალური ბგერა“, რამაც დღემდე მეობა და ფიზიკური არსებობა შეგვიწარჩუნა. სხვადასხვა დროს გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჩვენი ერის უმთავრესი თვისებათაგანი არის მოხერხებულობა, საშიშროებიდან თავის დაღწევის მარჯვე უნარი, ურომლისოდაც საუკუნეების მანძილზე ამდენ გამანადგურებელ განსაცდელს ვერ გადავურჩებოდით.

ვივეკანანდა იქვე მიმართავს თავის თანამემამულეებს: „ჩვენ მრავალი საუკუნის წინ ავირჩიეთ ჩვენი ხვედრი. ეს არის რწმენა უკვდავი სულისა... მე გაფრთხილებთ, არ უღალატოთ მას. თქვენ ვერ უღალატებთ საკუთარ ბუნებას“.

ამის მიქმელი არასოდეს იკეტებოდა ვინრო ეროვნულ ჩარჩოებში, იგი სხვადასხვა ხალხების შეკავშირებაზე ოცნებობდა და წამოაყენა „მსოფლიოს სულიერი ერთიანობის გრანდიოზული იდეა“, რომელსაც ყოველგვარი ჯებირი (ეროვნული, რელიგიური, სოციალური...) უნდა გადაეღებინა.

დიდი ინდოელი მოღვაწე გმობდა სიხარბეს, სიმდიდრის მოხვეჭისადმი ადამიანთა დაუოკებელ მიდრეკილებას და ყოველგვარი მოიარების გარეშე ამბობდა: „ქმნის გული და გონება და არა ფულით გატენილი ქისა“.

სხვა ინდოელი ფილოსოფოსების მსგავსად, მატერიალური სამყარო ვივეკანანდასაც მოჩვენებად, ილუზიად, მაიად მიაჩნია და საამისოდ თავის ქადაგებებში მრავალი მაგალითი მოაქვს. შეიძლება მოვიხმოთ ერთი ადგილი, ასე რომ გვაგონებს ეკლესიასტეს დამთრგუნველ სიბრძნეს:

„დასასრული ყოვლისა სიკვდილია. სიკვდილია დასასრული სიცოცხლის, სილამაზის, სიმდიდრის, სიქველისა და ძლიერებისა. აღესრულებიან წმინდანნი, აღსასრულის დღე უდგებათ ცოდვილთაც. კვდებიან მეფენი და მონანი, დიდებულნი და გლახაკნი. ყველაფერი სიკვდილისაკენ მიდის და მიიწვი, ყველაფრის მიუხედავად, გრძელდება ეს დაუთრგუნველი მისწრაფება სიცოცხლისადმი. ჩვენ არ შეგვიძლია თავი დავაღწიოთ მას. ეს არის მაია“.

უსაფუძვლოდ ვერასგზით ვერ ჩავთვლით ვივეკანანდას ნათქვამს, როცა იგი აცხადებს: „ვედანტას ფილოსოფია არც ოპტიმიზმია და არც პესიმიზმი. იგი საგანს მისსავე რაგვარობაში განიხილავს და აღიარებს იმ ფაქტს, რომ ეს ქვეყანა კეთილისა და ბოროტის, სიხარულისა და მწუხარების ნაერთია“.

ინდოეთის უთვალსაზრისო პოლიტიკურ მოღვაწეს, ქვემარტი ბრძენსაც მაჰატმა განდის, ვინც მუდამ იმას ქადაგებდა, რომ მის სამშობლოს ძალის გამოყენების გარეშე უნდა მოეპოვებინა თავისუფლება, წინამდებარე ნიგში მოკრძალებული ადგილი უკავია, მაგრამ თამაზ ჩხენკელს ისე მოხდენილად შეურჩევია ცალკეული ფრაგმენტები, რომ ჭკუიდან გადასული ფანტიკოსის მიერ მოკლულ ამ დიდ პიროვნებაზე მაინც გვექმნება გარკვეული წარმოდგენა.

გაცილებით სრულად არის წარმოჩენილი ინდოეთის პირველი პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, ვინც განუზო-

მელი ამაგი დასდო თავის ერს და ერთ-ერთ უღრმეს, თავისებურ მოაზროვნედაც დარჩა. სამაგალითოა „უპანიშადებისა“ და „ბჰაგავატგიტას“ მისეული ანალიზი.

ბევრ რამეზე დააფიქრებს ადამიანს ნერუს წერილი „ჩემი მსოფლმხედველობა“, რომელსაც სწორხაზოვანს ვერაფრით ვერ ვუნოდებთ. იგი აშკარად გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ნაირნაირი ცრურწმენებისადმი, არც იმას მალავს, რომ რელიგია არ იზიდავდა, თუმცა მერე და მერე დაინახა: „...რელიგია ადამიანის გულის რალაცნაირ ღრმა შინაგან მოთხოვნილებებს ეპასუხებოდა და რომ მთელ მსოფლიოში კაცობრიობის უდიდეს უმრავლესობას არ ძალუძს გვერდი აუქციოს ამა თუ იმ რელიგიურ სარწმუნოებას“.

ჯავაჰარლალ ნერუ საფუძვლიანად არის განსწავლული ინდურ და მსოფლიო ფილოსოფიაში და, ამდენად, არ უჭირს შეეკამათოს, არ დაეთანხმოს ბერტრან რასელს, ვინც უარყოფს სამყაროს ერთიანობას. მას ბრიტანელი ფილოსოფოსის თვალსაზრისის გასაბათილებლად არაერთი საპირისპირო არგუმენტი მოჰყავს და სამართლიანად აცხადებს: „ფიზიკის უახლესი მიღწევები ბუნების ერთიანობის ბევრ საბუთს კვანძდის“.

ნერუ უაღრესად ფხიზელი ადამიანი იყო, იგი მუდამ ანგარიშს უწევდა მეცნიერულ აზროვნებას, მაგრამ ისიც იცოდა — მხოლოდ მეცნიერების იმედად ყოფნა საკმარისი არ იყო.

იგი კარგად ხედავდა ადამიანის უამრავ ცთომილებას და დანაშაულს, ჰქონდა გულგატეხილობის საბაბიც, მაგრამ ცალმხრივად არ განიხილავდა ბუნების ამ გასაოცარ ქმნილებას („ადამიანში ნამდვილად არის რალაც ღვთაებრივი ისევე, როგორც მასშივეა რალაც დიაბოლურიც“). და თავისი წერილი მან მაინც რწმენის გამომხატველი დიდებული და პოეტური სიტყვებით დააბოლოვა:

„მომავალი გაურკვეველი და ბნელით მოცულია. მაგრამ მისკენ მიმავალი გზის ნაწილი ჩანს და ჩვენ შეგვიძლია ამ გზაზე მტკიცე ნაბიჯით ვიაროთ. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ვერაფერი გატეხს ადამიანის სულს — სულს, რომელმაც ამდენ ხიფათს გაუძლო. უნდა გვახსოვდეს აგრეთვე, რომ ტანჯვა-წვალების მიუხედავად, წუთისოფელში სიხარული და მშვენიერებაც სუფევს და ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია — თუკი გვეცოდინება როგორ უნდა გავაკეთოთ ეს — ბუნების ჯადოსნურ ტყეში ვიხეტილოთ“...

ცნობილია, რაოდენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ინდურ ფილოსოფიას და აზროვნების ძველინდურ წესს დიდი ფრანგი მწერალი და ესეისტი რომენ როლანი, რომლის ორი, ღრმა ცოდნითა და პოეტური მგზნებარებით დაწერილი ნაშრომი („ინდურ მოძღვრებათა ამერიკელი წინამორბედები“ და „ვივეკანანდას მსოფლიო სახარების დამატება“) თამაზ ჩხენკელმა საგანგებოდ ამ ნიგნისთვის თარგმნა. მათ გარჩევას აქ აღარ შეუდგებოდა.

ინდურ სამყაროს, მისი სულის პოეტურ გამოვლინებას ყველაზე მეტად საგალობლები ესადაგება და თამაზ ჩხენკელმა, მათი მრავალფეროვანება რომ ეჩვენებინა, სამ ქვეთავად გაყოფილი ნაკრები წარმოადგინა.

„ნალადიარის“ საგალობლების წარმოშობა ლეგენდის საბურველშია გახვეული და მათში პოეზიის ენაზე ამეტყველებული იმდენი სიბრძნეა ჩაქსოვილი, ალტაცებასა და გაოცებას ინვევს. ამას სარწმუნოდ გახდის პირველივე საგალობელი:

**ის ვინც დღეს უხიაგობს, როცა მოსიყვარულე ცოლი მრავალფერი ჭამადით უმასპინძლებდა, და გულამსუყვებული უარს ამბობს ჭამაზე, ხვალ, მშობლიურ მხარეს მოშორებული, გლახაკივით მოწყაბასა და ბრინჯის ნახარშს მოითხოვს, და ღარიბული ჭამადი მისი ერთადერთი კერძი იქნება: ხლოო თუ ასეა, მამ, სიმდიდრე კაცთა ზრახვისა და სწრაფვის ღირსი არ ყოფილა.**

აქ პოეზია თვითმიზანი როდია, იგი ღრმა ცხოვრებისეული აზრის გადმოცემას ემსახურება და ასეთ დროს ყველაზე გამოსადეგი, ზუსტი ხერხია შედარება, რომელსაც ინდოელი პოეტები უხვად და, რამდენადმე შეფარულად იყენებენ. მაგალითისათვის გამოდგება ოცდამეთვრამეტე საგალობელი:

**მცირეზე მცირე ბანიანის თესლი რომ აღმოცენდება,  
დიდი ჩრდილოვანის მქონე უზარმაზარ ხედ გადაიქცევა;  
მადლიანი საქმის ნაყოფიც თუმცა პატარაა,  
მარცვლად შეკუმშული, ღირსეული კაცის ხელში  
რომ მოხვდება —  
ცათა უსაზღვროებას დაიტევს.**

„ნალადიარის“ საგალობელთა უმრავლესობა ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეყრდნობა და შეგონების ხასიათი აქვს; აზრი მკაფიოდ რომ გამოიხატოს, მთავარი ხერხი, ისევ და ისევ, პარალელიზმზე დამყარებული შედარებაა. მოვიტან ერთ მაგალითსაც:

**ჯიშინი ფურის მოგებული თუა,  
როგორც არ უნდა იყოს,  
მინც კარგი ფასი დაედება დეკეულს.  
უმეცარის სიტყვაც ასევე დაფასდება თუ ის მდიდარია,  
ხოლო სიტყვა უპოვარისა იმ გუთანსა ჰგავს,  
გვალვაში მინის ზურგზე რომ სხლტება  
და სიღრმეში ვერ მიდის.**

„თამილური ჰიმნები“ რამდენიმე ავტორს აერთიანებს. ამ პოეტებს გაშინაგებული აქვთ ძველი ინდოეთის მსოფლგანცდა, საუკუნეებში გამოტარებული მისი ფილოსოფია, ხორციელი გარსის არარაობა, სულის უკვდავების ურყევი რწმენა. სუნდარარის პირველივე საგალობელი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს და შეეყავართ ჩვენთვის უცხო, იდუმალ სამყაროში:

**ცხოვრება ესე — მაიაა... ნაცარია მისი არსება.  
დაბადებათა ოკეანიდან ლპობა, სნება  
და შიმშილის სიავე მოდის,  
ხოლო მათგან მოიქცევა ძალმომრეობა.  
დაუყოვნებლივ აღასრულე კეთილი საქმე,  
განადიდე იგი — წმინდა კედარამში დავანებული,  
რომლის სამანებს ქვევიდან ვიშნუ  
და ზევიდან ბრაჰმა ეძებდა.**

„თამილური ჰიმნებიდან“ ჭეშმარიტად უძლიერესია შივაური იდეების მქადაგებლის, მეთერთმეტე საუკუნის დიდი პოეტის მანიკავაშაგარის ქმნილებები. მოვიტან უსიუჟუტო, გასაოცარი პოემის თავსა და ბოლოს, რათა ცხადი გახდეს მისი აზროვნების მრავალთაგან განსხვავებული პოეტურობა, დრამატიზმი და საკვირველი სიღრმე. ცნობარში ვკითხულობთ, რომ სახელმწიფო სამსახურს ჩამოშორებულმა და განდეგილობის გზაზე შემდგარმა, მან მხოლოდ ოცდათერთმეტი წელი იცოცხლა. დავაკვირდეთ, თავისუფლებისკენ, უზენაესთან შერწყმისკენ რაოდენი ღვაწლი და მღელვარებაა დატეული ათასი წლის წინათ წარმოთქმულ საგალობლებში:

**1.  
მე არავითარ დაბადების არ მეშინია  
და არცა ვზრუნავ მე იმისთვის, რომ სიკვდილს ავცდე.  
ცად ამალღებას მე არ ვესწრაფი  
და არც ის მინდა — ხელმწიფობით ვიყო მორჭმული.  
ო, შივა, შივა, გოლეულით სავსე ყვავილო,  
ო, ჩვენო ტკბილო პერუმანო, ბატონო ჩვენო! —  
მე გევედრები, მანიშნო ის დღე,  
როცა წყალობას მომაგებ შენსას!**

**9.  
ბალახი ვიყავ, მცენარე და მატლი და მუხა.  
ვიყავი გველი და ფრინველი  
და ცხოველთა მრავალფერი სახის მტვირთველი.  
ვიყავი ქვა და ძე კაცისა, ავი სული, დევი და ეშმა  
ვიყავ მძლეთამძლე ასური და მუნი და ღმერთი.  
ჰოი, შენ — ჩვენო პერუმანო! ყოველ არსად დაბადებული,  
ყველა ამ უძრავ და მოძრავი საგნის გულში დავანებული —  
მე დავიღალე,  
ან ჭეშმარიტად, შენთა ფერხთა ნათლის მჭვრეტი  
მოვიპოვევ თავისუფლებას.**

„ინდურ საგალობლებშივე“ შეტანილი მეთხუთმეტე საუკუნის უთვალსაჩინოესი ინდოელი პოეტის, წმინდა ქალაქ ბენარესის პირმშოს, ხელობით ფეიქრის, რწმენით მაჰმადიანი ქაბირის ლექსები. მას მაჰმადიანებიც ისევე ეთაყვანებოდნენ, როგორც ინდუიზმის მიმდევრები, თამაზ ჩხიკელი შენიშვნებში წერს: „ქაბირმა სიყვითით აღსავსე, მოსიყვარულე და თავისუფალი ღმერთის განცდაში შერწყა ინდური ბჰაქტიზმის და მუსლიმანური სუფიზმის ტრადიციები“. სწორედ აზროვნების ეს სიფართოვე და უსაზღვრო დემოკრატიულობა ჩანს მის წინამდებარე საგალობელში:

**უსაფუძვლოა, წმინდანს ჰკითხო, რა ნოდებას  
ეკუთვნის იგი,  
რადგან მეომარს, ვაჭარს და წმინდანს  
და ოცდათქვამეტ ნოდებასვე ერთნაირად ხედავს უფალი.  
სიგიჟეა, წმინდანს ჰკითხო, რა ნოდებას ეკუთვნის იგი:  
ღმერთს ეზიარა მეთულუხჩე, დურგალი და  
ოქრომჭყდელი,**

**რაიდასიც კი ღმერთს ეძიებდა.  
ბრძენი სვაჰაჰა მეჯადაგე იყო ხელობით.  
წინდონი და მუსულმანნი ერთნაირად იპოვებდნენ  
საუკუნო მადლს, რომლის ნიაღში  
უმცირესი განსხვავების ნიშანწყალიც წარხოცილია.**

მოვიხმობ სხვა, უძლიერეს საგალობელსაც, რომელშიც ყველაზე მეტად არის გამჟღავნებული ინდური სამყაროსადმი ქაბირის კუთვნილება; მძაფრ რიტმს დამორჩილებული მეტყველება (ამას განსაკუთრებით აძლიერებს თავში მოქცეული ერთისიტყვის შვიდგზის განმეორება) უმაღლესი წერტილისკენა მიმართული, მიგვანიშნებს იმ ადგილს, სადაც ყოვლისშემძლე შემოქმედი სუფევს და ყველაფერს მისი ნება განაგებს:

**იქ სადაც სულის საუფლოა,  
სადაც მეუფებს წელიწადის ალოთა მეფე —  
უდარებელი მგალობელი თვის გულში გალობს.  
სად უთვალავი კრიშნა სუფევს ხელდაკრეფილი,  
სად უთვალავი ბრაჰმა ვედებს კითხულობს ჩუმიად,  
სადაც უთვალავი ვიშნუ მუხლი მოუდრეკია,  
სად უთვალავი შივა ჭვრეტად არის დანთქმული,  
სადაც უთვალავი ინდრას თვალი ცად აღუპყრია,  
სად თვლა არა აქვთ ბრძენმოდღვართ და  
ნახევარღმერთებს —  
ჩემი უფალი იქ თავის თავს თავად ამჟღავნებს.**

ვეება ეპოსის — „მაჰაბჰარატას“ — ორგანული ნაწილი, ინდოეთის სულიერი კულტურის უპირველესი ძეგლი, „ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები ინდური აზროვნების განვითარების ისტორიაში“, ზეადამიანური ძალის ქმნილება „ბჰაგავატგიტა“ ჭეშმარიტად შეიძლება ჩავთვალოთ უბრწყინვალესი წიგნის — „ინდური ლოტოსის“ დამაგვირგვინებელ გუმბათად, რომელმაც თვალმუწუნდომი სიმძლავრე და ელვარება შესძინა მთელ შენობას.

ძნელია გაცვიფრების გარეშე წარმოიდგინო, რომ უკიდურესად სიბრძნის შემცველი, ყველა ჯურღმულში შემღწევი და ყველა მწვერვალის მომხილავი უბადლო პოემა ადამიანის გონებას ბუდას მოძღვრებამდე შექმნა და ოცდახუთი საუკუნის შემდეგაც ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას, ზემოქმედების შეუწყველებელ ძალას.

ამ უკვდავი ქმნილების ავტორის თვალსაზრისის სამაგალითო სიფართოვეს გულისხმობს ჯვავაპარლალ ნერუ, როდესაც წერს: „გიტა შეზღუდული არ არის სექტანტური მიზნებით. იგი უნივერსალურია. იგი უნივერსალურია თავისი მიდგომით ყველასადმი — ბრაჰმანისა და პირიასადმი“.

„ბჰაგავატგიტას“ დედააზრს მოკლედ ასე გადმოსცემენ: „ადამიანისთვის უმთავრესი და არსებითი სხეული და შეგრძნება კი არ არის, არამედ უცვალებელი სული — ატმანი. და აი, არჯუნას ფიქრი ახალი გეზით მიემართება. ამიერიდან კურუქშეტრის ბრძოლის ველი სულის ცხოვრების სიმბოლოს წარმოადგენს, ხოლო კაურავები სულის განვითარების მტრები არიან. არჯუნა, რომელიც არ ნებდება ცთუნებებს და იოკებს გულისთქმას — კაცური სასუფეველის მოხვეჭას ცდილობს. აქ წინსვლის გზა ტანჯვისა და თავის დათრგუნვის გზაა“. (სარვაპალი რადჰაკრიშნანი).

იგივე რადჰაკრიშნანი, თავისუფალი ინდოეთის პირველი პრეზიდენტი (ბედნიერებაა ასეთი განსწავლული ხელისუფალის ყოლა) წერს: „გიტა ნახევრად ფილოსოფიური სისტემაა და ნახევრად პოეტური შთაგონების ნაყოფი... ეს მოძღვრება განკუთვნილია იმისათვის, რომ ემსახუროს ადამიანს ცხოვრების მიძიმე წუთებში, როცა სინდისი აღბორგებული და გონება შეშფოთებულია“.

პოემის ქარგა ასეთია — კურუს ვეებერთელა ველზე ერთმანეთის პირისპირ დგანან ერთმანეთის სისხლით ნათესავები, ორი დიდგვაროვანი ძმის — დრითარაშტრას და პანდუს შთამომავლები, უნდა მოხდეს კაურავებისა და პანდავების სისხლისმღვრელი შეტაკება.

არჯუნა, პანდავების მხარეს მყოფი უშიშარი მეომარი ამართლებს თავის სახელს — თეთრი, ნათელია და მის საომარ ეტლშიც თეთრი რაშები შებმული. თამაზ ჩხენკელი მოკლე წინათქმაში აღნიშნავს: „...კურუს ველი გააზრებულია, როგორც დჰარმის, ე.ი. ღირსების, მოვალეობისა და კანონის ველი, როგორც საერთოდ კაცის ცხოვრება, მისი მოქმედებისა და ბრძოლის ადგილი“. იმასაც ამბობენ, რომ „ბჰაგავატგიტაში“ სიმბოლურად არეკლილია დაპირისპირება, ბრძოლა ადამიანის გრძნობასა და გონებას შორის, რომელიც, საბოლოოდ, დაზავებით უნდა დამთავრდეს.

არჯუნა შეძრწუნებულია. იგი წინასწარ ჭვრეტს, რაც უნდა მოჰყვეს ბოროტი ძალის მიერ წამოწყებულ ამ ქიშპობას („სისხლიანი ხელებით მე ვითლა შეეჭამო მე ჩემი პური?“). იცის, შეტაკებაში უნდა დახოცოს უახლოესი ნათესავები და ამას სიკვდილი უჯობს. იგი რჩევას თხოვს ხორცმცხმულ ღმერთად წარმოსახულ კრიშნას და ისიც იწყებს თავის „ღვთაებრივ გალობას“ („ბჰაგავატგიტა“ ასე ითარგმნება ქართულად). კრიშნასა და არჯუნას დიალოგს დრითარაშტრას გადასცემს მისი ბრძენი მეეტლე სანჯაია, რომელიც ქმედითად არის ჩართული მოქმედების მსვლელობაში. პოემის რთული კომპოზიცია ისეთი ოსტატობით არის აგებული თავიდან ბოლომდე, რომ უკეთესი რამ ადამიანის გონებას ძნელად თუ მოაფიქრდება.

„ბჰაგავატგიტა“ თვრამეტ თავად არის დაყოფილი, შეიდას შლოკას ანუ ორტაეპედს მოიცავს და განსაზღვრული საზომით არის გამართული.

სავსებით სწორი იყო გამოჩენილი რუსი მეცნიერი და მთარგმნელი სმირნოვი, როცა „ბჰაგავატგიტას“ სხვა ენაზე ამეტყველებას, სირთულის მხრივ, დანტეს „ღვთაებრივი კომედის“ თარგმნას უთანაბრებდა.

ასევე სწორად მოიქცა თამაზ ჩხენკელი, როცა სმირნოვის მიერ გაკაფულ გზას მიჰყვა და მკაცრი, ჩარჩოებში ჩასმული საზომის ნაცვლად თავისუფალი ლექსით თარგმნა „ბჰაგავატგიტა“, რისი მეოხებითაც ტექსტს დედნიესული მხატვრული ძალმოსილება შეუნარჩუნა, ზომიერად არქაიზებული ენა და ალაგ-ალაგ გამოყენებული რუსთველისეული კონსტრუქციები და გამოთქმები კი ბედნიერად მოერგო გენიალურ ძველინდურ პოემას.

უყოყმანოდ შეიძლება ითქვას — მასავით სანაქებოდ ამ მეტად ძნელ ამოცანას თავს ვერავინ გაართმევდა.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ დიდოსტატურად იმორჩილებს ფრაზას, რა მოქნილობას იჩენს თამაზ ჩხენკელი „ბჰაგავატგიტას“ ურთულესი სიტყვიერი ქსოვილის და შეფარული, მინიშნებით აღსავსე ხატოვანი აზროვნების გადმოცემისას, ზოგიერთი ადგილის მოხმობა მოგვიწევს.

სშირად ვხდებით მოწმე იმისა, თუ რა ამაღლებული და ამავე დროს ნათელია სანჯაიას მეტყველება, ინდურ მსოფლალქმას რომ ეფუძნება:

**ვით კაცთაგანი განიგდებს ხოლმე ძველ სამოსს და ახალს შეიმოსს, ვერევი განიგდებს გაცვეთილ ხორცს და ახალს შეიმოსს უკვდავი სული...**

**კაცნი დაძრახავენ შენს საქციელს, ხოლო მამაცისთვის ნაძრახი სიცოცხლე სიკვდილზე უარესია.**

ბოლო სტრიქონში პირდაპირ ხმანობს რუსთაველის ცნობილი აფორიზმი, რაც მთარგმნელის მიერ განგებისად არის ხაზგასმული.

ახლა თვით კურთხეულის, იგივე კრიშნას თვალთახედვას დავაკვირდეთ:

**...ვნებათ ლელვისაგან აღძრული გული წარიტაცებს გონებას, როგორც ზღვაზე — ქარბორბალა მცირე კარავებს: და ამიტომაც ის, ვინც გრძნობათა საგნებისგან დაიგულებს გრძნობათ, გული მისი დადგინებულ არს.**

კრიშნას არწივისებურ მზერას არ გამოეპარებოდა, რაოდენ ღრმად აქვს ქვეყნიერებაზე ფესვი გადგმული რისხვას, რომელიც ბრძენკაცსაც კი აკარგვინებს სულის სიმშვიდეს, წონასწორობას: რისხვაზე ასეთი რამ არავის უთქვამს:

**ისე ვით ცეცხლი, კვამლით შეფუთვნილი, ისე ვით ჟანგიით დაფარული სარკე, ისე ვით დვრიტა გარსით მოგარსული — ეს ქვეყანა შებურული არის მის მიერ.**

მცირედი ეჭვისთვისაც არ ტოვებს ადგილს კრიშნას ნათქვამი, რომლის კილო შეუვალა და დამაჯერებელი:

**სიბრძნითა და სწავლით გაბრძნობილს, შეურყევლად მწვერვალზე დადგინებულს, გულისთქმის მძლეველს — იოგასთან ზიარებული ჰქვია და სწორად უჩნს მას ოქრო, მინის გორახი და ქვა.**

კრიშნა ყველაფერში თავდაჭერას, ზომიერებას მოითხოვს:

**ვერ ეზიარონ იოგას ვერცა ნაყროვანნი, ვერცა მოძულენი ჭამადისა, ვერცა ძილითა მცონარენი, ვერცა უძილობით მღვიძარენი.**

კრიშნას ამ შეგონების ბოლო სტრიქონებს ამკარად გადაჰკრავს რუსთველისეული მეტყველების ელფერი, რასაც მთარგმნელი განზრახ სჩადის:

**ატმანთან მიმსგავსების გამო, ვისაც ჭირი და ლხინი  
სწორად უჩნს, იგია, ო არჯუნა, ჭეშმარიტი იოგი.**

საგულისხმო, ყურადსაღებ ნათქვამთა დიდი უმრავლესობა, ბუნებრივია, კრიშნას წილად მოდის და უსარგებლო არ იქნება გზადაგზა მათი მოხმობა. მეუფე თითქმის ყოველ ჯერზე სხვადასხვა ეპითეტებს ურჩევს არჯუნას, არ თავდება ეს ჯაჭვი და ინდური სიტყვები ქართულ თარგმანში შენარჩუნებულია, რაც ტექსტს დედნისეულ სურნელს აძლევს:

**ათასთა შორის ერთი თუ იპოვება სრულყოფის მონადინე,  
მონადინეთა და ზიარებულთა შორის ერთი თუ  
იპოვება ჩემი მეცნაური.**

\* \* \*

**მე ვარ ყოვლის დასაბამი და დასასრული.  
ჩემს უზენაეს არარა ჰგიეს, ო, დჰანანჯაია,  
ჩემზეა ასხმული ყოველივე, როგორც მკერდზე  
მარგალიტის მძივი.**

**მე ვარ წყალთა გემო, ო, კაუნტეა!  
მე ვარ მზისა და მთვარის ელვარება.**

ყოვლისმომცველი ღვთაება, კრიშნა, ყველაფერზე მაღლა დგას, მისი მხილველი არავინაა, თავად კი უმცირეს არსებებსაც ჭყრეტს და განაგებს მათ ყოფნა-არყოფნას:

**მე მივეც დასაბამი — ბუნებაუჩინარმა — ამ ბრუნავ  
სამყაროს,  
ჩემგან და ჩემს მიერ და ჩემთანვე სუფევს ყოველი არსი,  
ხოლო მე მათთან არა მაქვს ყოფა.**

ღვართქაფივით მოედინება უზენაესის ათასსახიანი ბუნების წარმომჩენი იპოსტასები; არსად მოიძებნება ამ ნიაღვრის შემჩერებელი ძალა, ეს ხმა თითქოს ციდან მოგვესმის:

**მე ვარ წესი მსხვერპლშენიერისა, მე ვარ მსხვერპლი,  
მე ვარ ზედაშე წინაპართათვის შეწირული, მე ვარ ფესვი  
და მანტრა, წმიდა ზეთი და ცეცხლი, მე ვარ ამაღლება.  
მე ვარ მამა, შემოქმედი და წინამობედი ამ ქვეყნისა,  
ცოდნათა საგანი,  
განწმენდელი, სიტყვა აუმ-ი, რიგვედა, სამავედა  
და აგრეთვე იაჯურვედა.**

**მე ვარ გზა, მეუღლე, უფალი და მეგობარი, სადგური და  
სამყოფელი,  
ალორძინება და განქარება, საუნჯე და წარუდინებელი  
დვრიტა.**

**მე ვარ დამყოვნებელი და წარმომგზავნელი წვიმათა...  
მე ვარ უკვდავება და სიკვდილი, ყოფნა და არყოფნა, ო,  
არჯუნა!**

„ასპირიან და ათასახოვან“ საოცრებას, „იოგას დიდ უფალს“, მის აღურიცხველ გამოვლინებებს მიახლოებითად ასე გვიხატავს ბრძენი მეეტლე სანჯაია:

**ათასი მზის ელვარებით რომ ანთებულებო ზეცა,  
მაჰატმას დიდების ნათელს ეგებ შემსგავსებოდა.**

„ბჰაგავატგიტას“ სწორედ ეს ეპითეტი გამოიყენა იუნგმა თავისი წიგნის სათაურად („ათას მზეზე ელვარე“), ატომური ბომბის შემქმნელზე, გენიალურ ფიზიკოსზე, სანსკრიტისა და

ძველი ინდური პოეზიის მცოდნეზე, რობერტ ოპენჰეიმერზე რომ დაწერა.

შემთხვევითი არ ყოფილა, რომ კრიშნამ თავისი ყველასაგან დაფარული ბუნება არჯუნასთანა კეთილშობილ, ზნესრულ ადამიანს გაუშხილა და მასაც უნდა გაემართლებინა უმაღლესი ღვთაების ასეთი უნაპირო ნდობა. ამას კრიშნა პირდაპირ და არაერთგზის ეუბნება თავის რჩეულს:

**ჩემი იოგას და ჩემი წყალობის მეოხებით, შენ იხილე  
უზუშთაესი ჩემი სახება,  
დიდებამოსილი, ყოვლისდამტვეველი, დასაბამიერი.  
არვის უხილავს იგი შენს გარდა.**

...  
**შენ იხილე ჩემი ძვირადხილული სახე, ო, არჯუნა!  
თავად ღმერთებისთვის კი სანატრელია ჩემი ამ სახით  
გამოცხადება.**

ნათელხილვის დამაბრმავებელი შუქითაა გაბრწყინებული ის სიტყვები, „ბჰაგავატგიტას“ ერთ-ერთ ბოლო თავში რომ გაისმის და ყველაფრიდან ჩანს — ეს დაპირება ცრუ ქაღილი როდია:

**მე წარგიძღვები დაუსაბამო სულისაკენ,  
რომლის მეოხებითაც გამოჩნდა სამყარო.**

„ბჰაგავატგიტას“ მაგიურ სტრიქონებში მღელვარე სიბრძნის ოკეანე დაუშრეტელია, ვერავინ დათვლის მის ნიაღვრს გაბნეულ მარგალიტებს, მაგრამ ის, რომ კრიშნამ სამუდამოდ გაფანტა არჯუნას უმეცრება და გზა გადაუკეტა ყოველგვარ ცდუნებას, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს.

„კრიშნასა და არჯუნას ჯადოსნური საუბარი“ სანჯაიას პირით არის გადმოცემული და მაღლიერებით აღსავსე, გონებაგანათებული არჯუნას ბოლო სიტყვები, კრიშნასადმი მიმართული ასე გამოიყურება:

**შემუსვრილია ჩემი ცოუნება,  
შენი წყალობით განვისწავლე მე, მეუფეო.  
გულის სიბნელე განიბნია ჩემგან.  
სიხარულით აღვასრულე ან შენს ნაბრძანებს,  
მტკიცედა ვდგავარ!**

„ბჰაგავატგიტას“ მხატვრულ ღირსებებსა და ფილოსოფიურ სიღრმეებს რომ ჩასწვდე, მთელი სიცოცხლე არ გეყოფა. ამასთანავე, საამისოდ დიდი ცოდნა და გამოცდილებაა საჭირო.

ერთის თქმა კი შეიძლება — ამ პოემის მთავარი გმირი, არჯუნა, თავისი კეთილშობილებით, კაცთმოყვარეობითა და მსოფლგანცდით, ჰუმანურობის ნამდვილი საზომია. იმ უმაღლესი იდეალისათვის, რაც „ბჰაგავატგიტას“ ავტორმა ოცდახუთი საუკუნის წინ ასე ნათლად გამოკვეთა, სისხლის მორევში ყელამდე მდგარ, ტერორისტულ აქტებსა და ომის ხანძრებში გახვეულ მსოფლიოს დღემდე ვერ მიუღწევია.

თამაზ ჩხენკელის, როგორც მთარგმნელის, არეალი ძალზე ფართო იყო. მრავალრიცხოვან სამეცნიერო წერილებზე რომ არაფერი ვთქვათ, მან ბრწყინვალედ თარგმნა პუშკინის „მცირე ტრაგედიები“, აგრეთვე, ბლოკის, პასტერნაკის, ახმატოვას, ცვეტაევის ლექსები, მიცკევიჩის „ყირიმული სონეტები“... მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის უფრო სრულად, ამომწურავად შეფასება მომავლის საქმეა.

ამ პატარა წიგნის ბოლო, მესამე თავში მომიხდება ზოგი რამის თქმა თამაზ ჩხენკელის მიერ შერჩეულ და თარგმნილ მეცნიერულ-პუბლიცისტურ წერილებზე და ესეც, ვფიქრობ გარკვეულ შტრიხს შემატებს ლიტერატურულ პორტრეტს პიროვნებისა, ვინც ყოველგვარ საქმიანობას უმაღლესი პასუხისმგებლობის გრძნობითა და მისთვის ჩვეული კეთილსინდისიერებით ეკიდებოდა.



ნინო ვახანია

# თუნდაც ცა ფეხად ჩამოდიოდეს

(ქუთაისური დღიურიდან)

2014 წლის 29 სექტემბერი იყო, ნიკო ლორთქიფანიძის დაბადების დღე. ცა ფეხად ჩამოდიოდა დილიდანვე. თბილისიდან ქუთაისამდე წვიმას არ გადაუღია. ოდნავ თუ განათებოდა მოქუფრული ცა, იმედიც მაშინვე ჩნდებოდა, რომ სოფელ ჩუხუშამდე ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმთან მისვლამდე, აუცილებლად მზეც გამოანათებდა...

ქუთაისში შემოგვიერთდნენ მწერლები — ელგუჯა თავბერიძე და გიზო თავაძე, რომლებიც დილიდანვე გველოდნენ, ჩუხუშში კი ღია მასწავლებელი დაგვხვდა თავისი კოლეგებითა (შორენა ნერგაძე, ფიქრია მაჩიტაძე, ნატო სვიანაძე, ბელა დურგლიშვილი, მალვინა ჯინჭარაძე, ნესტან მყავანაძე, ქეთევან ჯიბუტი, ნელი სიმონია, ლალი იმედაძე, ფიქრია ჯიმშელიშვილი) და მოსწავლეებით. რა თქმა უნდა, ღია კუხიანიძეზე მოგახსენებთ, ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებზე. იგიც გახლდათ ამ იუბილეს ასე აღნიშვნის ერთ-ერთი ინიციატორი.

სასიამოვნოდ ახმაურებულ-გამოცოცხლებულიყო მუზეუმში. სხვა სკოლების მოსწავლეებსა და უფროსებსაც მოეყარათ აქ თავი. წვიმა გადაგვდოდა თავზე, წვიმდა გადაუღებლად, ცა გარღვეულიყო თითქოს... ჩვენ კი, უამინდობის მიუხედავად, დიდი მწერლის ნაღვანს ვისხენებდით...

საგანგებოდ მოვილილ-გაკრიალეებული, ნამდვილთავადური ეზო, თავისი აღმართ-დაღმართითა და იმერული, გრძელაიენიანი, ხის ოდა-სახლი. ღვართქაფს ოდნავადაც არ შეუშლია ხელი ზემისთვის.

სახლში ყველაფერს ეტყობა მზრუნველი, სიყვარულიანი ხელი. მუზეუმის დირექტორი ოთარ კაციტაძე, ფონდების მთავარი მცველი ნათია ქუთათელაძე, მუზეუმის თანამშრომლები: ბადრი ჯანელიძე, არსენ კუტივაძე, ღია კუხიანიძე ერთობლივად, შეთანხმებულად, საკუთარი მოვალეობის განუზომელი მნიშვნელობის შეგრძნებით საქმიანობენ, თავს ევლებიან თითოეულ ექსპონატს. ჩვენთან კერძო საუბარში პრობლემებზეც საუბრობენ — სამუხაროდ, ალაგ-ალაგ მუზეუმშიც ჩამოდის წვიმა.

განაზოგადა ეს ფაქტი ბატონმა როსტომ ჩხეიძემ და მრავალმხრივ საყურადღებო გამოსვლაში ისიც თქვა, ეს წვიმა დღეს მთელ საქართველოს დასდის თავზეო.

მანამდე კი, სახლ-მუზეუმის დათვალიერებისა და ექსკურსიამდლოლის საინტერესო საუბრის დამთავრებისთანავე, ნიკო ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ შექმნილი მშვენიერი კომპოზიცია ლამაზად წარმოადგინეს X<sup>ბ</sup> მოსწავლეებმა: საბა კალმახელიძემ, გიორგი კვცხელიაძემ, ნიკა აბულაძემ, ნიკა შალიკიანიმა, ომარ გაბუნიაძემ, საბა ვაშაყმაძემ, გიორგი კეკელაძემ, გიორგი ბლისიევიძემ, მიხეილ გაბიძაშვილმა და რეზო წირღვავამ.

„საშობაო მინიატურების“ (X<sup>ბ</sup> კლასის მოსწავლეები: მარია მამჩარაშვილი და ბექა მარგველაშვილი) და „ტრაგედია უგმირთ“ (XII<sup>ბ</sup> კლასის მოსწავლე მედეა სვანიძე) ნაკითხვამ ლიტერატურული თეატრის სახე მიიღო, ხოლო ერთი მათგანი, კერძოდ, „ბებრები“, სპექტაკლად გაითამაშეს X<sup>ბ</sup> კლასის მოსწავლეებმა: მარიამ ნინუამ და გიორგი ხვადაგიანმა.

აღსანიშნავია სკოლის საინფორმაციო მენეჯერის მარიამ გუბელაძის მონაწილეობა და მის მიერ წაკითხული „გული“. პაოლო იაშვილის ლექსი „ნიკო ლორთქიფანიძეს“ მსმენელებს გააცნო თამუნა შავრეშიანიმა.

მუსიკალური გაფორმება კი ეკუთვნოდათ X<sup>ბ</sup> კლასის მოსწავლეებს ირაკლი ფხაკაძესა და ქეთევან ჟორჯოლიანს.

შემდეგ სტუმრები ესაუბრებოდნენ შეკრებილთ. დიდი გულისყურით უსმენდა დიდ-პატარა: ელგუჯა თავბერიძეს, გიზო თავაძეს, ნინო ვახანიას და როსტომ ჩხეიძეს. ყველა გამომსვლელის სიტყვა აგებული გახლდათ ერთ ძირითად ლერძზე, ნიკო ლორთქიფანიძის მიერ ხატოვნად ასე გამოთქმულზე: „იყიდება საქართველო“ და „მოუარეთ საქართველოს“. როგორც როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, ეს ორი ფრაზა კომპოზიციურად კრავს მწერლის ბიოგრაფიასაც და მხატვრულ მემკვიდრეობასაც.

წვიმამ გამოგვაცილა ჩუხუშშიდან... და იმემა, რომ ამ გარემოს მომავალში უფრო ბევრი სტუმარი ეყოლება, უფრო მეტი ადამიანი იგრძნობს აქაურობის დიდ სულიერებას, და ვისაც მუზეუმზე ზრუნვა სამსახურებრივად ევალება, არაფერს დაიმურებს სახლის გადასახურავად.

მეორე დღით, უკვე დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ქუთაისის ტელევიზიაში ისტუმრეს როსტომ ჩხეიძე, რომელსაც ელგუჯა თავბერიძე და მეც ვახლდით. გაგრძელდა საუბარი ნიკო ლორთქიფანიძეზე, მისთვის ხატად ქცეულ საქართველოზე, ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე. „რიონის“ დილის გადაცემის წამყვანმა ჟურნალისტმა ნინო ნებეირიძემ ისიც აუწყა ტელემაყურებელს, რომ იმ დღეს 41-ე საჯარო სკოლაში ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ლექციას წაიკითხავდა როსტომ ჩხეიძე, რომლის რიგით მე-თექვსმეტე ბიოგრაფიული რომანი, „დედების სტუმარი“, ახლახან გამოსცა ქუთაისის საგამომცემლო ცენტრმა.

ორიოდე საათის შემდეგ კი სკოლაში საინტერესო და სასურველი სტუმრის მოლოდინში გადაგვებულ დარბაზში შეხვედრა გახსნა და მას წარუძღვა ღია კუხიანიძე.

მანაც გაიხსენა გუშინდელი დღე და წვიმა მუზეუმში. უდიდეს ქართველთა შორის დაასახელა ვაჟა-ფშაველა, რომელსაც მსოფლიოში ძნელად თუ მოეძებნება ანალოგი.

ვაჟა-ფშაველას ვერ წარმოედგინა, უბედურ ქვეყანაში თვითონ ყოფილიყო ბედნიერი, — მრავალმნიშვნელოვნად თქვა მან და საგულისხმოდ დააყოლა, რომ მისი ცხოვრება სულიერი ტრაგედიაა შემოქმედისა და არა — ყოფითი.

შემდეგ მსმენელთ წარუდგინა ლექტორი, ჩამოთვალა მისი ბიოგრაფიული რომანები და აღნიშნა აქამდისაც მრავალთაგან მრავალგზის შენიშნული — სულ გაოცებას იწვევს, ამდენ საქმეს ასწრებს ბატონი როსტომი და ყოველთვის დაუზარებლად მიდის იმათთან შესახვედრად, ვისაც სწამს, რომ საქართველოს ბედნიერი მომავალი ექნებაო. შემდეგ ქალბატონმა ღიამ სიტყვა მომხსენებელს გადასცა. აქვე გთავაზობთ ბატონი როსტომ ჩხეიძის ლექციის ძალზე შემოკლებულ ჩანაწერს:

\*\*\*

ვაჟა-ფშაველა არის ერთ-ერთი უდიდესი სახელი ჩვენი კულტურის ისტორიაში. სიყმაწვილიდან ვკითხულობთ, ზეპირად ვიცით, მაგრამ თურმე ბევრი რამ არ გვცოდნია. ამ წიგნში არის ის ვაჟა, რომელიც ჩემთვის აღმოჩენაა. მრავალი ახალი ნაკადი, ახალი შრე ჩნდება და ასე იკვეთება მწერლის მონუმენტური სახეება.

80-იანი წლების დასაწყისში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიიღო წერილი დიდთოვითიდან: სოფელი უკმაყოფილოა მასწავლებლით. მან დაიფრინა რუსი ოფიცრები, რომლებმაც აუგად მოიხსენიეს ქართული ენა და საქართველო. იაკობ მანსვეტაშვილი გაავზავნეს საქმეში

გასარკვევად. მან იქ გაიცნო ლუკა რაზიკაშვილი. ძალიან მოეწონა იგი. ურჩია, იქნებ თბილისში წამოხვიდო. ლუკა იმ ღამით წააკითხებს სტუმარს თავის ნაწერებს: „შელის ნუკრის ნაამბობს“, „მოხუცის ნათქვამს“... ილიას თუ წააკითხეო, — მან სვეტაშვილმა. არა, მერიდებო. იაკობ მანსვეტაშვილმა თავად წაულო ილიას ვაჟს ნაწერები. ის აღფრთოვანდა, მერე გრიგოლ ყიფშიძეს წააკითხა ხმაშია... და მაშინ თქვა, ახლა მე და აკაკიმ კალამი ძირს უნდა დავდოთ და გზა ვაჟას დავუთმოთო. ნიშანდობლივია — უოლტერ სკოტმა ლექსების წერა შეწყვიტა, როცა ლორდ ბაირონი გამოჩნდა სალიტერატურო ასპარეზზე.

ილიამ ვაჟა პირადადაც გაიცნო, შესთავაზა თანამშრომლობა „ივერიაში“. ვაჟა შეთვისებული იყო ბუნებასთან, მინდისავეთ ესმოდა ბუნების ენა და ეს მეტაფორა არ არის, ამიტომ მას თბილისში ყოფნა არ შეეძლო.

**გიგა ყიფშიძე** და მისი ძმა **ალექსანდრე (ფრონელის) ფსევდონიმით (ცნობილი) სთხოვენ** ილიას, ვაჟას სტიპენდია დაფინანსონ და გერმანიაში გავუშვით სასწავლებლადო, მაგრამ ილია უარს ეუბნება და უშეცდომოდ დიაგნოზს სვამს: ამ შემთხვევაში მივიღებთ ერთ საშუალო ფილოსოფოსს და დავკარგავთ დიდ პოეტსო.

ვაჟამ ქართული და ევროპული ლიტერატურა იცოდა ძალიან კარგად. **გრიგოლ რობაქიძე** გერმანიიდან რომ ჩამოდის, თავმომწონედ ლაპარაკობს **ჰეგელზე** და ვაჟა რაღაცას შეუსწორებს...

ვაჟა ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში იხსენებს, რომ გული უგრძობდა საკუთარ გამორჩეულობას. ყველაფერში პირველი უნდა ყოფილიყო. მაშინ მოდამი იყო კრივი და ვაჟა ამაშიც საუკეთესო გახლდათ, ისევე, როგორც ჭიდაობაში. გორში ორივე უბანი (სადაც ცხოვრობდა და სადაც სწავლობდა) ეხვეწებოდა, კრივის დროს ჩვენთან იყავით. სხვათა შორის, ვაჟა ნანილიანი დაბადებულა. ეს ყოველთვის და ყველაფერში ამაგრებდა. ესე იგი რაღაც დავალებით, რაღაც მისიით იყო ამქვეყნად მოსული. ვაჟას იმ ლოდის აწვევაც უცდია, გადმოცემით, მთაზე გოგოთურს რომ ამოეტანა და რომელსაც ვერავინ ვერ სწევდა. თუმცა ვერც ვაჟამ ასწია, მაგრამ სამაგიეროდ ისეთი ლოდი ასწია, სხვებს რომ არც დასიზმრებიათ.

მამამისმა, **პავლემ**, სოფლის მღვდელმა, განათლებულმა ადამიანმა, მეშუარები დაგვიტოვა. **გიორგი შატერაშვილი** აღნიშნავს, დღიურების წერა რომ აუცილებელია, იცოდნენ მარტო დიდგვაროვნებამო. აქ კი, რაც არ გაუკეთებიათ ილიას, აკაკის, **გრიგოლ ორბელიანის**, სხვა დიდგვაროვნათა მამებს, ის გააკეთა დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელმაო.

ვაჟა ცოტა ხანს პეტერბურგში სწავლობდა, მერე — სოფელ ოთარშენში მიიწვიეს კერძო მასწავლებლად, სადაც შეუყვარდა მომავალი მეუღლე, **კეკე ამილახვარი**.

საბოლოოდ, ფშავში, საკუთარ სოფელში დამკვიდრდა, ორ-ორი კვირით ორჯერ ჩამოდიოდა თბილისში, მისი პოპულარობა სულ უფრო იზრდებოდა. ერთხელ „დროების“ რედაქციაში ავანტიურისტი **აშინოვი** მისულა. მისგან გმირი შექმნეს რუსებმა, **სერგეი მესხმა** კი, „დროების“ რედაქტორმა, დაწერა, თაღლითიაო. აშინოვმა ბოდიშის მოხდა და დაწერილის უარყოფა მოსთხოვა რედაქტორს, იმან უარი უთხრა, მაშინ აშინოვმა ხანჯალზე გაიკრა ხელი. ეს კი ვეღარ მოითმინა თურმე იქვე მყოფმა ვაჟამ. ჩაავლო ხელი ქეროში ამ ცრუგმირს და რედაქციის კიბეზე დააგორა. ის მერე საერთოდ გადაიკარგა თბილისიდან, მეტი აღარსად გამოჩენილა, თუმცა **აკაკი წერეთელი**, რომელიც იმ ინციდენტს შეესწრო რედაქციაში და რომელმაც ეს ამბავი შემოგვინახა, წერს, მე შიშით



ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის აივანზე

ხანდახან ქუჩაში ვჩერდებოდი და უკან ვიყურებოდი, აშინოვი ხომ არ მომდევსო.

მიუხედავად პოპულარობისა, მაინც საკამათო გახდა ვაჟას ენობრივი სტილი. თვითონ ამბობდა, ნამდვილი, შეურყვნიელი ენა მთაშია შემორჩენილი, ამ ენით ლაპარაკობდნენ **შოთა, თამარი...** მე ენას კი არ ვამახინჯებ, ვწმენდო. ილიას დიდ ავტორიტეტს იმველიებდა: ილიას ხომ მოსწონსო. საერთოდ, თანამედროვეზე აზრის გამოთქმა ძალიან ძნელია, მაგრამ იაკობ გოგებაშვილმა გაბედა და მთავარ მგოსნებად დაასახლა: რაფიელ ერისთავი, ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა. სილოვან ხუნდაძემ, რომელსაც თავი უპირველესი პოეტი ეგონა, იაკობს ამის გამო საპროტესტო წერილი მისწერა. დანარჩენები კიდევ შო, მაგრამ ვაჟა კოჭებამდე ვერ შემომწვდებო.

ვაჟა ამოზრდილია აკაკის სამყაროდან და თან იმდენად ორიგინალურია, რომ აკაკი ამას ვეღარც ხედავდა.

**XX** საუკუნის დამდეგს ვაჟამ გადაწყვიტა, რომ რევოლუციური განწყობა გამოეყენებინა ეროვნული აჯანყებისათვის. ეს ამბავი აქამდე თითქმის სრულიად უცნობი იყო ჩვენთვის. **ქაქუცა ჩოლოყაშვილი** მერე, ფაქტობრივად, მიჰყვება ვაჟას სამოქმედო გეგმას. ვაჟა დადის მთაში, ნახულობს სანდო ადამიანებს. ისინი ბრძოლისთვის ემზადებიან, სროლაში ვარჯიშობენ, მაგრამ მალულად. გარეგნულად მშვიდად, ჩვეულებრივი გლეხებით ცხოვრობენ. მაინც აიღო მთავრობამ რაღაც ეჭვი. ჯამუშები ხშირად მიდიან ვაჟასთან, რამე სამხილის პოვნა უნდათ, ატყუებენ, მკვლევარ-ეთნოგრაფები ვართო, მაგრამ ვაჟას რას მოატყუებენ. ის მოუწონებს, კარგია, საქართველოს ეთნოგრაფიით რომ დაინტერესდით, რაღაც ძალიან კი მომრავლდით ამ ბოლო დროს ეს ეთნოგრაფებიო. თან სთხოვს მაინცდამაინც სახლში მიწას ნუ მითხრით, არც იარაღი და არც საიდუმლო ნაწერები მანდ არ მაქვს შენახულიო.

**სანდრო მანშიაშვილისთვის** დაუვალებია, კახეთში ათი სანდო კაცი შეიგულებო. იმას ვაკვირვებია, ასე ათ-ათობით განა სულ რამდენი უნდა მოვგროვდეთო. ვაჟას იმედი გამოუთქვამს, ასე, ორი ათასი შეგროვდებო, და სანდროს რომ ეცოტავა, დაბეჯითებით უთქვამს, 2000 ერთგული ქართველი ცოტა არ არისო. ვაჟას უდიდესი სახელი და პოპულარობა ჰქონდა ხალხში. **ჯონათან სვიფტს**, **„გულივერის მოგზაურობის“** ავტორს ჰქონდა თავის ქვეყანაში ასეთი დიდი ავტორიტეტი. ხელისუფლება რომ დაემუქრა, იმან, ერთი თითი რომ დავიქნო, მთელი ქვეყანა თქვენს წინააღმდეგ აღდგებო, და მართლაც შეაშინა აპით. ასე იყო ვაჟაც.

ილია წინააღმდეგი იყო რევოლუციისა. მოხდა 1905 წლის რევოლუცია, დამარცხდა, სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს ილია. ამან ვაჟა გამოაფხიზლა. აკაკი, **იაკობ გოგებაშვილი...** მიესალმნენ რევოლუციას, ვაჟას ეროვნული ინტერესებისთვის გამოყენება უნდოდა, მაგრამ ილიას სიკვდილმა მიახვედრა, რომ რევოლუცია და ეროვნული მოძრაობა უნდა გაემიჯნოს ერთმანეთს, ბოროტება და სიკეთე ერთად ვერ იქნება. ამას მარტო ვაჟა მიხვდა, ქვეყანა — ვერა.

მას მერე, რაც აკაკიმ მწარე-მწარე სიტყვები დაუნერა, ვაჟას განსაკუთრებით უნდოდა ქუთაისში ჩამოსვლა. თავი გამოიდო **დავით კლდიაშვილმა**, ქუთაისელებმა მოწვევა გაუგზავნეს და ახალი ჩოხაც ჩაუტანეს. მაშინ დაწერა: აქამდე ჩემო მძრახხო, ლიხსიქითურო დედაო... ილიას ხსოვნის საღამოზე ფურორი მოახდინა ვაჟამ. 5-6 კაცის ნაცვლად, რამდენსაც თვითონ ელოდა, დარბაზი გადაჭედო და დახვდა, გარეთაც ლამის მთელი ქუთაისი შეკრებილიყო. **სანდრო ახმეტელმა** სანდრო შანშიაშვილს უთხრა, გამოვცეთ ახალი გაზეთი, დახატე ბუმბერაზი ვაჟა კაცუნების გარემოცვაში წარწერით: ძლივს არ შენიშნეს!

**„გველისმჭამელში“** ვაჟამ მიწიას სახით საკუთარი თავი დახატა. ვაჟა უთუოდ თვითონ იდგა თვითმკვლელობის ზღვარზე და ეს ჟინი, ეს სწრაფვა მიაწერა პერსონაჟს, თვითონ კი გათავისუფლდა. როგორც **გოეთემ** ვერტერს მოაკვლევინა თავი და თვითონ გათავისუფლდა ამ სურვილისგან. სხვათა შორის, **ნაპოლეონს** მოსწონდა თურმე ძალიან **„ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“**, როცა გოეთეს შეხვდა, რამდენიმე შენიშვნა გამოუთქვამს. გოეთე აღნიშნავს, რა ნიგინიერი კაცი ყოფილაო.

**კარლო ჩხეიძემ** რომ თავი მოიკლა, **მიხეილ ჯავახიშვილმა** თქვა, მან გაბედა ის, რაც ჩვენ ვერ გაბედეთო. თვითონ ჯავახიშვილი აპირებდა თვითმკვლელობას და ეს ცდა მიაწერა თეიმურაზ ხევისთავს...

ვაჟას ხუთი პოემის გამო უწოდებენ ჰომეროსს და სამართლიანადაც. ლაზარეთში მყოფმა მომაკვდავმა ვაჟამ წყაროს წყალი ითხოვა. **შოი მღვიმელმა** და ძმამ, **სანდრომ**, მოუტანეს.

ტრაგიკული აღმოჩნდა უფროსი ვაჟის, **ლევანის**, ბედინერა. ლევანმა გააპარა ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომლის თანაკლასელი და მეგობარიც იყო. ქაქუცას განსაკუთრებით უყვარდა ვაჟა, ტიროდა ვაჟას ლექსების მოსმენისას. ლევანი ამის გამო დახვრიტეს, ვერ უშველა **ჰაველე ინგოროყვას**, **ალექსანდრე აბაშელისა** და **შალვა დადიანის** თავგამოდებაში. **სერგო ორჯონიკიძემ** უთხრა, შვილს კი არა, თვითონ ვაჟაც რომ ცოცხალი იყოს, იმასაც დავხვრეტდიო.

აქვე უნდა გავიხსენოთ **თედო რაზიკაშვილიც**. მწერლობასთან ერთად მუშრენე კაცი იყო, ხელთუბანში ცხოვრობდა. შეაგროვა ხალხური შემოქმედების ნიმუშები — ლექსები, მოთხრობები. თედო ვეკრდით დაუდგა მეზობელ გლეხს, რომლის დაჩაგრავაც მოინდომეს დამპატიყვებმა. 1923 წელს შინ შეუვარდნენ ყაჩაღები და აჩხეს. არადა, წერდნენ, გარდაიცვალაო.

50-იანი წლების დასაწყისში **სტალინი** დაავალეს **კანდიდ ჩარკვიანს** ვაჟას სახელის დამცირებას. დიდი პოეტი არ არისო. იმანაც გაიმეორა, მედროვეები აჰყვენენ... ერთადერთი ადამიანი დაუპირისპირდა — **სიმონ ჩიქოვანი** და, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებისგან დაფასებული კაცი იყო, მაინც მოხსნეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან. მერე სტალინი გარდაიცვალა და... გადარჩა ვაჟა სახელმძღვანელოებიდან ამოღებას.

დიდი სახელმწიფოს, საფრანგეთის შვილი, სახელმწიფო-ქილი მსახიობი, **ალენ დელონი** წერს, დეპრესიისგან ვაჟა-ფშაველას პოემამ, **„გოგოთურ და აფშინამ“** მიხსნაო. მითუმეტეს გვჭირდება ვაჟას ხშირად ხსენება და კარგად ცოდნა ჩვენ, ვინაიდან იქ არის დიდი, მრავალფეროვანი, ჯადოსნური, გულისშემძვრელი სამყარო.

\* \* \*

ლექცია დამთავრდა. დარბაზში სიჩუმე ცოტა ხანს არ დარღვეულა. ძნელია უცებ გამოსვლა შთაბეჭდილებებიდან და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა. მითუმეტეს, ძნელია, რამის თქმა, თუნდაც მადლობის გადახდა. პირველად დუმილი სკოლის დირექტორმა, პროფესორმა მათემატიკოსმა, ამავე დროს შესანიშნავი ლექსების ავტორმა, **გენადი მარგველაშვილმა** დაარღვია. მან მადლობა გადაუხადა სტუმარს ლამაზი ლექციისთვის, რამდენჯერმე ცრემლებიც მომეძალაო, გულწრფელად აღიარა და ასეთი საინტერესო რამ გვიამბო: დაპირისპირება მუსულმანურ სამყაროსთან თანამედროვე პრობლემაა, რომელიც ვაჟამ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გადამწყვიტა. მე ვიცნობდი ყაზახ კაცს, პროფესორ **გოლოვანოვს**, რომელმაც **„ალუდა ქეთელაური“** იცოდა ზეპირად, ცხადია, რუსული თარგმანი. როცა ერთ-ერთი სკოლის დირექტორი, **ალუდა გოგლიჩიძე** გაიცნო, თქვა, პირველად ვხედავ ცოცხალ ალუდასო, და ვაჟას პოემა ზეპირად წაიკითხა. აი, რა ძალა აქვს ნამდვილ მწერლობას.

შემდეგ **ელგუჯა თავბერიძემ** აღნიშნა, რომ ბატონმა როსტომმა შთაბეჭდავად წარმოგვიდგინა ვაჟა-ფშაველას ცხოვრების გზა და ურჩია მოსწავლეებს, წაიკითხონ ეს ბიოგრაფიული რომანი. დაეთანხმა, მკვლევარს, რომ ვაჟა სწორედ აკაკის სტილურ-ენობრივი ძიებებიდანაა ამოზრდილი. საუბარი ამ შეგონებით დაასრულა: ყოველი დღე იქნება ახალი, როცა ვაჟას თვალუნვდენელ სამყაროში შეხვალთ.

**გიზო თავაძემ** გაიხსენა, როგორი კარგი მოკრივე იყო ვაჟა და განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება მის სამართლიანობაზე. ტყუილად არავის არ სცემდაო. დანაშაულები თქვა, რომ მსოფლიომ ჯერ კიდევ არ იცის ვაჟა, თორემ როცა გაიცნობს, არავისზე დაბლა არ აღმოჩნდებაო.

მადლობა სტუმარს მე-11 კლასის მოსწავლემ, **მედია სვანიძემაც** გადაუხადა: ყოველთვის ვივსები ხოლმე ამ ლექციებით. თუმცა ადრე ცოტა მიჭირდა ბოლომდე გაყოლა, დღეს კი საესებით დამუხტული და ბედნიერი ვარ.

როგორც შევატყვევთ, ბატონ როსტომს ცოტა გული დანყდა, ადრინდელი ლექციების გამო, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, ეს მატყუარა შთაბეჭდილებაა, რომელსაც თავი ვერ დააღწია მოსწავლე გოგონამაც — ყოველი ბოლო წიგნი თუ ლექცია ყველა ადრინდელზე უკეთესი და სრულყოფილი გგონია. კარგია, რომ ასე ფიქრობენ ახალგაზრდები და, სულო ცოდვილო, ხანდახან ასაკიანებიც.


მომავალ შეხვედრაზე იქვე შეთანხმდნენ სტუმარ-მასპინძლები და წინასწარ ვიცით, ის შეხვედრა იქნება უფრო შთაბეჭდავი, უფრო ამაღლებული, უფრო საინტერესო, უფრო მიმზიდველი.



კონსტანტინე გამსახურდია

# მთვარის შუქის პირემონი

გამოვიდა პუბლიცისტის, მწერლის, კრიტიკოსის როსტომ ჩხეიძის ახალი ბიოგრაფიული რომანი „დევეების სტუმარი“ (როსტომი 16 ბიოგრაფიული რომანის ავტორია). ნიგნში თემატიზებულია ცხოვრება და შემოქმედება ვაჟა-ფშაველასი, რომლის სახეშიც ქართული სიტყვის გენიის გარდა ზოგადად სინდისია აკუმულირებული. სინდისი, ცხადი, ზოგად-კაცობრიული და ზეეროვნული კატეგორიაა, მაგრამ როგორც სხივი სპექტრში, ისევე შეიძლება სინდისი გადატყდეს ამა თუ იმ ერის პრიზმაში. ამგვარად გარდატეხილი ვაჟასთან, იგი თავისი სისრულით ვლინდება ქართულ მოდგმაში. ნიგნი კარგი გაგრძელებაა პროფესორ გრიგოლ კიკნაძის, გიგი ხორნაულის და ზაურ ნაქაძის მიერ დაწყებული მსოფლმხედველობრივი და მხატვრულ-დოკუმენტური ბიოგრაფიული კვლევებისა.



ნიგნის 685 გვერდზე აღდგენილია ვაჟას, როგორც პოეტისა და ადამიანის პორტრეტი მე-19 საუკუნის სოციალ-კულტურული ვითარების ფონზე. ბიოგრაფიული მომენტები, ადამიანური ურთიერთობები გადადიან შემოქმედებაში, მისი თითქოსდა არქეტიპული გმირების დახასიათებებში, მათ საქმეებში, განცდებში და დისკურსში.

რუსთაველის გმირები: თითქოს ქართული იმპერიის დიდი შუადღის პირემონი, ხმლით ხელში რომ იბრძვიან საქვეყნო ბედნიერებისთვის და მას აღწევენ.

ვაჟას გმირები: თითქოსდა შუალამისას მთვარის შუქზე ამოსულნი დიდი ეროვნული ქვეცნობიერიდან; როგორც ანტიკური ტრაგედიების გმირნი, ოღონდ გარდასახულნი ახლებურად ამ ეპოქაში. და რა განვლიან კათარზისი ბჭეს, შესაძლოა ერთხელ მოუხდეთ „მობრუნვა თავისა“.

როსტომ ჩხეიძე მარჯვედ ასრულებს თავის ნიგნს ამ სიტყვებით.

ნიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ასევე ვაჟას რეცეფციას ქართულ სინამდვილეში, დაწყებული ლიტერატურულ-შემოქმედებითი პროცესიდან, დასრულებული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებამდე. ნიგნი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მის უპირობო ლიდერს და შემდგომში პრეზიდენტსაც შეეხება — ყველას გაახსენდება ზვიად გამსახურდიას მიერ ციტირებული ვაჟა: „რაც უნდა ჭირი მამკერძოთ, ბილწთ არ შავეკვრი ზავითა. რწმენას ვერ შემატევენივებთ მოძალებულის ავითა.“

სწორედ ვაჟასეული მუხტის ამ ჩართვაზე პოლიტიკურ თემატიკაში პრეზიდენტის მიერ წერს ოთარ ჩხეიძე თავის „არტისტულ გადატრიალებაში“: „ვაჟას მოიშველიებდა... ვაჟათი დაამთავრებდა. გამოაცოცხლებდა სახეებსა ახალახალსა, მივინყებულთა. იტყოდ: ვაჟასთან გაუთენებიაო“.

მასხენდება ის დიადი დღეები. ვაჟას ლექსი, ციტირებული ზვიად გამსახურდიას მიერ, იყო თითქოსდა მანტრა ძალთა მობილიზებისთვის იმ გადამწყვეტი ბრძოლის წინ, რომელსაც ერქვა და დღესაც ჰქვია ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის და მისი სახელმწიფოებრიობისთვის.

თუმცა ნიგნში შეიძლება მოხსენიება ვახტანგ რაზი-კაშვილისადმი მიძღვნილი ლექსისა ზვიად გამსახურდიას პო-

ეტური კრებულიდან „მთვარის ნიშნობა“, რომელსაც ავტორი ასეთი ტკივილიანი სტრიქონებით ასრულებს: „მამულის გლოვა და ტირილი ხარ, თავად ვაჟა ხარ გაქვევებული.“

ნიგნის სათაური „დევეების სტუმარი“ მიანიშნებს ვაჟასეული ბუნების აღქმაზე, რომელიც კაცობრიობის ძველი ჭვრეტითი უნარებიდან მომდინარეობს. ვაჟა მოჰიკანია ამ ჭვრეტისა. არქაული ადამიანისთვის სამყარო და ბუნება სავსე იყო სხვადასხვა სულებითა და არსებებით. კოპერნიკისეულმა რევოლუციამ მეცნიერებაში ეს სურათი რადიკალურად შეცვალა: პლანეტები და ვარსკვლავები ცაში გრავიტაციის ძალით მოძრაობენ სხვადასხვა ქიმიური ელემენტებისგან შენითული ბურთებია, ბუნება კი სხვადასხვა ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების შედეგი, მეტი არაფერი.

„დევეების ქორწილი“ ბუნების აბოთეოზია თავისი დიდებულებით და გრანდიოზულობით, იგი მყინვარწვერის სიდიადეა, ზვავის გრიალია, არაგვის ჩქეფაა, ჯიხვის ნახტომია, ნამქერია და გრივალი. მაგრამ ადამიანის ადგილი არ არის მასში, თუ თავად ადამიანი არ დაამკვიდრა საკუთარი თავი მის საუფლოში. ბუნება თავის დემონურ გამოვლინებაში უარყოფს ადამიანს და ამიტომაც დის კაცის თავფეხი დევთა სუფრაზე. ვაჟას ანტროპოცენტრიზმი იმაში მდგომარეობს, რომ მისთვის ბუნება უადამიანოდ მაინც ჯოჯოხეთისეულ ელფერს იღებს, ამიტომაც მან ადამიანის თვითმყოფადი ინდივიდუალობა დასვა ბუნების ტახტზე, როგორც გვირგვინი შესაქმისა და ამით

ღვთაებრივი შემოქმედის ნება აღასრულა. უსმელ-უჭმელი გაძღობა კი ბუნების მშვენიერებით ტკობასთან ერთად ნიშნავს არა ბუნების განადგურებას — რაც ადამიანს ნამდვილად ხელეწიფების, არამედ ბრძოლას ბუნების განსულიერებისთვის, ძალისხმევას საყოველთაო ხსნის პროცესში ყოველი არსის გადარჩენისთვის. აქ მისი კონცეფცია საკმაოდ ენათესავება შელინგისა და ვლადიმერ სოლოვიოვის ქრისტიანულ მოძღვრებას.

ადრე ვწერდი, რომ ვაჟა-ფშაველას ლექსი „ვედრება“ ჭეშმარიტი ადამიანობის კრედაა. მისთვის შეიძლება გვენოდებინა ecce homo-ც — „აი ადამიანი“. თავის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ განზომილებაში იგი შეეხება შესაქმის გვირგვინს, ღვთის ხატად შექმნილ ინდივიდუალობას, ჭეშმარიტების მეცნიეს და იმავე ჭეშმარიტებისაგან განთავისუფლებულს, ამგვარად სუვერენულად-ქმნილ თავის აზრში, სიტყვასა და ქმედებაში. ძნელია წარმოიდგინო უფრო დიადი ჰიმნი-ლოცვა:

**გულს დარდი გამიდიადე  
იმ სანეტარო საგანზე,  
დანერე ფიქრი, ღრმა, მწვავე  
ჩემის გონების საბანზე!..  
გონებას ფიქრი სტანჯავდეს,  
გულს ცეცხლი სწავდეს ძლიერი,  
მშობლ-მწყუროდეს კეთილი,  
ვერ გავძლე, მოვკვდე მშვიერი...  
ნუ დამასვენებ ნურა დროს,  
მამყოფე შეძრწუნებული,  
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,  
როცა ვარ შენუხებული.  
როცა გულს ცეცხლი მედება,  
გონება მსჯელობს საღადა, —  
მაშინ ვარ თავისუფალი,  
თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა.**

მოკლედ: „დევეების სტუმარი“ როსტომ ჩხეიძისა არის უკანასკნელი სანებში გამოცემული ის ნიგნი, რომლის წაკითხვაც ნამდვილად ღირს. იგი კარგი შენაძენია ქართველი მკითხველისთვის.

ნათელა არველაძე

# ის უსიტყვოდაც მჭევრმეტყველებდა

წინასწარ

ახმეტელების გვარი მრავალრიცხოვნობით არ ხასიათდებოდა. მათ უფრო ხარისხი გამოარჩევთ, ამ გვარის წარმომადგენლებს, გარდა ნიჭიერებისა, მსოფლმხედველობის ფართო თვალსაზრისი, პატრიოტიზმი და წესიერება ამშვენებდათ, ეტყობა, უშუალო წინაპართაგან გადმოცემული. გვარის ეს კოდი XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე განსაკუთრებით ამოქმედდა, როგორც განმსაზღვრელი ნიშანი, და ბევრად განაპირობა გასული ასწლეულის საზოგადოებრივი ყოფის თავისებურება. ამ პერიოდის კეთილსინდისიერი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ახმეტელების მოღვაწეობის მნიშვნელობას პოლიტიკურ თუ ხელოვნების, მედიცინისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე. მათ მიერ გავლებული ხწული მეტად საგულისხმოა, ამიტომაც დროის მსვლელობა კი არ აფერმკრთავს მათ როლს, არამედ საგანგებოდ წარმოაჩენს მათი მოღვაწეობის მნიშვნელობას, ღირებულებას, მასშტაბს.

ისინი იმდენად გამორჩეული ფიგურები იყვნენ, რომ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით მიუღებელი აღმოჩნდნენ ბოლშევიკ-კომუნისტებისათვის. ამიტომაც არაერთი მათგანი რეპრესიის მსხვერპლი აღმოჩნდა. გადარჩენილები თავიანთ სამოღვაწეო სარბიელზე მეტად მნიშვნელოვანი პროფესიონალები იყვნენ. მათი საქმიანობის უგულვებელყოფა შეუძლებელი გახლდათ. საპყრობილე, გადასახლება, დახვეწა უფროსი თაობის თანამდევნი ბედისწერა აღმოჩნდა, რადგანაც მამაცებმა და პატრიოტებმა სამშობლოს თავისუფლების იდეას შესწირეს სიცოცხლე. მათ არ იკადრეს პოლიტიკური მრუშობა. ისინი მანამდე გაემიჯნენ ბოლშევიკ-კომუნისტებს, ვიდრე მათ ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება და რუსეთში დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა, რამაც უკუღმა დაატრიალა რუსეთის იმპერიის ყოფილი პროვინციების ცხოვრების ჩარხიც.

ახმეტელთა გვარის ორი ოჯახი, გიორგი და ვასილ ახმეტელებისა, მეტად გულითადი, სათუთი, მეგობრული ურთიერთობით იყვნენ დაკავშირებულნი. მათ შთამომავლებსაც განსაკუთრებულად მგრძნობიარე, მეტად გულმხურვალე ნათესაური გზებით აღსაესე დამოკიდებულება ჰქონდათ. გარეგნულად თავშეკავებული, ვაჟკაცური, შინაგანად ღრმა, ემოციური გამთბარი და სიყვარულით ნაჭყედი მზრუნველობა მოსდგამდა მათ ნათესაურ კავშირს. თუ მათ დახასიათებას რამდენიმე სიტყვით შევეცდებით, უწინარესად აღსანიშნავია: კეთილშობილება, ქედუხრელობა, ღირსება (პიროვნულ, ეროვნულ, პროფესიულ ღირსებას ვგულისხმობ). მათ არავითარი ხელოვნური განდიდება, მედლები და ორდენები არ ესაჭიროებოდათ. გენეტიკური კოდით, უმნიშვნლო საქმიანობით, თუნდაც თვითგანხილვით ისედაც გამოარჩეულნი იყვნენ (გულმცა არც ჯილდოები აკლდათ, ოღონდ თავად არ ურბენიათ სხვადასხვა ინსტანციებში! დამსახურებულად ფლობდნენ სახელმწიფოებრივი წარჩინების ნიშანს). უბატონო ქიზიყის მკვიდრთა შთამომავლებს, ძლიერი ხასიათი და მტკიცე ნებისყოფა ბუნებრივად დაჰყვით მემკვიდრეობით.

წინაპართაგან გენეტიკურად გადმოცემული ჰქონდათ პატრიოტიზმი, სახელმწიფოებრივი აზროვნება, წესიერება. თითოეული მათგანი სამშობლოს ერთგულედა და მის დამოუკიდებლობაზე ოცნებობდა ყოველ ცისმარე დღეს, მთელი შეგნებით, უღალატოდ, გააზრებულად.

ქართული ეკლესიის მსახურები, გიორგი და ვასილ ახმეტელები, დიდ ყურადღებას აქცევდნენ შვილების განათლებას. შვილებმაც და შთამომავლებმაც ჩინებული განათლება მიიღეს და პიროვნული კულტურითაც იქცევდნენ ყურადღებას. შვილებმა უცხოეთში მიიღეს განათლება, შვილიშვილებს კი ამის შესაძლებლობა არ მიეცათ პოლიტიკური მიზეზით. ახმეტელებს საქართველოს ისტორიის უმთავრესი მოვლენები გააზრებული ჰქონდათ და განიხილავდნენ მსოფლიო ეპოქალური პროცესების კონტექსტით. ეროვნული მწერლობის თავგანისმცემლები იყვნენ და უცხოეთის ფილოსოფიურ თუ ლიტერატურულ მიმდინარეობებსაც გულსისყურით ეცნობოდნენ, როგორც ინტელექტუალებს სჩვევიათ. ხელოვნების მოყვარულებიც იყვნენ და უმეტესობას შემოვლილი ჰქონდა საქართველოს მთა-ბარი, გულდასმით ეცნობოდნენ ისტორიულ ძეგლებსაც.

გიორგი მღვდლის შვილები პოლიტიკური მოღვაწენი იყვნენ: სტეფანე ახმეტელი — გენერალ-მაიორი და თბილისის გარნიზონის უფროსი. მან ჩააბარა ალღუმზე პატაკი მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას; მეორე ძმა, სვიმონ (სიკო) — დამფუძნებელი კრების წევრი გახლდათ. როცა 1921 წლის თებერვალ-მარტში მე-11 არმიასთან შეტაკების დროს სტეფანე ახმეტელი შეიპყრეს, მისი ძმა სიკო ავადმყოფ ტუსალ გენერალს გაჰყვა რიაზანს. საპყრობილეში გენერალი გარდაიცვალა, ხოლო სიკო დააპატიმრეს, მერე გაათავისუფლეს, მერე ისევ შეიპყრეს და დახვრიტეს. შუათანა ძმა ლადო ახმეტელი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ელჩი გახლდათ გერმანიას მივლინებული. ის ბერლინში ცხოვრობდა და გარდაიცვალა 1943 წელს. მათი უმცროსი ძმა, მათე, კახეთს სახლობდა, ერობის თავმჯდომარე იყო, კომუნისტებმა შინაპატიმრობა მიუსაჯეს. ამ ოჯახის სისხლისმთქერი და სულიერი ნათესავები იყვნენ ვასილ ახმეტელის შვილები:

დათა ახმეტელი — დამოუკიდებელი საქართველოს ვეტერინარული სამმართველოს უფროსი, ექსპერიმენტული ვეტერინარიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელთაგანი, მისი პირველი დირექტორი.

ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი — შუათანა ვაჟიშვილი, საქვეყნოდ ცნობილი რეჟისორი, ეროვნული პოლიტიკური თეატრი-ფორუმის შემქმნელი, ქართული რეჟისორული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რუსთაველის სახელობის თეატრის კიდევ ერთი ფერისცვალების ავტორი იყო. ისიც სახელმწიფო ტერორის მსხვერპლი გახდა. ვერც მათი უმცროსი ძმა, გიორგი ახმეტელი გადაურჩა საპყრობილეს.

ეკატერინე (კატო) ახმეტელი — მათი ერთადერთი და მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა, ბედი დაუკავშირა გრიგოლ მუხაძეს, საქართველოს მეცნიერული ქიურგის ფუძემდებელი. ქალბატონმა კატომ უყოყმანოდ შესწირა პედაგოგის პროფესია საკუთარ ოჯახს. დიდი ჯანაათი, განსაკუთრებით კი სახელოვანი მეუღლის ასეთი საპასუხისმგებლო საქმიანობის ხელისშეწყობა ღირდა ამ თავდადებად.

ილია ახმეტელი — ეროვნული სამედიცინო საზოგადოების, ქიურგთა უფროსი თაობის უნიჭიერესი წარმომადგენელი გახლდათ. მის სახელთანა დაკავშირებული არაერთი ურთულესი ოპერაციის წარმატებული დაგვირგვინება: მუცლის ღრუს ორგანოების, თავისა და ზურგის ტვინის სიმსივნეთა ამოკვეთის ფილიგრანული შესრულება. არაერთი მეტად სახიფათო ოპერაცია მან პირველმა შეასრულა საქართველოში და ამით ფასდაუდებელი ამაგი დასდო ეროვნული ქიურგული სკოლის ჩამოყალიბება-განვითარებას. იგი ხელმძღვანელობდა სხვადასხვა დანესებულებების შესაბამის კათედრებს, იყო პირველი მსოფლიო ომის დროს ცარსკოე სელოში არსებული ჰოსპიტლის მთავარი ქიურგი.

ილია ახმეტელი უაღრესად მონსკრიგებული, კეთილშობილი, მოყვარული და ნათესავებზე მზრუნველი ყოფილა. საბჭოთა რეჟიმის განსაკუთრებით ავიწროებდა მისი ახლო ნათესავისა და მეგობრის, კოტე ახმეტელის (გიორგი მღვდლის უფროსი ვაჟი)

ოჯახს. საერთოდ ბოლშევიკ-კომუნისტები გიორგი მღვდლის შვილებს მიიჩნევდნენ პოლიტიკურ მონინაალმდეგებად და ძმებს სდევნიდნენ. ამის ნიადაგზე კოტე ავადმყოფობდა. მისი სიყრმის შვილი, მიხეილ ახმეტელი 1919 წელს მთავრობის გადაწყვეტილებით სასწავლებლად გერმანიას გააგზავნეს. შემდეგში გახდა სოვეტოლოგიის გერმანული სკოლის ერთ-ერთი მთავარი, აღმოსავლეთ ევროპისა და სსრკ შემსწავლელი ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი, მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი. საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით, ერთხანობას ამგვარი ოჯახის შვილებს ეკრძალებოდათ სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებლებში. კოტე ახმეტელის ქალიშვილებს (ლიზასა და ირინეს) უნივერსიტეტში არ მიიღებდნენ. დები ბატონმა ილიამ ახალდაარსებულ სამედიცინო სასწავლებელში შეიყვანა (მისი ერთ-ერთი დამაარსებელი და ლექტორი თავადაც გახლდათ). სასწავლო პროცესი საღამოხანს მიმდინარეობდა. პირველხანებში ბატონი ილია ლექციების შემდეგ ხელს ჩაკიდებდა გოგონებს და შინსაკენ ერთად გაუყვებოდნენ გზას. ზოგჯერ მისი მეუღლეც, თამარ აფციურიც, მიაკითხავდა დებს და ცოლ-ქმარს შინ ერთად მიყავდათ დები. კოტეს ოჯახში ხშირად იმართებოდა ვახშამი, სადაც ნათესავები კარგა ხანს ბჭობდნენ საქართველოს საჭირობოტო პრობლემებზე. კოტე ახმეტელის ოჯახთან ურთიერთობას მაშინ ბეერი ერიდებოდა. ბატონ ილიას კოლეგებსა და ნათესავებს კარგად ახსოვდათ მათი ყურადღება, მზრუნველობა, დახმარება.


აი, ასეთი პატრიოტი, განათლებული, გულისხმიერი, მაღალი რანგის სპეციალისტებისა და საზოგადო მოღვაწეთა შთამომავალია თენგიზ ილიას ძე ახმეტელი, რომლის თაობაზეც მსურს მკითხველს ვუამბო, რათა აწინდელი ახალგაზრდობა გაეცნოს როგორი წინარები ჰყავდათ, ხოლო კოლეგებსა და ნათესავებს შეეახსენო მისი უმნიშვნელო ცხოვრება, ადამიანური ხიბლი და პროფესიული თვითშეგნება. მას ასე ახასიათებენ კოლეგები, ბატონები ნოდარ ლომიძე და ლევან ძნელაძე: „ბატონი თენგიზი ის ხელბედნიერი დასტაქარი გახლავდა, რომლისთვისაც ოდითგანვე სიკვდილ-სიცოცხლესთან განზრუნველური ჭიდილი დაუნესებია განგებას. ვუყურებთ ან ვეხმარებით ბატონ თენგიზს ოპერაციაზე და ვრწმუნდებით, რომ ქირურგია მართლაც ღვთაებრივი დარგია, ამაღლებული ჭეშმარიტ ხელოვნებამდე, ხოლო ბატონი თენგიზი ამ ხელობის მაღლით მოსილი მკურნალია“.

მათი ავტორობით დაისტამბა მცირე მოცულობის ნაშრომი თენგიზ ახმეტელის პროფესიული მოღვაწეობის თაობაზე. ამჯერად მისი ცხოვრების სხვა ასპექტს ეძღვნება წინამდებარე სტატია.

### ღირსეული მემკვიდრე

თენგიზი, თეზი, როგორც მას შინაურები მიმართავდნენ, ახმეტელებისათვის დამახასიათებელ ყველა თვისებას ფლობდა, მაგრამ მისი ინდივიდუალობა გამოირჩეოდა იმით, რომ მეტისმეტად მორიდებული, უთქმელი, მშვიდი გახლდათ. ერთი შეხედვით თავის თავში ჩაკეტილიც კი ეთქმოდა, რომ არა ინტერესთა ფართო წრე და უზომო სიყვარული ადამიანებთან გულითადი ურთიერთობებისა. უჩვეულოდ მოკრძალებულები იყვნენ თენგიზ და გურამ ახმეტელები. მათ პროფესიაც და ნათესაობაც აკავშირებდათ, მაგრამ უმთავრესი მაინც მეგობრობა იყო. თენგიზი მეგობრობის ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება გახლდათ. ამ ასპარეზზეც უღალატოდ ირჯებოდა. ცხოვრების წესითა და ურთიერთობათა ფორმით რაინდის ტიპს განასახიერებდა. როცა ახალგაზრდობისას რაინდობის ინსტიტუტის რაობას გავეცანი, ნიუანსებში გარკვევა არ გამჭირვებია, „სახეზე მყავდნენ“ ამ გილდიის წარმომადგენლები, ახლო ნათესავები: შალვა შალამბერიძე, ნინო, გიორგი, თენგიზ, გურამ, სტეფანე ახმეტელები...

თენგიზი ნათესავ-მეგობართა შორის ხელშეუხებელი ავტორიტეტით სარგებლობდა. ნათესავები, რომლებიც თვითონაც რჩეულნი იყვნენ პიროვნული ხიბლითა და პროფესიული საქმიანობით, მას ძალზე აფასებდნენ, რიდიოთა და პატივისცემით ეპყრობოდნენ. ხშირად მიფიქრია, რა იყო მიზეზი თენგიზისადმი ასეთი თაყვანისცემისა? ის ძლიერი, მთლიანი, შეუვალი ადამიანი და მაღალი რანგის სპეციალისტი ხომ იყო — ეს ფაქტია, მაგრამ ასეთები სხვებიც იყვნენ. თენგიზი კი, იმ იშვიათ პიროვნებათა რანგს განეკუთვნებოდა, რომელნიც თავისი თავის უფალნი არიან! არ ცნობენ დადგენილ წესებს ფსევდოავტორიტეტების აღიარებისათვის, ცნობენ მხოლოდ საკუთარი სინდისის დიქტატურას! მას ღირსების დიადემა ამშვენებდა და არ საჭიროებდა არავითარ ჯილდოს. ის განგების რჩეული გახლდათ! და ღირსეულადაც ატარა გამორჩეულობის ჯვარი! აზროვნებითა და ცხოვრების სტილით დემოკრატი, არისტოკრატის სინატიფითა და სიმსუბუქით ატარებდა განგებისაგან გამორჩეულობის ხვედრს.



თენგიზ ახმეტელი

გააზრებული ჰქონდა, რომ მსახურებდა უძვირფასეს, ფასეულობათა სისტემის უპირველეს ღირებულებას — ადამიანის სიცოცხლეს. და არ არსებობს იმაზე აღმატებული მდგომარეობა, ვიდრე ადამიანისათვის ხელმეორე დაბადების, სიცოცხლის გახანგრძლივების „უფლებამოსილება“. თენგიზი ამ უფლებამოსილების ბედისწერას ღირსეულად უმკლავდებოდა. დასტაქრობა სიცოცხლის მომნიჭებელთან წუთიერი შეტოვება მგონია. და თუ ამ „უფლებამოსილებას“ საოპერაციო მაგიდასთან „ჯადოქრობასაც“ დავუმატებთ, მაშინ თენგიზ ახმეტელი გრძნეულ მისანთა მოდგმის მოდერნული მემკვიდრეც ყოფილა.

თენგიზისთან სპეციალისტები პიროვნებათა გადაშენების, ადამიანის სიცოცხლის გაუფასურების ეპოქაშიც კი, უზადოდ ავლენდნენ ამ უფლებამოსილების ძალოვნებას, რადგანაც მსახურებდნენ ხელისუფალს კი არა, არამედ ადამიანს, როგორც ფასდაუდებელ ღირებულებას. ხოლო პიროვნება ხომ „ხელისუფლებაზე მაღლა დგას“, ამ ამაღლებულ სტატუსს ძნელად თუ შეეტოვება რაიმე ამქვეყნიური დიდება. თენგიზ ახმეტელი ამ რანგის პიროვნება გახლდათ.

ნიჭიერების, შრომისმოყვარეობის, ანალიტიკური აზროვნებისა და გამორჩეულობის ნიშანია ისიც, რომ 19 წლის მეორე კურსელს სამედიცინო ინსტიტუტის პირველკურსელთან ანატომიის კურსის ნაკითხვას ანდობენ; ისიც, რომ 23 წლისა პირველ ოპერაციას აკეთებს; ისიც, რომ თენგიზ ახმეტელი ერთნაირი ძალით ავლენდა პროფესიულ მონაცემებს პედაგოგიკასა, სამეცნიერო კვლევასა და, ვგულისხმობ, პრაქტიკულ საქმიანობას — საოპერაციოში.

თენგიზი კარგი მოფარეკავი იქნებოდა სპორტის ამ სახეობისთვის რომ გაემეტებინა მეტი დრო, ჭადრაკსაც კარგად თამაშობდა, მწვერ-

ვალთა დაპყრობის უინსაც ფლობდა. 16 მწვერვალზეა ნამყოფი. სტუდენტობის წლებიდან მონაწილეობდა ალპინისტურ ექსპედიციებში, შემდეგ კი მასშველი ჯგუფის ექიმი გახდა. 6 000 მეტრის სიმაღლეზე ასულა მთამსვლელობა სამკურნალოდ.

ის არ ცხოვრობდა განდევნილის ყოფით, მხოლოდ მედიცინის მსახურებით. მისი ინტერესთა სფერო მოიცავდა ადამიანის არსებობის მრავალგვარ სახეობას, მთავარი კი სწორედ ის იყო, რომ ამას ყველაფერს განიხილავდა საქართველოს მომავლის რწმენით. ყოველ მოვლენას ინტელექტუალის მასშტაბური ხედვით აფასებდა — მასში ეძიებდა ქვეყნის პერსპექტიული განვითარების იმპულსს.

**თენგიზ ახმეტელი  
ახლოვლის თვალთ**

თავად გიორგი მღვდლის შთამომავალი ვარ. თენგიზი ამ ორი ოჯახის საშუალო თაობის წარმომადგენელია. მე — მომდევნოსი, მაგრამ ბალობიდან მას მივმართავდი — თენგიზ! და არა ბატონო თენგიზ. იმიტომ, რომ ვერავითარ ასაკობრივ თუ მდგომარეობით სხვაობას არ მაგრძნობინებდა. ეს თენგიზის პიროვნული კულტურის ნიშანი გახლდათ. რით ვიყავი მოხიბლული? წინათ ამაზე არ მიფიქრია. წინათ ეს ნორმა იყო — ნათესაურ თუ მეგობრულ ურთიერთობას არავითარი სტატუსი არ განსაზღვრავდა. თენგიზი ადამიანს აფასებდა პიროვნული თვისებებით და არა მისი მდგომარეობით, ან დამსახურებულ თუ დაუმსახურებელი ჩინ-მედლებით. ეს მონიფულობის უამს გავაცნობიერე და ვიგრძენი მასთან არამარტო სისხლისმიერი ახლობლობა, არამედ სულიერი ნათესაობაც. ჩვენ არამარტო გვიყვარდა ერთმანეთი, როგორც ნათესავებს, არამედ პატივს ვცემდით, როგორც ეს პიროვნებებს სჩვევიათ.

ის სხვადასხვა დროს კათედრებსაც ხელმძღვანელობდა, აკადემიკოსის ნოდებაც მიენიჭა, დოქტორიც იყო, პროფესორიც, საქართველოს ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების გენერალური მდივანიც, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა სამთავრობო ჯილდოებითაც გახლდათ აღნიშნული, მაგრამ ყველაზე ფასეული მაინც პიროვნების ქედუხრელობა იყო, რომელიც მას ათინათივით ამშვენებდა. მეტისმეტად ღრმა, მდიდარი, ამასთანავე სათუთი შინაგანი სამყაროს მფლობელს, აუგად მიმართვას ან შეხედვას ვერავინ შეუბედავდა. რაღაც განსაკუთრებულად თბილ, კეთილშობილურ, ამაღლებულ გარემოს ქმნიდა, მის გვერდით ყველანი ჩვეულებრივისა და არაჩვეულებრივის ზღვარზე ვიმყოფებოდით, რადგანაც თვითონვე იყო ამ რეალობისა და აღმატებულობის, ამ განსაცვიფრებელი ერთიანობის სიმბოლო.

კიდევ ის მხიბლავდა მასში, რომ ძნელბედობის უამსაც კი შეუბღალავი სინდისითა და უმნიკვლო საქმიანობით მაგალითი შექმნა — რომ შესაძლებელია ასე პატიოსნად განვლო სავალი გზა! ის არ ცხოვრობდა კერძო პირის ცხოვრებით, საზოგადოებრივ სარბიელზე წარჩინებული, მთელი შეგნებით გრძნობდა პასუხისმგებლობას საკუთარი სინდისის, ქვეყნის, ოჯახის, წინაპრების, კოლეგების, პროფესიისა და, რაც მთავარია, პაციენტებისა და სტუდენტების წინაშე. ის უსიტყვოდ აღმტყვერებდა!

ნათესაური თავმყყობისას თენგიზი გაყურებული ჩანდა, მაგრამ მის სანდომიან პირისახეზე, განსაკუთრებით გასხივოსნებული თვლებით ნათლად იკითხებოდა სიხალისე, სილალე, თითოეულის მიმართ კეთილგანწყობა, ერთად ყოფნით მოგვრილი სიამე და ნეტარება. ორიოდ სიტყვით ამბობდა სადღეგრძელოს, მაგრამ ზუსტად და მგრძნობიარედ გამოხატავდა აზრს. მას ყველანი ყურადღებით ვუსმენდით. უბადლოდ მეტყველი თვალები და არაჩვეულებრივად თბილი ღიმილი სახიერად ავლენდა მის სულიერ განწყობას.

თენგიზი მეტად მგრძნობიარე და სათნო ადამიანი იყო. ჩვენს ახლო ნათესავს, რომელთანაც ვმეგობრობდი და ვაფა-

სებდით ყველანი, სარკომა აღმოაჩნდა. არჩილ გომელაურს ლეჩკომბინატი უკეთებდნენ ოპერაციას, ყველანი ველავდით და მცირე იმედილა გვექონდა. ოპერაციის დღეს ლექცია მქონდა. ვერ გავაცდენდი. დილით საავადმყოფოში მისულმა თენგიზი ვნახე: ლექციის შემდეგ ამოვალ-თქო ეზოდან — ვუთხარი. ის ფერნასული მდუმარედ იდგა, ოპერაციას უნდა დასწრებოდა, მხოლოდ თავი დამიქნია. ლექციის შემდეგ ფეხაკრეფით ავდივარ კიბეზე და მესმის ვახტანგ გომელაურის ხმა — „თენგიზ, მანდ რას უდგახარ, ამოდი“. გავიგონე თენგიზის დახმული ხმა: „ნათელას ველოდები“. მეც გამოვჩნდი, ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ. მის თვლებში განაჩენი ამოვიკითხე. ხელი ჩამავლო და უთქმელად შემიყვანა დერეფანში. მელოდა, ვინმეს უეცრად არ მოეხალა ოპერაციის შედეგი.

...1991 წლის 22 დეკემბერი ჩვენი ნათესავის, მხატვარ მარგო თუშმალიშვილის, დაკრძალვის დღეა. ერთად ვდგავართ და დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაზე ვსაუბრობთ. უცბად ხმა დაირხა რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლესთან სროლის ხმა ისმისო. თენგიზი წამიერად დაიხარა, მეუღლეს, მანანა ყიფიანს, ჩუმად უთხრა — მე წავედიო, და ვიდრე გონს მოვიდოდით, ჩქარი ნაბიჯით მანქანისკენ კი არ წავიდა, არამედ გაქანდა. მან თავის პოსტს მიაშურა — რაკილა თოფი გავარდა, დაჭრილებიც იქნებოდნენ. ქირურგის პროფესია თავისას ითხოვდა!

ჩვენი ნათესავის მეუღლე ავტოავარიამი მოყვა, გურჯაანის საავადმყოფოში გაუკეთეს სასწრაფო ოპერაცია. ჩვენც შეგვატყობინეს: მანანა, თენგიზი, ბიჭიკო თუშმალიშვილი და მე რამდენიმე საათში ჩავედით გურჯაანს. საავადმყოფოს განიერ კიბეს ჩვეული რიტმით ავუყევით, გრძელი დერეფნის ბოლო პალატისკენ მიგვითითეს. როცა დერეფანს გავხედე, თენგიზი უკვე პალატაში შედიოდა, ქირურგმა იცის წამის ფასი! სიცოცხლე წამიერად შეიძლება შეწყდეს!

როცა სტუდენტებს ვესაუბრები და ვუსხნი, რა არის პროფესიონალიზმი, თენგიზ ახმეტელიც მომყავს მაგალითად. დასტაქრის პროფესია მხოლოდ ვირტუოზულად ოპერაციის ჩატარება არ არის. პროფესიონალიზმი განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების წესს, აზროვნების სისტემას, ჩვევებსაც. დინჯი და მშვიდი თენგიზი მყისიერად გარდაიქმნა, მარდად აღმოჩნდა ავადმყოფთან. პროფესიული ჩვევა თავისით ამოქმედდა!

ძალზე ზუსტად იცოდა მოვლენის შეფასება. ერთი ჩემი სტატია რომ წაიკითხა, სადაც რეჟისორს მკაცრად ვაკრიტიკებდი, შემომხედა, გაიღიმა და მითხრა: „კარგად არის დანერგილი, დასაბუთებულად მსჯელობ, მაგრამ მე რომ ვიყო, დუელში გამოგინვედი!“ თავისი სამყაროთი და აზროვნებით რაინდთა გილდიას ეკუთვნოდა, იუმორიც ასეთივე ჰქონდა.

იმდენად საინტერესო პიროვნება იყო, იმდენად განათლებული და დაკვირვებული მკითხველი მხატვრული ლიტერატურისა, რომ მასთან საუბარი, ხანმოკლე გაბასებაც კი, უზომოდ გამდიდრებდა, ახალ თვალსაზრისს ბადებდა ამა თუ იმ მწერალსა თუ ნაწარმოებზე. ის თავისი ქვეყნის პატრიოტი გახლდათ, ამიტომაც საგულდაგულო ინტერესს იჩენდა საქართველოს წარსულისა თუ აწმყოს მიმართ: პოლიტიკა, ხელოვნება, სპორტი, ეკონომიკა, მედიცინა თავისთავად, განსაკუთრებით ახალგაზრდობის განათლების პრობლემა — მისი სერიოზული ანალიზის ობიექტი ხდებოდა. თენგიზი მოქალაქე იყო და პირად პასუხისმგებლობასაც გრძნობდა მიმდინარე ცხოვრებისეული პრობლემების მიმართ. ამითაც ჩამოგავდა თავის უშუალო წინაპრებს.

ბოლოხანს ჩვენ კიდევ უფრო დაუვახლოვდით ერთმანეთს. თენგიზმა სიყვარულითა და გულისხმიერებით შეავსო ის სიცარიელე, რომელიც გაჩნდა მისი თაობის ახმეტელებისა და საერთოდ ახლო ნათესავების, ჩემი სულიერი მეგობრების, გარდაცვალების შემდეგ, უზომოდ მადლიერი ვიყავი ამისთვისაც. განსაკუთრებულ სიამეს მგვრიდა მასთან ურთიერთობა.

...გამონაკლისი არა ვარ, მისი ახლობლები, ოჯახი, კოლეგები, მეგობრები მწვავედ გრძნობენ დანაკლისს, მასთან განშორებით რომ განვიცადეთ.

ელგუჯა თავბერიძე

# რატომ გალოცდა გვიან შემოდგომით შაჰი?!

ეპოქის სურათი, — რვა წლის წინათ ფშაველთაგან მიტოვებულ მამაპაპისეულ კერაზე დაბრუნებულ ნუხა ბაიაშვილს ეგონა, სოფელში არავინ დახვდებოდა. მოტყუვდა. მკვიდრ ფშაველთა გადასახლებისთანავე შირაქში მათ ნაფურცებს ოსები დაპატრონებინან.

კონკრეტულ ეპოქას ვერ იგუშანებ, ზოგადია. ქართულ მინა-წყალს ყველა დროში ეპატრონებოდნენ, თავისუფალს ნახავდნენ და მკვიდრდებოდნენ. იქიდან აყრილ ქართველებს მიტოვებული რომ ეგონათ, გადამთიელნი დათავისებოდნენ.

ასე დაისაკუთრეს დიდი ნაწილი საქართველოს მინა-წყლისა და, რა გასაკვირია, ფშაველთა მიტოვებულ სოფელში ჩადებულ დიანებულ იყვნენ?! თუმცა ზემოთქმულის გააზრებისას ბოლშევიკურ ეპოქას უფრო იგულისხმებ, როცა ჰარიშარაღზე გაიცემოდა ქართული მიწები და მასაც თავისი მიზანი ჰქონდა — გადამთიელს ეყრდნობოდა რეჟიმი. ამაზე მერეც ვიტყვით. ისევ ამბავს მივადევნოთ თვალ-გონი:

თავშესაფრის მძებნელი, შირაქიდან ოტებული ნუხა მშობლიურ სოფელში იმიტომ გამოიქცა, უკაცრიელი ეგონა. გამოდის, ხაფანგში გაბმულა: მთავრობის დასაყრდენი ოსები საეჭვოს არავის ინდობდნენ, ცოცხალს, ხშირად მკვდარსაც, ჩეკას აბარებდნენ. „საქართველო თავდაყირა იდგა. ხევსურეთი ბოლშევიკებთან ომში ღვრიდა სისხლს“, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, მთავრობა ერთგული ოსებით დასახლებულ სოფელში ნაკლებად დაინყებდა დევნილის ძებნას. ასე რომ, ერთი შეხედვით, ხაფანგი, მამაპაპისეული სახლი — უფრო საიმედო თავშესაფარი უნდა ყოფილიყო ნუხა ბაიაშვილისათვის.

უკვე დაკონკრეტდა დროება, 20-იანი წლები გასული საუკუნისა, ბოლშევიკები სისხლის კალოებს რომ მართავდნენ. ისევ ამბავი:

ნუხა ჩეკისტის ოფოფას მოკვლისთვის გამოიქცა შირაქიდან. ბოგანო და ხელმათხოვარა ოფოფა ნითლებთან მოენეობდა. ამაგი დაუფასეს, ჩეკაში ჩარიცხეს. გაჩეკისტებულმა „მთელი შირაქი აიკლო, ბევრი ოჯახი გაამწარა.“

ნუხა ბაიაშვილს მთვრალმა შუკაში ცხენით ჩაუქროლა და მათრახი ისე გადაუჭირა, „ლამის ხერხემალი ჩაულენა“. ბევრი არ უფიქრია. შინ მივიდა, ნაგანი აიღო, სახლთან ჩაუსაფრდა ოფოფას და „ზედ თავის კარზე გადაასხმევინა ტვინი“.

ნუხას „სხეულში ბარე სამი სული ედგა“. სამივეს ემძიმებოდა ჩეკისტის დაღვრილი სისხლი, მაგრამ არ ენანებოდა. ბრაზი ისე ღრმად ჩაკირვოდა სულში, ოფოფა ცოცხალი რომ ენახა, ისევ მოკლავდა: „მოსაშორებელი იყო ის სულთამხუთავი და მოვიშორე, სისხლზე დარდი სიბერემ იცის და იქამდე შორიაო.“

ნუხას „უკულმართს“ ეძახდნენ, მაგრამ ნეტავ ყველა მისნაირი „უკულმართი“ ყოფილიყო. ესაა შემთხვევა, როცა სიტყვა განსხვავებულ შინაარსს იძენს და უარყოფითის მაგიერ დადებითი ხდება, მეტსაც ვიტყვი, იმდენად დადებითი, თუმცა ნაღდად საგმირო შეფარდება ნუხა-უკულმართის საქციელს, ისე გმირულად აღესრულა, რომ მისი ზედმეტსახელი აღმართს დაერქვა: უკულმართის აღმართი.

თხზულების მიხედვით ნუხა ბაიაშვილის „უკულმართობა“ შემდეგში გამოიხატებოდა, „დაქანცული სოფელი ძილს

მიეცემოდა თუ არა, ნუხა ფეხზე გაიხდიდა, ნაგანს თან მაინც გაიყოლებდა და ჭინკასავით დაძვრებოდა სახლიდან სახლში. სიფრიფანა სხეულის პატრონს ლამით კი არა, დღისითაც ძნელად შეასწრებდა კაცი თვალს. გამოხედვაც ისეთი ჰქონდა, ღვთის ჯილდოდ თანდაყოლილი, რომ მისი თვალის შემყურე ქოფაკები ნკმუტუნით უთმობდნენ გზას. ამიტომაც დედამინის ზურგზე ისე არავის უხდებოდა, ალბათ, დედისგან მეტსახელად შერქმეული „უკულმართი“, როგორც ნუხა ბაიაშვილს. რას აღარ ხელმრუდობდა ოსების საბელ-სამზადებში — ყველი და შაშხი, ერბო, თუ კარაქი, კვერციხი და ხაბიზგინი. არაყი ხომ ჩარექობით ჰქონდა ნაპარავი.“

ნუხა ბაიაშვილის მამაპაპეულ სახლში ნითლებისგან დევნილი ლევან რაზიკაშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ვილაც საშა შეფარებენ თავს. ბუნებრივია, მისულებს მასპინძელი შინ არ ჰგონიათ, მათ თვალსახილველს მიფარებული ნუხა პირველად ლევანს იცნობს, ვაჟა-ფშაველა და ნუხას მამა, ფიქრობდა ბაიაშვილი ძმობილები ყოფილან, ცნობისთანავე გაიფიქრებს, ასე მალვით სასიარულოდ რად გახდომია საქმეო.

ქაქუცას მერე შეიცნობს, ის ალავერდობა გაახსენდება, შუალამის ღრეობისას რომ უგარაღნია ხალხს, ჩოლოყაშვილს ქაქუცა მოდისო, და დაიხატება ეროვნული გმირის წარუშლელი სახება: „ცეკვის ოსტატმა ჩეჩნებმა ოფლადგაღვრილი ტაიჭიდან დაქვეითებულ ჩოლოყაშვილს ფეხებთან მოზრდილი თევზი დაუდეს. კნიაზმა ჯერ ყანნი გამოცალა და მერე ისეთი ცერული იცეკვა იმ თევზზე, ერთხელაც არ გადასცდენია ფეხი განზე.“

კენიებს თურმე გული უნუხდებოდათ მოცეკვავე ქაქუცას ყურებისას. მართლაცადა, რაოდენ მეტყველია — ქაქუცა ცერული მოცეკვავე?! მართო ამ პასაჟისათვის ღირდა **გურამ ქართველიშვილს** რომ შეეთხზა ეს ნოველა („უკულმართი“, ჩვენი მწერლობა, 2014, №22).

იქნებ სხვასაც, ძალიან ბევრს უცეკვია ცერული, მაგრამ სად სხვა და სად ეროვნული გმირი?! მერე კიდევ, ქაქუცას გარეგნობას რომ წარმოიდგენ, მისი ცეკვა მართლაც ქართული გენის როკვა იქნებოდა.

ნოველის ფინალიც წინასწარვე უნდა გვეგუშანა, ფშაველთა მიტოვებულ სოფელში ჩასახლებული ოსები, ვისაც თვითონ ვერ უსწორდებოდნენ, ჩეკაში აცნობებდნენ. დილით გამოსულებმა დაინახეს, რომ თითოეული სახლიდან სამ-სამი თვალი მაინც უყურებდათ. გარეთ არავინ გამოვიდეს და თავი არავინ გაიფუჭოსო, ბრძანა „უკულმართმა“ ნუხამ და, რაც მოიმოქმედა, ისიც ერთ ნოველად ღირს.

„ნუხამ უნაგირის სადავე გამოსკვნა და უნაგირის კებს მიაბა. მერე დარდიმანდული მოძრაობით უკულმა გადააბიჯა ცხენს და ნაგან-მაუზერი ორივე ხელში მოირგო.“

მეტი ერთგულეზა რაღა გინდა?! წინ მიმავლებს საიმედოდ გუშაგობდა ცხენზე უკულმა შემჯდარი „უკულმართი“ ნუხა ბაიაშვილი.

ცხენი მოუკლეს მდევრებმა, მაგრამ უზანგში ფეხჩარჩენილი და ნახევრად ცხენის სხეულს ჩაყოლილ-ამოფარებული ნუხა მაინც ისროდა, ვიდრე კაზაკმა უკნიდან (სხვანაირად არ შეიძლებოდა) ორი ტყვია არ დააჭედა ზურგში.

აი, რას ამბობდა გალობით შაშვი გვიან შემოდგომის ხანს.

ნუხა უსახელოდ არ წასულა: უკულმართის აღმართზე უკვე ვთქვით. და კიდევ საოცარი დეტალი — ტყეს შეფარებული ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჩანგალს რომ ატარებდა თან. სავსებით სამართლიანად უკვირდა ნუხას. ბევრი რამ ჰქონდა ამ კაცს საკვირველი, მის ჰეროიკულ-ტრაგიკულ ყოფაზე უკვე დანიერა დიდი ბიოგრაფიული რომანი, როსტომ ჩხეიძის „შავ ჩოხას“ ვგულისხმობ.

გურამ ქართველიშვილის ნოველაც ქაქუცაანთა გმირობის გამოძახილია, შაშვის გალობაში გახმინებული გამოძახილი.



# ერთი მწერლის სამი რომანი

ნანა კუცია

## ბელზებელი მაცხოვრის როლი

(გივი სომხიშვილის  
„ამომავალი შავი მზე“)

ძველი აღთქმის მეორე წიგნში, „გამოსვლათაში“, მრავალთაგან ერთი პასაჟიცაა საცნაური: უდაბნოში ხეტიალით ქანცგანყვეტილი, იმედგადასურული ერი ღმრთივდადგენილ წინამძღოლს — მოსე წინასწარმეტყველს — უსაყვედურებს, რას გვერჩოდი, ეგვიპტეში დავრჩენილიყავით, ხორციც მაძღრისად გვქონდა და სიმშვიდეცო.

მზისქვეშეთში ახალი არაფერია და ჩვენს დროშიც ხშირად დასცდებით უბირთნოსტალგიური ტონით, რომ „დიად საბჭოეთში“ ხორციც მაძღრისად ჰქონდათ და „სიმშვიდეც“.

ამ — სრულიად გაუმართლებელი — ნოსტალგიის საპირწონედ აღიქმება გივი სომხიშვილის ტრილოგიის პირველი წიგნი — „ამომავალი შავი მზე“, ორ დანარჩენ წიგნთან — „ბედის მასხარა“ და „სატანის ღიმილი“ — ერთად. საგულისხმოა, რომ ტრილოგიის პირველი წიგნის სათაური სამნიგნეულის საერთო სათაურადაც მოიაზრება და ტექსტის მთავარ პარადიგმადაც აღიქმება.

„შავი მზე“ ეგვიპტური მისტერიებისკენაც მიახლებს გონების თვალთი წიგნიერი მკითხველს და „ვეფხისტყაოსნის“ უარსებითი სახე-არქეტიპისკენაც — „მზიანი ღამისაკენ“, „უჟამო ჟამსა“ და „ერთთარსება ერთთან“ ერთად უფლის მეტაფორული სახელი რომაა. ეს რემინისცენციები მწარე და ნოსტალგიური (ნამდვილად ნოსტალგიური, განსხვავებით საბჭოთა კავშირისადმი ფსევდო-ნოსტალგიისაგან), რადგან რწმენით, სიბრძნით, ზნეობით განათებული ჟამის რეფლექსიაა, იმდენად განსხვავებულისა ქართველის თანამედროვე ყოფისაგან, ლამის თავადაც აღარ დავიჯეროთ, ქართველთ ყოფაშიც რომ იდგა მზიური ჟამი და მზიანი ღამეს სასოებდა და ემორჩილებოდა ქართველი.

სულ სხვა ჟამზე, სულ სხვა მორჩილებაზე გვიამბობს გივი სომხიშვილი — უკვე დაისისაკენ მიწურვილი, ჯერაც საკმაოდ ძლიერი საბჭოეთის ბაბილონის გოდოლში ძალად ჩაშენებული საქართველოს ტრაგიკულ ყოფაზე გასული საუკუნის სამოცდაათიანი-ოთხმოციანი წლების მიჯნაზე.

გავიმეორებთ — დაისისაკენ მიწურვილიყო „სისხლითა და ცხედრებით“ ნასაძირკვლები სახელმწიფო-მონსტრი, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში რომ „ახალ ბაბილონად“ იწინასწარმეტყველა დოსტოევსკიმ „ძმებ კარამაზოვებში“, სხვა რომანში კი მის მომავალ აღმშენებლებს პირდაპირ „ემმაკინი“ უწოდა, როგორც გალაკტიონმა მეოცე ასწლეულს — „ეს საუკუნე მეფისტოფელი“.

მოვიყვანთ ციტატას „ძმები კარამაზოვებიდან“: „Социализм есть не только рабочий вопрос, или так называемою четвертого сословия, но, по преимушест-



ву есть атеистический вопрос, вопрос современного воплощения атеизма, вопрос Вавилонской башни, строящейся именно без бога, не для достижения небес с земли, а для сведения небес на землю“.

დოსტოევსკის წინასწარმეტყველებიდან ზუსტად ასი ნელია გასული გივი სომხიშვილის რომანში და წინასწარმეტყველებაც — სავსებით ამხდარი. მნიშვნელობა არა აქვს, მოქმედება სკოტოპრიგონიევსკი ხდება თუ წნორსა ან ცივგომბორში. „სკოტოპრიგონიევსკი“ „ჯოგთშესარეკად“ ითარგმნება და უზუსტესი დეფინიციაა ნაპოვნი ღვთისდამინყებელი მონსტროზული სახელმწიფოსათვის, სადაც ნიველირებულია ეროვნება, ნიჭი, უგულვებლყოფილია ისტორია, განვითარებას ეროვნული გეზი და დავინყებულა „მზიანი ღამე“ — უფალი ღმერთი. ჟამიერი ალღალებულან დოსტოევსკისეული ემმაკინი ყველგან, მთელს ძალადგასაბჭოებულ სივრცეზე, პროკურორი ყარამანი პროკურატორ პილატეს მიმსგავსებია, მის მეთყველებაში უფლისჩამნაცვლებელი ემმაკის სახელი ხშირად გაისმის; ორიოდ მაგალითს დავიდასტურებთ: „ისეთ შარს მოვდებ, ემმაკები გაკვირდნენ“; „იმდენ მართალ-მტყუანს ნამოვკიდებთ, ემმაკეთშიც გაუკვირდეთ“.

გივი სომხიშვილი ბელეტრისტულ თხზულებაში პუბლიცისტურ სიმწვავეს ჩაკირავს, უახლოესი წარსულის ტრაგიკულ რეფლექსიას წარმოგვიდგენს სულ რამდენიმე პერსონაჟით: გაამპარტავებული პროკურორით, დამფრთხალი პედკოლეტივით, მუდამ რევიზიის მომლოდინე ნოქრებით, პროკურორის (მამსავით ამპარტავანი) უნიჭო შვილით. კახეთის ვინრო ლოკალი სრულიად საბჭოეთის მიკრომოდელად იქცევა, მამამბლობის, შიშის საზარი ატმოსფეროთი გაჟღენთილ ტოპოსად.

თავად ავტორისეულ, უზუსტეს დეფინიცებს დავესესხებთ ჟამის ჟამიანობის აღსაწერად, ცალკეული ციტატებით წარმოვარჩენთ ერთგვარ კოლაჟს, რომანის სულისკვეთების ანარეკლს: „ბელზებელი მაცხოვრის როლით ოინბაზობდა... თვითმარქვია მაცხოვრები ტაკიმასხრობდნენ... [გავმართათ] არაკაცთა მგლური ხორუმი... [წუთისოფლის ჭადრაკის] დაფაზე იღრინებოდა უთანასწორობის ამოება ძლიერებსა და სუსტებს შორის, [ცხადდებოდა] ნაძირალათა მობილიზაცია... [ზეობდა] გაპირუტყვებულ-გაველურებულთა მხეცური განუკითხაობა“... პროკურორის მრწამსი და მამამბელთადმი გაცემული დირექტივები („სახელის გატეხაზე იმუშავეთ“, „მთავარია, ღამაზად დავაბრალოთ“) უზუსტესად წარმოაჩენს ვითომც სოციალური თანასწორობის მეხალიჩატრე, ადამიანთა კეთილდღეობის იმედად შექმნილი სახელმწიფოსა და მის მესვეურთა ჭეშმარიტ სახეს. პერსონაჟთაგან ზოგს გულწრფელად ჰგონია, თითქოს „ადამიანთა კეთილდღეობის იმედად შექმნილი სახელმწიფო ღალატით მთავარ მიმართულებას სცილდებოდა,.. ნადირის ინსტინქტი ადამიანში ადამიანობას სპობდა, უფლისმიერ სულიერ სინმინდეს აქრობდა“, არადა, ღალატი აქ არაფერ შუაშია, თვით სოციალისტური სახელმწიფოს იდეაა „დადი ფარსი“, სოციალური თანასწორობის დეკლარირებით ტრადიციის, რწმენის, ეროვნულ ფასეულობათა, ფესვთა უგულვებლყოფელი სახელმწიფოსი.

საზარელია მორალი ახალი სისტემით აღღალებულთა: „ვინა ხარ, მხეცს რომ ბალახის ძოვას აძალებ? ამქვეყნად ვილაცა ვილაცას ყოველთვის ჭამს. სიცოცხლე ძარცვა-გლე-

ჯასა და ძალადობაზეა დამყარებული. ადამიანი მესაკუთრეა, რამდენიც არ უნდა იშოვოს, მაინც მეტი უნდა. თუ შნო გაქვს, იშოვე, მაგრამ, ეს ოხერი, სოციალისტური კანონები რომ ამის საშუალებას არ იძლევა?!”

„მინდა გულუბრყვილობა“ მთქმელს არ ამართლებს. სწორედ „სოციალისტური კანონებითაა“ ხელდასხმული ყარამანთა ზეობა, ეშმაკის ადვოკატობა. იკვრება მოჯადოებული წრე — სისტემა შობს „ამომავალ შავ მზეს“ — პარტიულ ფუნქციონერს, ფუნქციონერთაგან უპირველესს, თუ ფუნქციონერის ძალისხმევით ტრანსფორმირდება „ადამიანთა კეთილდღეობის იმედად ქმნილი სახელმწიფო?!“ „საკითხავი — აი, ეს არის!“ მაგრამ მსგავსი კითხვებით როდი აიტყვივებს თავს პროკურორ ყარამანის მემკვიდრე ჰამლეტი (სახელი აქ გროტესკულ დატვირთვას იძენს), ძალმოსილ მა-

მას რომ სწავლისათვის არ ემეტება, ფერ-ხორცს, ჯანსა და კაცობას დაკარგავსო...

სიბრძნე და რწმენა, მინა და ნიგნი მოიძულა სოციალური თანასწორობის იდეათა გამფეტიშებელმა სახელმწიფომ, „კომუნისტურ შუკრითებაზე“ (ავტორისეული სინტაგმა) მეოცნებემ.

როსტომ ჩხეიძისეული მოგვაგონდება, კომუნისტების ამენება შესაძლებელი რომ ყოფილიყო, სტალინი საფიდელკასტროდ არ გახდიდაო.

შავი მზეები არ ილეოდნენ მზიანი ღამის ქვეყანაში. სწორედ ამავნა გივი სომხიშვილის ნიგნი-გაფრთხილება, იმავე სატყვარისაკენ რომ მიაპყრობს გულისხმიერი მკითხველის გულისყურს, რისკენაც ჯორჯ ორუელის „1984“, ენტონი ბერჯესის „მექანიკური ფორთოხალი“ თუ ფრანც კაფკას „გამოსასწორებელ კოლონიაში“...

მარინე ტურავა

# ვისწავლოთ საკუთარ შეცდომებზე

(გივი სომხიშვილის  
„ბედის მასხარა“)

გივი სომხიშვილის რომანი „ბედის მასხარა“ კოლმეურნეობების ეპოქას, შევარდნაძის საქართველოს ასახავს. ეს ის ხანაა, როცა ხალხი გამოფხიზლებასა და საკუთარი პოზიციის გამოხატვას იწყებს, მაგრამ მედროვეები, პარტიული ნომენკლატურა ძველებურად ახერხებს საზოგადოების ხარჯზე გამდიდრებასა და უზრუნველად ცხოვრებას, თაღლითობას. ასეთია ნანარმოების დრო, სივრცე კი — ქიზიყი, საქართველოს უღამახესი კუთხე.

ორივე სიტყვით მინდა შევხურო რომანის კომპოზიციას, ამ ურთულესი ჟანრის უმთავრეს მხატვრულ კომპონენტს. „ბედის მასხარას“ კომპოზიციურად ნანარმოების დასაწყისი და ფინალი კრავს, მითოსური თუ ზღაპრული პერსონაჟივით იწყება მიტრო ქიტუაშვილის ცხოვრება და მითოსური პლანივით მთავრდება, რაც უდავოდ ოსტატური მიგნებაა. „ბედის მასხარა“ პატარა თავებადაა დაყოფილი, ამიტომაც მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს არის თანამედროვე ამერიკული რომანის კომპოზიციური ანალოგი, მაგრამ ეს თავები არ არის ნოველები, ერთი სიუჟეტური ხაზის განმტოებანია, რომლებსაც აერთიანებს მიტროს სახე. თვალშისაცემია ამგვარი სიუჟეტური ხაზების სიჭარბე, რაც მთავარ ამბავს დროდადრო მიავიწყებს მკითხველს, შეიძლება ამას ავტორი გამიზნულადაც აკეთებდეს ეპოქის სრულყოფილად წარმოსაჩენად.

სათაურიდანვე ჩანს, რომ გივი სომხიშვილისათვის მნიშვნელოვანია ბედისწერის ირონიულობის, ზოგჯერ სარკაზმისაც გამოკვეთა. მიტრო თავისი თვისებებით, უნარით, ნიჭით, სრულიადაც არ იმსახურებს იმ ადგილს, რომელიც საზოგადოებაში უჭირავს, მაგრამ ასეთია ბედისწერის მასხარაობა, თავხედობა.

მითოსური ანტიურაჟი აფიქრებინებს მკითხველს, რომ თხრობა ტრადიციულად განვითარდება და როგორც ამგვარ დასაწყისს მოჰყვება ხოლმე — ობლის კვერი ან ძლიან გვიან, ან საერთოდ არ გამოცხვება, მაგრამ მიტრო ქიტუაშვილის ბე-

დი სხვაგვარად წარმართება, რაც ეპოქის თავისებურებებითაც არის გამოწვეული. ამ ეპოქას არ სჭირდება საკუთარი აზრის, პოზიციის მქონე პარტმუშაკი, თანამდებობის პირი, ისეთი, როგორც მათეა, რომელიც რომანში სწორედ მიტროს საპირწინედ, ანტითეზურად არის დახატული. მიტროსნაირი გაქნილი, მოხერხებული, თაღლითი, უინტელექტო ადამიანები ადიან სწორედ კარიერის ყველაზე მაღალ საფეხურებზე, რადგან მათი მართვა, მათით მანიპულირება ადვილია. სამწუხარო ისაა, რომ ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება, რაც ამ რომანს მეტ აქტუალობასა და მნიშვნელობას ანიჭებს.

ბედის წყალობით მიტრო ჯერ მედოლე ხდება და შუბლზე მინებებული შაბამის ფულებით მდიდრდება, შემდეგ სიმამრის დაჟინებული მოთხოვნით აგრონომიულსაც ამთავრებს და ნელ-ნელა იწევს კარიერის კიბეზე. თუმცა აგრონომმა კაცმა ვაზის გასხვლაც არ იცის, ვერც ერთ პროფესიულ უნარსა და თვისებას ავლენს, მაგრამ გაქნილია, ლავირების უნარი აქვს, თაღლითების ბანდას მფარველობს, რაც ამ ეპოქაში ყველაზე დიდი ნიჭია. მიუხედავად იმისა, რომ მიტრო მთავარი პერსონაჟია, არანაკლებ საინტერესოდ არის დახატული მისი სიმამრი პეტოც. სოფლის უბრალო მენისქვილეს მაფიოზის ალლო აქვს, ჭკვიანურად წარმართავს სხვადასხვა მაქინაციას, თავის სიძესაც მოქნილად ლობირებს და უზრუნველადაც ცხოვრობს.

პერსონაჟთა შორის აუცილებლად უნდა გამოიყოფო უკვე ნახსენები მათეც, რომელსაც საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა. მიუხედავად ამისა, არასოდეს დამსგავსებია თავის კოლეგებს, მუდამ თანასწორობისა და სამართლიანობისათვის იბრძოდა. მათე იდეალისტი გახლდათ, ღრმად სწამდა სოციალიზმის იდეებისა და სჯეროდა, რომ რაც უფრო მაღალ პარტიულ თუ თანამდებობრივ ეშელონებში იყო ადამიანი, მით უფრო პატიოსანი უნდა ყოფილიყო, რაც გააქრობდა მომხვეჭელობას, შურს, ქურდობას. კოლეგები დასცინიან მათეს: გლეხივით ღარიბულად ცხოვრობს, ცხოვრებას ალლო ვერ აუღოო, — და ყველანაირად ცდილობენ ჯერ მის გაჩუმებას, მერე კი მოშორებასაც. მათე მაინც არ იცვლება, ბოლომდე იდეალისტად რჩება. მჩვენება, რომ სწორედ მათე გამოხატავს ყველაზე უკეთ ავტორის შესხედულებებსა და პოზიციას. ამით აიხსნება ისიც, რომ სწორედ ამ პერსონაჟს უკავშირდება რომანში ყველაზე მეტად თხრობის პუბლიცისტური, ოდნავ პათეტიკური ნაკადიც. ჩემი სუბიექტური აზრით, ამ ნაკადის გარეშეც რომანი არაფერს დაკარგავდა. მწერლები ამ ხერხს მაშინ მიმართავენ, როცა სათქმელის მხატვრულად გარდასახვა უჭირთ, გივი სომხიშვილს კი ეს პრობლემა ნამდვილად არა აქვს.

პარალელურ სიუჟეტურ ხაზებში არაერთი საინტერესო ამბავი იკვეთება — პარტიულ მუშაკთა მოლხენა თუ ღრეობა, საქმეების გარჩევა, ფულის გაყოფა, არაერთი

პერსონაჟი ჩნდება — ზოგი დასამახსოვრებელი, ზოგიც ნაკლებად, მაგრამ ყველა დროის ნიშნით აღბეჭდილი, გარემოს პროდუქტი და შედეგი. ლიტერატურაში უკვე ნაკლებად გვხვდება მეორეხარისხოვან პერსონაჟთა გამოკვეთა, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი დრამატურგის ტომ სტოპარდის ცნობილი პიესის სათაურს თუ გავიმეორებთ — „როზენკრაცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან.“ სტოპარდის პერსონაჟები უილიამ შექსპირის „ჰამლეტის“ მეორეხარისხოვანი, მაგრამ გამოკვეთილი პერსონაჟები გახლავთ. არარეალურ სამყაროში აღმოჩენილი მთავარი გმირები შექსპირის ეპოქასა და თეატრში შესვლის გზით ცდილობენ საკუთარი იდენტობისა და როლის დადგენას. საგულისხმოა, რომ ამერიკელი (წარმოშობით ჩეხი) სცენარისტისა და დრამატურგის ეს პიესა კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში რეჟისორმა დავით ანდლულაძემ დადგა.

„ბედის მასხარა“ საინტერესოა თავისი არამთავარი პერსონაჟებითაც. ჩართული ეპიზოდებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ანეტა — ახალგაზრდა, ლამაზი, პატიოსანი ქვრივი. ლაკმუსის ქალაქად რომ ქცეულა სოფლის კაცებისათვის. ყველა მის ხელში ჩაგდებასა და დამორჩილებას ცდილობს, შემდეგ კი ხელმოცარულნი ანეტას სახელის გატეხასა და საკუთარი კაცური ღირსების წარმოჩენას იწყებენ. გამორჩეულად დრამატულია ანეტას მოთქმა-ტირილი, ცხოვრებით დაღლილი ქალი მთელ თავის ტკივილსა და დარდს ამ დატირებას ამოაყოლებს, თუმცა რომანში გვხვდება ნაკლებად დრამატული, იუმორით აღსავსე ეპიზოდებიც.

და მაინც, „ბედის მასხარა“ არ არის ადვილად წასაკითხი წიგნი სწორედ მასში დასმული მწვავე პრობლემების გამო. ამავდროულად, გივი სომხიშვილის მწერლური ენა არ არის რთული, მხატვრული ნიაღვრებით აღსავსე. მარტივია, მაგრამ ტევადი, გასაგები, მწერლის პოზიციის, გნებავთ, კონცეფციის გამომხატველიც. „ბედის მასხარა“ არ არის ტექსტი, სადაც მწერლის პოზიცია საძიებელი ან მკითხველის დასადგენია. იგი ყველგან ჩანს. მთელ რომანს აჩრდილივით გასდევს ედუარდ შევარდნაძის სახე, ერთ-ერთ ბოლო ეპიზოდში კი თვითონაც გამოჩნდება, სისავსით წარმოჩინდება მისი გაიძვერობა, პოლიტიკური სტრატეგია თუ გაქნილი ტაქტიკა. მისი „მსახვრალი ხელი“ ყველგან იგრძნობა. ამიტომაც ამ ეპოქის უმთავრესი ფობიაც შევარდნაძის სახელს უკავშირდება — მთავარია „დასაკლავ სულადობაში“ არ მოხვედ, ეს იგივეა, რაც ომის დროს „საზარბაზნე ხორცად“ ქცევა.

მნიშვნელოვანია, რომ ავტორი თვითონვეა იმ ეპოქის შვილი, რომლის მხატვრულ გარდასახვასაც ვითავაზობს, რაც მეტი მართალი წიგნი, გონივრული რეფლექსია გვექნება ჩვენს უახლოეს წარსულზე, მით მეტი გააზრების საშუალება მოგვეცემა. იქნებ, ბოლოს და ბოლოს ერთხელ მაინც გამოვიტანოთ სწორი დასკვნები, ვისწავლოთ საკუთარ შეცდომებზე.

ნინო ვახანია

## ტრაგიკული ეპოქა — ზნეობრივ კალთა გამოცდა

(გივი სომხიშვილის „სატანის ღიმილი“)

გივი სომხიშვილის რომანი „სატანის ღიმილი“ მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებაა, რომელშიც ასახულია გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს ყოფა. პერსონაჟთა უმეტესობა ნამდვილი, რეალური გვარ-სახელით გახლავთ გამოყვანილი. გამოგონილ პერსონაჟთა ცხოვრება, მათი ბედი, ყოველდღიურობა კი განზოგადებულია და ზუსტად აირეკლავს იმდროინდელ ტრაგიზმს.

ეს ყველაფერი, რაც რომანშია დახატული, ჩვენი ახლო წარსულია, ჩვენ მიერ გამოვლილი და განცდილი, ბევრი რამ ახლაც ღია ჭრილობად აჩნევია სულს. ასეთი რომანის დაწერაც ძნელია და ნაკითხვაც. იმიტომ, რომ შესაძლებელია ჯერაც მოუშუშებელმა ტკივილმა, სიბრაზემ შეიპყროს ავტორი (ან მკითხველიც) და ობიექტურობის ნაცვლად სუბიექტურობამ იმძლავროს. თუმცა ისიც ხომ ფაქტია, რომ სრულიად მიუდგომელი ამქვეყნად ალბათ არავინაა. მე მეჩვენება, რომ ეს რომანი გაბრაზებული კაცის დაწერილია, ოღონდ ამ სიბრაზეს საფუძვლად კერძო-პირადული ინტერესები კი არ უდევს, არამედ — საზოგადო, საქვეყნო. გაბრაზებულია იმაზე, ვინც დასცა, დაამცრო, გაყიდა, გაანადგურა საქართველო. ასეთებზე ილია ამბობდა: ქვეყანა და ქვეყნის ბედი იმას ფეხებზე ჰკიდიაო. ამ სიბრაზეში მე, როგორც მკითხველი, ვეთანხმები და თანავგრძნობ ბატონ გივის (უფრო სწორად, მისი თანამოაზრე ვარ).

წიგნში ხელშესახებად, დეტალურადაა აღწერილი შევარდნაძის მიერ ჩადენილი ცოდვა-დანაშაულობანი. მიუხედავად იმისა, რომ იმ ქმედებათა შედეგები ყველამ ვინწინეთ, ყოველი წვრილმანი ასე ზუსტად როდი ვიცოდით. და ახლა მათი გაცნობა კიდევ ერთხელ გამოგვატარებს იმ ჯოჯოხეთს, იმ ცეცხლის კალოს, რომელიც უკვე უკან მოტოვებული წარსული გვგონია. ამ წიგნის ნაკითხვა მართლაც რომ „გულს უკლავს უძრულ ჭირისუფალს“ ქვეყნისას.

მოქმედება ძირითადად ერთ რეგიონში, კახეთში, ვითარდება. ცხადია, ის, რაც ხდებოდა ერთგან, ხდებოდა სხვაგანაც. თხრობაში შემოდის აფხაზეთში წარმოებული ომისა და სამეგრელოს დარბევის ამბებიც.

ერთი ადამიანის კარიერისტულ მიზნებს უამრავი ადამიანი ეწირება და ომშიც, მშვიდობის დროსაც და ბოლოსდაბოლოს შეენირა ქვეყანაც. ედუარდ შევარდნაძის მმართველობის შედეგი — დაკარგული მიწები, შეურაცხყოფისა და დამცირების მიმე განცდა, უიმედობა და ნიჰილიზმი...

ავტორი ზოგჯერ ისეთ შედარებას მოიხმობს, რომ კაცს მწარედ გაცეინება. მაგალითად, იცით, რა უპირატესობა აქვს მორფინისტს კარიერისტთან შედარებით? „მორფინისტი... წამლის გულისთვის კაცს მოკლავს. წამალს გაიკეთებს და დაწყნარდება. კარიერისტი კი თავის აღზევების ხელის შემშლელთა მოსპობის მიზნით სხვა უამრავ უცოდველ ადამიანს მიაყოლებს ისე, რომ სირცხვილის ან სინანულის ძარღვი არ შეუტოკდება“.

კარიერისტის დაუნდობლობის ერთ-ერთ ნიმუშადაა გახსენებული სისასტიკე, რომელიც თვითმფრინავის გამტაცებელი ბიჭების მიმართ გამოამყდევნა ხელისუფალმა და რომელმაც თავისი გულქვაობით შეძრა მთელი საქართველო.

ამ დარბაზში არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გაიმართა ზურაბ კანდელაკის რომანის („უძრავი ქარი“) და შემდეგ კობა ცხაკაიას რომანის („გადაბიჯეთ მკვდრებს გაბედულად“) განხილვა. ამ წიგნებს (გივი სომხიშვილისა, ზურაბ კანდელაკისა, კობა ცხაკაიას, აგრეთვე ზვიად კვარაცხელიასი) ბევრი საერთო აქვს ერთმანეთთან. მიუხედავად იმისა, რომ ავტორთა სტილი სრულიად განსხვავებულია, მათ საერთო თემატიკა — XX საუკუნის 80-90-იანი წლები — ამგავსებს, რაც სრულიად გამორიცხავს გავლენას.

ძალიან ცოცხალია ბატონი გივის რომანში დიალოგები. ყველა ასაკისა თუ პროფესიის, სოციალური წრის პერსონაჟი თავისი ლექსიკით, თავისი

ჟარგონითა თუ დიალექტიზმებით საუბრობს, ამით შენარჩუნებულია ნამდვილობის ეფექტი, კოლორიტი, დახატულია გარემო. ისიც კი შეიძლება ეგონოს ადამიანს, რომ ეს ფრაზები ახლა კი არ გამოიგონა ავტორმა, არამედ მოსმენისთანავე ზუსტად ჩაინერა და შემდეგ გამოიყენა ნანარმოებში.

იმ ამოყირავებულ, არეულ სამყაროში, სადაც მუხთლობა, დასმენა, ლალატი, მოტყუება, დატაცება... კაი კაცობად, ვაჟკაცობად ინათლება, რომანის ერთი პერსონაჟი, სიმართლისთვის დასჯილი მათე, და მისი ორიოდ მეგობარი როგორღაც ახერხებენ პიროვნული ღირსების შენარჩუნებას.

თუ პატიოსან, მაგრამ ღარიბ ადამიანს ეხარება უზნეო, მაგრამ მდიდარი კაცის ცხოვრება, მაშინ მისი პატიოსნება და სინდისიც ფასს კარგავს. აი, მათესა და მის თანამოაზრეებს კი შეგნებული, გულსა და გონებაში გამოტარებული აქვთ სულიერი სიმდიდრის უპირატესობა ხორციელ სიმდიდრეზე. ამიტომაც ერთგვარი სიამაყითაც კი ატარებენ საკუთარ მიძიმე ტვირთს და იბრძვიან რაც შეიძლება, ცდილობენ იბრძოლონ სიკეთის, სინათლის, სიყვარულის, წესიერების, ზნეობის გამარჯვებისა და დამკვიდრებისათვის.

სამწუხარო ის არის, რომ შევარდნაძის ეპოქის შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა ჩვენში. იგივე ჩავგრა, ძალადობა, დევნა-შევიწროება, ადამიანის ღირსების არად ჩავლება, ერთეულთა მიერ მთელი ქონების დატაცება და უმრავლესობის გაღარბება... სკამის შესანარჩუნებლად ნამოწყებული და ნაგებული ომები, რომელი ერთი უნდა ჩამოთვალოს ადამიანმა...

თუ რომანის ავტორს დავუჯერებთ, ყოველივე უმსგავსობისა და უბედურების თესლი სწორედ შევარდნაძემ დათესა. არ ვიცი, რამდენად სწორია ყველაფრის ერთი კაცის, თუნდაც სახელმწიფოს მეთაურისთვის, დაბრალება. თუმცა მეთაურს რომ ბევრი რამის შეცვლა შეუძლია (სიკეთისკენაც და სიავისკენაც) და იმ ერთ კაცზე ბევრი რამ არის დამოკიდებული ქვეყანაში, ეს უდავოა. არც ვასილ მჭავანაძის გაიდეალებში ვეთანხმები ავტორს, თუმცა შევარდნაძესა და მას შორის განსხვავებას კარგად ვხვდები. მომწონს შედარება: „შევარდნაძის საქართველოს ხელისუფლებაში მეორედ მობრუნება მეორედ მოსვლას დაემსგავსა“. ისეთი ვითარება დახატული, რომ როგორც ერთი პერსონაჟი ამბობს, „შეგრცხვება ადამიანი რომ ხარ“.


ღვთის უარყოფელი და მგმობელი ხელისუფლის მიერ ფარისევლურად აღიარებული რწმენის საპირსონედ დახატულია ზოსიმე მოძღვრის ნათელი, შინაგანი შუქით გაბრწყინებული სახე. სავესებით რეალისტურია, რომ ერი და ბერი ერთნაირად განიცდის ქვეყნის სავალალო მდგომარეობას.

აქვე ვხედავთ სუფთა, სპეტაკ, შეუბღალავი სულის ქალებსაც. მაძლართა აღვირახსნილი უზნეობით შეძრწუნებულთ იმედი გვესახება, რომ ადამიანობა ჯერ მთლიანად არ გამქრალა, არ გადაშენებულა.

საიმედოა სწორედ, რომ გაუვალ სიბნელეშიც ჩაუქრალი სანთლებივით ანათებენ მაღალი სულის პიროვნებანი. რალა თქმა უნდა, შემთხვევითი არ გახლავთ ნანარმოების დასასრული — მათე მიდის ნუთისოფლიდან, მაგრამ პატარა ერეკლე (კოტესა და თინას ბავშვი) იბადება და მასთან ერთად ძლიერდება იმედი, რომ — ღვთის ნებით — მომავალი უკეთესი იქნება.

„ჩვენი მწერლობის“ ბოლო ნომერში წავიკითხე, ვარლამ შალამოვს დაუნერია: „ლაგერი იყო გამოცდა ადამიანის ზნეობრივი ძალებისა და ტუსაღთა 99 პროცენტმა ეს გამოცდა ვერ ჩააბარაო“. ალექსანდრ სოლჟენიცინი ასე შეპასუხებია: „თქვენი პიროვნებით და თქვენი შემოქმედებით განა თვითონვე არ უარყოფთ თქვენივე კონცეფციასო“.

თუ სწორად მივხვდი და გავიგე, გივი სომხიშვილს იმის თქმა უნდა, რომ შევარდნაძის მმართველობის ხანა ზნეობრივ ძალთა გამოცდა იყო და უმრავლესობამ ეს გამოცდა ვერ ჩააბარა... მაგრამ, ვფიქრობ, რაკილა არსებობდნენ მათეს მსგავ-



გივი სომხიშვილი

სი, ზოსიმე მოძღვრის მსგავსი, კოტესა და თინას მსგავსი ადამიანები, იქ ეშმაკსა და სატანას ვერ გაუმარჯვნია და ესაა.

ერთ თავში („მუხთლობა არც აქ გვაკლია“) მთლიანად აფხაზეთის ომის ამბებია აღწერილი, არამარტო მართლად და დამაჯერებლად, არამედ — დოკუმენტურადაც.

გივი სომხიშვილი კარგი მოხრობელია. იგი ახერხებს გამოგონილი და რეალური ეპიზოდების ერთ მთლიანობად გაერთიანებას, შესანიშნავად ძერწავს ხასიათებს, კარგი მოქართულაა, ყურადღებას იქცევს მშვენიერი შედარებანი, ცოცხალი დიალოგები, ზომიერად გამოყენებული მეტაფორები...

და მაინც, რაც განსაკუთრებით მზიბლავს და მიზიდავს ამ რომანში, ავტორის პოზიციაა. წიგნიდან თანამოაზრე მესაუბრება და ხშირად ჩემს სათქმელს ამბობს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ გადაჭარბებული მეჩვენება უარყოფითი ემოციის გამოხატვა (აკი ვთქვი, გაბრაზებული კაცის დაწერილს ჰგავს-მეთქი), საერთოდ, თითქმის ყველა საკითხთან ავტორსა და მე, როგორც მკითხველს, დაახლოებით ერთნაირი დამოკიდებულება გვაქვს.

რომანს რუსთველური კონცეფცია მსჭვალავს: „ბოროტს სძლია კეთილმან“... „ქართველთა სიმდიდრე მაღალ ზნეობაში და სიძულვილზე სიყვარულის ზეიმშია“, — ამბობს ავტორი და მას მკითხველის გულისთქმაც ასდევს.

ოღონდ...

ოღონდ ეს არის ერთი საკითხი, რომელშიც ავტორს ვერაფრით ვერ დავეთანხმები. მიკვირს და გამკვირვებია, ასე საღად მოაზროვნე კაცმა როგორ შეიძლება რუსეთი მხსნელად, გადამრჩენელად, ჩვენთვის სახელმწიფოს შემქმნელად მოიაზროს. ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ნანარმოებში უდიდესი ძალადობა, აგრესია, უსამართლობა... უნებლეთ გაამართლოს.

იმის ნიშნად, რომ რომანი — ზემონახსენების მსგავსი პასაჟების გარდა — საერთოდ, ძალიან მომეწონა და ავტორის მიმართ ჩემი პატივისცემის დასადასტურებლად, აქ კამათს არ გავმართავ, მხოლოდ ილიას სიტყვებს შეგახსენებთ, მიხილ ლერმონტოვის პოემის თარგმანში რომ ჩაურთო პოლემიკურ პასაჟად:

**მას აქეთ, რაც კურთხევა ღვთისა  
მიეცა ტანჯულს ივერიის ერს,  
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა,  
ღმერთმა ის რუსსვე ასკეცად მისცეს.**

ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე

# თეატრისა და კინოს სიამაყე

მიყვარს მხოლოდ ქარიშხალი.  
გალაკტიონი

ერთი წლის წინათ ქართულმა კულტურამ უდიდესი და-ნაკლისი განიცადა — 81 წლისა გარდაიცვალა თეატრისა და კინოს მშენებე, სრულიად საქართველოს უსაყვარლესი, დიდებული პიროვნება **ოთარ მეღვინეთუხუცესი**.

**ოთარ მეღვინეთუხუცესი** — საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლირსების ორდენის კავალერი, რუსთაველის სახელობის პრემიის, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის, სტანისლავსკის სახელობის რუსეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; რუსეთის თეატრალური სფეროსა და ბიზნესსამყაროს პრემია „კუმირისა“ და რუსეთის თეატრალური საზოგადოების პრემია „თოლიას“ მფლობელი. მსახიობმა 1992 წ. ტოკიოს VI საერთაშორისო კინოფესტივალზე დავით ასტრახანის ფილმში „განვედ ჩემგან“ მამაკაცის — ებრაული წარმომავლობის პერსონაჟის, მოტილი რაბინოვიჩის როლის საუკეთესო შესრულებისათვის მთავარი პრიზი დაიმსახურა.

2006 წელს საყვარელ მსახიობს ქართველმა ხალხმა მშობლიური მარჯანიშვილის თეატრის წინ უდიდესი პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად ვარსკვლავი გაუხსნა.

რეჟისორებისთვის ოთარ მეღვინეთუხუცესი დიდი აღმოჩენა იყო. უნიჭიერესი ახალგაზრდა მსახიობი, შემკული ღვთისგან მომადლებული უზადო, ვაჟკაცური, დახვეწილი გარეგნობით, დაჯილდოებული ულამაზესი, შესანიშნავი ხმით, ბოზოქარი ტემპერამენტით, ფართო დიაპაზონით... იგი მაცურებლის გულს პირველი დანახვისთანავე იპყრობდა... ამიტომ არ იყო ვაკვირი, რომ ქართული თეატრისა და კინოს ბრწყინვალე თანავარსკვლავედში მისი ვარსკვლავი თავიდანვე აკიაფდა.

ჯერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში შესანიშნავად ითამაშა ფილიპე (დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, რეჟ. აკაკი დვალისვილი); ივანე ლომოვი (ანტონ ჩეხოვის „ხელის თხოვნა“) და სხვ. რუსთავის სახელმწიფო თეატრში ბრწყინვალედ განასახიერა სირანო (ედუარდ როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი“, რეჟ გიგა ლორთქიფანიძე); მეფე ნიკოლოზ პირველი (ვადიმ კოროსტილევის „ასი წლის შემდეგ“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე); ლიონა (ნოდარ დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“, რეჟ გიგა ლორთქიფანიძე); დონ კიხოტი (ნელი ვასურდანი, ჯ.დერიონი „ლამანჩელი“, სერვანტესი „დონ კიხოტი“, რეჟ-ბი გია ანთაძე და ნუგზარ გაჩავა); ფიროსმანი (ვადიმ კოროსტილევის „მარტოობის დღესასწაული“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე).

მსახიობის მთელი შემდგომი შემოქმედებითი გამარჯვებები, აღიარება დაკავშირებულია მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრთან.

რამდენი საინტერესო ადამიანის ცხოვრებით იცხოვრა, რამდენი განიცადა, რამდენი სიხარული, ემოცია, ცრემლი მოგვგვარა...

მაცურებელს მუდამ ემასხორება და ეყვარება დიდი მსახიობის მიერ ბრწყინვალედ გამოძერწილი გმირები: გრაფი ბევერლი (ფრიდრიხ შილერის „მარიამ სტიუარტი“, რეჟ ვახტანგ ტაბლიაშვილი); ნაპოლეონ ჭინჭილიშვილი (კიტა ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“, რეჟ თენგიზ კანდინაშვილი), ჩონთა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“, რეჟ. არჩილ ჩხარტიშვილი); ლორდი ლეველი (უილიამ შექსპირის „რიჩარდ მესამე“, რეჟ. ვასო ყუშიტაშვილი); სატინი (მაქსიმ გორკის „ფსკერზე“, რეჟ. ლილი

იოსელიანი); ბენედიქტი (უილიამ შექსპირის „აურზაური არაფრის გამო“, რეჟ. ლილი იოსელიანი); ფიროსმანი (ვადიმ კოროსტილევის „მარტოობის დღესასწაული“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე); ოიდიპოსი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, რეჟ. გ. ლორთქიფანიძე, თამაზ მესხი); ანტონიუსი (უილიამ შექსპირის „ანტონიუსი და კლეოპატრა“, რეჟ. ჰილარი ვუდი – ინგლისი); ვარვიკი (ჟან ანუის „ჟანა დარკი“, რეჟ. ლევან მირცხულავა); მეფე გიორგი XII (ჯაბა იოსელიანი „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი“, რეჟ. მედეა კუჭუხიძე); უჯუმ ემხა (ლეო ქიანელის „ჰაკი აძბა“, რეჟ. თემურ ჩხეიძე); ლეო (ლალი როსებას „პროვინციული ამბავი“, რეჟ. მედეა კუჭუხიძე); ოტელო (უილიამ შექსპირის „ოტელო“, რეჟ. თემურ ჩხეიძე); მეფე ლირი (უილიამ შექსპირის „მეფე ლირი“, რეჟ. დავით დოიაშვილი); ქადაგი (ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“, რეჟ. თემურ ჩხეიძე); კრეონი (ჟან ანუის „ანტიგონე“, რეჟ. თემურ ჩხეიძე); პილატე (მიხეილ ბულგაკოვის „პილატე“, რეჟ. თემურ ჩხეიძე)... ასევე აღფრთოვანება მოჰგვარა რუს მაცურებელს ოთარ მეღვინეთუხუცესის მიერ მოსკოვის სამხატვრო თეატრში განსახიერებულმა კრეონის როლმა.

ოთარ მეღვინეთუხუცესი უდიდესი ტრაგიკოსი მსახიობი იყო. საქართველოს ჰყავდა შესანიშნავი ტრაგიკოსი მსახიობები: იოსებ იმედაშვილი, ლადო მესხიშვილი, გიორგი დავითაშვილი, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარიაძე, რამაზ ჩხიკვაძე, ზინაიდა კვერენჩილაძე... მათ სამსახიობო ხელოვნების მწვერვალები დაიპყრეს... მაგრამ ოთარ მეღვინეთუხუცესმა, ფლობდა რა სამსახიობო ხელოვნების საოცრად ფართო, მრავალმხრივ დიაპაზონს, თავისი დიდების კვარცხლბეკი აღმართა. უამრავ ჯილდოსა და ნოდებასთან ერთად მან მიიღო აკაკი ხორავას სახელობის პრემიაც, რომელიც ძალიან ეამაყებოდა.

მარჯანიშვილისა და რუსთავის თეატრების დიდი გამარჯვებები და აღიარება უცხოეთში უშუალოდ იყო დაკავშირებული ოთარ მეღვინეთუხუცესის ელვარე ტალანტთან, მის მაღალ შემოქმედებასთან. გვახსოვს, თეატრის დასმა გლაზგოს ფესტივალზე „ოტელო“ წარმოადგინა, ხოლო ედინბურგის თეატრალურ ფესტივალზე — „მეფე ლირი“. ტრაგიკოსის მიერ ხორცშესხმულმა ოტელოსა და მეფე ლირის სახეებმა მოაჯადოვა უცხოელი მაცურებელი... ცნობილია, რომ სპექტაკლის შემდეგ მაცურებელი არ იმლებოდა, უნდოდათ ხელით შეხებოდნენ დიდ მსახიობს, ხელებს უკოცნიდნენ, მქუხარე აპლოდისმენტებს ხომ ბოლო არ უჩანდა...

ცნობილი თეატრმცოდნისა და კრიტიკოსის, ვასილ კიკნაძის შეფასებით, „ბ-ნი ოთარი იყო ქართული არტისტიკული გენის გამოვლინება; მან მთელი ეპოქა შექმნა. იყო რა მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული დიდი ტრაგიკოსი მსახიობი, შექმნა განუმეორებელი სახეები“. ვასილ კიკნაძემ გაიხსენა 1996 წ. — ქართული კულტურის დღეები მოსკოვში. მისი თქმით, „იქ შედგა ქართული კულტურის დიდგორი. ქართულმა კულტურამ და გამოჩინებულმა შემოქმედმა და ადამიანმა, ოთარ მეღვინეთუხუცესმა, დაიპყრეს მოსკოვი. დეკადა ჭეშმარიტ დღესასწაულად გადაიქცა“.

მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდა მის მიერ უმაღლესი ოსტატობით, ღრმა ფსიქოლოგიური განცდებით, დიდი შთაგონებით განსახიერებული ტრაგიკული როლები — ოტელო, ოიდიპოსი, მეფე ლირი, კრეონი; დრამატული სახეები — მარკუს ანტონიუსი, მეფე ნიკოლოზ პირველი, ფიროსმანი, ისიდორე; რომანტიკული — სირანო დე ბერჟერაკი; სახასიათო — ლეო და სხვ.

ახლა ეკრანული გმირები გავისხნოთ... მეღვინეთუხუცესის ხელოვნების მწვერვალი ქართული კინემატოგრაფში დათა თუთაშხია, ჭეშმარიტებისა და სიმართლის მაძიებელი ნამდვილი ქართველი რაინდი („დათა თუთაშხია“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე). გამოჩენილმა რეჟისორმა „დათა თუთაშხიას“ სახით შექმნა უბრწყინვალესი ეპოქალური ფილმი, რომელშიც ოთარ მეღვინეთუხუცესმა მთავარი გმირის არაჩვეულებრივი სახე გამოძერწა. ამ ფილმმა მთელ მსოფლიოში მოიპოვა გამარჯვება, პოპულარობა და გაითქვა სახელი. ბ-ნი გიგა ლორთქიფანიძე ბ-ნი ოთარს „კამკამა, მანათობელ ვარსკვლავად მოიხსენიებდა“. და-

თა თუთაშხიას შეუდარებელი როლისთვის ოთარ მეტვინეთუ-ხუცესს 1981 წ. საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ასევე დაუვინყარია დიდი შემოქმედის მიერ შექმნილი სხვა კინოგმირები: ჯამბულატი („ფატიმა“, რეჟ. სიკო დოლიძე); ბონდო („ერთი ცის ქვეშ“, რეჟ. ლანა ლოლობერიძე); გიგა ბეთანელი („კეთილი ადამიანები“, რეჟ. შოთა მანაგაძე); გაიოზ გადალენ-დია („ტარიელ გოლუა“, რეჟ. ლევან ხოტივაძე); მეფე გიორგი I („დიდოსტატის მარჯვენა“, რეჟ. ვახტანგ ტაბლიაშვილი); არზაყანი („მთვარის მოტაცება“, რეჟ. თამაზ მელიკა); ვახტანგი („მზე შემოდგომისა“, რეჟ. თემურ ფალავანდიშვილი); ელიოზი („ნატვრის ხე“, რეჟ. თენგიზ აბულაძე); ფიროსმანი („გაგიმარ-ჯოთ ყველას“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე); ისიდორე („თეთრი ბაირალები“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე); მოტლი („განვედ ჩემ-გან“, რეჟ. დ. ასტრახანი)... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?! განა შეგვიძლია ამ როლებში სხვა მსახიობი წარმოვიდგინოთ? — არა და არა! დათა თუთაშხია, არზაყან ზვამბაია, ელიოზი, ისი-დორე, ბონდო — თითქოს ნანარმოებებიდან გადმოსული სახე-ებია, ისტორიული მეფე გიორგი I-ც ხომ სწორედ ოთარ მეღვინეთუხუცესის მიერ განსახიერებული გმირის სახით გვყავს წარმოდგენილი?! ასევე სხვა პერსონაჟთა შემთხვევაშიც.


როგორც აღვნიშნეთ, პროფესიული მოღვაწეობის ექვსი ათეული წლის განმავლობაში ბ-ნმა ოთარმა არაერთი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კინოსა და თეატრში, თუმცა საერთაშორისო მასშტაბის აღიარება მსახიობს დათა თუთაშხიამ მოუტანა. ის იყო მისი არაჩვეულებრივი როლი, განგებამ უხვად დაჯილდოვა მსახიობი და მან სრულად გამოიყენა ღვთათ ბოძებული ნიჭი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მის მიერ ბრწყინვალედ შესრუ-ლებულმა ელიოზის ეპიზოდურმა როლმა კინოფილმში „ნატვრის ხე“, ძალიან შეუწყო ხელი ფილმის წარმატებას. „ნატვრის ხე“ არაერთი ჯილდო მოიპოვა საფრანგეთში, ირანსა თუ იტალიაში.

დიდი ქართველი მსახიობის გარდაცვალებას ღრმა მწუხარებით გამოეხმაურნენ რუსი ხელოვანები — ალექსანდრე კა-ლიაგინი, ნიკიტა მიხალკოვი, ოლეგ ტაბაკოვი, ოლეგ ბასილაშ-ვილი, ალისა ფრენდლიხი და სხვ. სამიძმრის დეკემბერში ისინი ოთარ მეღვინეთუხუცესს „თეატრის რაინდს, იმეათი სულის ადამიანს, უნიკალური ტალანტის მქონე მსახიობს, ჭეშმარი-ტად სახალხო მსახიობს“ უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ „მას ჰქონდა ღრმა ემოციები, ბოპოქარი ტემპერამენტი, თავისი შე-მოქმედებით მან თავისი ნათელი და ლამაზი სვეტი აღმართა!“

სასიქადულო მსახიობი აღტაცებული იყო თეატრის წარმა-ტებებითა და გამარჯვებებით. ის იყო ჩვენი ქვეყნის დიდი პატ-რიოტი, გამორჩეული, სპეტაკი მოქალაქე, სამაგალითო მეუღ-ლე, მამა, ბაბუა... გამოსათხოვარ საღამოზე მისმა კოლეგებმა აღნიშნეს, რომ ბატონი ოთარი მაღალზნეობრივი პიროვნება იყო. ხელოვან კაცს მთელი სიცოცხლის განმავლობაში დიდი სიყვარული უყვარდა ერთადერთი ქალი, თავისი ცხოვრების თანამგზავრი, შესანიშნავი მსახიობი და არაჩვეულებრივი ქალ-ბატონი გურანდა გაბუნია. მათ ჰქონდათ შესანიშნავი ოჯახი. ბ-ნ ოთარს ახარებდა მეუღლის შემოქმედებითი წარმატებები სპექტაკლებში და ზოგჯერ თურმე სიხარულისგან კულისებში ტიროდა კიდევც... მთელი ცხოვრება ღირსეულად იცხოვრა... ბრძენიც იყო და მიაბიტიც, მოკრძალებულიც და დელიკატურ-იც... მასთან ურთიერთობა ბედნიერება იყო... ეს ბოპოქარი ადამიანი გადასალებ მოედანზე გახლდათ საოცრად უშუალო, მორჩილი, დამჯერი, გულისხმიერი პარტნიორთა მიმართ... ის იყო ბოლო ტრაგიკოსი ქართული თეატრის და კინოს ეპოქისა. ამქვეყნიდან მის წასვლასთან ერთად თითქოს დაიხურა გმირის თეატრი, მაყურებელს კი აქვს გმირის მოთხოვნილება...

თეატრის საერთაშორისო დღეს — 27 მარტს — ოთარ მეღვინეთუხუცესს ხელოვნების სასახლის „უკვდავთა თა-ლის“ კედელზე ხელის ანაბეჭდი გაუხსნეს (ჩვენი სახელოვანი პაატა ბურჭულაძისა და ელდარ შენგელაიას ხელის ანაბეჭდ-თა გვერდით).



ოთარ მეღვინეთუხუცესი

სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად მოღვაწეობდა მარჯა-ნიშვილის თეატრში, დაკავებული იყო სამ სპექტაკლში. უკა-ნასკნელი როლი ითამაშა კანადელი დრამატურგის, ჯონ მარე-ლის ლირიკულ კომედიაში „მეზუარები“, და რა სიმბოლურია, რომ ამ სპექტაკლში პარტნიორობას უწევდა თავის მეუღლეს — გურანდა გაბუნიას, ვინც ამ სპექტაკლში მსოფლიოში ყვე-ლაზე სახელგანთქმული, უდიდესი დრამატული მსახიობის — სარა ბერნარის პერსონაჟს ასახიერებდა, იმ სარა ბერნარისა, რომლის წინაშეც მუხლს იყრდა თავი დიდი ვიქტორ ჰიუგოც.

მსურს გადავშალო მოგონებათა ნიგნის ერთი დაუვინყარი და ლამაზი ფურცელი... 1984 წელი... საახალწლო შეხვედრა ფი-ნანსთა სამინისტროში... საპატიო სტუმრებად მოწვეულნი არი-ან ჩვენი საყვარელი მსახიობები — ოთარ მეღვინეთუხუცესი, მედეა ჩახავა, ტარიელ საყვარელიძე, ზურაბ ქაფიანიძე, გივი ბერიკაშვილი და ნანი ჩიქვინიძე. ვისამოვინეთ მათთან სიახლო-ვით, უშუალო ურთიერთობით... რა განუმეორებელი ხიბლითა და დიდებულებით გამოირჩეოდა ბ-ნი ოთარი... სამახსოვრო ფოტოებიც გადავიღეთ და, როგორც გალაკტიონი იტყვოდა, „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, ის ფოტოსურათები, ვით ძვირფასი რელიკვია, სათუთად ინახება ჩემს პირად არქივში.

... რატომღაც გვეგონა, რომ ოთარ მეღვინეთუხუცესს ვე-რაფერი მოერეოდა... ვინ იცის, რამდენი ბედნიერი საათი, ბედ-ნიერი წუთები უჩუქებია თავისი პერსონაჟებით, თავისი მაღა-ლი შემოქმედებით, შეუდარებელი პროფესიონალიზმით... თა-ვისი გმირების მსგავსად, იყო ძლიერი პიროვნება, სიკვდილსაც მედგრად დაუხვდა, სარეცელს არ მიფაჭვია, ფეხზე გარდაიცი-ვალა, ისევე, როგორც ვერიკო ანჯაფარიძის გმირი, ბებია ეუხენია კასონას პიესაში „ხეივანზე ზეზურად კვდებიან“.

2013 წლის 12 მაისს მაყურებელს არ ეთმობოდა საყვარელი შემოქმედი... დავვიანებთ, მხურვალე აპლოდისმენტებით გა-მოსვენეს მშობლიური მარჯანიშვილის თეატრიდან, რომლის სცენასაც 50 წელზე მეტხანს ამშვენებდა. სრულიად საქართვე-ლო იყო ჭირისუფალი... მაღლიერმა საზოგადოებამ ფეხით მი-აცილა ძვირფასი ადამიანის ცხედარი დიდუბის პანთეონამდე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბატონი ბიძინა ივანიშ-ვილი გულისტკივილით წერდა: „კიდევ ერთ დიდი კაცი გამოგ-ვაკლდა. ვუერთდები ქართველი ხალხის მწუხარებას. ძლიერი და ღირსეული, ვაჟკაცური და რომანტიკული — ასეთი იყო ოთარ მეღვინეთუხუცესი და მისი გმირებიც მას ჰგავდნენ“.

ბატონო ოთარ! მხურვალე მაღლობა დედამიწაზე თქვენი ლამაზი არსებობისათვის, უმაღლესი ოსტატობით აღბეჭდი-ლი შემოქმედებისათვის, კაცურკაცობისათვის, დაუვინყარი სახეების შექმნისათვის, უზარმაზარი სიხარულის, სიტბოს, სიყვარულის მონიჭებისათვის!

იყავით იქ, სადაც მართალნი განისვენებენ!

ნინო დეკანოიძე

# ლექსები მთვარის შუქს

(კვირული „ინტელექტი“)

პოეზიის მოყვარულთათვის საგულისხმო გამოცემისა და განმაურებული პროექტის „100 ლექსი“ გასრულებას მიეძღვნა კვირეული, სასიამოვნო საღამოებად რომ ჩამოიფურცლა 10-დან 14 ნოემბრის ჩათვლით, გამომცემლობა „ინტელექტი“ ჭერქვეშ.



გენო კალანდია, კახმეგ კუდავა და ჯამლეთ ხუხაშვილი

ხუთი თანაბარი, თანაც განსხვავებული ღონისძიება; თანაბარი — ლექსის მოტრფიალე აუდიტორიით, განსხვავებული — სხვადასხვა პოეტური კრებულებით. ამგვარი პარმონიულობით კვალნაშუღელი დარჩება, მოზაიკური სიტყვით გაჩაზჩახებული თითოეული საღამო კვირეულის მონაწილეთათვის.

არაფერი შეურჩევიათ საგანგებოდ. გათვალისწინდა მხოლოდ ის, რომ ამ ხუთი პოეტის „100 ლექსის“ კრებულების პრეზენტაცია ჯერ არსად გამართულა.

თავის დასაზღვევად, თუმცა უფრო საღალბოდ ითქვა: ჩვენ ვნომრავთ წიგნებს და პოეტებს არა; რომ ყოველი კრებულის ყუაზე აღბეჭდილი ნომერი მხოლოდ და მხოლოდ გამოსაცემად მომზადების რიგითობის მაჩვენებელია.

თავკაცობდა კვირეულს გამომცემლობის დამფუძნებელი და პროექტის ავტორი **კახმეგ კუდავა**.

პირველივე საღამოს გასწინსთანვე მან ხაზგასმული სინანულითა და მობოდიშებით განაცხადა: რომ აღნიშნულმა სერიამ ვერ მოითავსა ყველა მოსურვილე ავტორი და შესაბამისად „100 ლექსის“ მიღმა დარჩა მრავალი კარგი პოეტი, ამ გამოცემას რომ დაამშვენებდა... დამაიმედებლად კი დასძინდა, რომ განსაზღვრული აქვთ პოეტური კრებულების სხვადასხვანაირად შედგენა, სადაც ამ უნებური დანაკლისის ანაზღაურებასაც შეეცდებიან.

კვირეულის პირველი ფურცელი **ჯემალ აჯიაშვილის** „100 ლექსის“ წარდგინებით შეივსო და რასაკვირველია, გახ-

ლდათ ნაღვლიანიც — ჩინებული პოეტისა და ღირსეული კაცის მოულოდნელი მოსაკლისებით გამოწვეული.

კახმეგ კუდავამ უპირველესად ჯემალ აჯიაშვილთან მეგობრობა გაიხსენა — თბილი, გულითადი, უბრალოებით გამორჩეული.

— არ მახსოვს ერთმანეთს შევხვედროდით და მეგრულად არ გვესაუბრა. ბოლოს და ბოლოს ამას მშობლიური კუთხის მონატრება გვეკარნახობდა. არადა თბილისში ეხამუშებით ხოლმე მეგრულის გაგონება, სულ სხვა სარჩულს გამოუკერავენ. მაგრამ ჯემალი ამას ანგარიშს არ უწევდა... მან შეინარჩუნა ყმანვილკაცობისა და სტუდენტობისდროინდელი სისადავე და უშუალობა. მერე და მერე ამა თუ იმ რეგალიებსა და ცხოვრებისეულ წარმატებებს მისი ხასიათი არ შეუცვლია.

რაც შეეხება ამ პროექტით მისი პოეზიის გამოცემას — დასძინა სიტყვით გამომსვლელმა: ყოველი შეხვედრისას ვაჩქარებდი, ლექსები მოეწოდებინა, ისიც მპირდებოდა და მიმირდებოდა. ბოლოს ერთ-ერთ პრეზენტაციაზე შევხვდი, დაგვიანებით მოსულს. კვლავ დანაპირები შევახსენე. იმან კი მონმენდილ ცაზე მეხისგავარდნასავით ამბავი უჩვეულო სიმშვიდით გამიგებინა: — კლინიკიდან მოვდივარ, ჩემი სისხლის ანალიზმა აჩვენა, ერთი თვის მერე აღარ ვიქნები. რაც მაშინ მე დამემართა, მწერლური ნიჭი უნდა გამოსახატავად. ჩემზე უკეთ იცით ალბათ, სიკვდილს როგორ ხვდებიან ადამიანები...

...როცა ჯემალს ვიხსენებ, გულში სითბოს ვგრძნობ, — სევდიანად თქვა კახმეგ კუდავამ და ისიც აღნიშნა, პოეტის „100 ლექსი“ ავტორის გარეშე როგორ შეირჩა და წიგნად მომზადდა ძალიან მალე, ივანე ამირხანაშვილის პროფესიული გულმოდგინებით. და ვიდრე კრებულის შემდგენელს შეასახელებს სიტყვით გამოსვლას, მოგონებებისთვის ჩინებულ პოეტს გენო კალანდიასა და პოპულარულ სპორტულ კომენტატორს ჯამლეთ ხუხაშვილს მიიწვევს სასაუბროდ.

რასაკვირველია, **გენო კალანდია** გულიანად და აღფრთოვანებით ილაპარაკა ჯემალ აჯიაშვილზე. მისი პოეზია ერთ-ერთ ნათელ სვეტად მონიშნა ქართულ ლიტერატურაში. ისაუბრა მის მთარგმნელობით მოღვაწეობაზე და ივანე მაჩაბლის სკოლის ტრადიციის მიმდევრად აღიარა, ხაზგასმულად მიუთითა წვლილზე, ჯემალ აჯიაშვილს ქართულ-ებრაული მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებაში რომ მიუძღვის.

ხალისიანი ეპიზოდების გახსენებამაც დაამშვენა ის საღამო. გენო კალანდია მოჰყვა პარლამენტარობის წლებზე: — როცა ერთმანეთის გვერდით უნდა ვმსხდარიყავით დარბაზში, ამ დროს ჯემალი ან საჯარო ბიბლიოთეკაში იჯდა, ან შინ გამოიკეტებოდა და მუშაობდა ლექსებსა ან თარგმანებზეო. სამაგიეროდ, თავის სავარძელზე ყოველთვის ტოვებდა ჩანთას საგანგებოდ... — და რაც ბევრჯერ გამხდარა აუცილებლად დასანახავი სპიკერ გოგუაძისათვის: — ა ბატონო, აქაა ჩანთა და თვითონაც აქვე უნდა იყოს სადმე გასული, — მოუჭრიდა პასუხს პარლამენტის წევრის კანონიერ მომკითხავს.

მიუტანდა რა დღის ბოლოს „ზალოგს“ ყასიდადაც წაეკიდებოდა მეგობარს: — რას შემატოვებ ხოლმე ამ ჩანთას და მიდიხარ, თანაც რომ ტყუილსაც მათქმევინებო...

**ჯამლეთ ხუხაშვილმა** გაიხსენა ისრაელის ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობისას, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფი ჯემალ აჯიაშვილი როგორ თავშეკავებულად, სტოიკურად უმკლავდებოდა განსაცდელს და ამას არ აგრძნობინებდა ქართველ მეგობრებს, თბილისიდან დროდადრო რომ ელაპარაკებოდნენ გასამხსენებლად. — ჩვენს ოფისში სატელეფონო საუბრებისთვის შტაბიცი კი გვექონდა, რათა ყოველი მონატრებულისათვის სიყვარულით ხმა მიეწვდინაო.

ჯამლეთ ხუხაშვილმა სიამოვნებითა და მადლიერებით აღნიშნა: ჩვენი წიაღიდან ამოსული კაცია ასე შეიყვარა საქართველომ... მჯერა, რომ მისი „100 ლექსი“ მრავალთათვის სამაგიდო წიგნად დარჩებაო.

გამეორა ისიც, რომ შარშან რუსთაველის თეატრში გამართულ გრანდიოზულ ხსოვნის საღამოზე ჯემალ აჯიაშვილს საუკუნის ქართველი ებრაელი ეწოდა.

**ივანე ამირხანაშვილი:** ჩემთვის დიდი პატივი იყო ჯემალის ლექსებზე მუშაობა... და რასაკვირველია, არ ყოფილა ადვილი. საუკეთესოთა შორის ამოსარჩევი იყო უკეთესი. ძვირფასი და დასამახსოვრებელი გახლდათ მისი საუბრები. საავადმყოფოდან მირეკავდა ხშირად და სულ იმას მიმეორებდა, საქართველოსთანა კაი ქვეყანა და თბილისისნაირი ქალაქი არსად არ არის და გაუფრთხილდითო.

...ჩვენი თაობისთვის, 70-იანელი სტუდენტებისათვის განსაკუთრებული მოვლენა იყო ჯემალ აჯიაშვილის წიგნი — „შუა საუკუნეების ებრაული პოეზია“. იმ დროს ასეთი მსუბუქი ფრაზა თარგმანში კი არა, ორიგინალურ ქართულ პოეზიაშიც არ ჩანდა.

...ის იყო ძალიან უბრალო და ძალიან დიდი.

**ანდრო ბუაჩიძე** ის წლები გაიხსენა, როცა უნივერსიტეტ-ტახლადამთავრებულმა მუშაობა ჟურნალ „საუნჯეში“ დაიწყო.

— დადიანის ქუჩაზე, იმავე შენობაში მთარგმნელობითი კოლეჯი იყო განთავსებული, სადაც **ოთარ ნოდია** მალა-ლი რანგის მთარგმნელები — **თამაზ ჩხენკელი, გიორგი ნიშნიანიძე, დავით წერეთლი** — ქართული სიტყვის ვირტუოზები ერთად შეჰყარა. მათ შორის ჯემალ აჯიაშვილი, რომელმაც ქართული ენის სრულიად ახალი პლასტი ამოზიდა და გაშალაო.

მართლაც მსოფლიო მნიშვნელობის პიროვნება და შემოქმედი იყო — დასძინა რა ანდრო ბუაჩიძემ, ისიც დააზუსტა, პარლამენტის დარბაზში ჩანთის „მძევლად“ დატოვება იმთავითვე ნაცადი ხერხი რომ ყოფილა ჯემალ აჯიაშვილისთვის და მთარგმნელობით კოლეჯიშიც, სამუშაო მაგიდაზე პატრონის იქვე მყოფობის მოსაჩვენებლად ჩანთა ყოფილა ხოლმე ბევრჯერ შემოდებული...

დიდი სიყვარულით იყო გამთბარი **მიხეილ კოპალეიშვილის** მოსაგონარი სიტყვაც. მან ისაუბრა ახალბედა მთარგმნელის პირველ წარმატებებზე; პირველ ნიმუშებზე სტუდენტობისას... როცა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის აღფრთოვანებულ პედაგოგს ორიენტალისტ **დავით კობიძეს** მთელი კურსის წინაშე ხმამაღლა განუცხადებია ჯემალ აჯიაშვილის სანაქებო: აქ დასრულებული პოეტი გვეყოლიაო.

ლონისძიების დასასრულს კი მეტაფორულად გახშიანდა, რომ ჯემალ აჯიაშვილმა საქართველოში დაგვიტოვა „უზარმაზარი ჩანთა“ — სავსე სიყვარულითა და შემოქმედებითი საგანძურით.

კვირულის II საღამო საზეიმო მწვერვალზე აიზიდა **მარიამ ნიკლაურის** „100 ლექსით“. კრებული შეადგინა **ნინო სადღობელაშვილმა**.

დარბაზი გადავსებული იყო პოეტის ფანებით — განურჩევლად ასაკისა და სქესისა. სიყვარულის ამნაირი დადასტურებით მართლაც უნდა დარჩენილიყო მადლიერი და გახარებული მარიამ ნიკლაური; და ეს არც დაუფარავს... ყალბი თავმდაბლობის გარეშე კარგა ხანია წარმოაჩინა მან თავისი ნიჭი და გონიერება, აგრეთვე უნარი, რომ შესწევს ძალა უპატრონოს საკუთარ შემოქმედებას და ჩრდილში მდგომ ხელოვანთა გამომზეურებაზეც არანაკლებ იზრუნოს.

მარიამ ნიკლაურის „100 ლექსის“ პრეზენტაციაც კახმეგ კუდავამ გახსნა, თანაც იმდღევანდელი ინფორმაცია გაახმაურა სიხარულით: რომ პირველი არხის პროექტით გამართულ კონკურსზე — ჩემი საყვარელი წიგნი — გაიმარჯვა **„ინტელექტში“** გამოცემულმა **ირაკლი ჩარკვიანის „მშვიდმა ცურვამ“**.

შესავალი სიტყვის წარმოთქმიდან მალევე ორგანიზატორმა ლონისძიების წარმართვა დიდსულოვნად მიანდო მარიამ

ნიკლაურს, რომელმაც, შემოუსაზღვრელი დროით, გამორჩეული პოეტური ხმით ჯერ ნაიკითხა წინასწარ მონიშნული ლექსები ახალი კრებულიდან, მერე ჟურნალ „არილის“ თავისი ბოლო პუბლიკაციაზე გააცნო აუდიტორიას და მათივე თხოვნით ის ცნობილი პოეტური ნიმუშებიც გააჟღერა, ზეპირადაც რომ დაუსწავლიათ თავყვანისმცემლებს. გახანგრძლივებულად ლექსის კითხვა, თანაც მხოლოდ ავტორის დეკლამატორობით მსმენელს სულ უნდოდა ხანგრძლივად გაეგონა...

მარიამ ნიკლაურის პოეზიაზე საუბარი სასიამოვნო მოვალეობად მიიჩნიეს ნონა კუპრეიშვილმა, გია მურღულიამ, ჯარჯი ფხოველმა, გიორგი კაკაბაძემ, ტარიელ ნამორაძემ, მზია ხეთაგურმა.

**ნონა კუპრეიშვილი:** ძალიან ზუსტად, ძალიან ლაკონურად უნდა ილაპარაკო მარიამის ლექსებზე. მისნაირი პოეტები არიან ჩვენი მთვლემარე ემოციებისა და გრძნობების გამახალგაზრდავებელი.



თამარ ლონდარიძე

აღმატებულად დაახსიათა რა მისი პოეტური სიტყვა, დასძინა, გასაოცარი სიფაქიზით გრძნობს ენის მუსიკასო...

საუბრის დასაწყისში ნაცადი სენტენცია მოიშველია რა **გია მურღულიამ**, „ჩვენი სიყვარულის პოეტი“ უწოდა მარიამ ნიკლაურს, შეუქო ლექსის რიტმი და რითმა.

გონიერება, გემოვნება, სიყვარული და რწმენა — აი თხზი აგური, რითაც გამოირჩევა და მკითხველსაც აღაფრთოვანებს მისი ლექსებით.

**ჯარჯი ფხოველმა** მიიჩნია, რომ მარიამის ეს ახალი კრებული გამოზოგვითაა წასაკითხავი. ზუსტად ისე, როგორც ახლახან დაუსრულებია მისთვის დიდებული წიგნი **ვაჟა-ფშაველაზე** — **როსტომ ჩხეიძის „დევების სტუმარი“**. მან გულითადი აღფრთოვანებით მოიხსენია ქართული პოეზიის კლასიკოსზე შექმნილი ბიოგრაფიული რომანი და მისი ავტორი.

მარიამ ნიკლაურის ლექსები კი მეტაპოეზიად მონათლა და უწინამძღვრა ავტორს მეტაპოეტების სრულყოფილებიანი წევრობა.

**გიორგი კაკაბაძისათვის** გასაოცრად მოულოდნელი აღმოჩნდა მარიამ ნიკლაურის, როგორც პოეტის გარდასახვა. და ეს საჩინო გამხდარა „არილის“ ბოლო პუბლიკაციისა და მისი „100 ლექსის“ ურთიერთმედარების გზით. იგი, როგორც მკითხველი, მოუხიბლავს პოეტის ეგზისტენციურ ხედვას, რელიგიურ სიღრმეებში ფილოსოფიურ წვდომას ანუ ძალიან რთული შეკითხვებისადმი პასუხის გაცემას...





„100 ლექსის“ გამოცემა გულითადი სიტყვებით მიულოცა პოეტს ექიმმა და მწერალმა ტარიელ ნამორაძემ.

ჩვეული მახვილსიტყვაობითა და პირდაპირობით მზია ხეთაგურმა ნამლეკავ ნიაღვარად მიიჩნია იმ ლექსების უმრავლესობა, ლიტერატურულ საიტებს რომ მოერგო და იბეჭდება კიდევ ნახალისებით; სახელდებით კი არავინ მიუთითებია.

რასაკვირველია, მარიამ ნიკლაურს მიულოცა კიდევ ერთი წარმატებული დღე და საკუთარი ლექსი „პოეტი“ გააჟღერა... აღფრთოვანებული პუბლიკის ოვაციამაც აღარ დააყოვნა.

კვირეულის მესამე ფურცელი ვაჟა ხორნაულის „100 ლექსი“ წარდგინებას დაეთმო. მიპატიჟებულთაგან ბევრს გულდასაწყვეტად დაურჩა წინა შეხვედრების უნებური გამოტოვება. კახმეგ კუდავამ თავმონონება შეაფერა იუმორით: რა გეგონათ, აქ მოსახვედრად ხალხმა წინდანი იზრუნა აბონიმენტებისთვისო...

მარიამ ნიკლაურმა, ვინც ამ სერიით გამოცემული ლექსების წინასიტყვა დაწერა (კრებული შეადგინა ავტორმა) ვაჟა ხორნაულს გადარჩენილი პოეტი უწოდა:

შესაშურად აქვს გამორიდებული ყოფის აურზაურიდან თავისი შემოქმედებითი გარემო. ნათქვამი უფრო დააზუსტა: ტექნოლოგიებით შემოღი ყოველდღიურობაში, ქაოსსა და აურზაურში, შორეული ზანზალაკივით ისმინება გასხივოსნებული მისი პოეტური ხმაო; ვაჟა ხორნაულის მინიმალისტურ ლექსებზეც ისაუბრა და ინატრა, სხვადასხვა მომცრო კრებულებში მიმოხეული ქართული პოეზიის ეს სამკაულები „100 ლექსის“ დარად, ერთ ნიგნად რომ იხილოს გამოცემული.

ახალი წიგნი მიულოცეს რა, ვაჟა ხორნაულს შემოქმედება გულითადი ეპითეტებით შეუმკეს — მიხეილ ლანიშაშვილმა, გიორგი ალავერდაშვილმა, მანანა ბრაჭულმა, მზისო ნავროზაშვილმა, მაია მიქაიამ, გივი ჩიღვინაძემ და ეთერ მათურელმა.

ვაჟა ხორნაულის მეუღლემ რუსუდან ბერეკაშვილმა ქართული ენისა და ლიტერატურის სამაგალითო პედაგოგმა და როგორც იქვე გაამხილეს, არცთუ დასაწუნმა პოეტმა, მადლობა მოახსენა ორგანიზატორებსა და დამსწრე საზოგადოებას გულითადობისთვის, ერთსულოვნებისათვის და წაიკითხა ლექსები ვაჟა ხორნაულის ადრინდელი პოეტური კრებულებიდან. განსაკუთრებულად ჟრუანტელისმომგვრელი აღმოჩნდა მოსასმენად 2008 წელს, ომის დღეებში ჯარისკაცი შვილისადმი მიძღვნილი ლექსი „მამის ლოცვა ზეზვას“.

კვირეულის IV საღამო მიხეილ ქვლივიძეს მიეძღვნა — გამორჩეულ პოეტს, ეპოქის კოლორიტად წოდებულს. მისი

„ასი ლექსი“ შეადგინა მეუღლემ, მედეა შალამბერიძემ. წინასიტყვა დაწერა ნუგზარ ზაზანაშვილმა და პირველი სიტყვაც მას ერგო; როგორც ბრენდი, ასე შეაფასა მან ზოგადად სერია — 100 პოეტის „100 ლექსი“ — და მიიჩნია, ნებისმიერი დროის გადაფასებას გაუძლებენ „ინტელექტის“ მიერ გამოცემული ეს წიგნებიო.

სიტყვით გამომსვლელმა მიხეილ ქვლივიძის დისიდენტური ლექსებიც გაიხსენა და აღნიშნა, თუ რაოდენ სახიფათო უნდა ყოფილიყო ავტორისათვის ამ ნიმუშების გახმაურება „საბჭოეთის დიად ეპოქაში“. სასიამოვნოდ მოჰყვა აგრეთვე ეპიზოდები მიხეილ ქვლივიძისა და მისი მამის, ირაკლი ზაზანაშვილის სამაგალითო მეგობრობაზე.

ორატორმა დაახასიათა რა პრესამოციანელებად წოდებული თაობა, ოთარ ჭილაძე, მუხრან მაჭავარიანი, მიხეილ ქვლივიძე და სხვები, მიანიშნა, მათ ნამდვილად შეძლეს მკითხველის გემოვნების ჩამოყალიბებო...

გულითადი მოგონებებით გაათბეს საღამო თემურ ჩალაბაშვილმა, ალექსანდრე დარჩიაშვილმა, ნინო სალუქვაძემ, დავით რობაქიძემ. თითოეულის მონაყოლი რომ შეიკრიბოს და ნოველებდაც აისხას, გულშიჩამწვდომი, დიდი ადამიანური სიკეთითა და სევდით აღბეჭდილი წიგნი გამოვა; წარმოჩნდება მიხეილ ქვლივიძის როგორც პოეტის, როგორც პიროვნების მომხიბლავი პორტრეტი.

საღამოზე ითქვა ისიც, რომ „ინტელექტი“ გამოსაცემად ამზადებს მიხეილ ქვლივიძის „ჩანაწერების“ კრებულს. რედაქტორმა, ახალგაზრდა ლიტერატორმა თამარ ლონდარიძემ მისი ასაკის შესაფერისი აღტაცებით ზოგადად ისაუბრა წიგნის შინაარსზე და, როგორც სიტყვის ფაქიზმა მოყვანილემ, თხრობისას, კრებულის სხვადასხვა ნიუანსზეც მიაქცევინა აუდიტორიას ყურადღება საგულისხმო წვდომით.

კვირეულის აკორდი აღმოჩნდა მეხუთე საღამო და მიეძღვნა თემურ ჩალაბაშვილის „100 ლექსის“ წარდგინებას. კრებული შეადგინა მისმა ვაჟმა ბეჟან ჩალაბაშვილმა, წინასიტყვა ლერი ალიმონაკს ეკუთვნის.

რასაკვირველია, აუდიტორიის თხოვნით, ჯერ პოეტმა გაახშირანა თავისი ლექსები.

ახალგაზრდა მომღერალთა გუნდმა — ილია კილაძე, დემეტრე ჭითანავა, ლევან სამხარაძე, თორნიკე დევრისაშვილი, დათო გორჩიაშვილი, გიორგი ლომსაძე — ქართული ხალხური სიმღერები დააგუგუნეს და ისედაც ომახიან საღამოს ეშხი შემატეს.

კომპოზიტორმა და მომღერალმა მიხეილ ზაქარიაშვილმა თითქმის ტოლი არ დაუდო ახალგაზრდებს, მსახიობმა თენგიო წულაიამ პოეტის ლექსი შთამბეჭდავად წაიკითხა.

თემურ ჩალაბაშვილის პოეზიაზე, აგრეთვე მის პიროვნულ თვისებებზე, როგორც სამაგალითოდ სანდო და უღალატო მეგობარზე ისაუბრეს: კახმეგ კუდავამ, დავით ჭელიძემ, დავით რობაქიძემ, თამარ შაიშმელაშვილმა. მშვენიერმა ქალბატონმა თამარ ლამპარაძემ იქვე, ცხელ კვალზე და ცხელ გულზე დაწერილი ერთსტროფიანი ლექსი ამჟურის ისარივით სტყორცნა თემურ ჩალაბაშვილს კაფიად და სამუდამო ერთგულებაც შეჰფიცა სახალხოდ...

...სხვაც ბევრი ითქვა სახალისოდ გასახსენებელი, ლამაზი და გულშიჩამწვდომი. და როგორც კვირეულის მასალის შემგროვებელს ძალიანაც გული მწყდება, გაგონილს რეპორტაჟის მიღმა რომ ვტოვებ.

ერთი სიტყვით, კვირეულმა გაამართლა და დაადასტურა, ლექსს თავყანისმცემლები და ვირტუალური სამყაროს ფანები გარეთაც ელოდებიან. და რასაკვირველია, ამგვარი მოლოდინი აუცილებლად გამოაჩენს ახალ-ახალ სახელებს და მიანიშნებს იმაზეც, რომ საქართველოში ლექსს „არ უწერია გადაშენება“.

სერგი ლომაძე

# გიორგი სააკაძე — მარადიული თემა

ბოლო ხანებში ქართულმა საზოგადოებამ ორი მნიშვნელოვანი წიგნი მიიღო ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საკამათო ფიგურის — გიორგი სააკაძის — შესახებ. ეს ნაშრომებია: ნიკო ხერკელაძის — „ცრემლში ნალესი ხმალი“, რომელიც უაღრესად დადებითად ასურათხატებს „დიდ მოურავად“ წოდებულ კაცს, და როსტომ ჩხეიძის — „სიმართლე გიორგი სააკაძეზე“, რომელიც კარდინალურად განსხვავებულ შეხედულებას გვთავაზობს. მიუხედავად ამისა, ორივე წიგნს იმდენი ლიტერატურული ძალა გააჩნია, რომ ერთიც და მეორეც, დიახ, მნიშვნელოვან სიტყვათმცოდნეობად მიმაჩნია.

ჩემი სტატიის თემა არაა შედარება ამ ორი წიგნისა, რადგანაც, თავიდანვე ვიტყვი, რომ სააკაძისადმი დადებითად ვარ განწყობილი, და ვერ გამოვდგები ამ შემთხვევაში ობიექტურ მსაჯულად, უბრალოდ, რადგანაც ნიკო ხერკელაძის ნაშრომს გამოვეხმაურე, არც ის მინდა, რომ მეორე წიგნზე არაფერი დავწერო.

ყველამ იცის, რომ ოთარ და როსტომ ჩხეიძეები, ისევე როგორც ბევრისგან, ჩემგანაც სუპერლიტერატორებად არიან მიჩნეულნი, ამიტომაც ვერავინ იტყვის, თითქოს რაიმე ირიბი ზრახვები მქონდა, როცა როსტომის წიგნის შესახებ ვწერდი. დიახ, ამ ხელოვანს (ხელოვან-ლიტერატორს) არაერთი შედეგური შეუქმნია, მაგრამ ვინც საქმეს აკეთებს, ხომ სწორედ იმას მოსდის უზუსტობანიც, და ასეთი ადგილებიც, რაღა თქმა უნდა, ისევე როსტომის უვრცეს სალიტერატურო სამყაროში, როგორც სხვა დიდ ხელოვანთა თვისებურ იმპერიებში. ეს ხომ კანონზომიერებაა, და აი, ახლაც სწორედ ასეთ კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე.

როსტომს ლიტერატურულად ბრწყინვალედ დაუწერია წიგნი (უძლიერესია თუნდაც პოლემიკური ეპიზოდები, რომელნიც ვრცლადაა წარმოდგენილი), მაგრამ, ჩემი აზრით, სწორედ მთავარია დარღვეული — მრუდეა ის ხერხემალი, რაზედაც აიგო როსტომისეული მსჯელობა, რომ: მოურავი ცრუგმირია, რენეგატი, მოღალატე: თითქმის — ორჯონიკიძე კი. და თუმცა მწერალი, თავისი რკინის ლოგიკით, ასეთი აბსურდის (და არამართო უზუსტობის) დამტკიცებასაც ახერხებს, და იმარჯვებს კიდევ, ეს მაინც ოდენ პიროსის გამარჯვებაა, რამეთუ აქ სიმართლეს სიტყვის ოსტატის სიძლიერე ფარავს.

ორჯონიკიძე?

და განა ორჯონიკიძემ საქართველოსთვის ზეანია ისეთი ბრძოლები, როგორებიცაა ტაშისკარი, მარტყოფი, მარაბდა, ქსანი — ეს ოთხი მარადიული მოვლენა ჩვენი ისტორიისა, რომელნიც თვით გენიალური დავითის ბრძოლებსაც კი და-

უმშვენებენ მხარს? ორჯონიკიძეს, წყვდიადის გარდა, ასეთი ნათელი მხარეც ჰქონდა?

მოდით, ორჯონიკიძესთან მოურავის პარალელი თავიდანვე გამოვრიცხოთ. აი, რაც შეეხება თვით სტალინთან პარალელს (რაზედაც არაერთხელ უკამათიათ), ეგ არ არის ჩემი სტატიის თემა, ან — ახლა მაგ საკითხს არ განვიხილავ; არც სააკაძისა და ლეგენდარული აქილევსის „გაერთიანებას“ გადავწვდები.

ორჯონიკიძეს ძნელად ეთქმის გაორებული პიროვნება. იგი ცალსახად უარყოფითი პერსონაა ისტორიისა, ხოლო როცა როსტომი ლაპარაკობს სააკაძის გაორებულ პიროვნებასა და მის უდიდეს ტრაგიკულობაზე, ეს მეტად საინტერესო განსჯითი სივრცეა.

დიახ, ქართლის მოურავი უაღრესად ტრაგიკული პიროვნებაა.

ხოლო როსტომი აქვე სვამს ასეთ საკითხს: არის კი იგი გმირი?



გიორგი სააკაძე (აკაკი ხორავა)

მე ამ საკითხს ასე შევცვლიდი: არის თუ არა დიდი მოურავი დიდი პიროვნება?

მამ მიყვებით ძველ მოვლენებს. სააკაძის მთავარ დანაშაულთა ჩამონათვალში ერთ-ერთი ისაა, რომ იგი აქეზებდა შაჰ-აბასს საქართველოს წინააღმდეგ და, ირანში გადახვენილი (ჩვენვე რომ გავაძევეთ აქედან საშინლად შეურაცხყოფილი და სასიკვდილოდ გამეტებული ოჯახიანად!), უცხოელთა ჯარს შემოუძღვა აქ.

აბა ახლა კარგად გავაანალიზოთ ერთი ეპიზოდი არაქელ დავრიჟცის ცნობისა, იმ ცნობისა, რომელიც თვითონ როსტომმა შემოგვთავაზა თავის წიგნში: „შაჰმა ჰკითხა მოურავს: „აი უკვე განვლო დიდმა დრომ, როდისღა ნავიყვან საქართველოში?“

ჰმ, როცა ეს ფრაზა წავიკითხე, გიორგის საბრალო ბედზე კიდევ ერთხელ მწარედ გამეცინა. ესეც შენი ნაქეზება! ერთი შეხედვით, თურმე როგორ წნეხში ყოფილა, როგორ აიძულებდა მრისხანე მბრძანებელი მისთვის უმძიმეს ამ საქმეს, ეს კი როგორ ცდილობდა, ასე ვთქვათ, დროის მოპარვას! ცოტა კიდევ მოითმინეო, — პასუხობს აბასს — ცოტაცო, ჯერ დრო არ არისო! და რითი ხსნის ამ თავგანწირულ ვედრებას დავრიჟცი? — მოურავი ზამთრის დადგომას უცდიდა, რადგანაც მაგ დროისთვის ქართველთა ქვეყანას უფრო გააცამტვერებდა თავდასხმა; ხალხი სიცივეში, მთა-კლდეებს შეფარებულ მიუვალ ადგილებში თუ გამოქვაბულებში ვედარ გაიხიზნებოდაო. ვფიქრობ, დავრიჟცს ერთი გარემოება გამოორჩა მხედველობიდან: სპარსელნი სიცხეს მიჩვეული ხალხი უფროა, ვიდრე სიცივეს. თქვენ წარმოიდგინეთ, მათ ჩვენზე (ქართველებზე) მეტადაც კი უყვართ მზიანი ამინდები. მზე, სიცხე სტიქიაა, გახელდება სპარსელთა, და ზამთარში, სუსხში, მათ არ უხარიათ ბრძოლა, — სურვილი ამ დროს ნაკლებია ომისა, რამეთუ სუსტდება გახელება, ანთება ირანული. აი, ეს იცის გიორგიმ, და რადგანაც მიმხვდარა, რომ გარდაუვალია საქართველოზე გალაშქრება, თანაც ამ საქმეს ვერც თავს აარიდებს (შაჰი მას ყოველთვის რჩეულ სარდლად მიიჩნევდა, თანაც, რაღა თქმა უნდა, აღმოსავლეთ საქართველოს კარგ მცოდნედ, რომელმაც ჩვენი ქვეყნის სიძ-

ლიერებთან ერთად სისუსტეებიც (იცოდა), თან დრო გაყავს შეძლებისდაგვარად, თანაც ზამთარს ირჩევს: დიდ დროში უკეთ მოემზადება ქართველობა მტრის დასახვედრად, ხოლო ზამთარში სპარსს ომი გაუჭირდება.

მაგრამ...

მაგრამ საქართველოში მაშინ არ იყო დიდი პოლიტიკოსი, და არც დიდი მხედართმთავარი ყოფილა ვინმე. რაღა თქმა უნდა, მაშინდელი საქართველოს მეფეების თაყვანისმცემელთ ჩემი ეს ფრაზა აღაშფოთებს, მაგრამ რა ვქნა, სიმართლეს თვალი უნდა გაუფხვრო: გორგასალი, თორნიკე ერისთავი და დიდი დავით აღმაშენებელი წარსულის ხატი იყო, ხოლო თეიმურაზი და ლუარსაბი, თუმცა დიდებული პიროვნებანი იყვნენ, ქვეყნის წინამძღოლებად კი მოიკოჭლებდნენ. მათ ქართველთა ქვეყნის გაერთიანებისა და სათანადოდ შემზადება-დარაზმვის ძალა არ აღმოაჩნდათ. ფაქტობრივად მთელი მომზადება ის იყო, რომ ერთი ხეობა ჩაუკეტეს მტერს. თუმცა ვალიარებ — ის ხეობა მაშინ მთავარი გზა იყო სპარსთათვის.

რაღა თქმა უნდა, სპარსელებმა თავი დააღწიეს მეფეთა ამ ერთადერთ რეალურ დაბრკოლებას, და რაღა თქმა უნდა, წყარო ამამაიც სააკაძეს ადანაშაულებს, თუმცა, აი, რა სახით:

„შაჰმა კვლავ მოუხმო მოურავს და სიკვდილით დაემოქრა მას, მაგრამ თვითონ მოურავიც საგონებელში იყო ჩავარდნილი. ორი დღის შემდეგ მოურავმა უთხრა შაჰს: ვგონებ ვიპოვე სხვა გზა, მაგრამ აქედან ორი დღის სავალ სიშორეზეა, გარდა ამისა, საჭიროა ცუდით, წერაქვითა და ბარებით მომუშავე კაცები, რომ ტყე გაკაფონ, ოღრო-ჩოღრო ადგილები გაასწორონ და გააადვილონ სიარული“.

ოჰო! ხედავთ რა ხდება?! თურმე რენეგატსა და მოღალატეს, თვითონვე ნამქვებელს, სიკვდილით მოუქარა სჭირდება იმისათვის, რომ ლალატი ჩაიდინოს! უცნაურია, ღმერთმანი, ფრიად უცნაური!

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა ყველაფერი.

საგონებელში ჩავარდნილი გიორგი (ოღონდაც არა იმ საგონებელში, ბატონ არაქელს რომ ჰგონია) ორ დღეს კიდევ იგებს, და მერე კიდევ ორს, სანამ ახალი გზის დასაწყისთან აღმოჩნდებიან სპარსელები. თანაც რაგვარი გზა უჩვენა: ცუდით, წერაქვით, ბარებით მომუშავე ხალხია საჭირო. ტყე უნდა გაკაფონ, ადგილები გაასწორონ... მოკლედ, თვითონ ირანელებმა უნდა გაიყვანონ ეს ვითომ-გზა და ეგაა! მერედა, ამ მუშაობასაც ხომ დრო დასჭირდებოდა.

ხოლო ახლა ისმის კითხვა: ამდენი ხნის განმავლობაში მთელი ქვეყანა, მთელი ამერ-იმერი რატომ არ დადგა ფეხზე? გადის დრო ლამის უსასრულოდ (სააკაძე ყოველწინაირად აფერხებს მტერს თავისი „კეთილისმყოფელი“ რჩევებით), იცის ყველამ, რომ კარზეა მომდგარი იმდროინდელი მსოფლიოს უმრისხანესი დამპყრობელი (რომელიც უფრო გვიან პირად მტრად მოველინება დიდ მოურავს), და არავინ აქცევს ყურადღებას სპარს სპათა ამდენდღიან მიმოქცევას? ხელსაც არავინ უშლის? მთლად მთელს ერს ფეხზე არ აყენებენ? როგორ, ეს სტრატეგოსი მეფენი მხოლოდ იმ ერთი ხეობის ჩაკეტვის იმედად იყვნენ? თუ... თუ როგორც ხშირად ხდებოდა და ხდება, საქართველოს არც იმ საბედისწერო დღეებში აღმოაჩნდა პატრონი?!

ძალიანაც აღარ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ სააკაძეს უამრავ სხვა რამეშიც ადანაშაულებენ, და რადგანაც ეს ყოველივე უფროცესი თემაა, ამ ერთ სტატიამი არ ვაპირებ მათს გამლა-განვრცობას. მოკლედ კი მაინც მოვჭრი ზოგ პასაჟს:

1. სპარსეთში რატომ წავიდაო მაინცდამაინც;

ვფიქრობ, რომ იმ დროს, ფაქტობრივად, მას სხვა გზა არ გააჩნდა...

2. ლუარსაბი რატომ დაღუპაო;

ვფიქრობ, ეს ძველი ჭორია, აგებული იმ ფაქტის გამო, რომ ლუარსაბ მეფე, მოშურნე თავადთა ზეგავლენით, სააკაძის დას, ასევე მის მთელ ოჯახს, თვითონ გიორგისაც — თავისთავად ვერ მოექცა ღირსეულად.

ტაშისკარის გმირი მან ქვეყნიდან მოიკვეთა იმის გამო, რომ დააჯერეს — მოურავი გლალატობსო. სააკაძე რომ შურისმაძიებელი მეფეთმკვლეელი ყოფილიყო, მაშინ თეიმურაზსაც მოკლავდა ბაზალეთის ომში, — მხოლოდ მსუბუქად დაჭრა და დაინდო: არა სურდა ქართველი მეფის მოკვლა არაერთი მიზეზისა გამო, თანაც ალბათ ეგონა, რომ ისედაც მოიგებდა ომს და ქვეყნის გაერთიანების მისულ გეგმას ბოლომდე მიიყვანდა, თუმცა, მისივე თანამემამულეთან ბრძოლაში, გულმა ბოლომდე არ გაუშვა, მკლავი მოუდუნდა, ედშა ვაჩნაძე (ამ ომის მესამე გამორჩეული პერსონა) კი მოკლა, მაგრამ თვითონაც საკმაოდ მძიმედ დაიჭრა. როსტომი ამბობს: აშკარა მკვლელობაზე არ წავიდაო, მეფის აშკარა მკვლელობაზეო, თორემ... არადა, არა მგონია, რომ ლუარსაბის მკვლელობაც ფარულად გამოვიდოდა, მაგას ვერც ვერავინ იფიქრებდა. შაჰი ნააქეზაო, ამბობენ, მაშინ, როცა, ლუარსაბს რომ სარწმუნოებისათვის ელაღატა, იგი სატანჯველს ადვილად გადაურჩებოდა. თუმცა ქართლის მეფე პრინციპული კაცი იყო, თვითვე ირჩია მონამებრივი სიკვდილი და წმინდანთა თანა ჰპოვა ადგილი ზეციურ სასუფეველში, — გმირად იქცა, ოღონდაც სულ ბოლოს...

3. მარტყოფში მხოლოდ მას შემდეგ მოაწყო, რაც შაჰის წერილი ჩაუვარდა ხელშიო, — ლეგენდარული ბრძოლა მარტყოფისა;

კი მაგრამ, ის წერილი შაჰმა რაღატომ დაწერა? ნუთუ სრულიად უმიზეზოდ? თუ შეიტყო, რომ სააკაძე აჯანყებისათვის ემზადებოდა?

როსტომი მარტყოფის წინარე ამბავს თავისებურად ხსნის, თუმცა მისი ვერსია, ამ შემთხვევაში, ნაკლებბუნებრივია და ნაკლებდამაჯერებელიც სხვა ვერსიასთან შედარებით...

რა თქმა უნდა, არის კიდევ სხვა ბრალდებებიც, მაგრამ ის, რომ ორი გენიოსი მთელის საქართველოსი — ილია და ვაჟა — თბილად არიან განწყობილი გიორგი სააკაძის პერსონისადმი, ამას თვითონ როსტომიც არ უარყოფს ფაქტობრივად, და ეს ბევრისმთქმელი ამბავია.

რაც შეეხება რობაქიძეს, მისი შეხედულებანი, აზრნი დიდი მოურავის შესახებ დღესდღეობით ძალიან განხმარებულია...

მოკლედ, სააკაძე მარადიული თემაა, ახალი წიგნების თემა, ხოლო ამ სტატიაში ჩემს მოსაზრებათა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი დავაფიქსირე. მაინც აღარ ვაპირებ ამ თემაზე პოლემიკის გაგრძელებას, რამეთუ, მიუხედავად იმისა, რომ სულაც არა ვარ თავმდაბალი ადამიანი, მაინც მიმაჩნია, რომ არიან, რაღა თქმა უნდა, ჩემზე უფრო გამოცდილნი, უფრო მცოდნენი, ისეთი პერსონები, რომლებთანაც ხანგრძლივი ჭიდილი არას მარგებს. ერთ-ერთი ასეთთაგანია როსტომ ჩხეიძე. ჰოდა, ნამდვილად არ ვაპირებ ასეთ ადამიანთან საფუძვლიან გაპაექრებას...

გავიხსენებდი კი პოეტ პერსი ბიში შელის, — აი, შელის გულისა არ იყოს, პოეტის გულიდან იქნებ ყველაზე კარგად ჩანს სრული სამყარო, და ეგება არა ვცდებოდე იმაში, რაშიაც ჩემი გული მაჯერებს: გიორგი სააკაძე დიდ (დიდბუნებოვანი) პიროვნება იყო. თუმცა ესეც ფაქტია: პოეტები პოეტური გრძნობით უფრო ხელმძღვანელობენ, ვიდრე გონებით, ცივი გონებით. მამ „გონების ხალხმა“ გამოიტანოს საბოლოო ვერდიქტი დიდი მოურავის შესახებ, მათ დადონ ჭეშმარიტი განაჩენი.

მე კი, როგორც პოეტმა, ჩემი სათქმელი (რაღაც ნაწილი) ჩავატიე ამ სტატიაში.

იაპია იბრაჰიმ ჰაკკი (1905-1992) XX ს-ის ცნობილი ეგვიპტელი მწერალი, ესეისტი, პუბლიცისტი, კულტურის მოღვაწე, ნოველის ჟანრის ერთ-ერთი ფუძემდებელია ეგვიპტურ მწერლობაში, ლიტერატურული სკოლა „ალ-მადრასა ალ-ჰადისას“ ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა.

„ლიტერატურას ჭეშმარიტ ღირებულებას ადამიანური ფასეულობანი ანიჭებს... ჭეშმარიტი ლიტერატურა გვხდის უფრო შემწყნარებლებს სხვათა სისუსტეებისა და შეცდომების მიმართ, უფრო მგრძობიარეებს, უფრო კეთილშობილებს. ამ ყველაფრის ხორცშესხმას ბუნებრივად ვნახულობთ იაპია ჰაკკის ნოველებში.“ — ამბობს ეგვიპტელი მწერალი ალა ალ-ასვანი ჰაკკის ნოველათა კრებულის წინასიტყვაობაში.

ქართულ ენაზე თარგმნილი და დაბეჭდილია მისი ყველაზე ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოები „უმ ჰამიმის კანდელი“, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოუტანა (მთარგმნელი დარეჯან გარდავაძე), ასევე ორი ნოველა — „მორიელ ეფენდი“ (მთარგმნელი დარეჯან გარდავაძე) და „სურათი“ (მთარგმნელი ნინო კვირიკაშვილი). აღსანიშნავია, რომ ორივე ნოველა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე დაიბეჭდა.

ნოველა „მრავალ მიზეზთა გამო“ შთაგონებულია კლასიკური ლიტერატურით (კერძოდ, აბასიანთა ეპოქის ცნობილი არაბი ლიტერატორის ალ-ჯაჰიზის „ძუნთა ნიგნით“), რაც ავლენს იაპია ჰაკკის ფართო ლიტერატურულ განათლებას და მისი თაობის ეგვიპტელ ლიტერატორთა საერთო ტენდენციას — ეძებონ სიუჟეტები არაბულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, რითაც პოპულარიზაციას უწევენ არაბულ კულტურას და კლასიკურ მწერლობას.

იაპია ჰაკკი

## სხვადასხვა მიზეზთა გამო

ძალიან მიტაცებს ძუნთა ამბებისთვის თვალის მიდევნება. მართლაცდა, მათ გარდა არ მეგულება ისეთი ხალხი, ზიზლსა და ლიმისს ერთდროულად რომ იწვევენ.

ამბობენ, „რამაც დაგასწულოს, იმანვე მოგარჩინოს“, ასეა ჩემს შემთხვევაშიც. ამ მავნე ჩვეულებისგან მას შემდეგ განვიკურნე, რაც ჩვენს სახლში, შეიხ ბალალის უბანში დავსახლდი და ჩვენი მეზობელი, ქალბატონი ზულეიხა გავიცანი. სიმართლე რომ ითქვას, იგი თავად მოილტვოდა ჩვენი და სურდა ჩვენი გაცნობა. არც თავისი კეთილგანწყობის საიდუმლო დაუმალავს — დანარჩენი მეზობლებისგან განსხვავებით, რადიო გვექნდა. ცოტა ხნის შემდეგ ისიც შევიტყვე, რომ ქალბატონი ზულეიხა საღამოებს მონაცვლეობით ატარებდა მეზობლებთან, — არ ჰქონდა მნიშვნელობა, რადიო იქნებოდა იქ თუ არა, — და ამას საკუთარ სახლში ელექტროენერჯის დაზოგვის მიზნით აკეთებდა.

თქვენთვის იმის თქმასაც ვიჩქარებ, რომ მისი სახლი ელექტროენერჯით კი არ ნათლებოდა, არამედ პატარა ნავთის ლამპით. ეს ლამპა იყო მისი დიდი სახლის განათების ერთადერთი საშუალება, ღმერთო ჩემო, თუ არ ჩავთვლით მის საოცარ სანთებელასაც, რომელსაც თან ატარებდა, სადაც უნდა წასულიყო და რომელსაც ძალიან უფრთხილდებოდა.

ქალბატონი ზულეიხა პაპიროსს ენეოდა, მაგრამ მას მზა სახით არ ყიდულობდა, როგორც ალაჰის სხვა დანარჩენი ქმნილებანი. იგი ყიდულობდა თამბაქოს და ახვევდა საოცარი ფორმის პაპიროსებს, რაც მეველვის დერვიშთა საცეკვაო ფერხულს მაგონებდა, ერთ მხარეს რომ ხვეულია, მეორე მხარეს — განწვრილებული. ბევრჯერ შემინიშნავს, ზულეიხა პაპიროსის ნამწვის გადადებებს არ ჩქარობდა და იქამდე ეწეოდა, სანამ ბოლომდე არ მიიყვანდა და ნამწვი ლამის თითებს არ დაუნეავდა. მიუხედავად იმისა, რომ აპროტესტებდა, თითქოს ეს არა რაიმეს დაზოგვასა და ეკონომიას, არამედ მის ხასიათს ეხებოდა, დასამალი არ იყო, რომ ზულეიხა პაპიროსის გახვევას ორი ღირსების გამო ამჯობინებდა: პირველი — ის რთული და არცთუ გავრცელებული საქმიანობა იყო და ყველას როდესაც გამოსდიოდა კარგად; ჰოდა, აბა მისი ნერწყვით დასველებული პაპიროსის მოწევა კი ვის ენდობოდა?! და მეორე — გახვეული პაპიროსის ნამწვი, როგორსაც იგი ტოვებდა, მხოლოდ მნიკვი ბურნუთის ბოლს შეიცავდა და ამ ნამწვს რომ გადააგდებდა, მშვიდად იყო, დარწმუნებული, რომ არაფერს იმსხვერპლებდა. ვაკვირდებოდი, როგორ მოაშორებდა ხოლმე თითებს საფერფლეს, თითებქვეშ კი მხოლოდ რაკეტასავით გამოჭრილი მოლურჯო-მოშავო კვამლი ჩანდა. ზულეიხა აღმერთებდა გადახვეულ პაპიროსს და სწორედ ამ საბაბით ვიბოდიშებდა, ჩვენი შეთავაზებული სიგა-

რეტისგან რომ იკავებდა თავს. ამგვარად, დიდება ალაჰს, ორივე მხარე (ზულეიხა და ჩვენი) თავის ღირსება-კეთილშობილებასა და თავთავის სიგარეტს ინარჩუნებდა.


არც ელოდოთ ქალბატონი ზულეიხასგან, რომ პაპიროსს ასანთით მოუკიდებდა. დღევანდელ დღეს ხომ ასანთის კოლოფიდან ერთი ლერი თუ ანთო და ვარგისია, სამი მაინც გამოუსადეგარია! ზულეიხა ამბობდა, ასანთის კოლოფი ეშმაკისეული რამაა — თვალს აცდუნებს და რაც უნდა გულმოდგინედ გამოიყენო, იხდი უფრო მეტს, ვიდრე იყენებ, ეს კი ეშმაკისეული ქმედებააო. ზულეიხას არ უყვარდა ასანთის ბოლო ღერების გაჩხაკუნების ხმაც კოლოფში, რაც ახალი კოლოფის ყიდვის აუცილებლობაზე მიანიშნებდა. ასანთი უმძიმებდა განწყობასაც, რადგან მისი გამოყენება და იწმამსვე გაქრობა ერთი იყო.

მამ განა ბრძნული და უსაფრთხო არ იყო სანთებელას გამოყენება?! სანთებელას, ზულეიხა რომ ხმარობდა, ცარიელი ვაზნის ფორმა ჰქონდა და რა გასაკვირია, რომ ხელის ორი ან სამი ჩამოკვრით ინთებოდა! იქიდან გამოვარდებოდა სისხლისფერი, ძლიერი, მაღალი ცეცხლის ალი, რომელიც სანთებელას ხშირი კვამლის საბურველში ხვევდა... არაერთხელ გამიფრთხილებია ზულეიხა ამ არასაიმედო სანთებელას გამო, რომ შესაძლოა თმა ან წამწამები დასწვოდა, ან ტანსაცმელს წაჰკიდებოდა ცეცხლი, იგი კი პასუხად ამბობდა, სანთებელა კიბის უჯრედის განათებაშიც კი მესხმარება, როდესაც შინ ვბრუნდებით.

მოვილოდა ხოლმე ჩვენი ქალბატონი ზულეიხა მზის ჩასვლის შემდეგ, მოკალათდებოდა დივანზე, თითქოს ამით ამბობდა: „გადაცემების დამთავრებამდე აქა ვარო“.

ნაცნობობის პირველივე დღიდან დაგვამშვიდა, რომ ყავის დიდი მოყვარული არ გახლდათ, რომ ერთ ფინჯან ყავას კიდევ არაუშავს რა, დალევდა და, რომ სულ ამ მცირედით შეიძლებოდა გამოხატულიყო მისადმი ჩვენი პატივისცემა; თვითონ კი მიიჩნევდა, რომ ეს მისადმი პატივისცემის მაქსიმუმი იყო, გვარნმუნებდა, რომ მცირედი ვახშამიც კი სწყენდა და მავნებელი იყო მისთვის; და რომ ეს არ ეხებოდა ხილს — კარგი იქნებოდა, თუკი გვექნოდა ცოტაოდენი ხილი მაინც, და არ დაგუმალავდით.

არასოდეს მინახავს ქალბატონი ზულეიხა ლურჯი, მქრქალი თავსაბურავის გარეშე, რომელიც აწვნილ თმას უფარავდა; რაც შეეხება მის საგარეო ტანსაცმელს, მასში ორი ურთიერთსანინააღმდეგო უკიდურესობა შერწყმულიყო დიდი ნარმატებით: სისუფთავე, გონიერების ფარგლებში, რასაკვირველია, და ქსოვილის დაცვა მეტისმეტი რეცხვით მიყენებული დაზიანებისაგან. რაც შეეხება მის თეთრეულს, იმ მეზობლებისაგან,



რომელთა ბანებიც მის სახლს გადაჰყურებს, მსმენია, რომ ყველაფერი ზედ აჩნდა და პირდაპირ ქუნაფას\* ჰკავდა.

ქალბატონი ზულიქა სრულიად მარტო ცხოვრობდა. კაციშვილი, ან თუნდ ცხოველიც არ ჰქაჩანებდა მის დიდ და ძველ, დრომოჭმულ სახლში... პირველ სართულზე, კარიდან საძინებელ ოთახამდე გზა ისე იყო დახაზული, როგორც გვალვაში ბილიკი წყლის რეზერვუარებიან საბურთებს შორის. ამ გზის აქეთ-იქით ვირთხებისა და ჟამთასვლის მიერ გაკეთებული მიტოვებული ლაბირინთები იყო.

მის ხელში ფული არასოდეს მინახავს და არც მსმენია ოდესმე ეთქვას, რამე შევიძინო. ქალბატონ ზულიქას გამჭრიახობას დიდი დრო არ დასჭირვებია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების დეტალებისა და ჩვენი მფლანგველობის სხვადასხვა ასპექტის შესასწავლად. ყოველ საღამოს ისე არ წავიდოდა ჩვენგან, ჩემთვის რომ არ ეთხოვა, სახლში აქეთ-იქით მიმოფანტული ძველი გაზეთები შემეგროვებინა მისთვის. ეს ვადავასული გაზეთები ნაგვის ქალაღებდად თუ გამოადგებოდა. რომ წაიღებდა, დააცალკევებდა და შემდეგ ხელახლა მზრუნველობით და მოწოდებით ახარისხებდა. მის ხელში ეს გაზეთები იმ ძვირფას ნივთად იქცეოდა, თავისი კეთილშობილება რომ უზრუნველბოდა. მე კი გულში ლამის მენანებოდა კიდევ — ხელიდან როგორ გავუშვი-მეთქი.

ქალბატონი ზულიქა ამბობდა, რომ გაზეთები გამოსადეგია სამზარეულოში, კარადებისთვის; რომ ამ გაზეთებით ის ავსებდა ღრიჭოებსა და ჭუჭრუტანებს, ხოლო ნავთით გაჟღენთილ გაზეთის ფურცლებში ზამთრის ტანსაცმელს ახვევდა და ასე ინახავდა ზაფხულში; ეს გაზეთები გამოსადეგი და მოსახერხებელია რაიმეს ყიდვისას ხელზე მოვაჭრე დამტარებლებისაგან, რადგან უფრო მსუბუქია იმ ფურცლებთან შედარებით, რასაც ისინი სასწორზე დებენ; ამ გაზეთებზე უკეთ არაფერი იცავს მკერდს სიცვიდან, ამით შეგიძლია გაამაგრო ფეხმორყეული და დაკოჭლებული მაგიდა, ანჯამებმომძვრალი ფანჯარა, გაასუფთავო შუშები, გააპრილო სარკეები და დანმინდო ფეხსაცმელი.

ბუნებრივია, ქალბატონი ზულიქა უარყოფდა ამ ყველაფრისთვის ისიც დაემატებინა, რომ გაზეთის ქალაღის ბლომად დაგროვების შემთხვევაში მისი წონით გაყიდვა ან გადაცემაც შეიძლებოდა. სიცილით მომხედავდა და მხოლოდ ამას მეტყვოდა: — გაზეთის ქალაღი სხვა რამეებშიც გამოსადეგია...

ამ დროს ვერ ვხვდებოდი, რას გულისხმობდა. ალაჰმა დაგვიფაროს, ქალბატონი ზულიქა სუფთა, მორწმუნე ქალი გახლდათ, თუმცა შესაძლოა ბოლო ხანს ცოტა ევროპულ ყაიდაზე გადასული.

\*\*\*

გავიდა დღეები და ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ ქალბატონ ზულიქას ცხოვრებაში მტკივნეული ტრაგედია ჰქონია გადატანილი. იგი რამდენიმე ფედან\*\* მინას ფლობდა თურმე ალ-ბუჰაირას პროვინციაში. ზულიქას ზოგ ნათესავს ამ მინის ხელში ჩაგდების ძლიერი სურვილი ეკავდა. ისინი ბოროტი და სასტიკი ხალხი გახლდნენ და ზულიქას მოკვლითაც არაერთხელ დამუქრებინა.

როდესაც ჩვენ შორის ურთიერთობა ასე თუ ისე აენყო და განმტკიცდა, თვითონაც დამიტკბა და მეც მისი საუბარი თავაზიანად მეჩვენა, ვაგებდე და ერთი იდეა შევთავაზე, რომელიც მისი მდგომარეობიდან ბედნიერ გამოსავლად მეჩვენა. ერთ დღეს ვუთხარი:

— რატომ არ ქორწინდები და რატომ არ იპოვი კაცს, რომელიც დაგიცავს და გიხსნის ხიფათისგან?

რატომ არ ქორწინდება?! მიუხედავად იმისა, რომ ახლოდან წინიდანაც და უკნიდანაც — ისე ჩანდა, რომ ქალბატონი ზულიქა ცხოვრების მეხუთე ათწლეულს უნდა ასრულებდეს, მიუხედავად მისი თვალბის ტკივილისა და ოფთალმიისა, დღედაღამ ცრემლებს რომ აღვრევინებდა, მისი სამოსი მაღავდა სხე-

ულს, ჯერ კიდევ ელასტიკურობასა და მიმზიდველობას რომ ინახავდა. ეს ასე იყო და ასე ჩანდა, სულ მცირე, მისი სამოსიდან, სივინროვისგან ზედ რომ ასკვებოდა მკერდსა და გავაზე.

ამის პასუხად ქალბატონი ზულიქა სკამზე შესწორდა და ცოტა არ იყოს სიამაყითა და თავმომწონედ აღიარა ჩვენთან, — თან ბაგეზე დამცინავი, აგდებული ღიმილი დასთამაშებდა, — რომ მზად ჰყავდა საქმრო, რომელიც მხოლოდ მისი ხელის დაქვევას ელოდა, დაჟინებით ემუდარებოდა, ზულიქა კი უარზე იყო.

— და რატომ, ქალბატონი ზულიქა?  
— ეს სევდიანი ამბავია, გულს ნალველად დაანება.

ის კაცი ზულიქას შორეულ ნათესავთაგანი ყოფილა, კიოროს მკვიდრი, სოფელი კი არა! თუმცა ქალი მას მხოლოდ დროდადრო თუ ხედავდა. მხოლოდ მაშინ, როცა რომელიმე სამთავრობო უწყებასა თუ სახელმწიფო კანცელარიაში ქალს რამე საქმე ჰქონდა გადასაჭრელი და ის მოუგვარებდა ხოლმე. დაძახებაზე დაუყოვნებლივ ეახლებოდა ზულიქას, სიამოვნებას ანიჭებდა, ქალს რამეში მომსახურებოდა. ნათესაობა მისთვის მზრუნველ დამოკიდებულებასა და სიყვარულს ნიშნავდა. აბა, მამ შენ ნათესაობაში რას გულისხმობ? ამ კაცს მისთვის იმედი არასდროს გაუტრუებია! გულში არ ჩაუღვია და დავინყებისთვის მიუცია ბევრი ის შემთხვევა, როცა ამოღ უკუკუნებია ზულიქას კარზე და ქალი შინ არ დახვედრია (ხან მართლა არ იმყოფებოდა შინ და ხანაც ატყუებდა, თითქოს არ იყო), ხოლო ბევრჯერაც, სადილის დროს მისულს, ცარიელი ფინჯანი ყავის, მსუბუქი ყავის მეტი არაფერი შეხვედრია!

ზულიქას არასოდეს უკითხავს ამ კაცისთვის, რით იკვებებოდა, ან ვინ ურეცხავდა ტანსაცმელს. მხოლოდ ალაჰმა იცოდა, კაცი როგორ არსებობდა. დიდი ხნის დაქვრივებული იყო, ერთ პატარა ოთახში მარტოდმარტო ცხოვრობდა და, რომ არა რამდენიმე მეზობელი ქალის თანაგრძნობა, რწყილი და ბალინჯო შეჭამდა. ჰყავდა ქალიშვილი, რომელსაც მეუღლე მოუკვდა და წერილშილი მოსავლელად დაუტოვა. მათი ნაწილი საშუალო სკოლაში დადიოდა, ნაწილი — დაწყებით სკოლაში, ნაწილიც — საბავშვო ბაღში, ანუ ნაწილი ჯერ არ დაფრთხილებულიყო, და მეორე ნაწილიდანაც რა გამოვიდოდა და რა ბედი ელოდა, ღმერთმა უწყობდა მხოლოდ. აბა, კაცი მათ ხარჯებს როგორ განვდებოდა, როცა თვითონაც ერთი წერილი მოხელე იყო, რომლის ხელფასიც თვეში ათ ცინზე არ აღემატებოდა! მან თავისი ოთახი დატოვა და საცხოვრებლად ქალიშვილთან გადავიდა. მისი ერთ-ერთი ობლის ხვედრი ხვდა წილად ცხოვრებაში, ან მასზე კიდევ უფრო ნაკლები!

კაცს არასოდეს გამოუმუყავნებია და დასტყობია, რომ ქალბატონ ზულიქაზე გაბრაზებული იყო, რადგან ქალი, მისი შეძლებული ნათესავი, მხოლოდ ძალიან იშვიათად ავლენდა თანაგრძნობას მის მიმართ, ისიც მცირედი თანხით, რაც კაცს მისი ახალი ოჯახის ტვირთის ზიდვაში ეხმარებოდა. ეშინოდა, რომ გაბრაზებულიყო, ქალი იმ დახმარებასაც შეუწყვეტდა. ამასთან, გულში იმედი უღვივოდა, რომ ალაჰი აუხელდა ქალბატონ ზულიქას თვალს, გაუხსნიდა ხელს და ქალი დაინახავდა, რომ თუკი ისინი საკუთარ პრობლემებთან ტვირთს ერთმანეთს გაუზიარებდნენ, ერთიც მოისვენებდა და მეორეც. კაცი ზულიქასთან იპოვიდა იმას, რაც შვილიშვილების გამოსაკვებად ეყოფოდა, ქალი კი მასთან ჰპოვებდა სიმშვიდესა და უსაფრთხოებას, რაც ასე აკლდა. მიხვდებოდა, ღმერთმანი, რომ კაცს ქალბატონი ზულიქას გამო, მისი სოფელი ნათესავების მუქარის გამო შიშით გული უკანკალებდა და რომ შეძლებოდა ქალბატონი ზულიქასთვის სიმშვიდისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ისე, რომ თავად მისგან შორს, ლატაკ ნათესავად დარჩენილიყო, დაქორწინების თხოვნით არც წარუდგებოდა!.. მისი მოტივაცია სიკეთისა და სიხარბის ნაზავი იყო, ფარული სურვილი — გაეძრო დამცირების სამოსი და მის ნაცვლად გმირის სამოსელით შემოსილიყო. ამ ზრახვების უკან კი იდგა ყველა დროის საშინელი სენი, რომლისგანაც ცხოვრება ვერასდროს გათავისუფლდება! — სენი ლატაკთა პირფერობისა მდიდრებთან!

\* აღმოსავლური ტკბილეული ნუშითა და თხილით.

\*\* 0,42 ჰექტარი.

ქალბატონი ზულიეხა სიცილით კვდებოდა და ისე მეუბნებოდა:

— მოლაპარაკებათა დასაწყისში მარწმუნებდა, რომ ჩემი ერთგული, სანდო, ყველაფრის შემსრულებელი მსახური იქნებოდა, მცველი, რომელიც თვალს არ მოხუჭავდა, მზრუნველობას, ყურადღებასა და სიყვარულს არ მომაკლებდა, ჩემი ბრძანების მორჩილად შემსრულებელი და ჩემი მითითებების მძევალი იქნებოდა! ჩემი ბრძანება მისთვის კანონად იქცეოდა და ჩემი სიტყვა და მისი შესრულება ერთი იქნებოდა! მაგრამ ვიცოდი, სად იყო ძაღლის თავი დამარხული! ყურებამდე ვალებში ჩაფლულს ხელფასი მრავალ დამდეგ თვეში უკვე წინასწარ ჰქონდა განერილი და ამ ვალებში ჩადებული. პირველ რიგში რაც გავარკვიე, ისაა, რომ მე, მისგან დამოუკიდებლად, ჩემს თავზე უნდა ამელო ბინისა და სასმელ-საჭმლის ხარჯები. მარტო ამას რომ დასჯერებოდა, მივიღებდი მისგან მოზოდისებლასა და თავის მართლებას, ვიტყვოდი, კერძი, რომელიც ჰყოფნის ერთს, ეყოფა ორსაც და ვალიც ერთ მშვენიერ დღეს ხომ ამოიწურება და დაიფარება-მეთქი, მაგრამ მან უეცრად დიდი სისულელე გამოამჟღავნა და ჩემგან მოითხოვა, — თუკი დავეკორწინებოდით, — მისთვის ყოველთვიურად ექვსი გინეაც მეხადა, ჯიბის ხარჯები, მისი თქმით, თან არ უნდოდა ელიარებინა, რომ ეს ფული მისი ქალიშვილის ბავშვებზე უნდა დახარჯულიყო, თითქოს მე ვიყავი ვალდებული, მისი ქალიშვილის გარდაცვლილი ქმრის წვრილშვილი მერჩინა! აფერუმ! რა მშვენიერია! გიჟი კი არ ვიყავი, ეს პირობა მიმეღო! ექვსი გინეა თვეში! ეს ხომ მარტოხელა ცხოვრების შემოსავალია, რომელიც მას პირდაპირ ციდან ეცემოდა თავს!.. აბა, რა საერთო მქონდა ამ ჟიგოლოსთან?! დიდება ალაჰს!

\*\*\*

ქალბატონი ზულიეხა იმავე საღამოს მოვიდა ჩვენთან, აღლევებული, გაფითრებული; გუდას პირი მოხსნა და მხოლოდ ნერწყვის გადასაყლაპად თუ ჩუმდებოდა. დილით მასთან მიიჭრა თურმე მისი მდგმური, რომელიც თავის ნაკვეთში ჰყავდა დაყენებული, რათა შეეტყობინებინა, რომ ზულიეხას სოფელ ნათესავებს პირი შეეკრათ მის წინააღმდეგ და მზად იყვნენ აღესრულებინათ ზულიეხას მოკვლის მუქარა. ქალბატონ ზულიეხას, აღლევების მიუხედავად, დაეჩემებინა, რომ ეს ფუჭი სიტყვები იყო, რომ ასეთები დიდი ხანია სმენია. მისი საუბარი ბნელში მავალს მაგონებდა, რომელიც მღერის და უსტვენს შიმის გასაფანტად. ქალბატონ ზულიეხას მივუსამძიმრე, თანავეურწმუნე და საუბარში გამოვიწვიე, აქეთ-იქიდან მოვუარე და იმდენი ველაპარაკე, ვიდრე ჩვენი სახლიდან თავის კაიროელ ნათესავზე დაქორწინების აუცილებლობაში სრულიად დარწმუნებული არ წავიდა.

\*\*\*

ერთ კვირაში შაიბ ეფენდიზე დაქორწინდა და გაგვაცნო იგი. კაცს ქოთანით ღიბი ედო და თითქოს ტარბუში\* უკან, კეფაზე იმიტირებდა გადასაცურებოდა, რომ ღიბთან წონასწორობა შეენარჩუნებინა. შარვალი აეკაპინებინა, თითქოს გასავლელად მუდამ ტალახიან მიწას ეძებო. მოთმინებით სავსე, მოცინარი თვალები ჰქონდა, მათში ღვთის წყალობის იმედი არასოდეს გადაწურულა... შინ და გარეთ მას უკვე ნაცნობ დროს ვნახულობდით.

ქალბატონ ზულიეხას არც ზნე-ჩვეულებანი შეუცვლია და არც მორთულობა, მაგრამ ის კი შევნიშნე, რომ ცრემლთა დენა შეამცირა, მის მზერაში კი ცოტაოდენი კმაყოფილება და სიმშვიდე გამოკრთა... დაცხრა, დაწყნარდა, დაშოშმინდა, როგორც ობოლი, ხელში რომ პურის ნატეხს მისცემენ!

ქორწინება თვის მეათე დღეს შედგა და მომდევნო თვის პირველ დღეს ქალბატონმა ზულიეხამ კაცს ოთხი გინეა შეაძლია. შაიბ ეფენდი აღელდა და ძალიან გააპროტესტა, რადგან შეთანხმებულნი იყვნენ ყოველი თვის პირველ რიცხვში ექვს გინეაზე. აი, დადგა ახალი თვე და სრული ექვსი გინეა უნდა მიეღო.

ქალბატონმა ზულიეხამ ძალიან წყნარად მიუგო, რომ ქორწინება გასული თვის მეათე დღეს შედგა და ამ ფაქტს ვერ უარყოფდა. მისი ნება იყო, ან აიღებდა ამ ოთხ გინეას და ან მოიცდიდა თვის ათ რიცხვამდე, რომ ექვსი გინეა დაემსახურებინა.

- შაიბ ეფენდიმ იყვირა:
— განა მე დღიურად ვარ დაქორწინებული?!
- ქალბატონმა ზულიეხამ კიდევ მეტი სიმშვიდით უპასუხა:
— იქ, სადაც თავმივე პირობაა, ბოლოში სინათლეა! ეს არის სიბრძნე ცაშიც და მიწაზეც!

\* ფესი, ნაკვეთილი კონუსის ფორმის ფუნჯიანი ქუდი. ხმარობენ მუსლიმურ ქვეყნებში.



მხატვარი მალხაზ იაშვილი

დამცირებულმა შაიბ ეფენდიმ აილი ეს ოთხი გინეა და თავი ალაჰს მიანდო.

დღე დღეს მისდევდა და თვეც გავიდა — ერთი თვე, მეორე. მოახლოვდა მესამე თვე და ქალბატონ ზულიეხას მღელვარება, შფოთვა და დაბნეულობა შევამჩნიე. ტახტზე მჯდომიც კი მოუსვენარი და გაუბედავი იყო. სახე ფერწასული ჰქონდა და მზერა გვერდზე გაურბოდა. ამბობდა:

— საოცრებაა პირდაპირ! ნუთუ ეს სავალდებულო გადასახადია! ნუთუ ეს ფიქსირებული ჰონორარია, ქვეყანაც რომ დაიქცეს, რომ უნდა გადაიხადო! ერთი თვე, მეორე, მესამე... სულ გადახდა?! ითხოვს და არ ავინყდება! თვიდან თვემდე „მოიტა!.. მოიტა!“ და „მოიტა!“-ს მეტი სხვა არაფერი არსებობს?!

მე ვუთხარი:
— ქალბატონო ზულიეხა, შენ ხომ თავიდან კმაყოფილი იყავი ამით!

მიპასუხა:

— ვირწმუნეთ და დაეუჯერეთ! მაგრამ მე ხომ მისთვის სახლის გადასახადები არ მომითხოვია. მართალია მისი სარეცხი მისი ქალიშვილის სახლში ირეცხებოდა და უთოვდებოდა, მაგრამ ჩემთან ჭამდა და სვამდა და, ღმერთმანი, მისი ერთი ჭამა ორ პურს ნიშნავდა!.. თან თუ საჭმელში ხორცი არ იყო, ბრაზობდა და შუბლს არ ხსნიდა, ღმერთმანი, კოპები ესხდა!

მომდევნო თვის დასაწყისში მათ შორის ძლიერი კონფლიქტი მოხდა, რაც რამდენიმე დღე გაგრძელდა და თანხის გადახდით დამთავრდა, მაგრამ დადგა მომდევნო თვე და ზულიეხამ უარი თქვა ექვსი და ოთხი გინეის კი არა,

ერთი მილიმის გადახდაზეც! უარი თქვა იმ მოტივით, რომ მისი მინის ნაკვეთის მდგომარეობა აღარ უხდოდა ქირის ფულს. ალაპი კი მხოლოდ იმას აკისრებს ადამიანს, რაც მის შესაძლებლობას არ აღემატება! შაიბ ეფენდიმ მიატოვა ზუღეისა, რადგან იცოდა, რომ ცრუობდა, როცა ამტკიცებდა, გავკოტრდიო, და განქორწინების ფურცელი გაუგზავნა. მადლობა ღმერთს, ეგვიპტეში ყველაზე მცირე ფულადი გადასახადი განქორწინების გადასახადია და ეს ისეთი დიდი ნეტარებაა, შეუძლებელია ფინანსთა მინისტრის ყურადღების ქვეშ არ მოექცეს!

\*\*\*

გავიდა დღეები და ჩვენ დაგვაინწყდა შაიბ ეფენდი, დაგვაინწყდა მუქარაც. ქალბატონი ზუღეისა მოვიდა ერთ საღამოს და, როგორც წესი, ის საღამო ჩვენთან გაატარა. ლალი იყო, ბევრს იცინოდა, სახე გაცისკროვებულნი ჰქონდა, თითქოს მძიმე ტვირთისგან გათავისუფლდა. საღამო დასრულდა და ზუღეისა ილიაში განუთავის ფურცლების შეკვრამოწმრალი წავიდა. ეზოში მოსახვევი გაიარა, თავისი სახლის კარს მიადგა, ამოიღო გასაღები და საკეტში გადაატრიალა, შემდეგ ზოგიერთმა მეზობელმა გაიგონა, როგორ ამბობდა:

— სახელითა ალაპისა, მოწყალისა, მწყალობლისა... ამ საკეტს რაღა დაემართა?! ნუთუ ბავშვებმა ითამაშეს?

კარი გაიღო, ზუღეისა შინ შევიდა და კარი ზურგსუკან მოიხურა. ეს იყო ბოლო შემთხვევა, როცა იგი ცოცხალთა შორის იხილეს.

\*\*\*

სამი დღის შემდეგ სუნი გავრცელდა, გატეხეს კარი და შოი, რა იხილეს — ქალბატონი ზუღეისა მსხვილი თოკით სანოლის ფეხს იყო მიბმული. პირი თავსაფრით ჰქონდა ამოტენილი, სხეულზე ორმოცდაათი ნაჩხვლეტი მიეყენებინათ ბასრი დანით, რომელიც ისევ მის ფეხებთან ეგდო. ოთახი ყირაზე იყო დაყენებული, ლოგინი — გაფატრული, ბამბა — გაფატრული... კარადები — იატაკზე წამოპირქვევებული... ფანჯრის კიდეზე ღვინის ბოთლი ეგდო, მკვლელების მიერ გამოცლილი, არ ვიცი, დანაშაულის ჩადენამდე თუ მის შემდეგ.

პროკურორის თანაშემწე მოვიდა და შიგნით შეეყვავი. შაიბ ეფენდის შესვლის უფლება არ მიეცეოდა, რადგან ცხარე ცრემლით ტიროდა... ქალბატონი ზუღეისას დანაწევრებულ გვამს თვალი ავარიდა. გამომძიებელმა აქეთ-იქით დაიწყო ჩხრეკა, შემდეგ თავი მალა ასნია, — განზრახ კი არა, შემთხვევით, — ჭერს ახედა და მისი მზერა ხის გამოხრულ ფესვზე შეჩერდა. მიიჩნია, — არ ვიცი, რატომ — გამოძიების ოქმი სრული ვერ იქნებოდა, თუ მასში ამ ხის ფესვის დათვალიერებას არ აღებუქდავდა. კიბე მოიტანა და ზევით ავიდა. უცებ ხის ფესვსა და ჭერს შორს ღრიჭო აღმოაჩინა, სადაც ბანკნოტის ზომის გადახვეული გაზეთის ფურცლების შეკვრები ენყო. ერთი ერთგინიანებით სავსე, მეორე — ხუთგინიანებით, მესამე კი ათგინიანებით.


ოთახს რომ ვტოვებდი, მომიჩვენა, ქალბატონმა ზუღეისამ თავი ჩემკენ მოაბრუნა, ირონიითა და გამარჯვებით სავსე ლიმილიანი მზერით მომაშტერდა, მისი ტუჩები თითქოს შეირხა და მითხრა:

— ახლა ხომ გაიგე, კიდეც რა სარგებლობა აქვს ძველი გაზეთების ფურცლებს!

არაბულიდან თარგმნა  
კობა ასლამაზიშვილმა

მანანა ბრაჭული

ღამიამხსოვრე, მარიამი!



რატომ უნდა დავიმახსოვრო მარიამი? უპირველესად იმიტომ, რომ სულის შემძვრელად გრძნობს უფლისაგან მიბარებულ ნიჭს, ამრავლებს ტალანტს, ხატივითა და სალოცავივით ემსახურება.

მარიამ ნიკლაური კარგი პოეტიკა. კარგია იმიტომ, სასურველი სენივით დაგემართება. ისეთ რამეს გაგრძობინებს გამოვლილი ცხოვრების მიუხედავად, შეიძლება არც კი გქონდეს განცდილი. აუხსნელი უნარით გვაჯერებს სიყვარულისა და ბედნიერების არსებობაში: „თვალეები ხომ უკეთესად იმახსოვრებენ, რაც არ უნახავთ“.

კარგია იმიტომ, გაგრძობინებს, რა ძალა აქვს ქალურ სისუსტეს, რა სიმამაცის გამოჩენა შეუძლია ბედნიერების მაძიებელს, რომელიც სასურველის ძიებაში შეიძლება „სიკვდილის კარსაც შეასკდეს“.

განგაცდევინებს, რა ძნელია „უყვამო ჟამის ყანაში დგომა“, რა გმირობაა „გარედან მონა, შიგნიდან მაინც რომ დარჩე მეფედ“. ურთულესია „ამდენი უშენო სიზმრისა და უშენო სიკვდილის შეჩვევა“. სიცოცხლის ძლიერი რწმენით ხელს არ უშვებს თავის „დარდიან ბედნიერებას“, ერთმანეთი „უსინათლო ბრძენივით“ რომ დაჰყავთ არსებობაში, სადაც მხოლოდ „მარადმა მესხოვნემ“ იცის „ამ არსებობით როგორ იტანჯა“, „როგორ იხილა ბედნიერების შემოღამება დედამინაზე“.

კარგი პოეტიკა მარიამ ნიკლაური იმიტომ, რომ ჭირსა შინა მხარს შემოაშველებს და გეტყვის, „დედებმა ზუსტად იცინი ისიც, რომ მარტობა დააქვთ მუცლებით, და არ აჩენენ ქმარ-შვილის შიშით და სიკვდილამდე უხმოდ უძლებენ“. მეც ვიცი „რატომ დგებიან დედები ადრე და ლექსებს წერენ ჩუმიად და მალვით“.

კარგი პოეტიკა მარიამი, როცა ქვებზე ფიქრობს, რატომ არ ეზრდებათ ფესვები ლოდებსო?! როცა ერთმანეთს უპირისპირებს ქვისა და წყლის ბუნებას – წყალი ხმაურობს, ქვა მდუმარებს, ამიტომაც უხდება სიკვდილს ქვა, პოეტების საფლავებს „ლექსიანი ქვები“. სამშობლოც საფლავით იწყება. „ქვას შეუძლია შექმნას სამშობლო“...

კარგი პოეტიკა მარიამი. გესმარება, უცხოობიდან მობრუნებულმა თავიდან მოიპოვო სამშობლო, როგორც ყველაზე დიდი განძი სამშეოში. მთავარია, მისი უხმო ძახილი გაიგო, რა ქნას?! მიწაა, თავისი ენა აქვს მაჯას უნდა უსინჯავდე და მარიამივით ეკითხებოდე: „საით მეტი ხარ, საქართველოვ, ცისკენ, მიწისკენ?“ ცრემლიანი შენატროდეს ქვეყანას, „სადაც არავინ იზეპირებს სამშობლოს სახელს“ — გრძნეულივით მოდარაჯე ქართული სიტყვის საგანძურისა.

ფაქიზი და ფრთხილია სიტყვის ფერის, ფორმის, მისი სულის შეგრძნებისას, გემოვნებიანი სიტყვათა შერჩევა-შეხამებისას, კარგი მცოდნე ქართული ლექსის სტრუქტურისა და ბუნებისა. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია „მარადისობის რიტუალი“, რომლის თემასაც ჩემი ბნკარით ასე გავხსნიდი: „ადამიანში უფალი მწყემსავს მწვრვალისა და ფესვის მოტივებს“. ეს ლირიკული პოემაა, რომლის ყველა ნაწილს ზემოაღნიშნული თემა ერთ რკალში აქცევს, პოემაა, რომელშიც ბევრჯერ გავვოცდი ლექსის რიტმული აღნაგობით, სათქმელის სერიოზულობითა და სამართლიანობით, გადმოცემის უშუალოდობითა და თემის უბრალოების სიმდიდრით. პოემაში ძვირფასი თვლებივით მოკაიფე ლამაზი, აზრით დატვირთული ლექსები, რვამარცვლიანის ოქროს შიბზე ასხმული, იშვიათ ქართულ ხმოვანებას გამოსცემს.

კარგი პოეტიკა მარიამი ბევრი სხვა მიზეზის გამოც. უპირველესად იმის გამოც, რომ „ღვთის ხელში მყოფი სიმია“, რომლის ყურისგდება ყოველთვის ღირს „ღმერთით, ღმერთით!“

მე დავიმახსოვრე, მარიამო!

# სურდა — ერთი დოლარიდან

აბა ნუთით წარმოიდგინეთ, რომ ყველასთვის სანატრელ ქართულ სუფრაზე თავი მოუყრიათ კაი ოჯახიშვილებს, ზოგს აკადემიკოსი რომ ჰყავს მამა, ზოგს — მინისტრი და ზოგსაც — გამოჩენილი ბიზნესმენი და ა.შ. თავდადებ ხომ საუცხოო სამსახური აქვთ, კაი ცოლ-შვილი ჰყავთ, კაის ჭამენ და კაის სვამენ, კაი მოღებენა იციან და კაი მრავალჭამიერი... ჰოდა, უეცრად, მოულოდნელად აიშლებიან, ცეცხლმოკიდებულებივით მიატოვებენ ნაირნაირი ხორაგით გადაჭედისა და აყვავებულ სუფრას, იარაღს აისხამენ და თავქუდმოკლეჯილი გარბიან სადღაც გადაკარგულში — ვიღაც უპოვართა და უბირთა შესანევნად, დამპყრობელთა უღლიდან დასასხნელად.

არა გჯერათ, ხო? არც თვალთ გვიჩანავს და არც ყურით გვსმენიაო. ალბათ ისიც არა გჯერათ, რომ [აბა, წაილიღინეთ! არის ასეთი ქვეყანა...

ღიახ, არის ასეთი ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს — ზღაპრულიც და დაუჯერებელიც, არგაგონილიც და არნახულიც. საოცნებო ქვეყანაა, იყო, არის და იქნება!

...დალოცვილი „ტარზანის“ მერე ათი წელიწადი მაინც იქნებოდა გასული და მსგავსი აუიოტაჟი თბილისის კინოთეატრებში არ აფეთქებულა. ჯონ სტარჯის „ბრწყინვალე შვიდეული“ მართლაც რომ ბრწყინვალედ აელვარდა ჩვენს ეკრანებზე, კიდევ დაგვატკბო და კიდევ აგვაფორიაქა, გულს იმედი ჩაგვისახა, იღუმალ ოცნებას ფრთები შეასხა, მთელი ახალგაზრდობის სული და გული დაიპყრო.

ვილას ახსოვდა გიორგი სააკაძე და არსენა მარაბდელი, ბაში-არუი და კაკო ყაჩაღი, ამერიკელმა კოვბოიმ იულ ბრინერმა ყველანი დაჩრდილა — ძველი საქართველოს გმირთაგმირებიც და ახალი საქართველოს ბაირახტარნიც.

ბრწყინვალე შვიდეული, იულ ბრინერის თამადაობით, თავისუფლებისა და დემოკრატიის თელს თესავდა მექსიკის მიყრუებულ და გაღატაკებულ სოფელში. XX საუკუნის რაინდები, ლეგენდარულ ჯვაროსანთა ღირსეული შთამომავალი, თავგანწირვით ესარჩლებოდნენ ყაჩაღთაგან დაჩაგრულ-დაბეჩავებულ გლეხებს, ფასდაუდებელ სამსახურს უწევდნენ სასიკვდილო რისკის ფასად და ყოველ მათგანს, ცოცხალი დარჩებოდა თუ დაიღუპებოდა, ფანტასტიკური ჰონორარი ერგებოდა წილად — 20 დოლარი; არც მეტი, არც ნაკლები! ეს არ ყოფილა დღიური თუ თვიური გასამრჯელო. თუნდაც მთელი წელიწადი გაგრძელებულიყო სახიფათო ექსპედიცია, საზღაური უცვლელი რჩებოდა — ოცდა ოცი დოლარი თითო სულზე. მექსიკელი გლეხები ასე გაურიგდნენ ბრწყინვალე შვიდეულს. აბა რა ექნათ, ყაჩაღთაგან გაყვლეფილ-გალეგეტილებს მეტი არ გააჩნდათ.

როგორ უნდა დაიჯერო, რომ ესოდენ ლამაზები, ესოდენ კეთილშობილნი, თავდაუზოგავად ირჯებიან რაღაც საცოდავი ოცი დოლარის გულისათვის, ოღონდაც ბოროტსა სძლიოს კეთილმან. აგერ წითელპერანგა კალკერა (წითელპერანგა-მეთქი, ფერი ხომ არ გეცნობათ?), მექსიკელ ყაჩაღთა ატამანი, ამერიკელ რაინდთა ხელით სასიკვდილოდ დაჭრილი, თავის გაოცებას ვერ მალავს და შვიდეულს ამგვარი სიტყვებით მიმართავს: თქვენ, ასეთი დიდებული ბიჭები, ამ ერთი ქეციათი სოფლისათვის თავს როგორ სწირავთო?! თავის განწირვაა, მამ რა არი — ბრწყინვალე შვიდეულის ოთხ წევრს, უხორცოსავით უშიშთ, უცხო მინაში გაეთხრებათ სამარე.

იულ ბრინერმა თავბრუ დაახვია ჩვენებურ ჯველებს. ჯერ მიხვრა-მოხვრა თქვით, ჩამოსხმული ტანის რონინი, მერე — მომაჯადოებელი ღიმილი და მოსწრებული სიტყვა-პასუხი. სროლას ნულარ იკითხავთ! ქართველი მემატთანე იტყოდა: ტყვიას ტყვიასი აჯენსო. ახლა ჯირითი — თავანყვეტილი მუსიკის აკომპანემენტით, დღესაც რომ საამოდ ჩაგვესმის ყურში, და ის ჰანგებიც იულ ბრინერის შეთხზული გვეგონია.

მარადჭაღარა თბილისს ბრინერის გრიპი მოედო. ყორა-პარკიმახერი (მაშინ პარკიმახერი ერქვა ახლანდელ სტილისტს)

თავის მორიგ კლიენტს სამართლებლით გადაუპარსავდა თავს (ქართულ ქოჩორს ვილა ჩიოდა!) და რუსთაველის პროსპექტზე თავმოსანონად გაისტუმრებდა. თავის გადაპარსვაც უზომოდ გაძვირდა და ლევი-სტრაუსის ჯინსებიც. საპარკიმახეროებში თავის მოტვლებს მნატვრელთა რიგები იდგა და კონტრაბანდული ჯინსებით მოვაჭრენიც ამენდნენ.

თქვენ წარმოიდგინეთ, იულ ბრინერის წყალი ჯონ კენდისაც გადაესხა. და როდესაც 46 წლის სალსალამათი პრეზიდენტი, ულამაზესი და უკეთილშობილესი ვაჟკაცი, ცოფიანი ძაღლივით გააგორეს დღისით, მზისით — უმდიდრესი ქვეყნის უმდიდრესი შტატის უმდიდრეს ქალაქში, მის შესანდობარს ფეხზე ადგომით სვამდნენ ნებისმიერ ქართულ სუფრაზე, ლხინისა იქნებოდა თუ ჭირისა.

მერე ის იყო, ლამის მთელი ამერიკა, დიდიან-პატარაიანა, ამროტესტებდა ვიეტნამის ომს, მაგრამ ჩვენ, რომის პაპზე უკეთესი კათოლიკენი, თავგამოდებით ვფიცულობდით ამერიკელ რაინდთა მზეს, რომლებიც თავისუფლებისა და დემოკრატიის თელს თესავდნენ მთელს პლანეტაზე და ისევ იულ ბრინერი გველანდებოდა, ამჯერად ვიეტნამში რომ იბრძოდა „ერთი ქეციანი სოფლისათვის“.

მერე ის იყო, ვიეტნამიდან გამოაძუნძულეს ეს ჩვენი ბრწყინვალე შვიდეულები, არაცივილიზებულმა ვიეტნამმა ვერც ამერიკული თავისუფლება შეირგო და ვერც დემოკრატია. ჩვენ კი ვზუზღუნებდით: ვირო, მაღლიო... და ჯიუტად გვიმედებოდა, რომ ჩვენს სამშობლოში, ჩვენივე დასტურით, ანაჩანჩახებდნენ დემოკრატიის შუქურებს იგივე იულ ბრინერი და ძმანი მისნი.

გიხარია და ამაყი ხარ იმით, რომ ამ ოხერ-ტიალ პლანეტაზე, ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გადაღმა, არსებობს ასეთი მაღლიანი ქვეყანა, სადაც იბადებიან და იღვნიან ასეთი დიდსულოვანი, გულმართალი და გულადი ვაჟკაცები, რომლებიც უნაგაროდ (ანუ ოც დოლარად) ემსახურებიან მთელი დედამიწის ზურგზე სიკეთის დამკვიდრებას, სადაც გულთან ახლოს მიიტანენ შენს ტკივილს, იარას მოგიშუშებენ, დაზაფრულსა და ტანჯულს მოგეფერებიან, სიცოცხლის სიყვარულს დაგიბრუნებენ, მერე იარაღს აისხამენ და შენს მტერსა და მჩაგვრელს დედას უტირებენ, დედას! ღიახ, არსებობს ასეთი ქვეყანა, სადაც დღენიდაგ იმას ფიქრობენ, რომ მშიერს აჭამონ ხშიადი და შიშველს ჩააცვან პერანგი.

ამასობაში კიდევ ათი წელიწადი გავიდა და ეს ჩვენი მოწონებულ-ლი „ბრწყინვალე შვიდეული“ უაპელაციოდ დაჩრდილა „ნათლიამ“. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფილმმა კი არ მოუხვებია პოპულარობა ლიტერატურულ წყაროს, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ჰოლივუდში, არამედ თავად რომანი, რომლის ავტორიც გახლდათ ფართო საზოგადოებისათვის მანამდე უცნობი მაროი პიუზო, იტალიელ იმიგრანტთა შთამომავალი, გამოქვეყნებისთანავე იმდენად პოპულარული გახდა, რომ შეუძლებელია ჰოლივუდის მესვეურთა ყურადღება არ მიეპყრო.

აბა თავად განსაჯეთ, პიუზოს „ნათლია“ წელიწადნახევრის მანძილზე (ანუ 18 თვე!) ყელყელაობდა ამერიკულ ბესტსელერთა ნუსხაში, ხოლო მთელი 6 თვე — პირველი ადგილი ეჭირა.

დაუყოვნებლივ ითარგმნა ოცამდე ენაზე! ამგვარი პოპულარობა ვერც ფოლკენერს დაესიზმრებოდა და ვერც ჰემინგუეის.

რომანის ეკრანიზაციის უფლება ჰოლივუდს 2 მილიონი დოლარი დაუჯდა.

მაგრამ ამერიკელი რეჟისორები, უმანკონი და უმნიკვლონი, კატეგორიულ უარს აცხადებდნენ, მაფისის სახობტო ფილმს როგორ გადავიღებთ, ხელიმც ვაგვიხმესო, დასტა-დასტა მილიონებიც კი არ გვაცდუნებს და არ შეგვაცდენსო.

ამდენ კდემამოსილთა ფარაში ერთი ქეციანი ცხვარიც გამოერია — 32 წლის ფრენსის ფორდ კოპოლამ, დამწყებმა ოსტატმა, აილო და გარისკა, რომ თავისი კარიერის დასაწყისად სწორედ „ნათლია“ აერჩია. გარისკა და გამოთვრა კიდევ შამპანურით. გაუშართლა ბედმა და მერე როგორ გაუშართლა!

კინოკომპანია „პარამაუნტი“ იკვებინდა, ასეთი სარფიანი ფილმი კინოს ისტორიას არ ახსოვსო.



ფილმი კიდევ უფრო უკეთესი გამოდგა, ვიდრე რომანი, რადგანაც თამამად ამოუდგა მხარში საყოველთაოდ აღიარებულ რეჟისორთა შედეგებს, „მოქალაქე კინი“ იქნებოდა თუ „რვანახევარი“ (ბრიტანული კინოს ინსტიტუტმა „ნათლიას“ მე-5 ადგილი მიაკუთვნა ყველა დროის საუკეთესო ფილმთა ბრწყინვალე ათეულში), მაშინ როდესაც პიუზოს თუნდაც მშვენიერი რომანი არავის დაუყენებია „პალატისა“ თუ „ფიესტას“ გვერდით.

მარლონ ბრანდო, რომელიც იულ ბრინერის თავისებური გაგრძელება, არანაკლებ ბრწყინვალედ ასრულებს მაფიის გამობრძმედილი თავკაცის როლს. ერთი ბრწყინვალე შვიდეული რა სათქმელია, არაერთი ბრწყინვალე შვიდეული დაუნერგავს ნიუ-იორკის ყოველ უბანში. და ისინი ბრწყინვალედ ასრულებენ ძლევაგამოსილი შეფის ყოველ ბრძანებას, თუმცა ისეთი ლამაზები და კეთილშობილინი როდენ არიან, როგორც იულ ბრინერი და ძმანი მისნი.

პიუზოს რომანში და, შესაბამისად, კოპოლას ფილმში მაფიის თავკაცი თავის სამართალს ამყარებს ათასგვარი უსამართლობით დასწრელებულ ქვეყანაში, თავისუფლებისა და დემოკრატიის ბურჯად რომ შეგვირაცხავს.

აი, ერთი თვალსაჩინო მაგალითი:

რომანის პირველივე სტრიქონები და ფილმის პირველივე კადრებიც გვაცნობენ ვინმე ამერიკო ბონასერას, დამკრძალავი ბიუროს მეპატრონეს, რომელიც ნიუ-იორკის რომელიღაც უბნის სასამართლოს განაჩენს ელოდება იმის იმედით, რომ საკადრის მიუზღავენ იმ ნაძირალებს, რომლებმაც უმოწყალოდ დაასახიჩრეს მისი ნორჩი ასული, როდესაც მისთვის ნამუსის ახდას ლამობდნენ და წინააღმდეგობას წააწყდნენ.

მოსამართლე ასე მიმართავს ბრალდებულთ:

— თქვენ ტყის ნადირებზე მოიქცით. თქვენი ბედი, რომ ვერ შესძლებთ საბრალო გოგოს გაუპატიურება, თორემ ოცი წლით გიკრავდით თავს ციხეში. ახლა კი ვითვალისწინებთ რა თქვენს ასაკს, თქვენს აღზრდა-განათლებას და თქვენი მშობლების შეუბღალავ რეპუტაციას, აგრეთვე იმას, რომ კანონი, თავისი უთქმელი სიბრძნით, არ მოგვიწოდებს შურისძიებას, თვითულ თქვენგანს მოგისჯით პატიმრობას სამი წლით — პირობითად (სიუჟეტი ხომ არ გეცნობათ?).

მოსციდულ-გაყიდული მოსამართლის განაჩენს რომ მოისმენს, ამერიკო მზადაა, რომ გარეთ გავარდეს, იარაღი იშოვოს და ეს ორი ლანჩირაკი ადგილზევე მიახვიტოს, მაგრამ... მაგრამ ისლა დარჩენია, რომ მიუღწევს შესწივლოს, ჩვენ აქ დაგვცინესო; ერთხანს დუმს, მერე კი თავის გულისნადებსაც გაუშვებს: სამართლის საპოვნელად ჩვენი ასულის ნათლიას უნდა ვეახლოთო.

ამერიკო გულამოსკვნილი ტირილით უამბობს ნათლიას თავის გასაჭირს: ჩემი შვილი — ჩემი თვალთა სინათლე იყო, კეთილი, ალერსიანი და ლამაზი. მას სჯეროდა ადამიანებისა, ანი ვერავის ვედარასოდეს დაუჯერებსო. და ლამაზიც აღარასოდეს იქნებო. მე, როგორც კანონმორჩილმა ამერიკელმა, მივმართე პოლიციას. ის წყუელი ხულიგნები დააპატიმრეს. მერე გაასამართლეს. სამხილები უცილობელი იყო. ორივემ აღიარა დანაშაული. მოსამართლემ სამ-სამ წელი მიუსაჯა — პირობითად. სასამართლოს დარბაზშივე გაათავისუფლეს. და მაშინ ვუთხარი ჩემს ცოლს, სამართალი დონ კორლეონესთან უნდა ვეძიოთო.

ამერიკო სთავაზობს ნათლიას, რამდენსაც მეტყვი, იმდენს გადაგიხდი, ოღონდ ის ნაძირალები (ყურში ჩაუჭურჩულებს) დახოცეო!

ახლა ყური ვათხოვოთ დონ ვიტო კორლეონეს:

— შენ ამერიკა სამოთხედ წარმოგედგინა. სოლიდური ბიზნესი აანყვე, კარგი შემოსავალი გქონდა. გეგონა, რომ აქაურობა — წყნარი სავანა, სადაც ნეტარებით შეგიძლია იცხოვრო. შენ გიცავდა პოლიცია, შენი ინტერესების სადარაჯოზე იდგა კანონი — აბა რილასთვის გჭირდებოდა დონ კორლეონე? შენი შვილის ნათლია ერთ ფინჯან ყავაზეც კი არ დაგიპატიუებო. ახლა კი მოდიხარ ჩემთან და მეუბნები: დონ კორლეონე, დაე თქვენი ხელით აღსრულდეს მართლმსაჯულება. მომიწოდებ, რომ ჩავიდინო მკვლელობა და მპირდები, რომ გადამიხდი იმდენს, რამდენსაც ვინებებ. ერთი მითხარი, რით დავიმსახურე ამგვარი შეურაცხყოფა?

მწუხარე ამერიკოს აღმოხდება:

— ამერიკამ შემეფარა და გულში ჩამიკრა. მინდოდა, სანი-მუშო მოქალაქე ვყოფილიყავი... (გულისხმობს, მაფიას როგორ გავეკარებოდიო).

— მშვენივრად ლაპარაკობ. და თუკი ეგრეა, მაშ რაღას უჩივი? მოსამართლემ განაჩენი გამოიტანა. ამერიკამ თავისი სიტყვა თქვა. ახლა მოიკითხე შენი ასული საავადმყოფოში, მართვი ყვავილები და ტკბილეული. გაუხარდება. და თავადაც დანუგეშდებით. ბოლოს და ბოლოს, უბედურება არც ისე დიდია, რომ გადაჰყვეთ. რას იზამ, ახალგაზრდა ბიჭებს სისხლი უდღულთ ძარღვებში, სიყვარული სწყურიათ. თანაც ერთი მათგანი დიდკაცის შვილი ყოფილა...

ნათლია ტკბილი სიტყვით ჭკუაზე მოიყვანს ნათლიამას, ვისი კარნახითაც იმარჯვებს ბიბლიური მცნება — თვალი თვალის წილ და კბილი კბილის წილ. გაცემულია განკარგულება: ლაზათიანად დაასახიჩრეთ, ოღონდ სასიკვდილოდ არ გაიმეტოთ. და ნათლის ერთგული შეგირდები საკადრისს მიუზღავენ ორ გარენარს.

დონ ვიტოს რწმენით, სამსახური — სამსახურის წილ და სიკეთე — სიკეთის წილ. ვალი ედება იმას, ვისაც ექმნაგება ნათლია და ოდესმე მოუწევს ამ ვალის გადახდა.

ნათლია კეთილსინდისიერად ემსახურება თავის მრევლს.

მაგრამ, ვაჟასი არ იყოს, ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი, და ერთ, არცთუ მშვენიერ საღამოს დონ ვიტო კორლეონეს, ამერიკული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, პროფესიული სწეულება ანუ ხუთი ცხელი ტყვია შეეყრება. სიკვდილს გადაურჩება, ოღონდ სანოლს მიჯაჭვულს იძულებითი შევბუღების ალება მოუწევს.

მისი საბრძანებლის დროებითი მბრძანებლობა, ცხადია, მის პირმშოს ერგება წილად. ის კი, სიმაღლით ექვსფუტისანი და თვალტანადი, ფიცხი და თავნება, შურისძიების წყურვილით შეპყრობილი, დაუფიქრებლად და უტოქმანოდ მთელი ნიუ-იორკის მაფიოზთა კლანების წინააღმდეგ აჩალებს ომს, რომელიც თავისი სისასტიკით არ ჩამოუვარდება არც პირველსა და არც მეორე მსოფლიო ომს.

ერთხელაც სანტინო (მოფერებით — სანი, ე.ი. შვილიკო) კორლეონე მტრების ანკესზე წამოგება და ისე მიჩიქარის თავისი სიძის განსალახავად (თუ მოსაკლავად?), რომ გაიყვიტო მოახტება მანქანის საჭეს და აღარ ელოდება თავის დაცვას, ვიდრე ისინი აზრზე მოვლენ და კვალდაკვალ გაჰყვებიან.

გზად მებაჟის ჯიხურს გადაეყრება. სანი ამუხრუჭებს მანქანას, ხურდა ფულის საპოვნელად ჯიბეებში იქექება, ვერ პოულობს, მაშინ საფულიდან ამოაძვრენს ერთდოლარიანს და მებაჟეს გაუწვდის. მოუთმენლად ელოდება ხურდას, ერთი სული აქვს, რომ სარკმლის მინა ასწიოს — ოკეანიდან მონაბერი ცივი ქარი ძვალ-რბოლში ატანს. ჯიხურში მყოფი მებაჟე კი ხურდას ითვლის, ამ თვლაში წვრილი ფული ძირს ეფანტება, ვითომდა ასაკურფად დაილუნება და ხურდიანად გაუჩინარდება.

ბიჭო სანი, მოუსვი სანამ დროა, ჯიგარო, თავს უშველე! რა დროს ხურდაა, გკლავენ სანი, გკლავენ შე უბედურო!

სანიმ ფულის ყადრი იცის, მშვენივრად მოეხსენება, რომ მილიონებს ცენტები ამენებენ, მაგრამ ყოველ წესს ხომ აქვს გამონაკლისი და ნოგჯერაც დგება წუთი, როცა ხურდაც უნდა დაივიწყო და, ეგებ, სამშობლოც — სატრფოსავით ერთადერთი რომაა.

ბიჭო სანი, სისხლის სუნი არ მოგდის?!

შენი უკანასკნელი წუთი დგება, ხურდას ენირები? კილერებს ყველაფერი ზუსტად ჰქონდათ გათვლილი და დაგვეგმილი. გზა მანქანით ჩაუხერგეს მსხვერპლს, შიგ ორი კაცი იჯდა და ერთიც მებაჟის მეზობელ ჯიხურში იყო ჩასაფრებული. ერთდროულად გაუხსნეს ცეცხელი ხურდას მილოდინში მანქანის საჭესთან ჩაჭყყილ სანის.

აი, პარადოქსთა შორის პარადოქსი: მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყანაში ილუპება უმდიდრესი ოჯახის შვილი, ოცდაათი წლის ვაჟკაცი, შემკული ყველა მამაკაცური ზნითა და ღირსებით, ილუპება, რადგანაც ელოდება ხურდას — ერთი დოლარიდან.

**P.S.** ალბათ დამეთანხმებით, ქართველი ჯეელი რომ ყოფილიყო სანის ადგილზე, ხურდასაც დაუტოვებდა მებაჟეს და თავის დუბლიონკასაც. სამაგიეროდ ცოცხალი დარჩებოდა...